მალხაზ მაცაბერიძე

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ენციკლოპედიური ცნობარი



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2025

ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის – „თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან: საქართველოს ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი“ ფარგლებში.
გრანტის კოდი: FR-23-2950

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ენციკლოპედიური ცნობარი. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2025 – გვ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ენციკლოპედიურ ცნობარში მოკლედ არის განხილული, თუ რას წარმოადგენს დამოუკიდებლობის აქტი, მისი ძირითადი ხედვები და დებულებები, როგორ უყურებდნენ მათ დამოუკიდებლობის აქტის ავტორები; ნაჩვენებია თუ რა ღირებულებებს აფუძნებენ საქართველოს სახელმწიფოს და როგორ წარმოედგინათ მისი მომავალი.

© მ. მაცაბერიძე, 2025

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2025

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-529-02-3

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს დამფუძნებელი კრება, – არჩეული პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, – თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს.

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავის საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, საყოველთაოდ ა ც ხ ა დ ე ბ ს:

1. ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

თბილისი

1918 წლის 26 მაისი

შინაარსი

წინასიტყვაობა 7
ა 9
„ამიერიდან ... საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“ 9
ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, როგორც საქართველოს ავტონომიისკენ გადადგმული ნაბიჯი 12
ამიერკავკასიის სეიმი – ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ 13
ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა 14
ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა: განაცხადი და რეალობა 16
ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის მიზეზი: საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შეფასება 18
ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 19
ახალი ქართული ეროვნული იდენტობა და საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი 21
ბ 26
ბელარუსის მესამე წესდება და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 26
ბოლშევიკები და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 28
გ 29
გენდერული თანასწორობა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 29
დ 30
დამოუკიდებლობის აქტი როგორც იურიდიული და პოლიტიკური დოკუმენტი 30
დამოუკიდებლობის აქტი / დამოუკიდებლობის დეკლარაცია 30
დამოუკიდებლობის გამოცხადება: მსოფლიო პანორამა (1776-1914) 32
დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების შექმნის ტალღა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე (1917-1918 წლები) 33
დამოუკიდებლობის გამოცხადების ზუსტი დროის მითითების მნიშვნელობა 35
დამოუკიდებლობის გამოცხადების ადგილი 37
დამოუკიდებლობის საზეიმო გამოცხადება 37
დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 39
დამოუკიდებლობის გამოცხადება და ტერიტორიის კონტროლი 40
დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა 41
დამფუძნებელი კრება 41
დემოკრატიული რესპუბლიკა 43
დროებითი მთავრობა 45
დედაქალაქი – დამოუკიდებლობის გამოცხადების ადგილი 48
ე 49
ევროპული ორიენტაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 49
ერთა თვითგამორკვევის უფლება და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 50
ერი სახელმწიფოს კონცეფცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 52

ეროვნული მთავრობა 54
ერთა თვითგამორკვევის უფლება და ბოლშევიკები 55
ეროვნულ უმცირესობათა უფლებები 57
ესტონეთის დამოუკიდებლობის მანიფესტი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 59
ვ 61
ვრცელი ისტორიული შესავლის პროექტი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისათვის 61
დამატება მეორე 62
ზ 65
ზეგავლენა გარეშე ძალთა, რამაც დაშალა ამიერკავკასიის ფედერაცია 65
თ 66
თბილისი – სამი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ადგილი.....66
თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.....67
ი 68
ისტორიული, ეთნოგრაფიული და სტრატეგიული საზღვრები 68
ისტორიული არგუმენტაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში (1990-1991 წლები) .....
ისტორიული არგუმენტაცია აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში (1991 წელი).....
ისტორიული არგუმენტაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში (1990-1991 წლები): შედარებითი ანალიზი .....
კ 68
კავკასიის კონფედერაციული კავშირის შექმნის იდეა.....
კეთილმეზობლობა სხვა სახელმწიფოებთან - საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპი .
კეთილმეზობლობა სხვა სახელმწიფოებთან - საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯები
კონსტიტუციის პრეამბულის საკითხი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.....
ლ 68
ლატვიის და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტები: შედარებითი ანალიზი.....
ლიტვის და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტები: შედარებითი ანალიზი .....
მ 68
მოქალაქეთა უფლებები .....
ნ 68
ნაგულისხმევი დამოუკიდებლობიდან სრულ დამოუკიდებლობამდე.....
ნიკო ნიკოლაძის ხელნაწერი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი.....
რ 68
რუსეთთან საქართველოს „თავის ნებით“ შეერთების შესახებ .....
რუსეთის დიდი რევოლუცია.....
ს 68
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი: ადრეული ვარიანტი .....
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პირველი დამატება .....
საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია.....
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემმუშავებელი კომისია.....
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება: ნოე ჟორდანიას და გიორგი გვაზავას მოგონებები .....

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი შედგენილი ზურაბ ავალიშვილის მიერ .....
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება: რაჟდენ არსენიძის მოგონება.....
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება: შალვა ამირეჯიბის მოგონება .....
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვა ადგილობრივი ხელისუფლების და პარტიულ ორგანოებში.....
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის თარგმანი უცხო ენებზე
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დამატებები
საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მცდელობა 1918 წლის 25 მაისს
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი: სტრუქტურა
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ხელმოწერილი ეროვნული
საბჭოს წევრების მიერ 1918 წლის 26 მაისს.....
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ხელმოწერილი და დადასტურებული 1919 წლის 12 მარტს.....
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერები 69
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ისტორიული ნაწილი 78
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი.....80
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და აზერბაიჯანი 81
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია და საზღვრები.....92
საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ამოსავალი პრინციპები 89
საქართველოს მოქალაქეობა.....90
საქართველოს სუვერენიტეტი 92
საქართველოს ხალხი 93
საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველი 93
საქართველოს ეროვნული საბჭოს შევსება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებით.....96
საქართველოს დამოუკიდებლობის და დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციები: შედარებითი ანალიზი 96
სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.....97
უ.....99
უკრაინის მე-4 უნივერსალი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.....99
ფ.....100
ფინეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 100
ქ.....102
„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა...“.....102
„ქვეყნისა წინაშე აცხადებს...“.....103
ჩ.....104
ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება.....104
ხ.....105
ხალხის სუვერენიტეტი 105

წინასიტყვაობა

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური და პროგრესული დოკუმენტია.

უდიდესია დამოუკიდებლობის აქტის იურიდიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა: აქტი ფორმალურად აუქმებდა რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს (1801 წ.) და იმერეთის სამეფოს (1810 წ.) უკანონო ანექსიის შედეგებს. მან ქართველი ხალხი გამოაცხადა სუვერენულ უფლებათა მატარებლად, რითაც აღადგინა ქვეყნის იურიდიული დამოუკიდებლობა. 1918 წლის 26 მაისის აქტი გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (სდრ) არსებობის სამართლებრივი საფუძველი და შემდგომი კანონმდებლობის, მათ შორის 1921 წლის კონსტიტუციის, ამოსავალი წერტილი.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი წარმოადგენდა საქართველოს ისტორიულ არჩევანს – შეექმნა ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო. აქტი ცალსახად აცხადებდა, რომ საქართველოს პოლიტიკური ფორმა იქნებოდა დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს იყო მკაფიო არჩევანი რუსეთის იმპერიული წარსულისა და ბოლშევიკური დიქტატურის ალტერნატივის საპირისპიროდ. დამოუკიდებლობის აქტის მიღებით ჩამოყალიბდა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის სამართლებრივი საფუძველი.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი იყო იმ დროისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პროგრესული დეკლარაცია ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. იგი უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის თანასწორობას ეროვნების, სარწმუნოების, სოციალური წოდების ან სქესის მიუხედავად. ეს ნიშნავდა, რომ ქალებს მიეცათ სრული პოლიტიკური უფლებები, რასაც იმ დროს მრავალი დასავლური ქვეყანაც კი ვერ უზრუნველყოფდა. დამოუკიდებლობის აქტი ხაზს უსვამდა ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალ განვითარებას, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ეროვნული უმცირესობების მქონე ქვეყნისთვის.

დამოუკიდებლობის აქტმა საქართველოს სახელმწიფო განსაზღვრა როგორც ევროპული ტიპის, დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა, რომელიც სამართლებრივი და ჰუმანური პრინციპებით ხელმძღვანელობდა. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ღირებულებები დღესაც რჩება საქართველოს კონსტიტუციური და პოლიტიკური ცხოვრების მთავარ ორიენტირად.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს აქვს უდიდესი ისტორიული და სიმბოლური როლი. მან განასახიერა ქართული ეროვნული მოძრაობის მისწრაფება ყოფილიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა. ის იყო პასუხი და დაგვირგვინება XIX საუკუნის „თერგდალეულების“ იდეისა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი არ არის მხოლოდ ისტორიული დოკუმენტი; ის არის თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი. ეს აქტი გახდა სამართლებრივი კავშირი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თანამედროვე საქართველოს შორის. 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი პირდაპირ ეფუძნება 1918 წლის 26 მაისის აქტს, რითაც დაამტკიცა, რომ საბჭოთა პერიოდი იყო ქვეყნის ოკუპაცია.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი იმდროინდელი პარტიებისა და პრესის მიერ არ გამხდარა განხილვის საგანი. დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი მიიღეს როგორც მოცემულობა, რომლის შინაარსის შესახებ მსჯელობაც გარკვეულწილად თავად დამოუკიდ-

ებლობის ეჭვქვეშ დაყენებას ნიშნავდა. უნდა გავითვალისწინოთ დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს არსებული ვითარება. საქართველოს ოსმალეთის ჯარები უტევდნენ და არ იყო გამორიცხული, რომ თბილისის დაცვაც საჭირო გამხდარიყო. ასეთ პირობებში ყურადღება მიმართული იყო არა დამოუკიდებლობის აქტის ტექსტისკენ, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისაკენ.

მხოლოდ ეროვნული საბჭოს, შემდეგ კი დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისია, რომელიც დამოუკიდებლობის აქტს მიიჩნევდა საქართველოს მომავალი კონსტიტუციის საფუძვლად, მსჯელობდა დამოუკიდებლობის აქტის ძირითად პრინციპებზე და იმაზე თუ როგორ უნდა მომხდარიყო მათი რეალიზება კონსტიტუციის ტექსტში. საკონსტიტუციო კომისიაში დაწყებული მსჯელობა კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს დამფუძნებელი კრების სხდომებზეც გაგრძელდა.

დამოუკიდებლობის დეკლარაცია ქვეყნის ისტორიაში არ წარმოადგენს რიგით მოვლენას, ამიტომ მასზე უფრო დაწვრილებით უნდა ვისაუბროთ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ენციკლოპედიურ ცნობარში მოკლედ არის განხილული, თუ რას წარმოადგენს დამოუკიდებლობის აქტი, ნაჩვენებია მისი ძირითადი ხედვები და დებულებები, როგორ უყურებდნენ მათ დამოუკიდებლობის აქტის ავტორები.

დამოუკიდებლობის აქტი მოკლე დოკუმენტია, თუმცა უაღრესად დატვირთული შინაარსობრივად. ენციკლოპედიურ ცნობარში ნაჩვენებია ის ვითარება, რომელშიც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი განხილულია იმ პერიოდის ანალოგიური დოკუმენტების ფონზე. დამოუკიდებლობის აქტის ყოველი სიტყვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია. თუ დაწვრილებით გავიაზრებთ აქტის თითოეულ დებულებას, წარმოგვიდგება როგორც ის რეალობა, რომელშიც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ისე ის ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები, რასაც, დამოუკიდებლობის აქტის ფუძემდებელთა აზრით, უნდა დამყარებოდა განახლებული ქართული სახელმწიფო.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან უკვე ერთ საუკუნეზე მეტია გასული. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორია ისე წარიმართა, რომ ამ პერიოდის დიდი ნაწილი საქართველომ კვლავ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას მოანდომა. დიდი ხნის განმავლობაში არ იყო პირობები დამოუკიდებლობის აქტის ისტორიის დასაწერად, მის შესასწავლად. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ენციკლოპედიური ცნობარის დანიშნულებაა ამ ხარვეზის ნაწილობრივ მაინც შევსება და შემდგომი კვლევების ხელშეწყობა.

ა
„ამიერიდან ... საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი აცხადებდა, რომ „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. ეს ფრაზა 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პირველი პუნქტია. ეს იყო ქართული სახელმწიფოს აღდგენას და სუვერენიტეტის გამოცხადება საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ.

დამოუკიდებელი ნიშნავს, რომ საქართველო წყვეტდა ყოველგვარ პოლიტიკურ, სამართლებრივ თუ სამხედრო დაქვემდებარებას სხვა სახელმწიფოსადმი, კერძოდ რუსეთის იმპერიის მემკვიდრე სტრუქტურების მიმართ. „ამიერიდან“, ანუ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებიდან საქართველოს ბედი მხოლოდ ქართველ ხალხზე იყო დამოკიდებული.

სრულუფლებოვანი ნიშნავს, რომ საქართველო ხდებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა სხვა სახელმწიფოებთან დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობები, დაედო ხელშეკრულებები და თავად გადაეწყვიტა თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები.

სუვერენული უფლებების ქონა ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე უმაღლესი ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეებს ეკუთვნის. დამოუკიდებლობის აქტის პირველივე მუხლში დაფიქსირებულია ცნება „საქართველოს ხალხი“, რომელსაც ეკუთვნოდა სუვერენული უფლებები.

დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით საქართველო იწყებდა არსებობას როგორც ცალკე, ორგანიზებული პოლიტიკური ერთეული, თავისი ტერიტორიით, მოქალაქეებით, სახელისუფლო სტრუქტურებით და კანონებით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელ მანძილზე ჩვენს ქვეყანას მძიმე და შეუპოვარი ბრძოლა უხდებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი უმთავრესი სახელმძღვანელო დოკუმენტი იყო ეროვნული საბჭოს, შემდეგ კი დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისიებისთვის. მათ ამოცანას წარმოადგენდა არა მარტო დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნა, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დამკვიდრების სამართლიანობისა და აუცილებლობის აღნიშვნა-დასაბუთებაც. ეს საჭირო იყო საერთაშორისო არენაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მისაღწევად, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობის დასაბუთება ბევრს სჭირდებოდა ქვეყნის შიგნითაც.

სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი არქონა, რევოლუციისა და სოციალიზმის იდეებით გატაცება საზოგადოების გარკვეულ წრეებში საკუთარი ერის ბედის, ეროვნული პრობლემებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იწვევდა. „არა ერთი და ორი პოლიტიკური მოღვაწე... თვითმპყრობელობასთან ბრძოლით თავდავიწყებამდე გატაცებული, გულწრფელად ივიწყებდნენ ერის ისტორიულ უფლებას და მის დაუცხრომელ ლტოლვას ნაციონალური თვითაღდგენისადმი“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 28.01.1920). პავლე საყვარელიძის ეს

სიტყვები, პირველ რიგში, ქართველ სოციალ-დემოკრატებს შეეხებოდა. იმავეს აღნიშნავდა ესერთა ლიდერი ლ. შენგელაიაც: „ამ ასი წლის მონობამ ისე დაამახინჯა ჩვენი გონება და ეროვნული შეგნება, რომ თვით ჩვენ, ვინც ასე თავგამოდებით ვიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას, რამდენიმე წლის წინედ ვერ ვიმეტებდით საქართველოსათვის უბრალო ავტონომიას“ („შრომა“, 19.12.1920).

თავისებური ბედი ხვდა საქართველოს 1918-1921 წლებში. დამოუკიდებელი სახელმწიფოს სათავეში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მანამდე არ ფიქრობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც მმართველ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, მიმდინარეობდა ეროვნული ინტერესებისაკენ შემობრუნება, მაგრამ ბევრისთვის განმსაზღვრელი მაინც „ინტერნაციონალიზმი“ იყო. ეს გარემოება – ეროვნულ ფასეულობათა უპირობო ფლობა კი არა, არამედ მათი თანდათანობითი შეთვისება თუ მათთან შეგუება, ბუნებრივია, ზეგავლენას ახდენდა სახელმწიფოს პოლიტიკაზე, რიგ შემთხვევებში კი განაპირობებდა სახელმწიფოებრივ ინტერესებზე პარტიული თვალსაზრისის დომინირებას. ამის მკაფიო დადასტურებაა თუნდაც ნოე ჟორდანიას გამოსვლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-2 ყრილობაზე 1920 წ. ივნისში. იგი აღნიშნავდა, რომ „უაღრესი როლი“ პარტიის მოღვაწეობაში „ეჭირა და უჭირავს... სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებას, ხოლო ხელქვეითი როლი უჭირავს სხვა დანარჩენ შეხედულებას, მათ შორის ნაციონალურსაც“ (სცსსა, ფ.1825, ანაწ.1, საქ.159, ფურც.26). ნოე ჟორდანიას ლოგიკით, სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა დაეცვათ არა იმის გამო, რომ ეს მათი სამშობლო და უპირველესი მოვალეობა იყო, არამედ იმიტომ, რომ ამის გარეშე მოცემულ ეტაპზე ვერ მოხერხდებოდა პარტიის „მთავარი პოლიტიკური და სოციალური მოთხოვნილებათა განხორციელება“.

საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე ორიენტაცია მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან მოითხოვდა რიგ საკითხებზე ადრინდელი შეხედულებების გადასინჯვას, ახალი პოზიციის ახსნა-დასაბუთებას: რამდენად შეესაბამება საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების მცდელობა მსოფლიოს განვითარების ტენდენციას, როგორ უთავსდება ერთმანეთს, ერთი მხრივ, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და, მეორე მხრივ, დემოკრატიისა და სოციალიზმისაკენ პარტიული სწრაფვა? მთლიანობაში, საჭირო იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კონცეფციის შემუშავება.

უნდა დაძლეულიყო იმპერიალისტური იდეოლოგია, რომელსაც იმდროინდელ მსოფლიოში მრავალი პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი თუ პუბლიცისტი ამკვიდრებდა, მძლავრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული როგორც ბურჟუაზიულ, ისე სოციალისტურ წრეებში და საზოგადოების ფართო ფენებშიც. ამ თეორიის მიხედვით, მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, კაცობრიობის მიერ მიღწეული ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დონე განაპირობებდა ეროვნული სახელმწიფოების კვდომას. აქედან გამომდინარე, შეუძლებლად ცხადდებოდა ერთა თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკული რეალიზაცია. სწორედ ასეთი თვალსაზრისი იყო უარსაყოფი ქართველ პოლიტიკოსთა მხრიდან, რადგანაც, თუ მსოფლიოს განვითარების მიმდინარე ეტაპი ძირს უთხრიდა ეროვნული სახელმწიფოს არსებობას, მაშინ, შეუძლებელი და უიმედოდ განწირული საქმე ხდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრება.

შემთხვევითი არ იყო, რომ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე კონსტიტუციის პროექტის დახასიათებისას სპეციალურად შეეხო ეროვნული სახელმწი-

ფოს კვდომის თეორიას და ასაბუთებდა მის უნიადაგობას კარლ კაუცკის, სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ავტორიტეტის, ნაშრომებზე დაყრდნობით.

პავლე საყვარელიძე აღნიშნავდა, რომ კაცობრიობის განვითარების კრიზისულ ეტაპზე, პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციების დროს, თვალსაჩინო გახდა არა ნაციონალური სახელმწიფოების კვდომის, არამედ სრულიად საპირისპირო ტენდენცია – „უკვე დიდი ხნის არსებული მრავალერიანი, რთული სახელმწიფოების დაშლისა და გარდაქმნისა ნაციონალურ სახელმწიფოებრივობის პრინციპის მიხედვით“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 3.04.1920). კერძოდ, დაიშალა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვანი იმპერიები და მათ ნაცვლად ნაციონალური სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. ცხადი გახდა, რომ ნაციონალური სახელმწიფო ყველაზე უფრო მტკიცე და მკვიდრი კავშირია.

პ. საყვარელიძე დაწვრილებით ჩერდება ნაციონალური სახელმწიფოს მნიშვნელობაზე. სახელმწიფოს არსებობა თავისთავად წარმოადგენს ეროვნულ ფასეულობას და გარკვეული ზნეობრივ-სოციალური მიზნების მატარებელია. ნაციონალური სახელმწიფო საუკეთესო საშუალებაა ერის მატერიალური ძალების ასაღორძინებლად, სულიერი ენერგიის გასაშლელად. „სახელმწიფოებრივი ჯავშანი“ ერის არსებობისათვის ბრძოლის „უდიდეს და უძლიერეს იარაღს წარმოადგენს, იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს „ერის კოლექტიური პირადობის“ დაცვის საქმეში. აქედან გამომდინარე, თავდაცვის ინსტინქტის კარნახით „ყოველი ჯანსაღი უსახელმწიფო ერი საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ მიისწრაფის. ეს არის მისი უკვდავი წყურვილი, ხოლო თუ ერს სახელმწიფო უკვე აქვს, ის მის დასაცავად და შესანარჩუნებლად არაფერს არ ზოგავს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 26.03.1920).

1921 წლის კონსტიტუციის ავტორთა აზრით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრებას მჭიდროდ უკავშირდებოდა დემოკრატიული წყობილების დამყარების პერსპექტივაც. ეროვნული სახელმწიფო და დემოკრატია მათთვის ერთმანეთისგან განუყოფელი იყო. დემოკრატიის განვითარება ნიშნავს „ერთა თავისუფლებას და განთავისუფლებას ნაციონალურ სახელმწიფოებრიობის გზით“. მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოს პირობებში შეუძლიათ დემოკრატიულ ძალებს „სრული განვითარება, სამართლიანობის იდეალებისათვის ყოველმხრივ დაუბრკოლებელი წინმსვლელობა. დემოკრატია ნაციონალურ სახელმწიფოში ნახულობს თავის თავსა და თავის ძალ-ღონეს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 3.04.1920).

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას „სამგვარი გამართლება“ ჰქონდა:

1. ისტორიულ-სამართლებრივი. საუკუნეების მანძილზე საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ამ უკანასკნელის უფლება დამოუკიდებლად არსებობისა „არ მომკვდარა, არ გაუქმებულა“, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გამართლებული იყო „საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით“.

2. კულტურულ-პოლიტიკური. საქართველოს რომც არ ჰქონოდა სახელმწიფოებრივი არსებობის ტრადიცია, მას დამოუკიდებლობის მოთხოვნა შეეძლო ეროვნული, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მიღწეული დონის საფუძველზე. „ერი, რომელიც განვითარებულია; ეკონომიკურად, კულტურულად, პოლიტიკურად მომწიფებულია და მოითხოვს დამოუკიდებლობას, ცნობილ უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფოებრივობის უფლებამოსილი მაძიებელი“, – აღნიშნავდა პ. საყვარელიძე.

3. დემოკრატიულ-რევოლუციური. საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა ეცნოთ თვითგამორკვევის უფლების ძალითაც. „ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევისა ყველას უკარნახებს, რომ იცნონ საქართველოს უფლება, რომელიც განმტკიცდა, გამაგრდა, გაძლიერდა და დამოუკიდებლობის აქტში განხორციელდა“.

საქართველოს დამოუკიდებლობის დასასაბუთებლად ზემოთდასახელებული არგუმენტები სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა მიერ სხვადასხვანაირად ფასდებოდა. თუ სოციალ-დემოკრატები პირველ რიგში ერთა თვითგამორკვევის რევოლუციურ უფლებას იშველიებდნენ, ეროვნულ დემოკრატებს, ტაქტიკური თვალსაზრისით, ეს მცდარად მიაჩნდათ, რადგანაც დამოუკიდებლობის აღიარება უნდა მიეღოთ იმ ქვეყნებისაგან, რომელთაც შეიძლება მრავალი სამფლობელო დაეკარგათ ამავე პრინციპის ძალით. ამიტომ, მათი აზრით, აქცენტი უნდა გადატანილიყო დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიულ-სამართლებრივ უფლებაზე.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ რაობას კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველივე სიტყვები განსაზღვრავდა, რომელთა თანახმადაც საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცხადდებოდა. ეს ნიშნავდა, რომ „საქართველო დამოუკიდებელია სხვების მიმართ, თავისუფალია შინ და საერთაშორისო ურთიერთობაში“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859, ფურც.34).

ცხადი იყო ისიც, რომ დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში საქართველოს პირველ რიგში საკუთარი თავის, საკუთარი ძალისხმევისა და ეროვნული ენერგიის იმედი უნდა ჰქონოდა. სწორედ ამაზე მიუთითებდა ერთ-ერთ წერილში პავლე საყვარელიძე: ”ჩვენ შინაური სახელმწიფოებრივი ძალების სიმტკიცეს და ორგანიზაციას უნდა დავემყაროთ, ჩვენვე ვიცნოთ და შევიგნოთ ჩვენი თავი და მთელს ჩვენს კოლექტიურ არსებაში გავაუკვდავოთ საქართველოს... დამოუკიდებლობა და თავისუფლება“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 24.01.1920).

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, როგორც საქართველოს ავტონომიისკენ გადადგმული ნაბიჯი

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ვრცელ ისტორიულ დამატებაში აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შექმნა საქართველოს ავტონომიის აღდგენისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო: „1917 წლის მარტში ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ, მართებლობის უფლებით მოსილ კომიტეტის შექმნით საქართველოს ავტონომიის აღდგენისაკენ უკვე ერთი პრაქტიკული ნაბიჯი იყო გადადგმული – საქართველოს ჰმართავდა არა პეტროგრადი, არამედ საკუთარი დედაქალაქი თბილისი ზემოთ ხსენებულ განსაკუთრებულ კომიტეტის სახით, რომელშიაც ხალხის ნდობით მოსილი პოლიტიკური მოღვაწენი შედიოდნენ“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ.8).

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) 1917 წლის 9(22) მარტს შექმნა რუსეთის დროებითმა მთავრობამ და სამხარეო ხელისუფლების ორგანო იყო, რომელიც ამიერკავკასიას მართავდა. კომიტეტი დაკომპლექტდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს (IV მოწვევის დუმა) კავკასიელი დეპუტატებით. თუმცა რეალური ძალაუფლება ხშირად მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში იყო, სადაც ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) დომინირებდნენ. ამიერკავკასიის კომისარიატი დაიშალა 1917

წლიოს 15 (28) ნოემბერს, რუსეთში დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ. მისი ფუნქციები გადაიბარა ამიერკავკასიის კომისარიატმა, რომელიც უკვე ადგილობრივი კოალიციური მთავრობა იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ვრცელი ისტორიული დამატება სწორად ასახავს იმ ისტორიულ პროცესს და ლოგიკას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიმდინარეობდა. ამიერკავკასიის კომისარიატი, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების დაცემის შემდეგ, პირველი ნაბიჯი იყო ავტონომიის მშენებლობის მიმართულებით, რაც საბოლოოდ სრული დამოუკიდებლობის გამოცხადებით დამთავრდა.

ამიერკავკასიის სეიმი – ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ

ამიერკავკასიის სეიმი შეიქმნა 1918 წლის 10 (23) თებერვალს თბილისში, ამიერკავკასიის კომისარიატის ინიციატივით. მისი შექმნის მთავარი მიზანი იყო იურიდიულად გაეფორმებინა ამიერკავკასიის გამოყოფა ბოლშევიკური რუსეთისგან. სეიმი დაკომპლექტდა რუსეთის დამფუძნებელი კრების იმ დეპუტატებით, რომლებიც ამიერკავკასიიდან იყვნენ არჩეული. სეიმი ასახავდა ამიერკავკასიის სამი მთავარი ერის – ქართველების (სოციალ-დემოკრატები), აზერბაიჯანელების (მუსავატელები) და სომხები (დაშნაკცუთიუნი) პოლიტიკურ ინტერესებს. თავდაპირველად მას უნდა ემოქმედა რუსეთის დამფუძნებელი კრების აღდგენამდე, მაგრამ მოვლენები ასე არ განვითარებულა. სეიმმა სამხრეთ კავკასიის ფაქტობრივი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია მიიღო. 1918 წლის 9 (22) აპრილს სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და შექმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. ამის შემდეგ სეიმი იყო ფედერაციული სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო.

ფედერაციის სამ ერს შორის შინაგანი წინააღმდეგობების და განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გამო, ერთიანი სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელი გახდა. 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადა, რასაც იმავე დღეს მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, 28 მაისს კი აზერბაიჯანმა და სომხეთმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა.

ისტორიული თვალსაზრისით, ამიერკავკასიის სეიმი (და მასზე დაფუძნებული ამიერკავკასიის ფედერაცია) წარმოადგენდა გარდამავალ ნაბიჯს საქართველოს საბოლოო დამოუკიდებლობისაკენ.

სეიმის შექმნით (1918 წლის თებერვალი) ამიერკავკასიის პოლიტიკური ელიტა ოფიციალურად გაემიჯნა ბოლშევიკურ რუსეთს. სეიმი, რეგიონის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, იყო პირველი ინსტიტუტი, რომელმაც სამხრეთ კავკასია რუსეთის კონტროლიდან გამოიყვანა.

სეიმის მოწვევა, რომელიც რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული დეპუტატებით დაკომპლექტდა, ნიშნავდა, რომ სამხრეთ კავკასიამ პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ მართვა-გამგეობაზე, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პრეამბულაშიც არის ხაზგასმული.

მიუხედავად იმისა, რომ სეიმმა ამიერკავკასიის ფედერაცია შექმნა, ეს აქტი იყო რეგიონში სახელმწიფოებრიობის აღდგენის უმაღლესი ფორმა. ფედერაციული (რეალურად კონფედერაციული) კავშირი იყო ეროვნული დამოუკიდებლობისკენ გადადგმული ლოგიკური შუალედური ნაბიჯი.

ამიერკავკასიის სეიმი იყო ის ორგანო, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ოსმალეთთან (ტრაპიზონსა და ბათუმში). ამ მოლაპარაკებების წარუმატებლობამ და შიდა უთანხმოებამ გამოიწვია სეიმის დაშლა, რამაც, თავის მხრივ, გაათავისუფლა საქართველო ფედერაციული ვალდებულებებისგან და უპირობო დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა შექმნა.

ამიერკავკასიის სეიმი არ იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ ის იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი საკანონმდებლო ორგანო, რომლის დაშლამაც საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 26 მაისს სრული დამოუკიდებლობის გამოცხადების საშუალება მისცა.

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა

1918 წლის 9 (ძველი სტილით) / 22 (ახალი სტილით) აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა, რომლის სხდომებიც თბილისში მიმდინარეობდა, გამოაცხადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. სეიმს ამის თაობაზე არ მიუღია რაიმე მეტ-ნაკლებად ვრცელი დეკლარაცია, სადაც ჩამოყალიბებული იქნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზეზები და მიზნები. დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე მიღებული დადგენილება სულ ერთ წინადადებას წარმოადგენდა: „ამიერკავკასიის სეიმმა დაადგინა: ამიერკავკასია გამოაცხადოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად“ (Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, Типография Правительства Грузинской Республики, 1919, стр. 221) ასევე მთავრობას დაევალა, დაუყოვნებლივ წარმოედგინა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი.

ეს იყო რუსეთის იმპერიისგან გამოყოფის პირველი ფორმალური აქტი, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციის სახით მოიცავდა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის შესავალში ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თაობაზე მოკლედ იყო ნათქვამი: „დარჩნენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ.3).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მეორე დანართად წოდებული დოკუმენტის მე-4 ნაწილში ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებულ ერთწინადადებიან დადგენილებას „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აქტი“ ეწოდება, ხოლო მე-5 ნაწილში „22 აპრილის დეკლარაცია“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ.9).

რატომ შემოიფარგლა სეიმი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს მხოლოდ რამდენიმე სიტყვიანი დადგენილებით? შეიძლება დასახელდეს შემდეგი მიზეზები:

- ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო იძულებითი ნაბიჯი და არა ამიერკავკასიის ხალხების ეროვნული კონსენსუსის შედეგი;
- სეიმში შემავალ ეროვნულ ფრაქციებს (ქართველებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს) განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდათ: ქართველები გერმანიისკენ იხრებოდნენ, აზერბაიჯანელები ოსმალეთისკენ, ხოლო სომხები – რუსეთის ან

ანტანტის მოკავშირეების იმედით იყვნენ. ამ განსხვავებების გამო, მათ არ შეეძლოთ ერთიანი, მტკიცე და გრძელვადიანი „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ შეემუშავებინათ;

- 9 (22) აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობა იყო უფრო სიტუაციური დიპლომატიური ნაბიჯი ვიდრე ეროვნული სუვერენიტეტის გამოცხადების კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტი. ამიერკავკასიის იმდროინდელი მესვეურები დამოუკიდებლობის გამოცხადებით ცდილობდნენ საქმის ისე წარმოჩენას, რომ რეგიონი დამოუკიდებელია და საბჭოთა რუსეთის მიერ დადებული ბრესტის ზავის პირობები მას არ ეხებოდა.

ამიერკავკასიის სახელმწიფოს შექმნის მიზეზები ახსნილია 9 (22) აპრილის სეიმის სხდომაზე დავით ონიაშვილის (სოციალ-დემოკრატი) მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამიერკავკასიის მთავრობის მიერ გავრცელებულ ცირკულარში (Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, Типография Правительства Грузинской Республики, 1919, стр. 222-223), ასევე აკაკი ჩხენკელის (მთავრობის თავმჯდომარე) მოხსენებაში.

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის (ადფრ) დამოუკიდებლობის გამოცხადების მთავარი, ოფიციალური მიზეზები, რომელიც ამ მოხსენებებში და მთავრობის ცირკულარში ცხადდებოდა, შემდეგი იყო:

1. **რუსეთის სახელმწიფოს ნგრევა და ცენტრალური ხელისუფლების არარსებობა:** 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შემდეგ, რუსეთის სახელმწიფო დაიშალა და ამიერკავკასიაში კანონიერი ცენტრალური ხელისუფლება აღარ არსებობდა. ფედერაციამ თავის თავზე აიღო რეგიონის მართვა.
2. **ბრესტ-ლიტოვსკის ზავის უარყოფის მცდელობა:** ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოსმალეთთან დადებული ზავი ბრესტ-ლიტოვსკში (1918 წლის 3 მარტი) ითვალისწინებდა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების ოსმალეთისთვის გადაცემას. ამიერკავკასიის ხელისუფლება არ ცნობდა ამ ზავს და დამოუკიდებლობის გამოცხადებით ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ბრესტის ზავის პირობები მასზე არ ვრცელდებოდა.
3. **ოსმალეთის შემოტევა და გარე საფრთხე:** ოსმალეთის ჯარი აქტიურად აწარმოებდა საომარ მოქმედებებს და მოითხოვდა ტერიტორიების დათმობას. დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო ცდა, რომ ამიერკავკასიას ოსმალეთთან მოლაპარაკებები, როგორც სუვერენულ ერთეულს, გაეგრძელებინა.

ამიერკავკასიის ფედერაცია მხოლოდ ოსმალეთმა აღიარა. ოსმალეთისთვის სასარგებლო იყო ახალი რესპუბლიკის აღიარება, რადგანაც საშუალება ეძლეოდა მისთვის ბრესტის ზავით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე (ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქები) მეტის დათმობა მოეთხოვა.

ოსმალეთის მოკავშირე გერმანია აწარმოებდა მოლაპარაკებებს ამიერკავკასიის ფედერაციასთან, მაგრამ მის ინტერესებში უფრო მეტად შედიოდა საქართველოსთან ცალკე ურთიერთობის დამყარება (რაც მოხდა 26 მაისის შემდეგ).

ანტანტის ქვეყნები რუსეთის მოკავშირეები იყვნენ და 1918 წელს ჯერ კიდევ ელოდებოდნენ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთში. ამიტომ, ისინი თავს იკავებდნენ ამიერკავკასიის აღიარებისგან.

ამიერკავკასიის ფედერაციამ მხოლოდ 34 დღე იარსება – 1918 წლის 22 აპრილიდან 26 მაისამდე და შინაგანი წინააღმდეგობების გამო დაიშალა. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში ამის თაობაზეც არის მოკლედ აღნიშნული: „გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლი-

ანობაც დაიშალა“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ.3). საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მეორე დანართში უფრო დაწვრილებით არის ნათქვამი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის მიზეზების თაობაზე: „ოსმალეთის ჯარმა, წინააღმდეგ თვით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობისა, ბათომისა, ყარსისა და არდაღანის პროვინციები, რუსეთის სომხეთი და აზერბეიჯანი დაიპყრო. ამ მოვლენამ ამიერ-კავკასიის სეიმი იძულებულ ჰყო ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლა ერთხმად დაედგინა“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ.9).

ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა: განაცხადი და რეალობა

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა მოხსენიებულია როგორც „ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა“, რომელიც „გარეშე ძალთა ზეგავლენით“ დაირღვა.

„ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა“ ისტორიული და პოლიტიკური ფრაზაა, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა 1917-1918 წლებში და აღნიშნავდა სამხრეთ კავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ერთიან სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. ეს ფრაზა პირველ რიგში დაკავშირებულია ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკასთან (ამიერკავკასიის სეიმი), რომელიც არსებობდა 1918 წლის აპრილ-მაისში. სამივე ერის ლიდერები ცდილობდნენ ერთად გაძღოლოდნენ რეგიონს, განსაკუთრებით ოსმალეთის სამხედრო აგრესიის წინაშე. თვლიდნენ, რომ ერთად ყოფნა უფრო მეტად დაიცავდა მათ საგარეო საფრთხეებისაგან. ეს ფრაზა ხშირად გამოიყენება დაშლის კონტექსტში. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღნიშნულია, რომ „გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაიშალა“.

ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა ნიშნავდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხანმოკლე სახელმწიფოებრივ გაერთიანებას 1918 წელს, რომელიც მათ გარე საფრთხეებისაგან დაცვის მიზნით შექმნეს, მაგრამ შიდა წინააღმდეგობების გამო მალევე დაიშალა.

თუ ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკას ფედერაციად მივიჩნევთ, ის მართლაც პოლიტიკური მთლიანობა იქნებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო უფრო კონფედერაცია, რომელიც არ შეიძლება განვიხილოთ პოლიტიკურ მთლიანობად. კონფედერაცია შედგება რამდენიმე სუვერენული „პოლიტიკური მთლიანობისგან“ (ე. ი. წევრი სახელმწიფოებისგან). თავად კონფედერაცია არ წარმოადგენს ერთიან სუვერენულ სახელმწიფოს და, შესაბამისად, ის არ არის ერთი ტერიტორიული მთლიანობის ობიექტი საერთაშორისო სამართლის გაგებით. კონფედერაციაში თითოეული წევრი სახელმწიფო ფლობს პოლიტიკურ მთლიანობას, კონფედერაცია არის მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო.

ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას (1918 წლის აპრილ-მაისი) მართალია „ფედერაციული“ ერქვა, მაგრამ მკვლევართა უმეტესობის აზრით, ამ გაერთიანების პოლიტიკური და სამართლებრივი ბუნება უფრო მეტად კონფედერაციას ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ ფედერაციას. ამიერკავკასიის ფედერაციის დამფუძნებელ ერებს (ქართველები,

სომხები, აზერბაიჯანელები) შორის არსებობდა სერიოზული უთანხმოება, რაც განაპირობებდა ქმედითი ცენტრალური ხელისუფლების შექმნის შეუძლებლობას.

შეიძლება დავასახელოთ რიგი ფაქტორები, რომლებიც მკაფიოდ წარმოაჩენს ამიერკავკასიის ფედერაციის რეალურ კონფედერაციულ ბუნებას: ა/ რესპუბლიკა შეიქმნა ეროვნული საბჭოების მიერ, რომლებიც თავს გრძნობდნენ სუვერენულ ერთეულებად და არ სურდათ სუვერენიტეტის დათმობა მათ მიერვე შექმნილი ცენტრალური ხელისუფლებისთვის; ბ/ ამიერკავკასიის ფედერაციას არ ჰქონდა კონსტიტუცია, მასზე მუშაობა დაიწყეს, მაგრამ მიღება ვერ მოახერხეს, ჰქონდათ მხოლოდ დროებითი მმართველობის ჩარჩო; გ/ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი ერები არ იყვნენ ერთმანეთთან შეთანხმებული საზღვრებთან დაკავშირებით; დ/ გადაწყვეტილებების მისაღებად, განსაკუთრებით ოსმალეთთან მოლაპარაკებების და სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით ეროვნულ ფრაქციებს შორის ხშირად კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელი იყო; ე/ სამხედრო ძალაუფლება ეროვნული ჯგუფების ხელში იყო და არა ერთიანი არმიის ხელში, რაც ფედერაციის დროს არსებობს; ვ/ ამიერკავკასიის ფედერაციიდან გამოსვლა მარტივი იყო. კონფედერაციული კავშირის მთავარი მახასიათებელი სწორედ წევრებისთვის გამოყოფის (სეცესიის) უფლების შენარჩუნებაა. 1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველომ ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ცხადი გახდა, რომ არ არსებობდა ფედერაციული კონსტიტუციური მექანიზმი, რომელიც კავშირს შეინარჩუნებდა და წევრებს მარტივად შეეძლოთ კავშირიდან გასვლა. მაშასადამე, ამიერკავკასია ფორმალურად ფედერაციულ რესპუბლიკად იყო გამოცხადებული, ფაქტობრივად კი კონფედერაციული ტიპის დროებით პოლიტიკურ კავშირს წარმოადგენდა, რომელიც საგარეო საფრთხის (ოსმალეთის შემოტევის) გამო შეიქმნა.

რატომ ამჯობინეს ამიერკავკასიის ლიდერებმა ფედერაციის სახელწოდება, თუკი მათი კავშირი კონფედერაციას უფრო ჰგავდა? შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე მიზეზი: ა/ საერთაშორისო – ფედერაცია გარე დამკვირვებლებისთვის (ოსმალეთი, გერმანია, ბოლშევიკური რუსეთი) კონფედერაციასთან შედარებით უფრო ძლიერი და მტკიცე სახელმწიფოებრივი გაერთიანების შთაბეჭდილებას ქმნიდა; ბ/ ამიერკავკასიის ლიდერების სურვილი მიეღწიათ საერთო თავდაცვის ორგანიზებისთვის, რასაც ფედერაციის სახელწოდება უფრო შეეფერებოდა, მაგრამ ამის მიღწევა ვერ შეძლეს; გ/ რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ რეგიონის ლიდერები, განსაკუთრებით ქართველი სოციალ-დემოკრატები, დიდი ხნის განმავლობაში ემხრობოდნენ კავკასიის ფედერაციული მოწყობის იდეას, რაც ესახებოდათ ეროვნული ავტონომიის და რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებად; დ/ ტერმინი „ფედერაცია“ ასახავდა რეგიონის მაშინდელი ლიდერების გრძელვადიან პოლიტიკურ მიზანს, თუმცა რეალობა კონფედერაციული იყო; ე/ სახელწოდება „ფედერაციული რესპუბლიკა“ იყო თავისებური კომპრომისი სამხრეთ კავკასიის სამ ერს შორის, რომლებსაც ერთი მხრივ არ სურდათ უარი ეთქვათ სუვერენიტეტზე, მეორე მხრივ კი ესმოდათ კავშირის აუცილებლობა.

სახელწოდება „ფედერაციული“ მიმართული იყო გარე სამყაროზე, რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში უნდა შეექმნა ერთიანობისა და სიძლიერის სურათი, მაშინ როდესაც შიდა ურთიერთობები ამიერკავკასიის ხალხებს შორის უფრო დროებითი ხელშეკრულების (კონფედერაციის) პრინციპებით იყო განსაზღვრული.

ამიერკავკასიის სახელმწიფო რომ კონფედერაციას წარმოადგენდა ამის თაობაზე პირდაპირ არის ნათქვამი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ვრცელ ისტორიულ დანართში: „ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტის ფორმალური გამოცხადების დროს (22 აპ-

რილს 1918 წელს) ნაგულისხმევი იყო არსებობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, რომელიც ამიერკავკასიის დანარჩენ ხალხებთან კონფედერატიულ კავშირში შედიოდა. ამ კავშირის უმთავრეს დებულებებს უკვე იმუშავებდნენ“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ.9).

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის მიზეზი: საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შეფასება

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის მიზეზის თაობაზე ნათქვამია: „გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). თბილისი, 1990, გვ.3). დამოუკიდებლობის აქტის ვრცელ ისტორიულ შესავალში, რომელიც დამოუკიდებლობის აქტის დანართის სახით არის გამოქვეყნებული, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის მიზეზების თაობაზე უფრო დაწვრილებით არის ნათქვამი: „ოსმალეთის ჯარმა, წინააღმდეგ თვით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობისა, ბათომისა, ყარსისა და არდაღანის პროვინციები, რუსეთის სომხეთი და აზერბაიჯანი დაიპყრო. ამ მოვლენამ ამიერ-კავკასიის სეიმი იძულებელ ჰყო ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლა ერთხმად დაედგინა (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). თბილისი, 1990, გვ.9).

როგორც ვხედავთ, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შეფასებით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება განაპირობა ოსმალეთის ჯარების შემოტევამ და საქართველოს გარდა ფედერაციაში შემავალი ორი სუბიექტის – სომხეთისა და აზერბაიჯანის ფაქტობრივმა ოკუპაციამ. ფედერაცია რეალურად აღარ არსებობდა და საქართველო მარტო იყო დარჩენილი.

აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტში, რომელიც ორი დღის შემდეგ 1918 წლის 28 მაისს მიიღეს, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის მიზეზად საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება არის მიჩნეული: „პოლიტიკური მოვლენების შემდგომი განვითარების შედეგად ქართველმა ხალხმა სასიკეთოდ ჩათვალა გამოსულიყო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობიდან და შეექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. ამის შემდეგ აზერბაიჯანმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

სომხეთის დამოუკიდებლობის აქტში არაფერია ნათქვამი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის მიზეზებზე, უბრალოდ, დაფიქსირებულია შექმნილი ვითარება, რის გამოც სომხეთი აცხადებდა დამოუკიდებლობას: „ამიერკავკასიის სრული პოლიტიკური რღვევის და საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადებით შექმნილი ახალი ვითარების გათვალისწინებით“.

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა გამოიწვია შიდა წინააღმდეგობებმა (ძირითადად ტერიტორიულმა დავამ) და სამი ერის განსხვავებულმა საგარეო ორიენტაციამ. საქართველო ცდილობდა გერმანიაზე დაყრდნობას, აზერბაიჯანი – ოსმალეთზე, ხოლო სომხეთი – ანტანტის ქვეყნებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის შემქმნელებისთვის კარგად იყო ცნობილი აშშ-ის 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და შეიძლება, გარკვეულწილად, შთაგონების წყაროც იყო. თუ შევადარებთ ამ ორ ისტორიულ დოკუმენტს, მათ შორის დავინახავთ ფუნდამენტურ მსგავსებას, რაც მთავარ იურიდიულ მიზანს უკავშირდება და არსებით განსხვავებებსაც, რაც ისტორიული კონტექსტით და დროითი სხვაობით არის განპირობებული.

აშშ-ის ელჩები უკვე თანამედროვე საქართველოში ხშირად მიმართავენ ამ შედარებას, რათა ხაზი გაუსვან ორ ქვეყანას შორის გაზიარებულ ფუნდამენტურ ღირებულებებსა და თავისუფლების სიყვარულს. ამის თაობაზე საუბრობენ თავიანთ განცხადებებში 26 მაისს (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) და 4 ივლისს (აშშ-ის დამოუკიდებლობის დღე).

აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776 წელი) და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (1918 წელი) ეფუძნება საერთო უნივერსალურ ღირებულებებსა და პრინციპებს, როგორიცაა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თანასწორობა, პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფა. ორივე დოკუმენტი წარმოადგენს იმ დემოკრატიული იდეალების ქვაკუთხედს, რომლებისთვისაც ამერიკელ და ქართველ ხალხებს უბრძოლიათ და რის საფუძველზეც აშენებენ თავიანთ სახელმწიფოებს.

აშშ-ის 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციის და საქართველოს
1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მსგავსება

მსგავსება	აშშ-ის 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია	საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი
სუვერენიტეტის გამოცხადება: ორივე დოკუმენტის მთავარი და უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა იმპერიისგან გამოყოფა და ახალი, სუვერენული სახელმწიფოს შექმნა საერთაშორისო ასპარეზზე.	აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია აცხადებს 13 კოლონიის გათავისუფლებას დიდი ბრიტანეთისგან.	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი აცხადებს რუსეთის იმპერიისგან (და ამიერკავკასიის ფედერაციისგან) გამოყოფას.
სახელმწიფოებრივი ფორმის განსაზღვრა: ორივე დოკუმენტი ცალსახად აცხადებს, რომ ახალი სახელმწიფო იქნება **რესპუბლიკური** და არა მონარქიული მმართველობის ფორმის მქონე. ეს იყო თანამედროვე, დემოკრატიული იდეების მიღების დასტური.	აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ნათქვამია: „მთავრობები დაწესებულია ადამიანთა შორის, რომლებიც თავიანთ სამართლიან ძალაუფლებას მართულთა თანხმობისაგან იღებენ; როდესაც რაიმე ფორმის მმართველობა ხდება ამ მიზნებისათვის დამღუპველი, ხალხს	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-2 მუხლი აცხადებს: დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა.

	აქვს უფლება შეცვალოს ან გააუქმოს ის, და დააწესოს ახალი მთავრობა, რომლის ძალაუფლება ორგანიზებული იქნება ისეთი ფორმით, რომელიც მათ ყველაზე მეტად მიაჩნიათ, რომ უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას და ბედნიერებას.	
ფუნდამენტური უფლებების დეკლარირება: ორივე დოკუმენტი ეფუძნება **ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებს** და აცხადებს მოქალაქეთა უფლებების დაცვას.	აშშ-ის დეკლარაციაში ეს გამოიხატება ცნობილ ფრაზაში: „ადამიანები შექმნილი არიან როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა **სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა**“.	საქართველოს აქტში ეს გამოიხატება მე-5 მუხლით, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს **განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა**.

აშშ-ის 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციის და საქართველოს
1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის სხვაობა

კრიტერიუმი	აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776)	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (1918)
დროითი კონტექსტი	XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედი. ემყარება განმანათლებლობის იდეებს.	XX საუკუნის დასაწყისი. მიიღეს მსოფლიო ომის, რევოლუციებისა და რუსეთის იმპერიის დაშლის ფონზე.
სამართლებრივი სტატუსი	არის დეკლარაცია. აცხადებს სამომავლო ხედვას და იდეოლოგიურ საფუძველს. ჩამოთვლილია ინგლისის მეფის (გეორგ III-ის) უსამართლო ქმედებები.	არის აქტი, რომელიც აცხადებს დაუყოვნებლივ და სრულ სუვერენიტეტს და განსაზღვრავს ჩამოთვლილი 7 მუხლით ახალი რესპუბლიკის ძირითად საფუძვლებს.
ისტორიული ლეგიტიმაცია	აცხადებს ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას კოლონიების მიერ.	ეფუძნება 117 წლის წინ გაუქმებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრინციპს.
სოციალური პროგრესი	იმ დროისათვის პროგრესული იყო, მაგრამ არ მოიცავდა მონების და ქალების უფლებებს. ქალებს სრული საარ-	მოწინავე სოციალური დებულებები (მუხლი 5), კერძოდ ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭება.

	ჩევნო უფლება აშშ-ში მხოლოდ 1920 წ. მიენიჭათ.	
ნეიტრალიტეტი	არ შეიცავს ნეიტრალიტეტის პირდაპირ დეკლარაციას.	ცალსახად აცხადებს მუდმივ ნეიტრალიტეტს (მუხლი 3).

საბოლოო ჯამში, აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციაც და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიც წარმოადგენს ერის ნებას, გათავისუფლდეს იმპერიული ბატონობისგან და დააფუძნოს ახალი სახელმწიფო დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების საფუძველზე. საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც მიღებულია აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებიდან 142 წლის შემდეგ, ასახავს განმანათლებლობის იდეების შემდგომ ევოლუციას, განსაკუთრებით სოციალური და გენდერული თანასწორობის კუთხით, რაც მას თავისი დროისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ დოკუმენტად აქცევს.

ახალი ქართული ეროვნული იდენტობა და საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი

ახალი ქართული იდენტობის ფორმირების ეტაპები

ახალი ქართული ეროვნული იდენტობა, რომელიც 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში გამოიხატა, ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებში დაიწყო და რუსეთის იმპერიის მმართველობის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში განსახიერდა.

ამ პროცესში რამდენიმე ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოიყოს: 1. კულტურული ნაციონალიზმის პერიოდი (XIX ს. შუა ხანები – XX ს. დასაწყისი), 2. პოლიტიკური და სოციალური ნაციონალიზმის პერიოდი (XX ს. დასაწყისი), 3. სამოქალაქო და დემოკრატიული იდენტობის ინტეგრაციის დასაწყისი (1917 წ. თებერვლის რევოლუციიდან – 1918 წ. 26 მაისამდე).

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სამეფო-სამთავროები (1801–1864 წწ.), ჩაახშო აჯანყებები (1802, 1804, 1812, 1819-1820) და წარუმატებელი აღმოჩნდა 1832 წლის შეთქმულება, ქართულმა ელიტამ ბრძოლის აქცენტი პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნიდან კულტურული და ეთნიკური თვითმყოფადობის გადარჩენაზე გადაიტანა.

კულტურული ნაციონალიზმის პერიოდი. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ახალი ინტელიგენცია („თერგდალეულები“), ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, სათავეში ჩაუდგა ეროვნული აღორძინების მოძრაობას. მათი მთავარი მიზანი იყო ერის გადარჩენა რუსიფიკაციისგან. იდენტობის ძირითადი მახასიათებლები გახდა: ა/ ქართული ენა (სამწერლო ენის სტანდარტიზაცია); ბ/ კულტურა და ისტორია (წარსულის ცოდნის აღდგენა), გ/ მართლმადიდებლობა (თუმცა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებული იყო).

ამ იდეების დასაცავად და გასავრცელებლად შეიქმნა მნიშვნელოვანი ეროვნული ინსტიტუტები: ა/ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ბ/ ქართული თეატრი, გ/ ქართული სათავადაზნაურო ბანკი.

ამ ფაზის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო ეროვნულ თვითშეგნებაში იმ იდეის ჩამოყალიბება, რომ ქართველი ერი უწყვეტი ისტორიული და კულტურული ერთეულია, რომელსაც აქვს სახელმწიფოებრიობის აღდგენის უფლება.

პოლიტიკური და სოციალური ნაციონალიზმის პერიოდი. XX საუკუნის დასაწყისში ხდება ეროვნული მოძრაობის კულტურული მიზნებიდან პოლიტიკურ მიზნებზე გადასვლა, რასაც ხელი შეუწყო რუსეთის იმპერიაში მომხდარმა რევოლუციებმა (1905, 1917). საქართველოში ჩამოყალიბდა პოლიტიკური პარტიები (სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები), რომელთა შორის წამყვანი ძალა სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკები) გახდა. ქართული პოლიტიკური პარტიები თავდაპირველად რუსეთის ფარგლებში ავტონომიას ითხოვდნენ, მაგრამ 1917 წლის შემდეგ პოზიცია შეცვალეს და დამოუკიდებლობის იდეა გაატარეს.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მარტში აღდგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. ეს იყო მნიშვნელოვანი სიმბოლური ნაბიჯი ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის გზაზე.

1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს) ქართული უნივერსიტეტის დაარსება იქცა ეროვნული თვითმყოფადობის, განათლებისა და მეცნიერების დაცვის სიმბოლოდ, რომელიც ეროვნული ინტელიგენციის იდეების რეალიზაციას ემსახურებოდა.

რუსეთის რევოლუციის შემდეგ, ქართული პოლიტიკური ელიტა (წამყვანი როლი ქართველ სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ) შეეცადა, ეთნიკურ ქართულ იდენტობასთან ერთად, ახალი, სამოქალაქო და დემოკრატიული იდენტობის ჩამოყალიბებას, რაც 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში გამოიხატა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სავიზიტო ბარათი გახდა.

დამოუკიდებლობის აქტი როგორც ახალი ქართული ეროვნული იდენტობის გამოხატულება

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ახალი ქართული ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი და გარდამტეხი გამოხატულებაა. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტმა ქართული იდენტობა განამტკიცა პოლიტიკური, იურიდიული და სიმბოლური სტატუსის მკაფიო განსაზღვრით. დამოუკიდებლობის აქტი და მის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი მოწყობა, საქართველოს ეროვნულ თვითშეგნებაში ახალ იდეებს აყალიბებდა:

დამოუკიდებლობის აქტმა ქართველი ერი რუსეთის იმპერიის ყოფილი ნაწილიდან სრულუფლებიან, სუვერენულ სახელმწიფოდ გადააქცია. აქტის პირველივე მუხლი აცხადებდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. ეს იყო ქართული იდენტობის მთავარი პოლიტიკური განაცხადი – ქართველები ამიერიდან თავად განკარგავდნენ საკუთარ ბედს. დამოუკიდებლობის აქტი იყო იურიდიული და სახელმწიფოებრივი ლეგიტიმურობის გამოცხადება.

ამავე დროს დამოუკიდებლობის აქტი აღნიშნავდა ისტორიულ უწყვეტობას – აქტი იწყებოდა მითითებით, რომ „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“. ამით ხაზი ესმებოდა რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული ისტორიული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. დამოუკიდებლობის აქტის შესავალი ნაწილი განამტკიცებდა აზრს, რომ დამოუკიდებლობა არ იყო ახალი და შემოხვევითი მოვლენა, არამედ ეს იყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენა რუსეთის 1801 წლის ანექსიის შემდეგ.

ამავე დროს დამოუკიდებლობის აქტმა ქართული იდენტობა მტკიცედ დაუკავშირა ევროპულ ღირებულებებს. ამით ის გაემიჯნა როგორც ძველ რუსულ ავტოკრატიას, ასევე ბოლშევიკურ ტოტალიტარიზმს.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მე-2 მუხლით, საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პოლიტიკურ ფორმად განისაზღვრა დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს ნიშნავდა, რომ ქართული ეროვნული იდენტობა ეფუძნებოდა ევროპულ ღირებულებებს – თავისუფლების, არჩევნებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო დამოუკიდებლობის აქტის მე-5 და მე-6 მუხლები: მე-5 მუხლი თანასწორად უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. ამ პრინციპით ქართული იდენტობა გაფართოვდა და მოიცვა საქართველოს ყველა მოქალაქე, რაც ნიშნავდა ეთნიკური ნაციონალიზმიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლას.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი განვითარების თავისუფალ ასპარეზს უხსნიდა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ეროვნულ უმცირესობას. ეს პრინციპები მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ეთნიკურ ქართველებზე დაფუძნებული, არამედ მრავალეთნიკური, სამოქალაქო პრინციპებზე აგებული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას. დამოუკიდებლობის აქტი ღიად აცხადებდა, რომ ახალი სახელმწიფო უზრუნველყოფდა ყველას უფლებებს. ეს იყო პასუხი რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკაზე და წარმოადგენდა იმის აღიარებას, რომ ქართული სახელმწიფო ყველა მოქალაქის საკუთრებაა.

დამოუკიდებლობის აქტმა მკაფიოდ გამოკვეთა საქართველოს საგარეო ვექტორი: დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევა და დეკლარირებული პრინციპები მკაფიო ნაბიჯი იყო ევროპული კულტურული და პოლიტიკური სივრცისკენ, რაც ეწინააღმდეგებოდა რუსიფიკაციის მცდელობებს და XIX საუკუნის „თერგდალეულების“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს აგრძელებდა.

დამოუკიდებლობის აქტი – ახალი ქართული სახელმწიფოს დასაწყისი

1918 წლის 26 მაისის აქტში აისახა უწყვეტი ისტორიული მემკვიდრეობა, ეთნო-კულტურული თვითმყოფადობა და ევროპული დემოკრატიული პრინციპები, რითაც ქართველი ერი არა მხოლოდ ეთნიკურ, არამედ სამოქალაქო და დემოკრატიულ გაერთიანებად გამოაცხადა. აქტი გახდა ეროვნული ერთობისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უმთავრესი სიმბოლო.

დამოუკიდებლობის გამოცხადება ასახავდა იმ ეროვნულ კონსენსუსს, რომელშიც გაერთიანდა სხვადასხვა პოლიტიკური ძალა და სოციალური ფენა. დამოუკიდებლობის აქტმა შეკრა ქართული საზოგადოება ერთი საერთო იდეის – დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარშემო.

აღსანიშნავია ისიც, რომ მმართველმა პარტიამ (სოციალ-დემოკრატებმა) შემოიტანა თანასწორობის, სოციალური სამართლიანობის, ქალთა საარჩევნო უფლებების და დემოკრატიული რესპუბლიკის იდეები. ეს იყო ევროპული სოციალიზმის გავლენის შედეგი.

შეიძლება ითქვას, რომ 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ეროვნული იდენტობის ახალ, დემოკრატიულ და სამოქალაქო მოდელს, რომელიც ეფუძნებოდა როგორც ისტორიულ ფესვებს, ასევე თანამედროვე ევროპულ ღირებულებებს.

დამოუკიდებლობის აქტმა განსაზღვრა საქართველოს ახლადშექმნილი სახელმწიფოს ინსტიტუციური საფუძვლებიც, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს გაუძღვებოდა ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა (მე-7 მუხლი). ამით ახალმა ქართულმა იდენტობამ მიიღო კონკრეტული სახელმწიფო ინსტიტუტები, რაც მანამდე რუსეთის იმპერიის ფარგლებში არ არსებობდა.

ამრიგად, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტმა ქართული იდენტობა არა მხოლოდ აღადგინა, არამედ მოდერნიზებული, დემოკრატიული და სამოქალაქო პრინციპებით განამტკიცა, რაც შემდგომი თითქმის სამი წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის საფუძველი გახდა.

საბჭოთა ოკუპაცია და ქართული იდენტობა

საბჭოთა ოკუპაციამ (1921–1991) ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირებაზე ორმაგი და ურთიერთსაწინააღმდეგო ზემოქმედება მოახდინა: ერთი მხრივ, საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა ქართული იდენტობის ჩახშობას და ტრანსფორმირებას; მეორე მხრივ, მისმა რეპრესიულმა პოლიტიკამ გამოიწვია ეროვნული თვითშეგნების გამყარება და რადიკალიზაცია.

საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა დემოკრატიული, დამოუკიდებელი ქართული იდენტობის სრულად განადგურებას და მის შეცვლას საბჭოთა იდენტობით. ეს რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა. აქტიურად მიმდინარეობდა 1918-1921 წლების ისტორიის გაყალბება: ოკუპაციის შემდეგ, 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და პირველი რესპუბლიკა გამოცხადდა „მენშევიკურ დიქტატურად“ და „ხალხის მტრების“ მოქმედების შედეგად. დამოუკიდებლობის დღესასწაული – 26 მაისი შეიცვალა 25 თებერვლით (თბილისის გასაბჭოების დღე), ვითომდა „ჭეშმარიტი გათავისუფლების“ დღით. ამით ცდილობდნენ ეროვნული მეხსიერების წაშლას.

ტარდებოდა რეპრესიები ეროვნული ძალების წინააღმდეგ: ფიზიკურად გაანადგურეს ან გადაასახლეს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პოლიტიკური ლიდერები, სასულიერო პირები, ოფიცრები და ინტელიგენცია. აქტიურად ცდილობდნენ რელიგიის ჩახშობას: მართლმადიდებლური ეკლესია (რომლის ავტოკეფალია 1917 წელს აღდგა) გახდა დევნის ობიექტი, რაც იდენტობაში ასუსტებდა რელიგიურ ფაქტორს.

საბჭოთა პერიოდში მიმდინარეობდა სამოქალაქო იდენტობის დამახინჯება: 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის დემოკრატიული იდეები (პლურალიზმი, ადამიანის უფლებები) შეიცვალა კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურის და ე. წ. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიით.

საბჭოთა რეჟიმის 70-წლიანი პოლიტიკის მიუხედავად, ქართული იდენტობა გადარჩა და ზოგიერთ ასპექტში გაძლიერდა კიდეც. მიუხედავად ყველაფრისა, შენარჩუნდა ეთნოკულტურული იდენტობა: იმის გამო, რომ სამოქალაქო-პოლიტიკური ნაციონალიზმის განვითარება შეუძლებელი იყო, ქართული იდენტობა ძირითადად ეთნო-კულტურულ ფაქტორებს დაეყრდნო: ა/ ეს იყო ქართული ენა, რომელიც დარჩა განმსაზღვრელ ფაქტორად და მისი სახელმწიფო სტატუსისთვის ბრძოლა (განსაკუთრებით 1978 წელს) გახდა ეროვნული წინააღმდეგობის სიმბოლო. ბ/ კულტურული მემკვიდრეობა და ისტორია: საბჭოთა პერიოდში ქართული ლიტერატურა, კინო, ხელოვნება და ფოლკლორი (ხშირად ცენზურის გვერდის ავლით) იქცა ეროვნული სულისკვეთების და დამოუკიდებლობის იდეის დაცვის საშუალებად.

70-წლიანმა ოკუპაციამ და რეპრესიებმა რუსეთი (მთელი საბჭოთა სისტემით) ქართულ ცნობიერებაში ჩამოაყალიბა, როგორც ისტორიული აგრესორი და ოკუპანტი. ამან კიდევ უფრო განამტკიცა ქართულ იდენტობაში დასავლური არჩევნის მნიშვნელობა, როგორც რუსული გავლენისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა.

საბოლოოდ, საბჭოთა ოკუპაციის ეპოქაში ქართულმა იდენტობამ შეინარჩუნა თავისი ეთნო-კულტურული ბირთვი და საბჭოთა რეჟიმისგან თავისუფალი სახელმწიფოებრიობის აღდგენის მიზანი. 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენისას, ახალმა ეროვნულმა მოძრა-

ობამ სწორედ 1918 წლის 26 მაისის აქტი და პირველი რესპუბლიკის დემოკრატიული იდეალები გამოაცხადა თავის მემკვიდრეობად, რაც საბჭოთა ეპოქის იდენტობიდან გათავისუფლებას ნიშნავდა.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს და 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული იდენტობისთვის. უმნიშვნელოვანესი იყო იმის ხაზგასმა, რომ საქართველო არ ქმნიდა ახალ სახელმწიფოს, არამედ აღადგენდა 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

რეფერენდუმის კითხვა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი პირდაპირ ეფუძნებოდა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს. ამით ქართულმა იდენტობამ ოფიციალურად გაწყვიტა კავშირი 70-წლიან საბჭოთა პერიოდთან და ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა მმართველობა უკანონო ოკუპაციას წარმოადგენდა. ეს იყო ეროვნული მეხსიერების მთავარი გამარჯვება.

დამოუკიდებლობის აღდგენა რეფერენდუმის (საყოველთაო ნების გამოხატვის) საფუძველზე და არა მხოლოდ პოლიტიკური აქტით, უზრუნველყოფდა ახლად აღდგენილი სახელმწიფოებრიობის მაღალ ლეგიტიმაციას საერთაშორისო არენაზე.

რეფერენდუმმა ქართულ იდენტობას კოლექტიური თვით-დადასტურების განცდა შესძინა. რეფერენდუმმა დააფიქსირა ერთსულოვანი ნება: მასში ამომრჩეველთა 90%-ზე მეტმა მიიღო მონაწილეობა, აქედან 98.9%-მა დამოუკიდებლობის აღდგენას დაუჭირა მხარი. ეს ციფრები ქმნიდა ეროვნული იდენტობის საფუძველს, რომელიც ეფუძნებოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საყოველთაო და ერთობლივ სურვილს. ეს იყო საბოლოო პასუხი საბჭოთა პროპაგანდაზე, რომელიც ქართველებს საბჭოთა კავშირის ნაწილად მოიაზრებდა.

რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მთელმა მოსახლეობამ, მათ შორის ეთნიკურმა უმცირესობებმა (თუმცა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ზოგიერთ ნაწილში მონაწილეობა იყო პრობლემური). ამან განამტკიცა სამოქალაქო ქართული იდენტობა – დამოუკიდებლობის იდეა აერთიანებდა საქართველოს ყველა მოქალაქეს ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებამ 9 აპრილს ქართულ იდენტობას მსხვერპლის, თავგანწირვისა და გამარჯვების სიმბოლური განზომილება შესძინა. ხდებოდა ეროვნული მეხსიერების განმტკიცება: აქტი მიიღეს ზუსტად 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან ორ წელიწადში. ამან ტრაგედიის დროს დაღუპულები ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გმირებად აქცია, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი გახდა დაღუპულთა ნების აღსრულება. 9 აპრილის თარიღმა ქართულ იდენტობაში დაასრულა საბჭოთა რეჟიმთან ანგარიშსწორება. ეს იყო საჯარო დეკლარაცია იმისა, რომ სისხლიანმა რეპრესიებმა (1989 წლის 9 აპრილს) ვერ მოკლა ქართული ეროვნული სული. ამ ორი მოვლენის შედეგად, ქართული იდენტობა, რომელიც 70 წლის განმავლობაში შეზღუდული იყო კულტურული და ეთნიკური ფაქტორებით, საბოლოოდ აღდგა, როგორც პოლიტიკური და სუვერენული სახელმწიფოებრივი იდენტობა, რითაც საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელი, ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას.

ბ
ბელარუსის მესამე წესდება და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ბელარუსის დამოუკიდებლობის აქტი

1918 წლის 25 მარტს მინსკში, გერმანიის ოკუპაციის პირობებში, ბელარუსის სახალხო რესპუბლიკის რადამ (საბჭომ) დამოუკიდებლობა გამოაცხადა მესამე წესდების საფუძველზე. წესდებაში ნათქვამი იყო, რომ ბელარუსი თავისუფლდებოდა იმ უღლის უკანასკნელი ნარჩენებისგან, რაც რუსეთის მეფეებმა ძალადობით დააკისრეს მათ თავისუფალ და დამოუკიდებელ მიწას. „ამიერიდან ბელარუსის სახალხო რესპუბლიკა გამოცხადებულია დამოუკიდებელ და თავისუფალ სახელმწიფოდ“, – ნათქვამია წესდებაში.

წესდება უარყოფდა რუსეთსა და გერმანიას შორის დადებულ ბრესტ-ლიტოვსკის ზავს იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა ბელარუსის ტერიტორიებს, რადგან თვლიდა, რომ გარიგება დადებული იყო ბელარუსი ხალხის თანხმობის გარეშე. ბელარუსის ტერიტორიად ცხადდებოდა ყველა ის ტერიტორია, სადაც ბელარუსი ხალხი შეადგენდა რიცხობრივ უმრავლესობას.

რადა ადასტურებდა ყველა იმ უფლებასა და თავისუფლებას, რაც გამოცხადებული იყო მეორე წესდებით (1918 წ. 9 მარტი), მათ შორის სიტყვის, პრესის, შეკრების თავისუფლებას, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რვა საათიან სამუშაო დღეს და მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას.

რადა აცხადებდა, რომ ძალაუფლება დროებით რჩებოდა მის ხელში, სანამ არ შეიკრიბებოდა ბელარუსის დამფუძნებელი კრება, რომელსაც დემოკრატიული და საყოველთაო კენჭისყრით აირჩევდნენ.

ბელარუსისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტების მსგავსება

ბელარუსის სახალხო რესპუბლიკის მესამე წესდება (1918 წ. 25 მარტი) და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (1918 წ. 26 მაისი) გამოხატავდა რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ორი ხალხის სურვილს ეროვნული თვითგამორკვევის საფუძველზე შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ეს ორი აქტი ბევრ რამეში ჰგავდა ერთმანეთს.

მახასიათებელი	აღწერა
იდეოლოგიური საფუძველი	ორივე დოკუმენტი მმართველობის ფორმად აცხადებდა დემოკრატიულ რესპუბლიკას.
სუვერენიტეტი	ორივე დოკუმენტი აცხადებდა ერის სუვერენიტეტს, ხაზს უსვამდა, რომ სუვერენული ძალაუფლების ერთადერთი წყარო ხალხია.
ძირითადი უფლებები	ორივე დოკუმენტი ითვალისწინებდა მოქალაქეთა ფართო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.
ეროვნული უმცირესობები	ორივე რესპუბლიკა აცხადებდა მზადყოფნას, უზრუნველეყო ეროვნული უმცირესობების თანაბარი უფლებები და მათთვის განვითარების თავისუფალი ასპარეზი.

მიზანი	ორივე დოკუმენტი საბოლოო მიზნად დამფუძნებელი კრების მოწვევას აცხადებდა, რომელიც კონსტიტუციას მიიღებდა და საბოლოოდ დააკანონებდა ახალ სახელმწიფო მოწყობას.
სოციალ-დემოკრატიული გავლენა	ორივე ქვეყანაში მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, რაც აისახა დამოუკიდებლობის აქტების სოციალურ ასპექტებში (განსაკუთრებით ბელარუსის წესდებაში, სადაც საუბარია 8-საათიან სამუშაო დღეზე და მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებაზე).

ბელარუსისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტების განსხვავება

მახასიათებელი	ბელარუსის მესამე წესდება (1918 წ. 25 მარტი)	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (1918 წ. 26 მაისი)
მიღების პირობები	მიღებული იქნა გერმანიის მიერ ოკუპაციის და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით რუსეთის მიერ ბელარუსის დიდი ნაწილის დათმობის პირობებში. მთავრობა (რადა) ნაკლებად კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა.	მიღებული იქნა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის და ოსმალეთის საფრთხის ფონზე, თუმცა შედარებით ხელსაყრელ პირობებში, გერმანიის მხარდაჭერით. საქართველოს მთავრობა აკონტროლებდა ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს.
სახელწოდება და ფორმა	ეწოდებოდა „მესამე წესდება“, რაც მიუთითებდა მის ეტაპობრივ ხასიათზე. მას წინ უსწრებდა პირველი და მეორე წესდება.	ეწოდებოდა „დამოუკიდებლობის აქტი“ და იყო შედარებით მოკლე, კონსტიტუციურ-დეკლარაციული დოკუმენტი.
საერთაშორისო სტატუსი	უარყოფდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს ბელარუსთან მიმართებაში და მზადყოფნას გამოთქვამდა მოლაპარაკებოდა გერმანიას და სხვა მეომარ მხარეებს.	საქართველოს მუდმივ ნეიტრალურ სახელმწიფოდ აცხადებდა საერთაშორისო ომიანობის დროს.
ისტორიული ლეგიტიმაცია	აქცენტს აკეთებდა ეროვნულ თვითგამორკვევაზე და რუსეთის მეფეების მიერ დაწესებული დამოკიდებულების გაუქმებაზე, თუმცა ბელარუსის ისტორიული სახელმწიფოებრიობის ხაზი არ იყო ისეთივე მკაფიო, როგორც ქართულ აქტში.	მკაფიოდ უსვამდა ხაზს მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრიობას, რომელიც რუსეთს ხელშეკრულებით შეუერთდა და შემდეგ ანექსირებული იქნა. დამოუკიდებლობის აქტი აღადგენდა ლეგიტიმურ ძალაუფლებას.
სოციალური მხარე	უფრო დეტალურად მოიცავდა სოციალურ და ეკონომიკურ პრინციპებს (მიწის ნაციონალიზაციის, 8-საათიანი სამუშაო დღის), რაც მის ძლიერ სოციალისტურ ორიენტაციას წარმოაჩენდა.	ფოკუსირებული იყო ძირითადად სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ პრინციპებზე.

ორივე აქტი იყო ანტი-იმპერიული, დემოკრატიული და სოციალურად ორიენტირებული დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას. თუმცა, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი უფრო მეტად ემყარებოდა ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ლეგიტიმაციას და გამოცხადდა ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ბელარუსის წესდება კი მიღებული იქნა გარე ოკუპაციის პირობებში და უარყოფდა ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებას ბელარუსთან მიმართებაში.

ბოლშევიკები და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ბოლშევიკები 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და ზოგადად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას უაღრესად კრიტიკულად აფასებდნენ. ისინი აქცენტს აკეთებდნენ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ლეგიტიმურობაზე, არამედ მათი აზრით მის „კლასობრივ არსზე“. ქართული ბოლშევიკური პრესა და პარტიული დოკუმენტები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მიიჩნევდნენ გერმანიის იმპერიალიზმის (გერმანიის დამარცხების შემდეგ ანტანტის იმპერიალიზმის) დავალებად და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას აცხადებდნენ „იმპერიალისტების მარიონეტად“.

ბოლშევიკები წერდნენ, რომ ქართველი მენშევიკები „ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნით“ დადგნენ ადგილობრივი მჩაგვრელი კლასების მხარეზე და უღალატეს პროლეტარიატის ინტერესებს. ბოლშევიკებისთვის დამოუკიდებელი საქართველო იყო „ხელოვნური წარმონაქმნი“, შექმნილი იმისათვის, რომ ქართველი მუშები ჩამოეშორებინათ რუსეთის პროლეტარიატისგან და ხელი შეეშალათ მათი გაერთიანებისათვის „მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისთვის“ ბრძოლაში.

ქართველი ბოლშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს არ აღიქვამდნენ ეროვნული ნების გამოხატულებად, დამოუკიდებელი საქართველო აუცილებლად უნდა განადგურებულიყო „პროლეტარიატის საერთაშორისო ინტერესების“ და „მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის“ სახელით.

აღსანიშნავია კიდევ შემდეგი გარემოება: მართალია სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა ერთდროულად გამოაცხადა, მაგრამ მათი იდეოლოგიური საფუძველი და გეოპოლიტიკური ორიენტაცია მკვეთრად განსხვავებული იყო, რამაც განაპირობა ბოლშევიკების განსხვავებული რეაქცია. საქართველო მათთვის „მთავარი იდეოლოგიური მტერი“ აღმოჩნდა.

საქართველო იმდროინდელ მსოფლიოში ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, რომლის სათავეშიც სოციალ-დემოკრატები აღმოჩნდნენ (რუსული „მენშევიზმის“ განაყოფი) და ბოლშევიკების სისხლიანი დიქტატურის საპირისპიროდ სოციალიზმისაკენ სვლას დემოკრატიის მშენებლობის გზით აპირებდნენ.

ბოლშევიკებისთვის საბჭოთა რუსეთის მოსაზღვრე დემოკრატიული საქართველო, სოციალ-დემოკრატებით სათავეში, უდიდესი იდეოლოგიური გამოწვევა და პროპაგანდისტული საფრთხე იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, რომ სოციალიზმისაკენ სვლა ე. წ. პროლეტარიატის დიქტატურის გარეშეც იყო შესაძლებე-

ლი. გარდა ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ იყო ორიენტირებული დასავლეთზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა იყო უნიკალური შემთხვევა – ის იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც პირდაპირ უპირისპირდებოდა ბოლშევიკური დიქტატურის იდეოლოგიურ ლეგიტიმურობას. ამან განაპირობა რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმის ლიდერების განსაკუთრებული მტრობა დემოკრატიული საქართველოსადმი, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა განადგურებულიყო და რაც განხორციელდა კიდეც 1921 წლის თებერვალ-მარტის სამხედრო ინტერვენციით.

გ
გენდერული თანასწორობა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი უზრუნველყოფდა გენდერულ თანასწორობას ძალზედ პროგრესული და იმდროინდელი მსოფლიოსთვის უნიკალური გზით. დამოუკიდებლობის აქტის მე-5 პუნქტში პირდაპირ იყო ჩაწერილი, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. ეს იყო ერთ-ერთი მოწინავე იურიდიული გადაწყვეტილება გლობალურ კონტექსტში.

ქალებს, მამაკაცების თანაბრად, მიენიჭათ როგორც აქტიური (ხმის მიცემის), ისე პასიური (არჩეული დეპუტატის) საარჩევნო უფლება. საქართველო გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც ქალებს სრული პოლიტიკური უფლებები მიანიჭა.

1919 წელს საქართველოში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნებში ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა და ასევე ხუთი ქალი აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად (სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიიდან).

მოგვიანებით, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ (რომელიც 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის დებულებებს ემყარებოდა) კიდევ უფრო გაამყარა გენდერული თანასწორობის პრინციპი. კონსტიტუციის 39-ე მუხლში ჩაიწერა: „ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით“.

გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო. საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი გენდერული თანასწორობის კუთხით იმდროინდელ მსოფლიოში უაღრესად პროგრესული და იშვიათი გამონაკლისი იყო, განსაკუთრებით კი დამოუკიდებლობის ახლად მოპოვებულ სახელმწიფოებს შორის.

1918 წლისათვის, იმდროინდელ მსოფლიოს თუ გადავხედავთ, ქალებისათვის სრული საარჩევნო უფლება (როგორც აქტიური, ისე პასიური) ჯერ კიდევ იშვიათობა იყო. ბევრი დასავლური სახელმწიფოც კი, რომელიც დემოკრატიის მაგალითად ითვლებოდა, ქალებს ამ უფლებას ეტაპობრივად ან მოგვიანებით ანიჭებდა. ფინეთი (1906) და ნორვეგია (1913) იყვნენ პირველები ევროპაში, რომლებმაც სრული უფლება მიანიჭეს ქალებს. რუსეთში ქალებმა საყოველთაო საარჩევნო უფლება 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიიღეს. გერმანიამ (რევოლუციის შემდეგ) და პოლონეთმა (დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ)

ქალებს სრული უფლებები 1918 წელს მიანიჭეს. დიდმა ბრიტანეთმა 1918 წელს დაუშვა ქალთა ნაწილობრივი საარჩევნო უფლება (სრული უფლება კი 1928 წელს მისცა), აშშ-ში ქალებმა საარჩევნო უფლებები 1920 წელს მიიღეს.

დ

დამოუკიდებლობის აქტი როგორც იურიდიული და პოლიტიკური დოკუმენტი

დამოუკიდებლობის აქტი არის ოფიციალური პოლიტიკური და იურიდიული დოკუმენტი, რომლითაც გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობა (ან მისი წარმომადგენლობითი ორგანო) საჯაროდ აცხადებს, რომ ა/ წყვეტს პოლიტიკურ კავშირს სხვა სახელმწიფოსთან, რომლის ნაწილსაც მანამდე წარმოადგენდა; ბ/ ქმნის დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს; გ/ ახლადშექმნილი სახელმწიფო არის სრულუფლებიანი სუბიექტი საერთაშორისო ურთიერთობებში.

დამოუკიდებლობის აქტის დანიშნულებაა დამოუკიდებლობის გამოცხადება (დეკლარირება), ხოლო მთავარი მიზანი სხვა ქვეყნებისთვის იმის შეტყობინებაა, რომ ამიერიდან კონკრეტული ერი თავისუფალია და თავად წყვეტს საკუთარ ბედს.

დამოუკიდებლობის აქტში, როგორც წესი, მოკლედ არის აღწერილი ისტორიული კონტექსტი: გადმოცემულია ისტორიული გარემოებები და მიზეზები, რის გამოც აუცილებელი გახდა დამოუკიდებლობის გამოცხადება (მაგალითად, სხვა სახელმწიფოს მიერ მისი უფლებების დარღვევა ან იძულებითი შეერთება).

ხშირად დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებულია ახალი სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმა (მაგალითად, დემოკრატიული რესპუბლიკა), მისი სუვერენიტეტი, იურისდიქციის ფარგლები, მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და საგარეო პოლიტიკის მიმართულებები. ამიტომ დამოუკიდებლობის აქტი ხშირად ატარებს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ხასიათს და მოცემული ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის ფუძემდებლურ დოკუმენტს წარმოადგენს (საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მსგავსად).

1918 წლის 26 მაისის აქტით გამოცხადებული დამოუკიდებლობა მიმართულია როგორც ქვეყნის შიგნით, თავის მოქალაქეებისადმი, ისე საერთაშორისო აუდიტორიისადმი, რათა სხვა სახელმწიფოებმა აღიარონ ახალი სახელმწიფო.

დამოუკიდებლობის აქტი / დამოუკიდებლობის დეკლარაცია

ტერმინები – დამოუკიდებლობის აქტი და დამოუკიდებლობის დეკლარაცია ხშირად გამოიყენება არსობრივად ერთი და იმავე დოკუმენტისთვის (მაგალითად, აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი) თუმცა, მათ შორის არსებობს გარკვეული კონცეპტუალური განსხვავება. დამოუკიდებლობის აქტსა და დამოუკიდებლობის დეკლარაციას შორის განსხვავება ძირითადად მათ იურიდიულ ძალას, შინაარსსა და მიზანს ეხება.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი განსხვავებები დამოუკიდებლობის აქტსა და დამოუკიდებლობის დეკლარაციას შორის:

მახასიათ-ებელი	დამოუკიდებლობის **აქტი** (Act of Independence)	დამოუკიდებლობის **დეკლარაცია** (Declaration of Independence)
ძირითადი მიზანი, ფუნქცია	არის უპირველესად იურიდიული ქმედება ან საკანონმდებლო დოკუმენტი. მისი მიზანია კანონიერი/სამართლებრივი ძალა მისცეს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ოფიციალურად დაასრულოს ძველი მმართველობა. იგი არის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ ადასტურებს და აფორმებს სახელმწიფოს შექმნას და მისი მოწყობის ფუნდამენტურ პრინციპებს.	დამოუკიდებლობის დეკლარაცია არის პირველ რიგში განაცხადი, პროკლამაცია ანუ საჯარო ახსნა-განმარტება. მისი მთავარი მიზანია მსოფლიოსთვის და საკუთარი ხალხისთვის ნათლად ჩამოაყალიბოს ის ფილოსოფიური, იურიდიული და პოლიტიკური საფუძვლები, უფლებები და მიზეზები, რის გამოც წყდება კავშირი მეტროპოლიასთან.
იურიდიული ძალა	მეტწილად ნორმატიული და საკონსტიტუციო ხასიათისაა. მას აქვს კანონის უმაღლესი ძალა და კონსტიტუციის მიღებამდე დროებითი ძირითადი კანონის ფუნქციას ასრულებს. წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, რომელიც პირდაპირ ქმნის ახალ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ რეალობას.	მეტწილად დეკლარაციული და პროკლამაციული ხასიათისაა. ეს არის პოლიტიკური და მორალური განცხადება. არ არის პირდაპირ კანონი ან კონსტიტუცია, არამედ პოლიტიკური და იდეოლოგიური დოკუმენტია, რომელიც საფუძვლად ედება მომავალ სამართლებრივ აქტებს.
შინაარსი	როგორც წესი, შეიცავს უფრო მკაფიო და კონკრეტულ იურიდიულ ფორმულირებებს იმის შესახებ, რომ ყოფილი კოლონია/ტერიტორია თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა და რომ მას აღარ აქვს კავშირი მეტროპოლიის მმართველობასთან. ის უშუალოდ ემყარება დამოუკიდებლობას.	როგორც წესი, შეიცავს უნივერსალურ პრინციპებს (მაგ., ადამიანის თანდაყოლილი უფლებები), ჩამოთვლის მიზეზებს/ბრალდებებს და აცხადებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების განზრახვას/ნებას.

თუ შევხედავთ რეალურ ისტორიულ პრაქტიკას, ხშირ შემთხვევაში, ორივე – დამოუკიდებლობის აქტი და დამოუკიდებლობის დეკლარაციაც არის როგორც პრინციპების დეკლარირება, ასევე უშუალო აქტი (კანონი). მაგალითად აშშ-ის 1776 წელს მიღებულ დოკუმენტს ჰქვია „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“. ის შეიცავს როგორც დეკლარაციას – ფილოსოფიურ განცხადებებს, ასევე ასრულებს აქტის ფუნქციას – მკაფიო რეზოლუციას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. საქართველოს 1918 წელს მიღებულ დოკუმენტს ოფიციალურად ჰქვია „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ის არის უშუალო იურიდიული აქტი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, თუმცა ასევე შეიცავს დეკლარაციულ ნაწილსაც ქვეყნის სამომავლო წყობის ძირითადი პრინციპების შესახებ.

რომ შევაჯამოთ, მთავარი განსხვავება დამოუკიდებლობის აქტსა და დამოუკიდებლობის დეკლარაციას შორის უმთავრეს აქცენტშია: დეკლარაცია უფრო მეტად პასუხობს კით-

ხვას რატომ და იდეოლოგიურად ხსნის, ხოლო დამოუკიდებლობის აქტი – აჩვენებს რას აკ-ეთებს იურიდიულად ხელისუფლება დამოუკიდებლობის განსახორციელებლად.

დამოუკიდებლობის გამოცხადება: მსოფლიო პანორამა (1776–1914)

მსოფლიოში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა იმპერიების დაშლის, ან იმპე-რიისგან განთავისუფლების შედეგი იყო. 1776-1914 წლამდე პერიოდში, ანუ აშშ-ის დამოუკ-იდებლობის გამოცხადებიდან პირველ მსოფლიო ომამდე შემდეგმა ქვეყნებმა მოიპოვეს და-მოუკიდებლობა:

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა

ქვეყანა	დამოუკიდებლობის წე-ლი	ყოფილი კოლონიური ძალა
ამერიკის შეერთებული შტატები	1776	დიდი ბრიტანეთი
ჰაიტი	1804	საფრანგეთი
ვენესუელა	1811	ესპანეთი
არგენტინა	1816	ესპანეთი
ჩილე	1818	ესპანეთი
კოლუმბია	1819	ესპანეთი
მექსიკა	1821	ესპანეთი
პერუ	1821	ესპანეთი
ბრაზილია	1822	პორტუგალია
ეკვადორი	1822	ესპანეთი
ცენტრალური ამერიკის გაერთიან-ებული პროვინციები (მოგვიანებით დაიშალა)	1821	ესპანეთი
კოსტა-რიკა	1838	
სალვადორი	1841	
გვატემალა	1839	
ჰონდურასი	1838	
ნიკარაგუა	1838	
დომინიკელთა რესპუბლიკა	1844	ჰაიტი / ესპანეთი
კუბა	1902	ესპანეთი / აშშ
პანამა	1903	კოლუმბია

ევროპა

ქვეყანა	დამოუკიდებლობის წე-ლი	ყოფილი კოლონიური ძალა
საბერძნეთი	1821	ოსმალეთის იმპერია
ბელგია	1830	ნიდერლანდები
სერბეთი	1878	ოსმალეთის იმპერია
რუმინეთი	1878	ოსმალეთის იმპერია

მონტენეგრო	1878	ოსმალეთის იმპერია
ბულგარეთი	1908	ოსმალეთის იმპერია
ალბანეთი	1912	ოსმალეთის იმპერია
ნორვეგია	1905	შვედეთი (კავშირის დაშლა)

აზია

ქვეყანა	დამოუკიდებლობის წელი	ყოფილი კოლონიური ძალა
ფილიპინები	1898	ესპანეთი (თუმცა მაშინვე მოექცა აშშ კონტროლის ქვეშ)

დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების შექმნის ტალღა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე (1917-1918 წლები)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა 1918 წლის 26 მაისს ეროვნული სახელმწიფოების შექმნის ტალღის ნაწილი იყო, რომელმაც მოიცვა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორია. 1917 წლის თებერვლის (მარტის) რევოლუციისა და 1917 წლის ოქტომბრის (ნოემბრის) რევოლუციის შედეგად, რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე არაერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოცხადდა 1917-1918 წლებში. თუმცა, მარტო ეროვნული სახელმწიფოები არ იქმნებოდა. ყოფილი იმპერიის დაშლის სრული სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ეროვნული და რეგიონული დამოუკიდებელი სახელმწიფოები – ყოფილი იმპერიის არარუსი ხალხების მიერ შექმნილი მთავრობები, რომლებიც ეროვნულ თვითგამორკვევას ცდილობდნენ. ბევრმა მათგანმა ხანმოკლე პერიოდით იარსება, რადგან ისინი მალევე დაიპყრო ბოლშევიკურმა რუსეთმა ან მეზობელმა სახელმწიფოებმა.

2. თეთრი მოძრაობის რეგიონული მთავრობები – ესენი იყვნენ ანტი-ბოლშევიკური ძალები, რომელთაც, ძირითადად, გენერლები მეთაურობდნენ. მათი უმთავრესი მიზანი იყო "ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" აღდგენა. ისინი ხშირად ამყარებდნენ კონტროლს დიდ ტერიტორიებზე, მაგრამ მათი პოლიტიკური ერთიანობა სუსტი იყო.

3. ადგილობრივი და პარტიზანული „რესპუბლიკები" – ესენი იყვნენ ხანმოკლე ფორმაციები, რომლებიც წარმოიქმნა ანარქისტების, მცირე სოციალისტური ჯგუფების ან ადგილობრივი გლეხთა აჯანყებების შედეგად.

თუკი ეროვნული ნიშნით შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს გადავხედავთ შემდეგ სურათს მივიღებთ:

ფინეთი (Suomi): დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1917 წლის 6 დეკემბერს.

უკრაინის სახალხო რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წლის 22 იანვარს (მანამდე სხვადასხვა დონის ავტონომიას აცხადებდა 1917 წლიდან).

ყირიმის სახალხო რესპუბლიკა (1917–1918): იყო ყირიმელი თათრების პირველი სახელმწიფო.

ბელარუსის სახალხო რესპუბლიკა (1918–1919): დამოუკიდებლობა გამოაცხადდა 1918 წლის 25 მარტს. 1918 წლის ნოემბერში გერმანიის დამარცხების შემდეგ, გერმანული ჯარები გავიდნენ ტერიტორიიდან. მინსკში მალევე შევიდა **წითელი არმია**. ბელარუსის მთავრობა იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო.

ლიეტუვა (Lietuva): დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წლის 16 თებერვალს (რუსეთისგან განცალკევება დაიწყო 1917 წელს).

ლატვია (Latvija): დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წლის 18 ნოემბერს.

პოლონეთმა დამოუკიდებლობა აღიდგინა 1918 წლის 11 ნოემბერს (პირველი მსოფლიო ომის დასრულებასთან ერთად). მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორია რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის და გერმანიის იმპერიებს შორის იყო გაყოფილი, აღდგენილი პოლონეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიები იყო.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა: დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1917 წლის ნოემბერში, ოფიციალურად კი 1918 წლის 11 მაისს ბათუმში.

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა (ადფრ): შეიქმნა 1918 წლის 22 აპრილს. მან მხოლოდ 34 დღე იარსება და დაიშალა სამ ეროვნულ სახელმწიფოდ:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა: დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წლის 28 მაისს.

სომხეთის რესპუბლიკა: დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წლის 28 მაისს.

დამოუკიდებელი სახელმწიფოები შუა აზიაშიც ჩამოყალიბდა:

თურქესტანის (კოკანდის) ავტონომია (1917–1918): ხანმოკლე, არაღიარებული ავტონომიური სახელმწიფო, რომელიც მალევე გაანადგურეს ბოლშევიკებმა.

ალაშის ავტონომია (ყაზახეთი, 1917–1920): ყაზახური ეროვნული მოძრაობის მიერ გამოცხადებული ავტონომია, რომელიც თეთრ მოძრაობასთან თანამშრომლობდა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ყველა ამ ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოს რთული და ხშირად ხანმოკლე ისტორია ჰქონდა. ბევრი მათგანი (გარდა ბალტიის ქვეყნების, ფინეთისა და პოლონეთისა) მალევე იქნა ოკუპირებული და ანექსირებული ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1920-1921 წლებში.

ძირითადი ქვეყნები, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად:

ქვეყანა	დამოუკიდებლობის გამოცხადების წელი	ყოფილი მმართველი სახელმწიფო
ფინეთი	1917 (4 დეკემბერი)	რუსეთის იმპერია
უკრაინა	1918 9(22) იანვარი	რუსეთის იმპერია
ლიტვა	1918 (16 თებერვალი)	რუსეთის იმპერია
ესტონეთი	1918 (24 თებერვალი)	რუსეთის იმპერია
ლიეტუვა	1918 (18 ნოემბერი)	რუსეთის იმპერია
საქართველო	1918 (26 მაისი)	რუსეთის იმპერია
სომხეთი	1918 (28 მაისი)	რუსეთის იმპერია
აზერბაიჯანი	1918 (28 მაისი)	რუსეთის იმპერია
პოლონეთი	1918 (ნოემბერი)	რუსეთის, გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის იმპერიები

დამოუკიდებლობის გამოცხადების ზუსტი დროის მითითების მნიშვნელობა

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დასასრულს, ხელმოწერების ქვემოთ, მითითებულია: „ეს აქტი მიღებულია და ხელი მოწერილია 1918 წლის 26 მაისს, კვირადღეს, დღის 5 საათსა და 10 წუთზე“. დამოუკიდებლობის აქტის მიღების ზუსტი დროის დაფიქსირება ღირსშესანიშნავი დეტალია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში და საკმაოდ იშვიათი პრაქტიკაა მსგავს საერთაშორისო დოკუმენტებში.

საერთაშორისო პრაქტიკაში, დამოუკიდებლობის აქტების უმეტესობა არ მიუთითებს მიღების საათსა და წუთს. როგორც წესი, დასახელებულია მხოლოდ თარიღი. დრო დაფიქსირებულია მხოლოდ საზავო ხელშეკრულებებში, როდესაც ზუსტად განისაზღვრება საომარი მოქმედებების შეწყვეტის დრო (მაგალითად, პირველ მსოფლიო ომის ზავი მიუთითებდა, რომ საომარი მოქმედებები შეწყდებოდა 1918 წლის 11 ნოემბერს, დილის 11 საათზე).

დამოუკიდებლობის აქტის რამდენიმე ძირითადი მაგალითი:

აქტი	საათის მითითება	ფორმატი
აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776)	არა	მითითებულია მხოლოდ თარიღი (4 ივლისი)
აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტი (1918)	არა	მითითებულია მხოლოდ თარიღი (28 მაისი)
სომხეთის დამოუკიდებლობის აქტი (1918)	არა	მითითებულია მხოლოდ თარიღი (28 მაისი)
ლიეტუვის დამოუკიდებლობის აქტი (1918)	არა	მითითებულია მხოლოდ თარიღი (16 თებერვალი)
ინდოეთის დამოუკიდებლობის აქტი (1947)	არა	მითითებულია მხოლოდ თარიღი (15 აგვისტო)

რა მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებლობის გამოცხადების ზუსტი დროის მითითებას დამოუკიდებლობის აქტში? შეიძლება ითქვას, რომ ზუსტი საათისა და წუთის მითითებით სურდათ ხაზი გაესვათ ისტორიული მომენტის დრამატულობისთვის, მიღებული აქტის დიდი იურიდიული და სიმბოლური მნიშვნელობისთვის. დაფიქსირებული ზუსტი დროის მიღმა დგას უდიდეს ისტორიული დატვირთვა.

ზუსტი დროის მითითებას აქვს შემდეგი დანიშნულება:

ა/ ისტორიული მომენტის ხაზგასმა: ზუსტი დროის დაფიქსირება ხაზს უსვამს მომენტის განუმეორებელ, ისტორიულ მნიშვნელობას. ეს არ იყო უბრალო დღე, არამედ წუთი, როდესაც ერმა ისტორიული არჩევანი გააკეთა.

ბ/ იურიდიული სიზუსტე: ზუსტი დროის მითითება მნიშვნელოვანი იყო იმის დასაფიქსირებლად, თუ რა მომენტიდან შეწყვიტა არსებობა ამიერკავკასიის ფედერაციამ და რა მომენტიდან დაიწყო ახალი სახელმწიფოს იურიდიული არსებობა. ზუსტი დროის მითითება ქმნის ზუსტ იურიდიულ მომენტს, როდესაც სახელმწიფომ სუვერენიტეტი გამოაცხადა. ეს არის ოფ-

იციალური დასაწყისი ახალი სამართლებრივი რეალობისა და „ნულოვანი წერტილი“ ახალი სახელმწიფოსთვის;

გ/ იურიდიული უწყვეტობა: სახელმწიფოს არსებობის ფაქტის დადასტურება უდავო იურიდიულ ძალას ანიჭებს შემდგომ მიღებულ ყველა სამართლებრივ დოკუმენტს, გადაწყვეტილებას და მოქმედებას.

დ/ პოლიტიკური მნიშვნელობა: იმ პერიოდში, როდესაც ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა სამხრეთ კავკასიაში მძიმე სამხედრო პოლიტიკური კრიზისი იყო (საომარი მოქმედებები ოსმალეთთან, მოლაპარაკებები გერმანიასთან). დამოუკიდებლობის გამოცხადების ზუსტი დროის დაფიქსირება მნიშვნელოვანი იყო. ეს დრო გახდა საფუძველი გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და მასთან შემდგომი ხელშეკრულებების გაფორმებისთვის;

ე/ სიმბოლური მნიშვნელობა: დამოუკიდებლობის საზეიმო აქტის კულმინაციის ზუსტად დაფიქსირება ამძაფრებდა მომენტის მნიშვნელობას. ზუსტი დროის მითითება ამ ისტორიულ დოკუმენტში იყო არა მხოლოდ ფაქტის დაფიქსირება, არამედ სიმბოლური აქტი, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ ამ კონკრეტული მომენტიდან საქართველომ აღიდგინა სუვერენიტეტი. ეს დეტალი დოკუმენტს ანიჭებდა საზეიმო და უტყუარ ხასიათს. ეს აჩვენებდა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია არა ფარულად ან ნაჩქარევად, არამედ საჯაროდ, შეგნებულად და უაღრესი სიზუსტით.

მოკლედ, დამოუკიდებლობის აქტზე დროის ზუსტი მითითება არის იურიდიული სიზუსტის, პოლიტიკური ლეგიტიმაციისა და უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობის აქტი.

რადგანაც ზუსტი დროის დაფიქსირებას მიენიჭა მნიშვნელობა, ვნახოთ როგორ ვითარდებოდა 1918 წლის 26 მაისს მოვლენები თბილისში, გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე):

16:50 (დაახლოებით) – იხსნება საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელიც იწყება ნოე ჟორდანიას (ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის) სიტყვით: „მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწამენი იყავით იშვიათი ისტორიული და ამავე დროს ტრაგიკული აქტის. ამ დარბაზში დღეს მოკვდა ერთი სახელმწიფო [ამიერკავკასიის ფედერაცია] და აი, დღესვე, ამავე დარბაზში ეყრება საძირკველი მეორე სახელმწიფოს [საქართველო]“.

17:00 (დაახლოებით) – ნოე ჟორდანია კითხულობს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის“ სრულ ტექსტს. საბჭოს წევრები და დამსწრე საზოგადოება ფეხზე დგებიან. ყოველი პუნქტი დიდი ენთუზიაზმით და ტაშით მიიღება.

17:10 (კულმინაცია) – საბჭოს წევრები კენჭს უყრიან საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებას. აქტი ერთხმად არის მიღებული. ამ მომენტში (17:10) საქართველო იურიდიულად ცხადდება თავისუფალ და დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად. ეს იყო გარდამტეხი მომენტი საქართველოს ისტორიაში.

თანამედროვე საქართველოში 26 მაისს 17:10 საათი განსაკუთრებით აღინიშნება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ კონკრეტულ დროს, ხშირად საქართველოს ეროვნული ჰიმნის საზეიმო შესრულებით, პატივს მიაგებენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას.

1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტშიც ზუსტად არის მითითებული დრო – 12 საათი და 30 წუთი. ეს მიუთითებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტრადიციის გაგრძელებაზე და სახელმწიფოებრივი უწყვეტობის ხაზგასმაა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების ადგილი

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 1918 წლის 26 მაისს, 17 საათსა და 10 წუთზე მიიღეს თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში, მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე (ამჟამინდელი სახელწოდება: საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, რუსთაველის გამზირი), სადაც სხდომებს მართავდა თავის დაშლის გამოცხადებამდე ამიერკავკასიის სეიმი (ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო). საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიღებული იქნა სასახლის ერთ-ერთ დარბაზში, რომელსაც ხშირად „თეთრი დარბაზი“ ეწოდება.

რუსეთის იმპერიის მმართველის (მეფისნაცვლის) ყოფილ რეზიდენციაში დამოუკიდებლობის გამოცხადება სიმბოლურად ხაზს უსვამდა, რომ საქართველო საბოლოოდ განთავისუფლდა რუსეთის მმართველობისგან და ამ შენობაში უკვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო განთავსდა. ეს ადგილი დღესაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია და საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ რჩება.

ამავე შენობაში (ოღონდ „ცისფერ დარბაზში“) ორი დღის შემდეგ, 1918 წლის 28 მაისს გამოცხადდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. სომხეთმაც დამოუკიდებლობა ასევე 28 მაისს (ზოგი ცნობით 30 მაისს) გამოაცხადა, თუმცა კონკრეტული შენობა, სადაც სომხეთის ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო, წყაროებში ზუსტად არ არის მითითებული. ზოგის აზრით ეს ასევე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში მოხდა, თუმცა ისტორიული წყაროების ნაწილი მიუთითებს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა მიქაელ არამიანცის ერთ-ერთ სახლში ოლღას ქუჩაზე (ამჟამად მერაბ კოსტავას ქუჩა N 14), სადაც მუშაობდა სომეხთა ეროვნული საბჭო და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სომხეთის მთავრობაც 1918 წლის 17 ივლისამდე, სანამ ერევანში გადავიდოდა.

დამოუკიდებლობის საზეიმო გამოცხადება

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1917-1920 წლებში დამოუკიდებლობის გამოცხადება ახალ შექმნილ სახელმწიფოების უმრავლესობისათვის ძალზედ ემოციური და საზეიმო მოვლენა იყო, რადგანაც ეს იყო მრავალსაუკუნოვანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კულმინაცია. უმეტეს შემთხვევაში, დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო მნიშვნელოვანი და საზეიმო აქტი, რომლის მიზანიც ეროვნული სულისკვეთების ამაღლება და საერთაშორისო ყურადღების მიპყრობა იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო საჯარო და საზეიმო ცერემონია.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საჯარო სხდომაზე მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც საზეიმოდ წაიკითხა ნოე ჟორდანიამ. შენობის წინ შეკრებილი იყო დიდი საზოგადოება, რომელიც მოელოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. დარბაზში დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვის შემდეგ, ეროვნული საბჭოს

მდივანი ილია ზურაბიშვილი გავიდა სასახლის აივანზე და სასახლის წინ შეკრებილ მრავალრიცხოვან საზოგადოებას ხმამაღლა წაუკითხა დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი. ყოველი მუხლის წაკითხვას შეკრებილი ხალხის მხრიდან ტაში და ოვაციები მოსდევდა. ამით ოფიციალური პოლიტიკური აქტი საჯარო გახდა და საზეიმო ხასიათი მიიღო. შეკრებილი საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოდიოდნენ ეროვნული საბჭოს წევრები. დამოუკიდებლობის გამოცხადება გახდა მთავარი პოლიტიკური მოვლენა და გადაიქცა სახალხო ზეიმად.

გარდა საქართველოსი, რუსეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე დამოუკიდებლობა საზეიმო ვითარებაში გამოაცხადეს კიდევ რიგმა ქვეყნებმა:

ფინეთი (6 დეკემბერი, 1917) – ფინეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღეს სეიმის (პარლამენტის) სხდომაზე ჰელსინკში, რასაც წინ უძღოდა დიდი ეროვნული კონსოლიდაცია და რიგი საზეიმო ღონისძიებები.

ლიეტუვა (16 თებერვალი, 1918) – ლიეტუვის საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი მიიღო საზეიმო სხდომაზე ვილნიუსში, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი გერმანული ოკუპაციის ქვეშ იყო. დამოუკიდებლობის აქტი ქვეყნის თვითგამორკვევის სიმბოლოდ იქცა.

ესტონეთი (24 თებერვალი, 1918) – ესტონეთის დამოუკიდებლობის აქტი საჯაროდ წაიკითხეს ქალაქ პიარნუში, შემდეგ კი ტალინში (მაშინდელ რეველში), თუმცა გერმანიის არმიის წინსვლის გამო ცერემონია დროში შეზღუდული იყო.

პოლონეთი (11 ნოემბერი, 1918) – პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა 123 წლის შემდეგ მოხდა. მას თან ახლდა იუზეფ პილსუდსკის მიერ ხელისუფლების აღება და ვარშავაში ეროვნული მთავრობის ფორმირება, რაც ფართო მასშტაბის საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა.

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საომარი მოქმედებების, სამოქალაქო დაპირისპირების ან პოლიტიკური კრიზისის გამო, დამოუკიდებლობის გამოცხადება ნაკლებად საზეიმო იყო და უფრო ფორმალური პოლიტიკური აქტის სახეს ატარებდა. მაგალითად, აზერბაიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება არ ატარებდა საზეიმო ხასიათს.

აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა გამოცხადდა ეროვნული საბჭოს სხდომაზე, საზეიმო და საჯარო ცერემონიის გარეშე. აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს წევრებს (ძირითადად მუსავატელებს) სჭირდებოდათ სწრაფი გადაწყვეტილების მიღება ოსმალეთის მფარველობის იმედით.

სომხეთის დამოუკიდებლობა ასევე თბილისში გამოცხადდა (შენობა ზუსტად არ არის მითითებული, მაგრამ, სავარაუდოდ, ეროვნული საბჭოს დროებით რეზიდენციაში), თუმცა ნაკლებად საზეიმო და დახურულ ფორმატში. დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს სომხეთი, ოსმალეთის არმიის შეტევის გამო კატასტროფულ მდგომარეობაში იყო, ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებული იყო. სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო პოლიტიკური აქტი და არა საჯარო ზეიმი. სომხეთის ეროვნულმა საბჭომ უბრალოდ აიღო ძალაუფლება და გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

უკრაინაში დამოუკიდებლობის რამდენიმე აქტი მიიღეს რთულ პერიოდში (1917-1920), ხშრად ქაოსისა და ფრონტის ხაზის ცვლილებების ფონზე, ამიტომ საზეიმო ცერემონიები შეზღუდული იყო.

ქვეყანა	თარიღი	ადგილი	ფორმა
საქართველო	26 მაისი	თბილისი, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი სასახლე	აქტის მიღება და გამოცხადება იყო საზეიმო, საჯარო ცერემონიალი.
აზერბაიჯანი	28 მაისი	თბილისი, იგივე შენობა	ფორმალური სხდომა ეროვნული საბჭოს მიერ დეკლარაციის მიღებით.
სომხეთი	28 მაისი	თბილისი (შენობა ზუსტად ცნობილი არ არის)	პოლიტიკური გადაწყვეტილება ეროვნული საბჭოს სხდომაზე, ურთულესი ვითარების ფონზე.

დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება სწრაფად იქნა მიღებული. ერთი მხრივ, ამიერკავკასიის ფედერაციის შიგნით არსებული წინააღმდეგობები და მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ფედერაციასა და ოსმალეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების ხასიათი საქართველოსთვის გადარჩენის სხვა გზას არ ტოვებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების გარდა.

1918 წლის 25 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სასწრაფოდ გადაწყდა, რომ 1918 წლის 26 მაისს დილის 10 საათზე შეიკრიბებოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სეიმი თავის უკანასკნელ სხდომაზე და თავს დაშლილად გამოაცხადებდა. ამის შემდეგ უნდა შეკრებილიყო საქართველოს ეროვნული საბჭო და გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. თავიდან ეროვნული საბჭოს სხდომის დაწყება 12 საათზე იგეგმებოდა, თუმცა სხდომა მხოლოდ 4 საათსა და 40 წუთზე გაიხსნა. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, 5 საათსა და 10 წუთზე წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოკლე სტენოგრამა მოცემულია 1919 წელს გამოცემულ ბროშურაში: „26 მაისი, 1918. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. თბილისი, 1919).

შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით, ეროვნული საბჭოს მდივანმა ილია ზურაბიშვილმა სასახლის აივნიდან გარეთ შეკრებილ ხალხს წაუკითხა დამოუკიდებლობის აქტი, რომლის თითოეული მუხლის წაკითხვას ოვაცია მოსდევდა. ამავე დროს კრების დარბაზში ნოე ჟორდანიას წინადადებით, თავმჯდომარის ამხანაგმა გრიგოლ ვეშაპელმა წაიკითხა დამოუკიდებლობის აქტის რუსული თარგმანი, რასაც ასევე დარბაზში მოჰყვა ტაში და ოვაციები.

დამოუკიდებლობის აქტის რუსული თარგმანის წაკითხვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ დარბაზში მსხდომთ მიმართა: „თანახმა ხართ მიიღოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი თუ არა? გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინაა წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად იქნა მიღებული”

დამოუკიდებლობის აქტის ერთხმად მიღებას დარბაზში ხანგრძლივი ტაში მოჰყვა. ისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს საქართველოს!“

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ისევ დარბაზში მსხდომთ მიმართა: „ვთხოვ საბჭოს ყველა წევრებს, რომ კრების შემდეგ მოვიდნენ აქ და აქტს ხელი მოაწერონ“.

ოქმში არ არის დაფიქსირებული, თუ ეროვნული საბჭოს რამდენი წევრი ესწრებოდა სხდომას. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს კი, საბოლოოდ, 88 ადამიანმა მოაწერა ხელი. ეროვნული საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც სხდომას არ ესწრებოდნენ, დამოუკიდებლობის აქტისთვის ხელი არ მოუწერიათ. 88 ხელმოწერიდან ერთი ხელმოწერა ვასილ წერეთელსა და რეზო გაბაშვილს შორის, სამწუხაროდ, გაურკვეველია და არ იკითხება.

დამოუკიდებლობის გამოცხადება და ტერიტორიის კონტროლი

დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს (1917-1920) ყოფილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი თითქმის ვერცერთი ქვეყანა ვერ აკონტროლებდა სრულად იმ ტერიტორიას, რასაც თავის სახელმწიფოს ნაწილად მიიჩნევდა. მათ უმრავლესობას დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის მისაღწევად მძიმე ბრძოლები უხდებოდათ.

ძირითადი მაგალითები დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს ტერიტორიული კონტროლის შესახებ

რეგიონი / ქვეყანა	მდგომარეობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისას (1918 წ.)	ტერიტორიული კონტროლი
საქართველო (26 მაისი, 1918 წ.)	აკონტროლებდა თბილისსა და ძირითად ტერიტორიას. ბათუმის ოლქი და სამხრეთ საქართველო ოსმალეთს ჰქონდა ოკუპირებული.	არ აკონტროლებდა ქვეყნის სრულ ტერიტორიას.
აზერბაიჯანი (28 მაისი, 1918 წ.)	გამოცხადდა თბილისში, ამ დროს აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო ბოლშევიკების ხელში იყო, ხოლო ნაწილი – ოსმალეთის არმიის ხელში.	არ აკონტროლებდა დედაქალაქს და ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს.
სომხეთი (28 მაისი, 1918 წ.)	გამოცხადდა თბილისში, სომხეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ოსმალეთის არმიის მიერ იყო დაკავებული.	აკონტროლებდა მხოლოდ დღევანდელი სომხეთის მცირე ნაწილს.
ბალტიის ქვეყნები (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი)	დამოუკიდებლობის გამოცხადება (1918 წ.) გერმანიის ოკუპაციის პირობებში მოხდა. გერმანიის არმიის გასვლის შემდეგ კი ბრძოლა უხდებოდათ წითელ არმიასთან ტერიტორიაზე სრული კონტროლის დასამყარებლად.	არ აკონტროლებდნენ ტერიტორიის დიდ ნაწილს; იმყოფებოდნენ ოკუპაციის პირობებში.
პოლონეთი (11 ნოემბერი, 1918 წ.)	დამოუკიდებლობის აღდგენის დროს პოლონეთი სამი იმპერიის (რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია) ნაწილებად იყო დაყოფილი. ახალ მთავრობას მოუწია შეიარაღებული ბრძოლა ყველა მიმართულებით საზღვრების დასადგენათ.	არ აკონტროლებდა დადგენილ საზღვრებს.
უკრაინა (1917-	ქვეყანა სამოქალაქო ომის და უცხოური ინტერ-	არ გააჩნდა სტაბილური

1920)	ვენციის ცენტრში იყო მოქცეული. მთავრობები სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და ტერიტორიული კონტროლი მუდამ იცვლებოდა.	კონტროლი ტერიტორიაზე.

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა“.

დემოკრატიული რესპუბლიკის გააზრებას და საქართველოსთვის შესაფერისი ფორმის განსაზღვრას დიდ ყურადღებას უთმობდნენ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური პარტიები და დამფუძნებელი კრება. (იხ. **დემოკრატიული რესპუბლიკა).**

თუმცა, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ხანებში, საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწილი არ გამორიცხავდა მონარქიის დამყარებასაც, თუკი ამას მოკავშირე, – გერმანია მოითხოვდა. აკაკი ჩხენკელი აღნიშნავდა: „მახსოვს, სამტრედიაში შემომხვდარ ნოე რამიშვილს, მე უთხარი სრულიად სერიოზულათ: საქართველოს ოსმალეთისგან აოხრების ასაცილებლათ მე მზათ ვარ გერმანიიდან პრინციც კი ჩამოვიყვანო მეთქი! ეს იყო 28 მაისს სწორეთ იმ დღეს როცა ფოთიდან გამოვემგზავრეთ“ (აკაკი ჩხენკელი. დღიურები. წიგნი პირველი. 1918-1921. თბ., 2024, გვ.27-28). აკაკი ჩხენკელი იხსენებს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდის ერთ-ერთ სხდომასაც, სადაც „კედია, წერეთელი და ნიკოლაძე იმ აზრისა იყვნენ, რომ საქართველოს სიმტკიცისა და ხელუხლებლობისთვის საჭიროა პრინცი დაისვასო“. აკაკი ჩხენკელმა ამ მოსაზრების საპირისპიროდ აღნიშნა, რომ პრინცის დასასმელად საქართველოში შესაფერისი პირობები არ არსებობდა, – „ხალხი განსაკუთრებით მისი მმართველი წრეები, მხოლოდ რესპუბლიკის მომხრენი არიანო“ (იქვე, გვ.27).

დამფუძნებელი კრება

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ითვალისწინებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევას. აქტის მე-7 პუნქტში ნათქვამი იყო, რომ „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო...“

საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 22 ნოემბერს დაამტკიცა „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“ (აქტები, 1990, გვ.84-109). არჩევნების მონაწილე სუბიექტების დაფიქსირება ხდებოდა უაღრესად დემოკრატიული წესით, თითოეული საკანდიდატო სიისთვის ხელი უნდა მოეწერა „არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა ორმოცდაათზე არა ნაკლებ“ პირს და სიას შეიძლება თან დართოდა „სახელწოდება მისი წარმომდგენი ორგანიზაციისა“ (აქტები, 1990, გვ.94-95).

დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულებიდან გამომდინარე, არჩევნებში მონაწილე სუბიექტის დაფიქსირება ძალზედ იოლი იყო. ამიტომ შეიძლება გასაკვირიც იყოს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სულ 15 საარჩევნო სუბიექტი დაფიქსირდა (ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა 15 საკანდიდატო სია, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ N 25-ის დამატებაში 1919 წლის 1 თებერვალს). მათ შორის იყო საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტია და პარტიებიდან ჩამოცილებული

ფრაქციები, ასევე არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ზოგიერთი ეროვნული უმცირესობის და ქართული ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებმა.

ეროვნულმა საბჭომ / საქართველოს პარლამენტმა მოამზადა დამფუძნებელი კრების არჩევნები უაღრესად დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე და 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩაატარა არჩევნები. შემდეგ კი გაიმართა ორი დამატებითი არჩევნები (1919 წ. აგვისტოში და 1920 წლის მაისში) იმ ტერიტორიებზე, სადაც თავიდან არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა დაინიშნა 1919 წლის 12 მარტს. ეს თარიღი შემთხვევით არ შერჩეულა. ეს იყო რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის (დამოუკიდებლობის აქტის სიტყვებით „რუსეთის დიდი რევოლუციის“) წლისთავზე.

გარკვეული წრეები ამტკიცებდნენ, თითქოს ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა არ უნდოდა და 1918 წლის 26 მაისს „ერთმა მუჭა შოვინისტურმა ინტელიგენციამ მოახვია ხალხს არაპოპულარული სეპარატისტული აქტი“. ასეთ ვითარებაში ხალხის მიერ არჩეულ დამფუძნებელ კრებას პირველ რიგში დამოუკიდებლობის აქტის დადასტურება მოუწევდა. რაფიელ ინგილო დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ წერდა: „დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებაც აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის დასადასტურებლად. წინდაწინვე ვუწყით, რომ დამოუკიდებლობის განმეორებით მიღება დამფუძნებელი კრების მიერ იქნება დიდებული მანიფესტაცია განთავისუფლებულ საქართველოს მიმართ“ („საქართველო“, 19.01.1919).

იმავეს აღნიშნავდა ი. ხახანაშვილი, რომლის განცხადებითაც, დამფუძნებელი კრება მტკიცედ იდგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის პოზიციაზე – „საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სიტყვა იქნება: დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველო, რადგან ამ ლოზუნგით შეიჭრა ჩვენში მომქმედი ყოველი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფი და პარტია ქართული ერის მასაში. ამ ლოზუნგმა მიაღებინა ყველას ქართველი ერის ნდობა“ („საქართველო“, 28.02.1919). ეს სიტყვები გაფრთხილება იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვისაც, რომელიც დიდხანს გამოდიოდა „ერთიანი დემოკრატიული რუსეთის“ და „ამიერკავკასიის ფედერაციის“ მხარდამჭერის როლში და დამფუძნებელი კრების არჩევნების პერიოდში ვიღაცეები კვლავ ალაპარაკდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თაობაზე.

ისიც აღინიშნებოდა, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც დამფუძნებელი კრება შეიკრიბა. „ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი ცხოვრება უკვე კალაპოტშია ჩამდგარი და ჩვენი მომავალიც უზრუნველ-ყოფილია“ („სახალხო საქმე“, 23.01.1919).

სოციალ-დემოკრატები, რომელთა ინიციატივითაც დამფუძნებელი კრების მოწვევა დაჩქარდა, მიუთითებდნენ **დამფუძნებელი კრების არსებობის მნიშვნელობაზე საქართველოს საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით.** ცნობილი გახდა, რომ პარიზში მოწვეული იქნებოდა მსოფლიო სამშვიდობო კონგრესი, სადაც გადაწყდებოდა „აღდგენილ თუ ახლად წარმოშობილ სახელმწიფოთა ბედი“ („საქართველო“, 27.01.1919). ამიტომ, სოციალ-დემოკრატების აზრით, მნიშვნელოვანი იყო დამფუძნებელი კრება შეკრებილიყო პარიზის საზავო კონფერენციის მუშაობის დაწყების დროისათვის. სწორედ ამ არგუმენტით სოციალ-დემოკრატებმა მოითხოვეს დამფუძნებელი კრების მოწვევის დაჩქარება. 1919 წლის 3 იანვარს საქართველოს პარლამენტმა განიხილა „კანონპროექტი დამფუძნებელ კრების მოწვევის ვადის შემოკლებისა“. სოციალ-დემოკრატების განცხადებით, რადგანაც „ახლო მომა-

ვალში“ უნდა შეკრებილიყო „მსოფლიო სამშვიდობო კონფერენცია“, ამიტომ საჭირო იყო „საქართველოს თვითმყოფობა“ მთელ ხალხს ოფიციალურად დაედასტურებინა და ეს აზრი წარედგინათ „საერთაშორისო ტრიბუნალისათვის“ („საქართველო“, 5.01.1919).

დამფუძნებელი კრების პარტიული სპექტრი 1921 წლის 11 თებერვლისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

პარტია	ადგილები დამფუძნებელ კრებაში
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია	93
დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია „სხივი“	8
დემოკრატიული ფრაქცია (არა-სოციალისტური პარტიების გაერთიანება)	10
სოციალისტ-ფედერალისტები	9
სოციალისტ-რევოლუციონერები	6
დაშნაკცუთიუნი	3
დამოუკიდებელი დეპუტატი	1

1921 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო საქართველოს პარლამენტის არჩევნები 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, თუმცა საბჭოთა ოკუპაციამ მოვლენები სულ სხვაგვარად წარმართა.

დემოკრატიული რესპუბლიკა

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს სახელმწიფოებრივ ფორმად არჩეული იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც „ერთადერთი ნამდვილი და მაღალი ფორმა ხალხური მმართველობის, შეთანხმებული ხალხის ინტერესებთან და მის ცხოველმყოფელ სახელმწიფოებრივ ნებისყოფასთან“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 13 თებერვალი).

მემარცხენე და დემოკრატიული პარტიების მხარდაჭერა რესპუბლიკური მმართველობისადმი გასაგები იყო და მათთვის სახელმწიფოს სხვაგვარი მოწყობა წარმოუდგენელი იყო, მაგრამ იყვნენ ისეთი პოლიტიკოსებიც, რომლებიც საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას მხარს არ უჭერდნენ. მაგალითად, შალვა ამირეჯიბი (1886-1943) შემდეგ იგონებდა, რომ მან, როგორც ეროვნული საბჭოს წევრმა, დამოუკიდებლობის აქტს ხელი არ მოაწერა იმის გამო, რომ ამ აქტით დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ცხადდებოდა.

შალვა ამირეჯიბი აღნიშნავდა: „1918 წელს, ოცდაექვს მაისს, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მე ეროვნულ საბჭოს წევრი ვიყავი. ყველა წევრს უნდა ამ აქტზე ხელი მოეწერა. ყველა წევრი სიხარულით ადიოდა პრეზიდიუმის მაღლობზედ და საზეიმო აქტს ხელს აწერდა. როდესაც საქართველოს ეროვნულ საბჭოს მდივანმა ი. ზურაბიშვილმა უკანასკნელად დაიძახა: ბ. ეროვნული საბჭოს წევრნო, ვის არ მოგიწერიათ კიდევ აქტისთვის ხელიო, მე იქ ვიდექი, მაგრამ არ მივედი მასთან და საქართველოს რესპუბლიკათ გამოცხადების აქტს ხელი არ მოვაწერე. მე არა მწამს, რომ რესპუბლიკა საქართველოს მართ-

ლა მიანიჭებდა დამოუკიდებლობას. ოცი წლის განმავლობაში საქართველო ორჯერ იყო რესპუბლიკა. ერთი – მენშევიკური – დაიღუპა. მეორე – ბოლშევიკურმა – საქართველო რუსეთს შეუერთა. საქართველოს სამეფო კი იყო ის ისტორიული ინსტიტუტი, რომელმაც ოცი საუკუნე ქართველი ერი დამოუკიდებლად ამყოფა“ (შალვა ამირეჯიბი. წიგნი მეორე. თბილისი, 1998, გვ. 163).

კონსტიტუციაში უკვე კონკრეტულად უნდა განსაზღვრულიყო, თუ რა სახეს მიიღებდა დემოკრატიული რესპუბლიკა. პავლე საყვარელიძე აღნიშნავდა: „ეს კითხვა ჩვენი სახელმწიფოებრივი წესწყობილების ძირითადი კითხვაა. ეს არის აგრეთვე ღერძი მთელი კონსტიტუციის“, ესაა „კონსტიტუციის ხერხემალი, მთავარი ჩონჩხი, რომელზედაც ბუნებრივად დამყარებულია მთელი შენობა, მისი ყველა მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი ნაწილები“. სწორედ „ამ კითხვის გადაჭრაზეა დამოკიდებული კონსტიტუციის ხასიათი, ბუნება და მიმართულება“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 1 თებერვალი).

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველივე მუხლში დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადებულია პოლიტიკური წყობილების „მუდმივ და უცვლელ ფორმად“. 1921 წლის კონსტიტუციის შემქმნელთა აზრით, საქართველო უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო დემოკრატიული სახელმწიფო მთელ მსოფლიოში. საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ საკონსტიტუციო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა“ წერდა: „უეჭველია ... ჩვენი კონსტიტუცია სანიმუშო და მისაბაძი გახდება ყველა ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოსათვის“ („ერთობა“, 1918 წ. 7 ივნისი).

საკონსტიტუციო კომისიაშიც უდავოდ იყო მიჩნეული, რომ საქართველოსთვის უნდა შეემუშავებინათ უაღრესად დემოკრატიული, სხვებისთვის სანიმუშო კონსტიტუცია. რაჟდენ არსენიძე დამფუძნებელი კრების 1920 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე აღნიშნავდა: საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს არა უბრალოდ ერის უზენაესობას, როგორც ყველა დემოკრატიული კონსტიტუცია, არამედ „თვით ორგანიზაცია ამ უზენაესობის განხორციელებისა არის უაღრესად დემოკრატიული ისე, როგორც არ არის არც ერთ ევროპულ კონსტიტუციაში“.

საქართველოსთვის მიუღებლად მიიჩნიეს მსოფლიო პრაქტიკაში იმ დროს არსებული დემოკრატიული რესპუბლიკის სამივე ძირითადი ტიპი, ცალკე აღებული: ა/ შვეცარიული უშუალო დემოკრატია, ბ/ ამერიკული „ხელმწიფება-განაწილებული“ დემოკრატია, გ/ ფრანგული ტიპის საპარლამენტო დემოკრატია. კონსტიტუციის პროექტს საფუძვლად დაედო დემოკრატიული რესპუბლიკის შერეული, კომპრომისული მოდელი: უცვლელად დატოვეს საქართველოში უკვე დამკვიდრებული სახელმწიფოებრივი პრაქტიკა – საპარლამენტო დემოკრატია, ე. ი. „არჩევა პარლამენტის მიერ მთავრობის თავმჯდომარისა და შემდეგ თავმჯდომარის მიერ შედგენა პარლამენტარულ მთავრობისა“. მაგრამ ამაზე შეჩერება იქნებოდა „შეზღუდვა ხალხის უფლებისა“. ამიტომ, ხალხის თვითმპყრობელობის უზრუნველყოფის მიზნით მას შეუერთეს პირდაპირი დემოკრატიის ზოგიერთი ინსტიტუტი. კერძოდ, რეფერენდუმი – „ხალხის მოთხოვნა, რომ მას გადასცეს კანონი დასადასტურებლად“ და სახალხო ინიციატივა – რომ „ესა თუ ის კანონპროექტი განხილულ იქნეს“. მაშასადამე, ერთი მხრივ, მკვიდრდებოდა საპარლამენტო დემოკრატია, მეორე მხრივ, რეფერენდუმ-ინიციატივის შემოღებით, მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური არჩევით, მისთვის რესპუბლიკის წარმომადგენლის როლის მინიჭებით, ერთი და იგივე პირის მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე არჩევის შეზღუდვით და სხვა, კონსტიტუცია რამდენადმე უახლოვდებოდა შვეიცარიული ტიპის დემოკრატიას. როგორც აღნიშნავდა პავლე საყვარელიძე, „საქართველოს კონსტიტუციას შეუძლია შეითვისოს პარლამენტარული დემოკრატიის მმართველობა. მაგრამ მან ამასთან ერ-

თად უნდა შეითვისოს ის კონსტიტუციური გარანტიები, რომელსაც იძლევა შვეიცარიული დემოკრატია. ამ ორი ტიპის დემოკრატიის პრინციპების ფრთხილი შეთანხმება და შეზავება მოგვცემს საქართველოს რესპუბლიკისათვის საუკეთესო კონსტიტუციას. ასეთი კონსტიტუცია დაზღვეული იქნება ორი დემოკრატიის უარსაყოფი და მიუღებელი მხარეებისაგან, მატარებელი იქნება ორივე დემოკრატიის დადებითი თვისებებისა". („საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ. 4 თებერვალი).

დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებული დემოკრატიული რესპუბლიკა კონსტიტუციით მმართველობის მუდმივ და უცვლელ ფორმად გამოცხადდა. შემუშავებული იქნა დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციფიკური მოდელი, რომელიც ორიენტირებული იყო ხალხის სუვერენიტეტის მაქსიმალურ უზრუნველყოფაზე.

დროებითი მთავრობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-7 პუნქტი ითვალისწინებდა დროებითი მთავრობის შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ეროვნული საბჭოს წინაშე. დროებითი მთავრობა შეადგინა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ფრაქციის წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

დროებითი ინტერპარტიული მთავრობა

დროებითი მთავრობის შემადგენლობა დამოუკიდებლობის აქტის დამტკიცების შემდეგ ეროვნულ საბჭოს წარუდგინა სხდომის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. ეროვნული კრების წევრები და დამსწრე საზოგადოება მთავრობის წევრთა დასახელებას ტაშით ეგებებოდა.

დროებითი მთავრობის შემადგენლობა ინტერპარტიული იყო, თუმცა დომინირებდნენ სოციალ-დემოკრატები – მთავრობის 8 წევრიდან 4 სოციალ-დემოკრატი იყო, მათ შორის მთავრობის თავმჯდომარე. მთავრობა, როგორც დამოუკიდებლობის აქტით იყო განსაზღვრული, პასუხისმგებელი იყო ეროვნული საბჭოს წინაშე (ამ დროისათვის ეროვნული საბჭო 113 წევრისგან შედგებოდა: მათ შორის იყო 65 სოციალ-დემოკრატი, 16 სოციალისტ-ფედერალისტი, 16 ეროვნულ-დემოკრატი, 12 სოციალისტ-რევოლუციონერი).

დროებით კოალიციურ მთავრობაში შედიოდნენ: 1. მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი (სოციალ-დემოკრატი); 2. საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატი); 3. სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე (სოციალ-დემოკრატი); 4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული (ეროვნულ-დემოკრატი); 5. სახალხო განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი); 6. მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი ნოე ხომერიკი (სოციალ-დემოკრატი); იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი); 8. გზათა მინისტრი ივანე ლორთქიფანიძე (სოციალისტ-რევოლუციონერი). მთავრობის წევრები დარბაზში იმყოფებოდნენ, გარდა აკაკი ჩხენკელისა, რომელიც საზავო დელეგაციის შემადგენლობაში იყო.

დროებითი მთავრობის სამოქმედო დეკლარაცია

დროებითმა მთავრობამ თავის სამოქმედო გეგმა ეროვნულ საბჭოს შექმნიდან საკმაოდ გვიან, 15 ივნისს წარუდგინა („ერთობა", 16 ივნისი 1918 წ., N 123, გვ.2). მთავრობის დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ „რესპუბლიკის მთავრობის პირველ შემადგენლობას მე-

ტად რთულ და მწვავე პირობებში დაეკისრა ქვეყნის მართვა-გამგეობა“. ასეთ პირობებში „მთავრობა თავის მოვალეობად რაცხს დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დემოკრატიული წყობილება ყოველნაირ გარეშე და შინაურ საფრთხისგან“. მთავრობის დეკლარაციაში წარმოდგენილი იყო ერთი მხრივ ის, რაც მთავრობამ გააკეთა თავისი საქმიანობის ორ კვირაზე ცოტა მეტი დროის განმავლობაში, მეორე მხრივ კი უფრო მეტად ის, რის გაკეთებასაც აპირებდა სამომავლოდ.

მთავრობა თავის მთავარ მოვალეობად მიიჩნევდა საქართველოს გამოყვანას „მსოფლიო ომის ქარტეხილიდან“; ასევე ხელი უნდა შეეწყო „რესპუბლიკური წეს-წყობილების დამყარებისათვის“ და „დიდის რევოლიუციით მოპოებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა საბოლოოდ განმტკიცებას“. მთავრობის საქმიანობის უპირველესი საგანი იყო „გარეშე საფრთხის თავიდან აცილება“, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობას ემუქრებოდა. ამ მიზნით 28 მაისს ფოთში გაფორმდა ხელშეკრულება, „რომლის თანახმად, გერმანიის მთავრობამ აღგვითქვა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და მისი ტერიტორიის ხელუხლებლობის დაცვა“. 4 ივნისს ბათუმში ზავი დაიდო ოსმალეთთან. მთავრობა აღნიშნავდა ზავის მძიმე პირობებს, ამავე დროს ეს იყო „პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობათა დასამყარებლად“. იქვე აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მთავრობა „მოწადინებულია კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს კავკასიის რესპუბლიკებთან და ერებთან“.

ახალი დემოკრატიული წყობილების განსამტკიცებლად მთავრობა აპირებდა ზომების მიღებას. საერობო თვითმმართველობის დაჩქარებით შემოღებას, სასამართლოს და სკოლის გარდაქმნას, სავალდებულო უფასო პირველდაწყებითი სწავლა-განათლების შემოღებას. მთავრობა ასევე აცხადებდა, რომ „ის ეცდება ახლო მომავალში მოწვეული იქნას სრულ დემოკრატიულ საფუძველზე საქართველოს დამფუძნებელი კრება ნორჩ რესპუბლიკისათვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად და სახელმწიფო საქმეების მოსაწესრიგებლად“.

მთავრობა გეგმავდა დასავლური ყაიდის რეგულარული არმიის შექმნას, ფინანსური მეურნეობის მოწესრიგებას, საკუთარი ფულის მოჭრას. ამ „რთული საქმის მოწესრიგებამდე“, მთავრობა აპირებდა ზომების მიღებას „შინაური და გარეშე სესხის ასაღებად“; პროგრესული გადასახადის შემოღებას, აგრარული რეფორმის განხორციელებას, „ყოველგვარი მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად აღიარებას“, ნედლეულის ექსპორტზე სახელმწიფო კონტროლის დამყარებას, სოციალური კანონმდებლობის განვითარებას.

მთავრობის დეკლარაციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეროვნულ უმცირესობებს. დეკლარაციაში აღნიშნული იყო: „მთავრობა თავის მოვალეობად მიიჩნევს ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული ის დებულება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი“.

მთავრობის განცხადებით „დიდის რევოლიუციით მოპოებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა განხორციელებას“ ხელს უშლიდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არსებული ანარქიული ვითარება და აუცილებელი იყო სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცება. დეკლარაციაში ხაზგასმული იყო, რომ „ამ მიზნისათვის საჭიროა დამყარდეს ერთი ძლიერი მთავრობა, ეროვნული საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი, რომლის გვერდით, როგორც ეს რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა უკვე აღიარეს, არ უნდა იდგეს არც ერთი, მთავრობის უფლებებით აღჭურვილი ორგანო“.

მთავრობა ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით

მთავრობის მიერ წარდგენილ დეკლარაციას ორი დღის განმავლობაში განიხილავდა ეროვნული საბჭო და საბოლოო ჯამში, მხარი დაუჭირა; თუმცა მთავრობა სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა და ეს საზოგადოების განწყობაზეც აისახებოდა. ვრცელდებოდა ხმები მთავრობაში მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე. ერთი მხრივ, ზოგი მოელოდა, რომ დამყარდებოდა „სოციალისტური დიქტატურა ბ-ნ ნოე ჟორდანიას მეთაურობით, რომელშიაც წითელ გვარდიის ხელმძღვანელები შევლენ“, მეორე მხრივ „დაჟინებით ამტკიცებენ, რომ უკვე გადაწყვეტილია ნამდვილი სახელმწიფოებრივი უპარტიო კაბინეტის შედგენა“ („საქართველო“, 23 თიბათვის 1918, N 124, გვ.2).

დროებითმა მთავრობამ 26 მაისს დამტკიცებული შემადგენლობით დაახლოებით ერთ თვეს იარსება. 24 ივნისს მთავრობის თავმჯდომარის ადგილი ნოე ჟორდანიამ დაიკავა, ნოე რამიშვილი კი დარჩა შინაგან საქმეთა მინისტრად. მასვე დაევალა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულება აკაკი ჩხენკელის გერმანიაში ყოფნის გამო. მთავრობაში მინისტრები არ შეცვლილა.

რატომ შეიცვალა მთავრობის თავმჯდომარე? ერთი ვერსიით, ნოე ჟორდანია როგორც ყველაზე ავტორიტეტული ფიგურა, მთავრობას სათავეში ჩაუდგა მისი ავტორიტეტის გასაძლიერებლად და იმის საჩვენებლად, რომ რევოლუციის შემდეგ შექმნილი ორგანოები მთავრობას უნდა დაქვემდებარებოდნენ. „ახალი სამინისტროს მეთაური ნოე ჟორდანია ყველა რევოლუციონური ორგანიზაციების მთავრობის სათავეში თავის მოყრას გვპირდება“, – წერდა გაზეთი „საქართველო“ („საქართველო“, თიბათვის 26, 1918, N 125, გვ.1). ნოე ჟორდანია იყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ლიდერი.

სხვა ვერსიის მიხედვით ნოე რამიშვილი „აშკარად გადახრილი იყო წმინდა ბურჟუაზიული პლატფორმისაკენ“. ეს არ სიამოვნებდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს და პირველ რიგში ნოე ჟორდანიას (სარგის კაკაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921. თბ., „ნეკერი“, 2003, გვ. 249).

დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ შეიქმნა ერთპარტიული, სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. რატომ გახდა მთავრობა ერთპარტიული? სარგის კაკაბაძის აზრით, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატებიც მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ „სახელმწიფოებრივ შემოქმედებითი მუშაობისათვის“ და „ორივე პარტია ცდილობდა თავიანთ ხელში მიღებული უწყებანი გამოეყენებინა ვიწრო პარტიული მიზნებისათვის“ (სარგის კაკაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921. თბ., „ნეკერი“, 2003, გვ. 250).

მთავრობა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში მთავრობის უფლებამოსილება განსაზღვრული იყო მე-5 თავში – „აღმასრულებელი ხელისუფლება“ (მუხლი 66-75). კონსტიტუციის თანახმად, უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა რესპუბლიკის მთავრობას. მთავრობას ჰყავდა თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევდა პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეული ყოფილიყო ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მთავრობის დანარჩენ წევრებს – მინისტრებს იწვევდა მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ.

მთავრობის წევრს ეკრძალებოდა იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობის დაკავება ან პროფესიული საქმიანობა. მას შეეძლო ყოფილიყო იმავდროულად მხოლოდ პარლამენტის წევრი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსანი.

1921 წლის კონსტიტუცია განსაზღვრავდა მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილებასაც. მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭებოდა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა; იგი ნიშნავდა ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებოდნენ მასთან.

განსაკუთრებულ გარემოებაში, თუკი მთავრობის დადგენილების გამოტანა რაიმე მიზეზით ბრკოლდებოდა, მთავრობის თავმჯდომარეს შეეძლო გამოეწვია რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენებოდა პარლამენტს.

თავმჯდომარეს შეეძლო გამოეცა ბრძანება და განკარგულება კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა ჰქონდა კანონის მოქმედება შეეჩერებინა, ან მისი შესრულება დაებრკოლებინა. მთავრობის თავმჯდომარეს შეეძლო თავის განკარგულებით დაენიშნა მმართველობის ამა თუ იმ დარგის, ადგილის ან მოვლენის რევიზია. მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდა მოადგილე, რომელიც ასრულებდა მის მოვალეობას მთავრობაში.

მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, უნდა დამორჩილებოდა პარლამენტის დადგენილებას და შეესრულებინა იგი. პარლამენტის მოთხოვნით უნდა გამოეცვალა ცალკე მინისტრი ან შეეცვალა მთელი კაბინეტი.

1921 წლის 17 მარტს დამფუძნებელმა კრებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე ბათუმში, მთავრობა საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვა და მან ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით ემიგრაციაში გააგრძელა არსებობა. მისი ამოცანა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიღწევა იყო.

დედაქალაქი – დამოუკიდებლობის გამოცხადების ადგილი

მიუხედავად იმისა, რომ სასურველია დამოუკიდებლობის აქტი გამოცხადდეს მომავალი სახელმწიფოს ისტორიულ, პოლიტიკურ ან სიმბოლურ დედაქალაქში, ხშირად სამხედრო, პოლიტიკური ან სხვა მიზეზების გამო, ეს შეუძლებელია. რიგ შემთხვევებში, დეკოლონიზაციის დროს, დროებითი მთავრობები და დამოუკიდებლობის აქტები ცხადდებოდა არა თავად კოლონიის დედაქალაქში, არამედ ემიგრაციაში ან სხვა ქალაქში.

უმეტეს შემთხვევაში, დამოუკიდებლობის აქტი ცხადდება ქალაქში, რომელიც უკვე დე ფაქტო პოლიტიკური ცენტრიც არის. საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა თბილისში, საქართველოს ისტორიულ დედაქალაქში, რომელიც ამავე დროს იყო სამხრეთ კავკასიის უმსხვილესი ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი.

სხვა ქვეყნების მაგალითებს თუ ვნახავთ, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღეს ფილადელფიაში, რომელიც იმ დროს იყო ამერიკული კოლონიების მთავარი პოლიტიკური ცენტრი.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქში, საქართველოს გარდა დამოუკიდებლობა გამოაცხადა ფინეთმა (ჰელსინკში), ლიეტუვამ (ვილნიუსში, თუმცა გერმანული ოკუპაციის პირობებში), პოლონეთმა (ვარშავაში, მას შემდეგ რაც გერმანია დამარცხდა).

დამოუკიდებლობის გამოცხადება არის პოლიტიკური და იურიდიული აქტი. მას აცხადებენ იქ, სადაც ახალი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს შეუძლია უსაფრთხოდ შეკრება და სადაც მიღებული გადაწყვეტილება მოიპოვებს უდიდეს შიდა და საერთაშორისო ლეგიტიმაციას. შესაბამისად, ეს ყოველთვის არ ემთხვევა მომავალ დედაქალაქს. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ შექმნილ სახელმწიფოებში დამოუკიდებლობის გამოცხადების ადგილი ხშირად განისაზღვრებოდა სამხედრო უსაფრთხოებითა და პოლიტიკური მიზანშეწონილობით.

თბილისი 1918 წელს იყო ამიერკავკასიის სეიმის ცენტრი. ერევანი და ბაქო 1918 წლის მაისის ბოლოს ჯერ კიდევ ქაოსში (ბაქო ბოლშევიკების ხელში იყო) ან საფრთხის ქვეშ იყვნენ (ერევანს ოსმალების შეჭრა ემუქრებოდა), ამიტომ სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობის აქტები თბილისში მიიღეს, რომელიც შედარებით უსაფრთხო და მოქმედი ადმინისტრაციული ცენტრი იყო.

ე
ევროპული ორიენტაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში საქართველოს ევროპული ორიენტაცია მკაფიოდ ჩანდა მის მიერ დეკლარირებულ სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებში. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ფუძემდებლებისთვის მისაღები იყო და დამოუკიდებლობის აქტში ასახეს ის ღირებულებები და პოლიტიკური მოდელი, რომელიც იმ დროისათვის დასავლური სამყაროსთვის იყო დამახასიათებელი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ძირითადი მუხლები პირდაპირ მიუთითებდა დასავლურ პოლიტიკურ მოდელზე. დამოუკიდებლობის აქტის მე-2 მუხლი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად აცხადებდა. ეს მკაფიო განაცხადი ნიშნავდა მონარქიის და ავტოკრატიის უარყოფას, რაც ევროპული სახელმწიფოს მოწყობის პროგრესულ ფორმად ითვლებოდა.

დამოუკიდებლობის აქტის მე-5 მუხლი აცხადებდა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თანასწორად იქნებოდა უზრუნველყოფილი ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. ამ მუხლში განსახიერებული იყო ევროპული ლიბერალიზმისა და დემოკრატიის ქვაკუთხედი. აღსანიშნავია, რომ სქესის მიუხედავად თანასწორობის დეკლარირება განსაკუთრებით პროგრესული იყო და იმ დროისათვის ბევრ დასავლურ ქვეყანასაც კი უსწრებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-6 მუხლი აცხადებდა, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს“. ეროვნული უმცირესობების უფლებების უზრუნველყოფა ევროპული კონსტიტუციონალიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, განსაკუთრებით მრავალეთნიკური იმპერიების დაშლის შემდეგ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დამოუკიდებლობის აქტის მე-3 მუხლი: „სართაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“. შეიძლება ითქვას, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადებით საქართველო უარს ამბობდა მონაწილეობა მიეღო იმპერიულ

სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში მონაწილეობაზე და ცდილობდა თავი დაემკვიდრებინა ევროპული ნეიტრალური ქვეყნების (მაგალითად, შვეიცარია) რიგებში.

ამრიგად, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტმა საქართველოს სახელმწიფო დააფუძნა დასავლური დემოკრატიის იდეალებზე: სახელმწიფო სუვერენიტეტი, დემოკრატია, თანასწორობა, უმცირესობათა უფლებები და მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა.

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე დაფუძნდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. ეს იყო დეტალური და თანმიმდევრული სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ევროპული დემოკრატიის მოწინავე პრინციპებს აკანონებდა.

ერთა თვითგამორკვევის უფლება და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

1918 წელს, როდესაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ერთა თვითგამორკვევის უფლება ჯერ კიდევ არ იყო საერთაშორისო სამართლის იურიდიულად სავალდებულო ნორმა ან კლასიკური გაგებით აღიარებული უფლება. ერთა თვითგამორკვევის უფლება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპად იქცა მოგვიანებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში (1945 წ.) და შემდგომ საერთაშორისო პაქტებში განმტკიცდა. თუმცა, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ეს პრინციპი, მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი იურიდიული ნორმის სტატუსი არ ჰქონდა, უკვე აქტიურად იყო გაჟღერებული და მნიშვნელოვან პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დოქტრინას წარმოადგენდა, რამაც უშუალო გავლენა მოახდინა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პროცესებზე.

1918 წლის იანვარში აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა გამოაქვეყნა თავისი 14 პუნქტი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ეს პუნქტები მკაფიოდ მოიცავდა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპს (მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის ყოფილ იმპერიაში შემავალ ერებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებაზე). ეს უკვე იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური განაცხადი ერთა თვითგამორკვევის უფლების მხარდასაჭერად.

აღსანიშნავია ბოლშევიკური რუსეთის პოზიციაც. ერთა თვითგამორკვევის პრინციპი სოციალ-დემოკრატების საპროგრამო დებულებას წარმოადგენდა, ვ. ლენინი და ბოლშევიკები აქტიურად იყენებდნენ ერთა თვითგამორკვევის იდეას, როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტს ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, თუმცა სრულიადაც არ აპირებდნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის რეალურად გამოყენებას.

ერთა თვითგამორკვევის უფლების პოლიტიკური დოქტრინის გავლენით და მასზე დაყრდნობით 1918 წელს და მის შემდეგ დაარსდა მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც. თუმცა, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი პირდაპირ არ ახსენებდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას და იურიდიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით უპირატესობას ანიჭებდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის და ისტორიული ლეგიტიმაციის პრინციპებს.

საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი პირველ რიგში ემყარებოდა ძველ სახელმწიფოებრივ ტრადიციას. ხაზგასმული იყო, რომ „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო...“ და-

მოუკიდებლობის აქტის მთავარი გზავნილი იყო ის, რომ ქართველები კი არ ქმნიდნენ ახალ სახელმწიფოს, არამედ აღადგენდნენ მას. ეს ნიშნავდა, რომ საქართველოს უფლება სუვერენიტეტზე გამომდინარეობდა ისტორიიდან და არა უბრალოდ იმ მომენტში წარმოქმნილი ერთა თვითგამორკვევის უფლების დოქტრინიდან. დამოუკიდებლობის აქტის პირველივე სიტყვებიდან საქართველო ამტკიცებდა, რომ მას ჰქონდა ისტორიული სუვერენიტეტი. ისტორიულ სამართალზე მითითება უფრო მყარი არგუმენტი იყო ტრადიციული საერთაშორისო სამართლისათვის.

დამოუკიდებლობის აქტის ავტორებმა მიზანმიმართულად აარიდეს თავი „ერთა თვითგამორკვევის უფლების“ თაობაზე იმ დროს რადიკალური და საერთაშორისო დონეზე სადავო ფრაზის გამოყენებას და მის ნაცვლად გამოიყენეს უფრო „რბილი“ და კონსოლიდირებული ფორმულირება: „საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია“, რითაც მიაღწიეს მთავარ მიზანს – დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი პირდაპირ აცხადებდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა გამომდინარეობდა მისი ხალხის უმაღლესი ნებიდან. დამოუკიდებლობის აქტის 1-ლი მუხლი აცხადებდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. ეს პუნქტი ხალხის სუვერენიტეტს აცხადებს, რაც წარმოადგენს თვითგამორკვევის უმაღლეს ფორმას (ხალხი წყვეტს თავის ბედს და აყალიბებს სუვერენულ სახელმწიფოს). აქტის პირველი პუნქტი ხაზს უსვამს საქართველოს ხალხის სუვერენიტეტს და არა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების. დამოუკიდებლობის აქტის ავტორებმა ამჯობინეს ეთნიკურ თვითგამორკვევაზე მეტად ხაზი გაესვათ „საქართველოს ხალხის“ სუვერენულ უფლებებზე. ამით მათ ლეგიტიმაცია მიანიჭეს არსებული სახელმწიფო ერთეულის (ისტორიული საქართველო) დამოუკიდებლობას, როგორც რუსეთის იმპერიისგან გამოყოფილ, უკვე ჩამოყალიბებულ ერს. მე-2 მუხლში კი ნათქვამი იყო: „დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“. ეს ნიშნავს, რომ თვითგამორკვევის შედეგად არჩეულია მმართველობის დემოკრატიული ფორმა, რაც ასევე თვითგამორკვევის უფლების განხორციელებაა.

ამ მუხლების მთავარი გზავნილი გასაგებია. „ხალხის სუვერენიტეტის“ ცნება იმდროინდელ კონტექსტში იყო თვითგამორკვევის პოლიტიკური ეკვივალენტი. ის გულისხმობდა, რომ ქართველი ერი, როგორც უმაღლესი ძალა, თავად წყვეტდა თავის ბედს, რაც სრულიად აკმაყოფილებდა საერთაშორისო საზოგადოებისათვის საჭირო პირობას. ამავე დროს აქცენტი კეთდებოდა დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, როგორც ხალხის სუვერენიტეტის ყველაზე სრულყოფილ გამოხატულებაზე და სახელმწიფო მოწყობის თანამედროვე და პროგრესულ ფორმაზე.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში პირდაპირ არ იყო ნახსენები ერთა თვითგამორკვევის უფლება და ამას თავისი პრაგმატული (პოლიტიკური მიზანშეწონილობის) მიზეზები ჰქონდა.

ჯერ ერთი, გასათვალისწინებელი იყო „შიდა“ ფაქტორები. 1918 წელს, თვითგამორკვევის პრინციპი, განსაკუთრებით მრავალეთნიკურ კავკასიაში ორაზროვანი და სახიფათო იყო. დამოუკიდებლობის აქტში თუ პირდაპირ იქნებოდა გამოყენებული „თვითგამორკვევის უფლება“, ამით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა გარკვეულ ჯგუფებს (რომლებიც რუსეთის ან ოსმალეთის მხრიდან წაქეზებული იყვნენ და მხარდაჭერით სარგებლობდნენ) „არგუმენტი“ გაუჩნდებოდათ სეპარატიზმისთვის. საქართველოს იმ-

დროინდელი პოლიტიკური ელიტა ცდილობდა ისტორიული საზღვრების ფარგლებში ერთიანი, მულტიკულტურული პოლიტიკური ნაციის შექმნას. დამოუკიდებლობის აქტი ხაზს უსვამდა, რომ საქართველოს რესპუბლიკა თანასწორად უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა (მუხლი 5) და განვითარების თავისუფალ ასპარეზს უხსნიდა მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს (მუხლი 6).

მეორეც, გასათვალისწინებელი იყო საერთაშორისო აღიარების საკითხიც. 1918 წელს, საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად, ქართული პოლიტიკური ელიტა ცდილობდა დამოუკიდებლობის აქტი ისე შეედგინა, რომ არ გამოეწვია დიდი იმპერიების (განსაკუთრებით გერმანიის და, სამომავლოდ, ანტანტის ქვეყნების) წინააღმდეგობა. გერმანია, რომელთანაც საქართველო იძულებული იყო მფარველობის შესახებ შეთანხმება მიეღწია, არ იყო დაინტერესებული „ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე“ აპელირებით, რასაც შეეძლო მისი ან მისი მოკავშირეების (ოსმალეთის) ინტერესების დაზიანება.

გარდა დიდი სახელმწიფოების იმპერიული ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობისა, ანგარიშგასაწევი იყო ისიც, რომ „თვითგამორკვევის“ არგუმენტს საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები (სომხეთი, აზერბაიჯანი) ხშირად ტერიტორიული პრეტენზიების საფუძვლად იყენებდნენ.

„სუვერენიტეტის“ და „დემოკრატიული რესპუბლიკის“ ხსენება იმ დროის საერთაშორისო სამართლისათვის საკმარისი და მკაფიო არგუმენტი იყო, ვიდრე აბსტრაქტული „თვითგამორკვევა“. მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის აქტში არ არის გამოყენებული ფრაზა „ერთა თვითგამორკვევის უფლება“, მისი შინაარსი და არსი პირდაპირ გამომდინარეობდა ამ პრინციპიდან. ის არის ქართველი ერის მიერ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის აქტი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შინაარსი და მისი დანიშნულება სწორედ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზაცია იყო. დამოუკიდებლობის აქტი პრაქტიკულად ემყარება ხალხის სუვერენიტეტისა და თვითგამორკვევის იდეას, თუმცა სხვა ფორმულირებით.

ერი სახელმწიფოს კონცეფცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი მჭიდრო კავშირშია ერი-სახელმწიფოს (Nation-state) კონცეფციასთან, რომელიც დომინირებდა XX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით იმპერიების დაშლის შემდეგ.

ერი-სახელმწიფოს კონცეფცია გულისხმობს, რომ ერი (რომელიც გაერთიანებულია საერთო ენით, კულტურით, ისტორიითა და იდენტობით) ქმნის და აკონტროლებს საკუთარ სახელმწიფოს, სადაც სუვერენული ძალაუფლება სწორედ ამ ერს ეკუთვნის.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ამ პრინციპებს შემდეგნაირად ასახავს: აქტის პირველივე პუნქტი აცხადებს – „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ერთადერთი წყარო ქართველი ერი (ხალხი) ხდება, რომელიც აღადგენს საუკუნის წინ დაკარგულ სახელმწიფოებრიობას. ეს იყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენა – დამოუკიდებლობის აქტში ხაზგასმულია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებელი არსებობის ტრადიცია, რომე-

ლიც რუსეთის იმპერიამ გააუქმა. დამოუკიდებლობის გამოცხადება განიხილება, როგორც ერის უფლების აღდგენა, ჰქონდეს საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე შექმნილი საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის აქტის მიზანი იყო ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, ის არა მხოლოდ ეთნიკური, არამედ მოქალაქეობრივი ერი-სახელმწიფოს მოდელს გვთავაზობდა. დამოუკიდებლობის აქტის მეორე პუნქტით საქართველოს პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა დადგინდა. ეს გულისხმობს ხელისუფლების ლეგიტიმურობას ხალხის ნებით. დამოუკიდებლობის აქტის მე-5 და მე-6 პუნქტები თანასწორობას უზრუნველყოფდა: სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; განვითარების თავისუფალ ასპარეზს უხსნიდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერს. ეს ელემენტები მიუთითებს იმაზე, რომ 1918 წლის საქართველოს პოლიტიკური ელიტა ცდილობდა ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომელიც არ იქნებოდა ეთნიკურად ექსკლუზიური, არამედ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ერის – საქართველოს ყველა მცხოვრების, როგორც თანასწორი მოქალაქეების, სახელმწიფო.

საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი არის ქართველი ერის თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია და ერი-სახელმწიფოს შექმნის იურიდიული საფუძველი, სადაც სუვერენული ძალაუფლება ერს ეკუთვნის. ამასთან, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, განსხვავებით იმ პერიოდის რიგი სხვა ეროვნული სახელმწიფოებისა, საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიულ, სამოქალაქო მოდელს, რომელიც ეთნიკური უმცირესობების უფლებებსაც უზრუნველყოფდა.

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტმა საფუძველი ჩაუყარა ერი-სახელმწიფოს დემოკრატიულ მოდელს. ეს პრინციპები ყველაზე სრულად და დეტალურად აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, რომელიც მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში ერთ-ერთ პროგრესულ დოკუმენტად მიიჩნევა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია აერთიანებდა ეროვნული სუვერენიტეტის (ქართველი ერის თვითგამორკვევა) და ლიბერალური დემოკრატიის / მოქალაქეობრივი თანასწორობის პრინციპებს.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია განამტკიცებდა ეროვნულ სახელმწიფოს. კონსტიტუცია აფიქსირებდა, რომ საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო და მისი უცვლელი პოლიტიკური ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. ქართული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად, რაც ეროვნული იდენტობისა და სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო. კონსტიტუციის მთავარ პრინციპებად ორი ფუნდამენტური ღირებულება – ერისა და პიროვნების თავისუფლება გამოცხადდა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია გამორჩეული იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მხრივ. გამოცხადდა კანონის წინაშე მოქალაქეთა სრული თანასწორობა და წოდებრივი განსხვავებების აკრძალვა. კონსტიტუციამ აღიარა ორივე სქესის მოქალაქეთა თანასწორობა როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო ურთიერთობებში. კონსტიტუციით უზრუნველყოფილი იყო სიტყვის, პრესის, შეკრების, გაერთიანების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.

1921 წლის კონსტიტუციამ ჩამოაყალიბა ეროვნული უმცირესობების უფლებების უნიკალური მოდელი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო კონსტიტუციის ყველაზე პროგრესული ასპექტი ერი-სახელმწიფოს კონტექსტში. ეროვნული უმცირესობების უფლებებს კონსტიტუცი-

ის მთელი მე-14 თავი ეთმობა: ა/ კულტურული და ეკონომიკური განვითარება – აიკრძალა საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შეზღუდვა; ბ/ უმცირესობებს უფლება მიეცათ დედაენით სწავლა-აღზრდის; გ/ გათვალისწინებული იყო ეროვნულ-კულტურული ავტონომია – ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა; დ/ეროვნულ უმცირესობათაგან შემდგარ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) მიეცათ უფლება, შეერთებულიყვნენ და დაეარსებინათ ეროვნული კავშირები კულტურის ინტერესების დასაცავად.

საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტით გაცხადებული ერი-სახელმწიფოს იდეალი, 1921 წლის კონსტიტუციაში გარდაიქმნა იურიდიულ დოკუმენტად, რომელიც დემოკრატიის ქოლგის ქვეშ ცდილობდა დაებალანსებინა ეროვნული ერთიანობა და ეთნიკური მრავალფეროვნება. 1921 წლის კონსტიტუციამ ერი-სახელმწიფოს კონცეფცია განსაზღვრა როგორც დემოკრატიული, სეკულარული და მოქალაქეებზე დაფუძნებული რესპუბლიკა, რომელიც ერთი მხრივ სუვერენიტეტს უბრუნებდა ქართველ ერს (ერის თავისუფლება); მეორე მხრივ კი უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის თანასწორობასა და უმცირესობების ფართო უფლებებს.

ეროვნული მთავრობა

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ვრცელ ისტორიულ დანართში აღნიშნულია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული საბჭოს მიერ შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა „ცნობილ უნდა იქმნას, როგორც ეროვნული მთავრობა, რომლის ავტორიტეტი და უფლება ყოველ ეჭვს გარეშეა“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ.10).

რას ნიშნავს ეროვნული მთავრობა? თუ საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის კონტექსტში განვიხილავთ, ეროვნული მთავრობა არის ის აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ერის (ხალხის) სუვერენული ნების საფუძველზეა შექმნილი და მთელი ერის ინტერესებს წარმოადგენს.

ეროვნული მთავრობა მკვეთრად უპირისპირდება იმპერიული ან ოკუპანტი ძალის მიერ დანიშნულ ადმინისტრაციას. 1918 წელს საქართველოს ეროვნული მთავრობის შექმნა ნიშნავდა, რომ მთავრობა არ იყო დანიშნული რომელიმე უცხო ძალის ან ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ. მისი ძალაუფლება გამომდინარეობდა ქართველი ერის მიერ არჩეული ეროვნული საბჭოდან. ეს იყო პირველი შემთხვევა 1801 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყანას ჰყავდა მთავრობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სუვერენულ უფლებამოსილებას ახორციელებდა და ამ უფლებას უცხო ძალისგან კი არა, ქართველი ერისგან იღებდა.

საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი ითვალისწინებდა, რომ მმართველი ეროვნული საბჭო უნდა შევსებულიყო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებით. ეს ნიშნავდა, რომ მთავრობა ლეგიტიმურობას იღებდა არა მხოლოდ ეთნიკური ქართველებისგან, არამედ საქართველოს პოლიტიკური ერის ყველა შემადგენელი ნაწილისგან.

დამოუკიდებლობის აქტის მიღება ნიშნავდა რუსეთის იმპერიის მმართველობისგან განთავისუფლებას და საკუთარი, ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული ხელისუფლების

დამკვიდრებას. ანუ საქართველოს იმ კონკრეტულ შემთხვევაში ეროვნული მთავრობა ნიშნავდა მთელი ერის ინტერესების გამომხატველ ხელისუფლებას, რომელიც სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობების, ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის ფაზაში იყო შექმნილი.

ეროვნული მთავრობა აერთიანებს ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას, მათ შორის მმართველ პარტიასა და ოპოზიციის ნაწილს. ეროვნული მთავრობის მთავარი ამოცანაა პარტიული ინტერესების გვერდზე გადადება და სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ეროვნული საკითხების გადაჭრა, რაც ფართო პოლიტიკურ კონსენსუსს საჭიროებს. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შექმნილი მთავრობა კოალიციური იყო, წარმოადგენდა მთელ პოლიტიკურ სპექტრს და არა მხოლოდ ერთ პარტიულ ჯგუფს. სწორედ ეს ფაქტორი აძლევდა მას „ეროვნულ“ ანუ „მთელი ერის“ მთავრობის სტატუსს.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შექმნილი დროებითი მთავრობის გამოცხადება ეროვნულ მთავრობად ნიშნავდა, რომ საქართველო გადადიოდა კოლონიური დაქვემდებარებიდან საკუთარი ერის მიერ შექმნილ და კონტროლირებად, ფართო წარმომადგენლობის მქონე ლეგიტიმურ ხელისუფლებაზე, სანამ ერის მიერ არჩეული ორგანო (დამფუძნებელი კრება) მთავრობის კონსტიტუციურ სტატუსს არ დაადგენდა.

ერთა თვითგამორკვევის უფლება და ბოლშევიკები

ბოლშევიკების (კომუნისტების) და მათი ლიდერის ვლადიმერ ლენინის პოზიცია ერთა თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით ორაზროვანი იყო და ტაქტიკური პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენებოდა.

ლენინი და ბოლშევიკები თეორიულად აღიარებდნენ ერების თვითგამორკვევის უფლებას, გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების ჩათვლით. მათი განცხადებით რუსეთის იმპერია „ერების საპყრობილეს“ წარმოადგენდა და ამ ლოზუნგით ცდილობდნენ არარუსი ხალხების მხარდაჭერის მოპოვებას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და სამოქალაქო ომის დროს. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გამოსცა დეკრეტი „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“ (1917 წლის ნოემბერი), რომელშიც აღიარა რუსეთის ხალხების თანასწორობა და სუვერენობა; ასევე ამ ხალხების თვითგამორკვევის უფლება სრული გამოყოფის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით.

რუსი ბოლშევიკების მიერ ერთა თვითგამორკვევის უფლების საჯაროდ დეკლარირება გამოყენებულია საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ვრცელ ისტორიულ დამატებაში: აღნიშნულია, რომ რუსეთის მთავრობამ „ოფიციალური დეკრეტებით მიიღო პრინციპები – რომელთა მიხედვით ყოველ ერს აქვს სრული უფლება ამოირჩიოს ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, როგორიც მას სურს და თვით რუსეთსაც კი გამოეყოს თუ ამას მოისურვებს“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ.11). შესაბამისად, საქართველოს ამ დეკლარაციის ძალითაც შეეძლო დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ბოლშევიკების პრაქტიკა კი მკვეთრად განსხვავდებოდა თეორიული განცხადებებისგან. ერთა თვითგამორკვევის უფლებას ბოლშევიკების უმრავლესობა, მათ შორის ლენინიც უყურებდა როგორც დროებით, ტაქტიკურ ლოზუნგს, რომელიც სოციალისტური რევოლუციის მიზნებისთვის იყო საჭირო. ლენინს და მის თანამოაზრეებს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის იმედი ჰქონდათ და მიაჩნდათ, რომ კომუნიზმის დროს (რის მალე აშენებასაც ვარაუდობდნენ) ერები და სახელმწიფოები საერთოდ აღარ იარსებებდნენ. ამიტომ ერთა თვითგამორკვევის უფლება მიაჩნდათ დროებით, „გარდამავალ“ ეტაპად. ბევრი ბოლშევიკი ლიდერი (პიატაკოვი, ბუხარინი) ღიად აცხადებდა, რომ ეს პრინციპი მხოლოდ პოლიტიკური თამაში იყო და სერიოზულად არ აღიქვამდნენ.

მიუხედავად ერთა თვითგამორკვევის დეკლარირებული უფლებებისა, ბოლშევიკური რუსეთი აქტიურად ერეოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, ეწეოდა მათ საწინააღმდეგო აგიტაციას და წითელ არმიას იყენებდა მათ დასაპყრობად და მარიონეტულ საბჭოთა რესპუბლიკებად გადასაქცევად, რაც შემდეგ ერთიანი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის შექმნით დასრულდა. შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკებმა ერთა თვითგამორკვევის უფლება იდეოლოგიური იარაღის სახით გამოიყენეს, რათა დაეშალათ რუსეთის იმპერია, მოეპოვებინათ სხვა ერების მხარდაჭერა და შემდეგ „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ლოზუნგით ახალი, ცენტრალიზებული სახელმწიფო შეექმნათ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელისუფლების სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ ბოლშევიკების მიერ გამოცხადებული „ერთა თვითგამორკვევის უფლება“ მხოლოდ დეკლარირებული ლოზუნგი იყო, რომელიც სინამდვილეში არ სრულდებოდა და გამოიყენებოდა საბჭოთა რუსეთის ინტერესებისთვის. კერძოდ, ბოლშევიკები ამ ლოზუნგს იყენებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების დისკრედიტაციისთვის, მეზობელ ქვეყნებში შიდა არეულობის მოსაწყობად და მარიონეტული საბჭოთა რეჟიმების შესაქმნელად.

ბოლშევიკებსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის ერთა თვითგამორკვევის უფლების გარშემო იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობდა. ბოლშევიკები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას ერთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზებად არ მიიჩნევდნენ, მას „ეფემერულ სუვერენობად“ აცხადებდნენ და ადანაშაულებდნენ ქვეყნის სათავეში მდგომ სოციალ-დემოკრატებს, რომ ამით „ჩამოსცილდნენ რევოლუციის და სოციალიზმის გზას“, რომ „რევოლუციის წინააღმდეგ მათ აღმართეს ნაციონალური სახელმწიფოებრივობის კედელი“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ბოლშევიკური ცარიელი ლოზუნგების საპირისპიროდ, ცდილობდა ეჩვენებინა პრაქტიკული დემოკრატია და ეროვნული პლურალიზმი. ბოლშევიკების საპირისპიროდ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შემოიღო რეალური კანონმდებლობა ეროვნული უმცირესობების უფლებების დასაცავად. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოზე იყო ამ იდეოლოგიური კონფლიქტის საბოლოო გამოხატულება, რომელმაც აჩვენა, რომ „ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგს“ ბოლშევიკები მხოლოდ თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებდნენ.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებები

„საქართველო თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალ განვითარებას“, – ჩაიწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს ეროვნული უმცირესობები შეადგენდნენ: სომხები, თურქულენოვანი მუსლიმები (იმდროინდელ დოკუმენტებში მათ „თათრებად“ მოიხსენიებენ, შემდეგ კი აზერბაიჯანელები ეწოდათ), რუსები, ბერძნები, აფხაზები, ოსები, გერმანელები. მათი ნაწილი ინტეგრირებული იყო ქართულ საზოგადოებაში, ნაწილი გაუცხოებული აღმოჩნდა ახლად აღდგენილ საქართველოს სახელმწიფოსგან და სეპარატისტულ ტენდენციებს ამჟღავნებდა, ეროვნულ უმცირესობათა ძირითადი ნაწილი კი იწყებდა ახალი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრებასთან შეჩვევას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალა (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები) თანხმდებოდა იმაზე, რომ ეროვნულ უმცირესობებს ფართო უფლებები უნდა მინიჭებოდათ და დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ უმცირესობათა ჩართვას საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ეს პირველ რიგში ითქმის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე, რომელიც ხელისუფლებაში იმყოფებოდა. „ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ გამომდინარეობდა ჩვენი პოლიტიკის დოქტრინიდან, მთელი ჩვენი წარსული მოღვაწეობიდან“, – აღნიშნავდა შემდგომ თავის მოგონებებში ნოე ჟორდანია (ჟორდანია ნ., 1990, გვ.104).

როგორ იყო დაცული ეროვნულ უმცირესობათა უფლებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში? ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სახელმწიფოს პოლიტიკაში. ამ პოლიტიკის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტმა და 1921 წლის კონსტიტუციამ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-5 მუხლი უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს თანასწორად, მიუხედავად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. მე-6 მუხლი განვითარების თავისუფალ ასპარეზს უხსნიდა მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ უმცირესობების წარმომადგენლობისთვის სპეციალური კვოტები დააწესა. 1918 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით ეროვნულ უმცირესობებს ეროვნულ საბჭოში 26 ადგილი გამოეყოთ.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეული იქნა ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებებისა და გარანტიების ჩამოყალიბება. 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები მიისწრაფოდნენ შეექმნათ უაღრესად დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც სხვა ქვეყნებისათვის სანიმუშო და მისაბაძი იქნებოდა. ასეთი სულისკვეთებით წყვეტდნენ ეროვნულ საკითხსაც. ასე მაგალითად, საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 26 თებერვლის სხდომაზე ა. ჩხენკელი აღნიშნავდა: „ჩვენ ვერავის მივბაძავთ, ვერსაიდან გადმოვიღებთ რასმე, რადგან არ არის ისტორიაში სათანადო, ჩვენი დამაკმაყოფილებელი მაგალითები; ეს კითხვა უნდა გადავჭრათ ჩვენი გონებით იმდენად საფუძვლიანად, რომ სხვისთვის გახდეს სამაგალითოდ“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 181, ფურც.126).

1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი იყო სახელმწიფოსა და ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების მჭიდრო კავშირის აღიარება და მა-

თი ჰარმონიული შეხამების ცდა. ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფა უდიდეს სახელმწიფოებრივ ინტერესად იყო მიჩნეული, მაგრამ ამავე დროს „უმცირესობამ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი რესპუბლიკაა და რაც ავნებს სახელმწიფოს, ავნებს მათაც“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 181, ფურც. 180).

საქართველოს სახელმწიფო უაღრესად დემოკრატიული იყო და არსებული კანონმდებლობით უზრუნველყოფდა ეროვნულ უმცირესობათა მნიშვნელოვან უფლებებსა და გარანტიებს. კერძოდ: 1. აღიარებული და უზრუნველყოფილი იყო ყველა მოქალაქის, განურჩევლად ეროვნებისა, თავისუფალი არსებობა და განვითარება როგორც სარწმუნოების საკითხში, ისე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების სფეროში; 2. არსებობდა პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც ხელს უწყობდა ყოველნაირ უმცირესობას თავისი უფლებების დაცვის საქმეში; 3. ეროვნულ უმცირესობათა ენების უფლებები სავსებით დაცული იყო ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სასამართლოში; უმცირესობათა ენა გამოიყენებოდა ეროვნულ საბჭოში და პარლამენტშიც. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო კომისიამ საჭიროდ მიიჩნია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ცალკე თავად შეტანა კონსტიტუციაში.

პავლე საყვარელიძე აღნიშნავდა, რომ საქართველოში უკვე ბევრი რამ პრაქტიკულად იყო გაკეთებული ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად და, ამდენად, საკონსტიტუციო კომისიას მოუწევდა რიგ შემთხვევებში მხოლოდ დაეფიქსირებინა უკვე არსებული მდგომარეობა. ეროვნული უმცირესობების უფლებების საკონსტიტუციო გარანტიების განსაზღვრისას საკონსტიტუციო კომისიამ საჭიროდ მიიჩნია შეხვედროდა ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებს და მოესმინა მათი პოზიცია.

1921 წლის კონსტიტუციის მე-14 თავი მთლიანად ეთმობოდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს (მუხლები 129-137). კონსტიტუციის თანახმად, არ შეიძლებოდა შეზღუდულიყო ეროვნული უმცირესობების თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება. განსაკუთრებით აღინიშნა სწავლა-აღზრდისა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობის უფლება. ყველას შეეძლო ეწერა, ებეჭდა და ელაპარაკა დედა-ენაზე. ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში სწავლება ბავშვის სალაპარაკო ენაზე უნდა წარმართულიყო. ასევე ეროვნული უმცირესობებისგან შემდგარ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს შეეძლოთ ეროვნული კავშირების დაარსება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეების მოსაწყობად. ადგილობრივ მმართველობაში, სადაც ერთი ეროვნული უმცირესობა მოქალაქეთა 20%-ს აღემატებოდა, მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო ენასთან ერთად დედა-ენაზეც იყო დაშვებული.

1921 წლის კონსტიტუციით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა პირველი ქვეყანა გახდა მსოფლიოში, რომელმაც ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხი ასე დეტალურად და ყოვლისმომცველად გაწერა კონსტიტუციურ დონეზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ზემოთაღნიშნული დებულებები და პრაქტიკა, მიუხედავად რთული საერთაშორისო ვითარებისა, მაღალ დემოკრატიულ სტანდარტებს ასახავდა და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ეროვნული უმცირესობების უფლებების აღიარებისა და დაცვის თვალსაზრისით.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხი უაღრესად პროგრესული იყო იმდროინდელი საერთაშორისო სტანდარტების ფონზე და იმდროინდელი ევროპისთვისაც კი სამაგალითო იყო. თუმცა ეროვნულ უმცირესობებს შორის არსებობდა როგორც კმაყოფილება, ასევე კრიტიკა და უკმაყოფილება მი-

ნიჭებული უფლებებისა და მათი პრაქტიკაში განხორციელების მიმართ.

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები აფასებდნენ, რომ რესპუბლიკამ მათ კულტურული და ენობრივი ავტონომიის საკმაოდ ფართო უფლებები დაუდგინა, რაც რეგიონში იშვიათი მოვლენა იყო. უმცირესობები წარმოდგენილი იყვნენ ეროვნულ საბჭოში და დამფუძნებელ კრებაში, დაშვებული იყო უმცირესობათა ენის თავისუფალი გამოყენება სკოლებში, ადგილობრივი დონის საქმის წარმოებაში და კულტურულ ცხოვრებაში.

თუმცა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მხრიდან იყო კრიტიკა და უკმაყოფილებაც. ცალკეული ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლები, მათი პოლიტიკური მისწრაფებებიდან და კონკრეტულ რეგიონებში არსებული ისტორიული თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, სრულად კმაყოფილები არ იყვნენ და უფრო მეტი უფლების მოპოვების სურვილს გამოთქვამდნენ. ზოგიერთი ეროვნული ჯგუფის ნაწილი კულტურულ ავტონომიაზე მეტს, ანუ პოლიტიკურ ან ტერიტორიულ ავტონომიას ითხოვდა, რასაც საქართველოს ხელისუფლება სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, სრულად არ ეთანხმებოდა.

სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას უჭირდა კონტროლის სრულად დამყარება განაპირა კუთხეებში, რაც ზოგიერთი ეროვნული უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებასა და კონფლიქტებს იწვევდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის, ეკონომიკური პრობლემებისა და მუდმივი საგარეო საფრთხეების ფონზე, ზოგიერთი საკანონმდებლო დებულების (განსაკუთრებით, ეროვნულ-კულტურული ავტონომიის) პრაქტიკული და სრულფასოვანი განხორციელება შეფერხდა ან ვერ მოესწრო.

ესტონეთის დამოუკიდებლობის მანიფესტი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

დამოუკიდებელი ესტონეთის პირველი წლები

1918 წლის თებერვალში ესტონეთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა თავისებური „ძალთა ვაკუუმის“ პირობებში, რაც მცირე ხნით შეიქმნა საომარ მდგომარეობაში მყოფ ორ შეიარაღებულ ძალას შორის. სწორედ ამ ვაკუუმმა ესტონეთის ეროვნულ ძალებს საშუალება მისცა დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ესტონეთში ბოლშევიკები გაბატონდნენ, ესტონეთის ეროვნულმა საბჭომ (მააპიავი) თავი ესტონეთის უმაღლეს ხელისუფლებად გამოაცხადა და იატაკქვეშ გადავიდა. ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ, ბოლშევიკებს ესტონეთის სწრაფად დატოვება მოუხდათ, მაგრამ რეალური იყო გერმანული ოკუპაციის საფრთხე, რომელიც არ აპირებდა ესტონეთის დამოუკიდებლობის ცნობას.

1918 წლის თებერვალში მააპიავის უხუცესთა საბჭომ შექმნა ესტონეთის ხსნის კომიტეტი, რომელსაც მიანიჭა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება. სწორედ ამ კომიტეტმა მოამზადა და გამოაქვეყნა დამოუკიდებლობის მანიფესტი, შექმნა დროებითი მთავრობა.

ესტონეთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა ბოლშევიკების წასვლის შემდეგ (ჯერ 23 თებერვალს პიარნუში და 24 თებერვალს ტალინში), გერმანელების მოსვლამდე – 25 თებერვალს ტალინში გერმანიის ჯარები შევიდნენ. გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ არ აღიარა არც ესტონეთის დამოუკიდებლობა და არც დროებითი მთავრობა. ესტონეთის პირველი

დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ დამოუკიდებლობის თებერვლის დეკლარაცია წარმოადგენდა ეროვნული ნების გამოხატულებას და გადაიქცა ესტონეთის რესპუბლიკის საფუძვლად, რამაც საშუალება მისცა დაეწყო ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და 1920 წლის ტარტუს ზავით მიეღო საერთაშორისო აღიარება.

ესტონეთის დამოუკიდებლობის მანიფესტი

1918 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა ესტონელი ხალხების მანიფესტი (Manifest Eestimaa rahwastele), რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ესტონეთის რესპუბლიკის ფუძემდებლური პრინციპები: ესტონეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად მის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებში; გამოცხადებული იყო მოქალაქეთა თანასწორობის გარანტია: რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის და პოლიტიკური შეხედულებებისა, ენიჭებოდა თანაბარი დაცვის გარანტია კანონისა და მართლმსაჯულების წინაშე; კულტურული ავტონომიის გარანტია ენიჭებოდათ რესპუბლიკის საზღვრებში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს (რუსები, გერმანელები, შვედები, ებრაელები და სხვები); გარანტირებული იყო სამოქალაქო თავისუფლებების დაცვა: სიტყვის, პრესის, რელიგიის, შეკრების, გაერთიანებისა და გაფიცვის თავისუფლება, ასევე პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა.

დროებით მთავრობას დაევალა სასამართლოების ორგანიზება მოქალაქეთა უსაფრთხოების დასაცავად; ყველა პოლიტპატიმრის დაუყოვნებლივ გათავისუფლება; ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის აღდგენა; საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად სახალხო მილიციისა და მოქალაქეთა თავდაცვის ორგანიზაციების შექმნა; აგრარული, შრომითი, სურსათის მომარაგების და ფინანსების პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი კანონპროექტების შემუშავება ფართო დემოკრატიულ საფუძველზე.

ესტონეთი გამოთქვამდა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის სურვილს ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან და ხალხთან მიმართებაში.

ესტონელი ხალხის მანიფესტმა საფუძველი ჩაუყარა ესტონეთის, როგორც სუვერენული. დემოკრატიული და სამოქალაქო თავისუფლებების გარანტიების მქონე სახელმწიფოს შექმნას.

ესტონეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტების შედარება.

ესტონეთისა და საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტებს თუ შევადარებთ, ვნახავთ როგორც მსგავსებებს, ასევე განსხვავებებს, რასაც პოლიტიკური გარემოებების სხვაობა განაპირობებდა.

ესტონეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დოკუმენტების მსგავსება შემდეგში ვლინდება:

- ორივე აქტის მთავარი მიზანი იყო რუსეთის იმპერიისგან გამოყოფა და სუვერენული სახელმწიფოს შექმნა;

- ორივე ქვეყანამ პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა აირჩია;

-ორივე აქტი უზრუნველყოფდა თანასწორ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა. ეს ასახავდა დასავლურ-დემოკრატიულ ორიენტაციას;

- ორივე დოკუმენტი უზრუნველყოფდა ეროვნული უმცირესობების უფლებებსა და თავისუფალ განვითარებას. ესტონეთის შემთხვევაში, პირდაპირ იყო ნახსენები კულტურული ავტონომიის უფლება;

- ორივე რესპუბლიკა გამოხატავდა სურვილს, დაეცვა მუდმივი ნეიტრალიტეტი საერ-

თაშორისო ომიანობაში და დაემყარებინა კეთილმეზობლური ურთიერთობები;

- ორივე დოკუმენტი დამფუძნებელი კრების მოწვევამდე აყალიბებდა დროებით მმართველობით ორგანოებს (ესტონეთის დროებითი მთავრობა; საქართველოს ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა).

ამავე დროს ესტონეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტებს შორის გარკვეული სხვაობაც იყო:

მახასიათებელი	ესტონეთის დამოუკიდებლობის აქტი (1918 წ. 24 თებერვალი)	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (1918 წ. 26 მაისი)
დამოუკიდებლობის გამოცხადების პირობები	გამოცხადდა რუსეთის წითელი არმიის უკან დახევისა და გერმანული ჯარების შემოსვლას შორის არსებულ ხანმოკლე პერიოდის დროს.	გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და ოსმალეთთან ომის პირობებში, როგორც ეროვნული გადარჩენის გზა.
დამოუკიდებლობის აქტის სახე	მანიფესტი ესტონელი ხალხისადმი – მოცემული იყო დეტალური ადმინისტრაციული და სოციალური დაპირებები	აქტი შედგებოდა 7 პუნქტისაგან. უფრო მეტად კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტი იყო.
ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები	გარანტირებული იყო კულტურული ავტონომია რუსებისთვის, გერმანელებისთვის, შვედებისთვის, ებრაელებისთვის და სხვებისთვის.	უზრუნველყოფდა განვითარების თავისუფალ ასპარეზს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისთვის.

ესტონეთის დამოუკიდებლობის მანიფესტი და საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი გამოხატავდნენ რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოშობილ ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოთა საერთო მისწრაფებებს, თუმცა განსხვავებული აქცენტებით, რაც მათი კონკრეტული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობდა.

3
ვრცელი ისტორიული შესავლის პროექტი საქართველოს დამოუკიდ-ებლობის აქტისათვის

არსებობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისთვის დაწერილი ვრცელი ისტორიული შესავალი, რომელიც 1990 წელს გამოქვეყნდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის „დამატება II“-ის სახით (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ე. გურგენიძე. თბილისი, „ივერთა მხარე“, 1990, გვ.6-11). დამოუკიდებლობის აქტის ისტორიული შესავლისათვის ეს ტექსტი ძალზედ ვრცელია, ამასთან გარკვეულ უზუსტობებსაც შეიცავს. დამოუკიდებლობის აქტში ის არ შეუტანიათ.

ვინ არის ვრცელი ისტორიული შესავლის ავტორი? ვახტანგ გურული ვარაუდობს, რომ ავტორი ზურაბ ავალიშვილია და ის ტექსტია, რომელიც ავალიშვილის მოგონებების თანახმად, მან ბათუმში დაწერა და თბილისში გამოატანა ნოე ჟორდანიას.

ვრცელ ისტორიულ შესავალთან დაკავშირებით ვახტანგ გურული აღნიშნავს ამ ტექსტის ნაკლოვანებებს: „1. აქტში მრავალი შეცდომა და უზუსტობა იყო XIX-XX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხების გაშუქებისას; 2. ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის უზუსტობები და შეცდომები იყო დაშვებული საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის გადმოცემისას, რაც, პირველ რიგში და უმთავრესად, ეხებოდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შემდგომ პერიოდს და XIX საუკუნის დამდეგს განვითარებულ მოვლენებს – რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობას; 3. უზუსტობები და შეცდომებია ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის გადმოცემისას XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს; 4. არასწორად, უზუსტობებითა და ფაქტობრივი შეცდომებითაა გადმოცემული 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენები; 5. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის აქტის შემდგენლები თითქოს უბოდიშებდნენ რუსეთს, სხვა გზა არ გვქონდაო“ (ვახტანგ გურული. საქართველოს ისტორია. 1801-1918. წიგნი IV, თბ., 2021, გვ.611).

თუმცა, დამოუკიდებლობის აქტისთვის დაწერილი ვრცელი ისტორიული შესავალი მრავალ საინტერესო დებულებას შეიცავს და ბევრი რამის ახსნის შესაძლებლობას იძლევა.

დამოუკიდებლობის აქტისთვის დაწერილი ვრცელი ისტორიული შესავალი შემდეგია:

დამატება მეორე

საქართველოს ბაგრატიდთა დიდი სამეფოს დანაწილების შემდეგ, სხვადასხვა სახელმწიფოებმა და სამთავროებმა, რომელთაგანაც საქართველო შესდგებოდა, უცვლელად დაიცვეს როგორც მთლიანობა სარწმუნოებისა და საერთო ცივილიზაცია, აგრეთვე ის საერთო პოლიტიკური მისწრაფება, რომელიც მათ ევროპისაკენ მიიზიდავდა. საქართველოს ნაწილებმა ბევრი ფიქრისა, ცდისა და ყოყმანის შემდეგ რუსეთთან დასდვეს მთელი რიგი პოლიტიკურ ხელშეკრულობებისა, რომელთა შორის უპირველესი და უმთავრესი 1783 წლის ხელშეკრულება იყო და რომლის ძალითაც აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიის პროტექტორატში შედიოდა. სხვა ხელშეკრულობათა მიზანიც იგივე იყო – ავტონომია საქართველოს ქვეყნებისა შინაგან საქმეებში და რუსეთის პროტექტორატი მათ საგარეო განწყობილებებში; ხოლო ეს რეჟიმი, განმტკიცებული რუსეთის იმპერატორთა საჯარო დაპირებით, მეტათ ხანმოკლე იყო. რუსეთის იმპერიის ცალმხრივმა აქტებმა 1801 წლიდან 1861 წლამდე რუსეთთან საქართველოს შეერთებით საქართველოს ნაწილების ავტონომია, დამყარებული საერთაშორისო ხელშეკრულებაზედ, მოსპეს ისე, რომ პოლიტიკური ხელშეკრულებანი, დადებულნი რუსეთისა და საქართველოს ქვეყნებს შორის, ფორმალურად გაუქმებულნი არ იყვნენ.

დღიდან საქართველოს ანექსიისა ქართველ პატრიოტთა ოცნებას თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო შეადგენდა. ამ მიმართულების მრავალრიცხოვანი გამომჟღავნება მე-XIX საუკუნეში ყოველ ეჭვს გარეშე ჰყოფს საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. მე-XX საუკუნის დასაწყისშივე შესდგა პარიზში ქართველთა კომიტეტი, რომლის ორგანო „საქართველო“ განთავისუფლებულ და დამოუკიდებელ საქართველოს იდეას ემსახურებოდა. რუსეთის 1905-6 წლების კონსტიტუციის ხანამ მოქმედება რამდენადმე გააადვილა და ყოველგან – სახალხო კრებებზე, ქალაქის თვითმმართველობებში, თავად-აზნაურების ორგანიზაციებში თუ სხვაგან, აგრეთვე როგორც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან საქართველოს ავტონომიას მოითხოვდნენ. 1907 წელს ქართველმა ერმა ჰააგის მშვიდობიან-

ობის კონფერენციას პეტიციით მიმართა და სთხოვდა სა ქართველოს კანონიერი უფლებები აღედგინა. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი ერი მთლიან და განუყოფელ საქართველოს აღდგენას მოითხოვდა; თვით რუსეთის საჯარო სამართალიც, რადგან მან მიანიჭა რუსეთის იმპერატორს საქართველოს ხელმწიფის ტიტული და მისი ღერბი, მხოლოდ ერთ საქართველოს არსებობას გულისხმობდა.

II.

1917 წლის რევოლუციამ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, ისევე როგორც მთელ რუსეთში, ძირიანად შესცვალა. შეუდრეკელი სურვილი დარღვეულ მაგრამ გარდაუსვლელი უფლებების აღდგენისა მთელ საქართველოში საყოველთაო იყო. უკვე 1917 წლის მარტში სამღვდელოების და მორწმუნეთა კრებულმა რუსეთის სინოდალურ ეკლესიასთან 1811 წლიდან ძალით შეერთებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა და ივერიის ეკლესიამ რუსეთის ბატონობის დროს მოსპობილ თავისი კანონიური პრეროგატივებით სარგებლობა დაიწყო. ქართული ავტოკეფალური ეკლესია დღეს მხოლოდ ხალხის მიერ ამორჩეულ ყოველ ქართველთა კათალიკოსს-პატრიარქს ემორჩილება. ამრიგადვე რუსეთის ავტოკრატიის მიერ მოსპობილი საქართველოს პოლიტიკური უფლებანი კვლავ ცხოვრებას უბრუნდებოდნენ. 1917 წლის მარტში ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ, მართებლობის უფლებით მოსილ კომიტეტის შექმნით საქართველოს ავტონომიის აღდგენისკენ უკვე ერთი პრაქტიკული ნაბიჯი იყო გადადგმული – საქართველოს ჰმართავდა არა პეტროგრადი, არამედ საკუთარი დედაქალაქი თბილის ზემოდ ხსენებულ განსაკუთრებულ კომიტეტის სახით, რომელშიაც ხალხის ნდობით მოსილი პოლიტიკური მოღვაწენი შედიოდნენ.

III.

ამიერ-კავკასიის ხალხები ბოლშევიკების 1917 წლის გიორგობისთვის რევოლუციას არ მიუდგნენ და მათი მთავრობა, უკვე რევოლუციის პირველ ხანებშივე დეცენტრალისტური, ფაქტიურად დამოუკიდებელი შეიქმნა. როდესაც რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს, თბილისში ამიერ-კავკასიის სეიმი დაარსდა და ამ სეიმმა 22 აპრილს 1918 წელს ამ ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც უცხო ქვეყნებსაც ამცნო. ამასთანავე ამიერკავკასიის სხვა და სხვა ნაწილები პოლიტიკურ ერთეულების შექმნას შეუდგნენ. საქართველოს ეროვნული საბჭო შეიკრიბა (გიორგობისთვის 1917 წელს) და დააარსა ეროვნული საბჭო, რომელსაც საქართველოს ეროვნულ საქმეების ხელმძღვანელობა დაევალა. საქართველოს ეროვნული საბჭო ამიერ-კავკასიის სეიმს და მთავრობას მჭიდროდ ეკავშირებოდა. ამიერ-კავკასიის სეიმის ქართული სექცია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სრულუფლებიანი წევრი იყო.

IV.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტის ფორმალური გამოცხადების დროს (22 აპრილს 1918 წელს) ნაგულისხმები იყო არსებობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, რომელიც ამიერ-კავკასიის დანარჩენ ხალხებთან კონფედერატიულ კავშირში შედიოდა. ამ კავშირის უმთავრეს დებულებებს უკვე იმუშავებდნენ. ამ დროს შექმნილმა პირობებმა საქართველოს და ამიერ-კავკასიის დანარჩენ ხალხებისათვის ცხადჰყვეს, რომ საჭირო იყო შეცვლა მიღებულ პოლიტიკურ გეზისა და ამიერ-კავკასიის შემადგენელ ელემენტებისაგან შემზადება ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც მომავალში ამიერ-კავკასიას და შეიძლება მთელ კავკასიასაც კონფედერაციად გარდაჰქმნიდა. ოსმალეთის ჯარმა, წინააღმდეგ თვით ბრეს-ლიტოვსკის ხელშეკრულობისა, ბათომისა, ყარსისა და არდაღანის პროვინციები, რუსეთის სომხეთი და აზერბეიჯანი დაიპყრო. ამ მოვლენამ ამიერ-კავკასიის სეიმი იძულებული ჰყო ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლა ერთხმად დაედგინა. ამ გარეგან ძალთა და ზემოდმოყვა-

ნილ პირობათა გავლენით საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს აქტი 1918 წელს 26 მაისს მოხდა.

V.

ამ მომენტში, ისევე როგორც უკვე 22 აპრილს დეკლარაციის დროს, საქართველოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში აღარ არსებობდა არც ერთი ისეთი მთავრობა, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც რუსეთთან, ანუ დიდი რუსეთის ბოლშევიკურ რესპუბლიკასთან, რომლის შეიარაღებული ძალებიც ამიერ-კავკასიიდან სავსებით გაყვანილ იქმნენ, რაიმე დამოკიდებულება ჰქონოდეს.

ზემოდხსენებულიდან ორი უმთავრესი დასკვნა გამომდინარეობს: ერთი – უკვე კარგა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო ამიერ-კავკასიას სრულიად მოშორდა; ამიერ-კავკასია რუსეთის ნაწილს აღარ შეადგენდა და მასთან არაფრით აღარ იყო დაკავშირებული. მეორე – ამიერკავკასია res nullius-სტ არაფრით არ ემსგავსებოდა, პირიქით, ამის სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა მოხდა: რუსეთის ყოფილმა პროვინციამ – ამიერ-კავკასიამ დამოუკიდებელი სახელმწიფო შეჰქმნა და შემდეგში ამ ქვეყნის ერთმა ნაწილმა – საქართველომ თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს მაგალითს რუსეთის სასომხეთი და აზერბეიჯანი მიჰყვნენ, რაც საზოგადოებრივ აზრის და ამიერ-კავკასიის პარლამენტის მიერ მიღებულ ფედერალისტურ კონცეფციას ეთანხმებოდა.

VI.

ამრიგად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველოში რუსეთის სახელმწიფო აღარ იყო და ამიტომ ეს დეკლარაცია რუსეთის წინააღმდეგ არ მომხდარა. საქართველოში მისი დამოუკიდებლობის დეკლარაციამდე უკვე განმტკიცებული სახელმწიფო რეჟიმი არსებობდა და ეს რუსეთის სახელმწიფო არ იყო. რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის შემუშავებულ საარჩევნო კანონის მიხედვით ამორჩეულმა საქართველოს ეროვნულ ცხოვრების ორგანომ – საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, გარდაიქმნა რა იგი საქართველოს წარმომადგენელთა კრებულად, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შეჰქმნა. დამყარებული ასეთს მტკიცე საფუძველზედ საქართველოს მთავრობა ცნობილ უნდა იქმნას, როგორც ეროვნული მთავრობა, რომლის ავტორიტეტი და უფლება ყოველ ეჭვს გარეშეა, ისევე როგორც საქართველოს ეროვნული საბჭო უნაკლო და ნამდვილი წარმომადგენლობა არის.

VII.

რეზიუმე ზემოდმოყვანილისა შემდეგია: შეერთებული რუსეთთან საქართველოს მეფეთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებით სქართველო, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რუსეთის იარაღის ძალით დაპყრობილი, განაგრძობდა თვით რუსეთის ერთ საუკუნის ბატონობის დროსაც კი ეროვნულ ცოცხალ ორგანიზმის არსებობას და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა აღედგინა თავისი გარდაუსვლელი ეროვნული უფლებანი და საკუთარი პოლიტიკური და ეროვნული მისწრაფებანი განეხორციელებინა.

დიდი ომის განმავლობაში ბრესტ-ლიტოვსკის ზავამდის, რუსეთის ერთგულ საქართველოს აღარ შეეძლო უმოქმედოდ დარჩენილიყო იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობამ თავისი მოქმედებით მტერს საზღვრები გაუღო და ხელშეკრულობით საქართველოს პროვინციები დაუთმო. მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიიდან რუსეთის სახელმწიფო სრულიად გაჰქრა და საქართველომ დაინახა, რომ საკუთარ ძალების ამარა არის მიტოვებული, ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს განმტკიცებაში მიიღო მონაწილეობა და შემდეგ გარემობათა ძალით რუსეთთან (რომლის მთავრობამაც გარდა ყველა ამ მოსაზრებისა ოფიცი-

ალურ დეკრეტებით მიიღო პრინციპები – რომელთა მიხედვით ყოველ ერს აქვს სრული უფლება ამოირჩიოს ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, როგორიც მას სურს და თვით რუსეთსაც კი გამოეყოს თუ ამას მოისურვებს) ყოველ ხელშეკრულობათაგან სრულიად განთავისუფლებული საკუთარ სახელმწიფოს შექმნას შეუდგა.

ამრიგად ქართველ ერს, აღიდგინა რა რუსეთის ბატონობის მიერ დარღვეული უფლებანი, სურს თავისუფლად შეჰქმნას თავისი სახელმწიფო და მოაწყოს თავისი საერთაშორისო დამოკიდებულობა, რათა შესძლოს როგორც მის, აგრეთვე კავკასიის საკეთილდღეოთ ხანგრძლივად და უზრუნველყოფით ისარგებლოს თავის აღდგენილი უფლებებით. (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ე. გურგენიძე. თბილისი, „ივერთა მხარე“, 1990, გვ.6-11).

ზ

ზეგავლენა გარეშე ძალთა, რამაც დაშალა ამიერკავკასიის ფედერაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამია, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა გარეშე ძალების ზეგავლენით დაიშალა: „გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა“.

რას წარმოადგენდნენ ეს გარეშე ძალები? ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის (1918 წლის 22 აპრილი – 26 მაისი) დაშლაში უმთავრეს გარე ძალას და გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერია და მისი მოქმედებები, ასევე გერმანიის იმპერიის პოზიცია.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავით (1918 წლის 3 მარტი) ბოლშევიკურმა რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქები. ზავის ეს პირობები გეოპოლიტიკურ ქაოსს ქმნიდა რეგიონში, რომელსაც ბოლშევიკური რუსეთი ვერ აკონტროლებდა. ამიერკავკასიის ხელისუფლება ბრესტის ზავის პირობებს არ სცნობდა. ოსმალეთის არმია აქტიურად აგრძელებდა შეტევას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რაც ფედერაციას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ოსმალეთი მოითხოვდა არა მხოლოდ ბრესტის ზავით გათვალისწინებული ტერიტორიების დათმობას, არამედ გაცილებით მეტს.

ოსმალეთის ზეწოლამ გაამწვავა ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ სამ ერს (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) შორის უთანხმოებები, განსაკუთრებით ტერიტორიულ და ეკონომიკურ საკითხებზე. ვერ მოხერხდა საერთო სამხედრო სტრატეგიის შემუშავება ოსმალეთის წინააღმდეგ.

ოსმალეთი იყო გერმანიის მოკავშირე, მაგრამ გერმანიას კავკასიაში საკუთარი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებდა. გერმანიამ აირჩია საქართველოს მფარველობა და მზად იყო საქართველო დაეცვა ოსმალეთისგან, მაგრამ ამის პირობა იყო ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ სამ ერს განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორი ჰქონდათ: საქართველო ორიენტირებული იყო გერმანიაზე და ეძებდა გერმანიის მფარველობას ოსმალეთის საფრთხისგან თავის დასაცავად; აზერბაიჯანი ეთნიკური და რე-

ლიგიური კავშირების გამო ორიენტირებული იყო ოსმალეთზე; სომხეთი ორიენტირებული იყო რუსეთის და ანტანტის მხარდაჭერაზე.

ზემოთ დასახელებული ფაქტორების ერთობლიობამ (გარეშე ძალთა ზეწოლა და შიდა წინააღმდეგობების გამწვავება) განაპირობა ის, რომ 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა ფედერაცია დაშლილად გამოაცხადა. საქართველოს (26 მაისს), აზერბაიჯანის (28 მაისს) და სომხეთის (28 მაისი) ეროვნულმა საბჭოებმა გამოაცხადეს დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნა.

თ
თბილისი – სამი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ადგილი

1918 წლის მაისის ბოლოს თბილისი აღმოჩნდა ქალაქი, სადაც გამოცხადდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობაც. ეს აიხსნება იმით, რომ თბილისი რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. რუსეთის იმპერიის დროს აქედან იმართებოდა მთელი სამხრეთ კავკასია. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია დაიშალა და შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა (1918 წლის 22 აპრილი), მისი საკანონმდებლო ორგანო – ამიერკავკასიის სეიმი სწორედ თბილისში, ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში იყო განთავსებული.

იმ პერიოდში ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკური ლიდერების და ინტელექტუალური ელიტის დიდი ნაწილი თბილისში იყო თავმოყრილი. სწორედ თბილისში მიმდინარეობდა ყველა მნიშვნელოვანი მოლაპარაკება, დისკუსია და იღებდნენ გადაწყვეტილებებს. მას შემდეგ, რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულმა საბჭოებმა 28 მაისს ასევე თბილისში გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. ამას განაპირობებდა დროის სიმცირე და გადაუდებელი აუცილებლობა. მათ არ ჰქონდათ დრო, რომ დაუყოვნებლივ გადასულიყვნენ თავიანთ ეროვნულ დედაქალაქებში. გარდა ამისა, იყო სხვა პრობლემებიც. აზერბაიჯანის მომავალი დედაქალაქი ბაქო იმ დროისათვის ე. წ. ბაქოს კომუნის (ბოლშევიკებისა და დაშნაკების შეიარაღებული დაჯგუფებების) კონტროლქვეშ იყო. შესაბამისად, იქ მთავრობის შექმნა და დამოუკიდებლობის გამოცხადება შეუძლებელი იყო. თავდაპირველად აზერბაიჯანის დროებით დედაქალაქად განჯა გამოცხადდა. სომხეთის მომავალი დედაქალაქი ერევანი ძალზედ ახლოს იყო ფრონტის ხაზთან, სადაც სომხური ნაწილები ოსმალეთის შეტევის შეჩერებას ცდილობდნენ.

თბილისს გააჩნდა საჭირო ინფრასტრუქტურა (სამთავრობო შენობები, კომუნიკაციები, სარკინიგზო კავშირი), რომელიც საშუალებას აძლევდა ახლად ჩამოყალიბებულ ხელისუფლებებს დროებით მაინც თბილისიდან ემართათ რეგიონი.

ამგვარად, თბილისი გახდა ისტორიული ადგილი, სადაც ამიერკავკასიის სამმა სახელმწიფომ, როგორც ამიერკავკასიის სეიმის ნაწილებმა, სწრაფი გადაწყვეტილება მიიღეს დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე.

თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო...

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი იწყება სიტყვებით: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“. დამოუკიდებლობის აქტის საბოლოო რედაქციის მიღებამდე არსებულ ტექსტში, რომელიც დამოუკიდებლობის აქტის პირველი დამატების სახით არის გამოქვეყნებული, იმავე ფრაზაში სიტყვებია გადანაცვლებული: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ.5).

რას ნიშნავს დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო?

დამოუკიდებლობა (ანუ სუვერენიტეტი) ძირითადად მიემართება საერთაშორისო და იურიდიულ სტატუსს. ეს ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო არის უზენაესი და საბოლოო ავტორიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე და არ ექვემდებარება გარეშე ძალას.

ასპექტი	განმარტება
გარე სუვერენიტეტი	სახელმწიფოს აქვს სრული უფლება, წარმართოს თავისი საგარეო პოლიტიკა (დადოს ხელშეკრულებები, გამოაცხადოს ომი/მშვიდობა, გაწევრიანდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში) სხვა სახელმწიფოების ჩარევის გარეშე.
შიდა სუვერენიტეტი	სახელმწიფოს აქვს ექსკლუზიური უფლება, დაადგინოს საკუთარი კანონები, მმართველობის ფორმა, სასამართლო სისტემა და მართოს მოქალაქეები უცხოური ძალების მითითების გარეშე.
ტერიტორიული ხელშეუხებლობა	სახელმწიფოს საზღვრები აღიარებულია და დაცულია და მისი ტერიტორიის ფარგლებში არ მოქმედებს სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობა ან ძალაუფლება.

თავისუფალი სახელმწიფო მიემართება შიდა პოლიტიკურ მოწყობას, მმართველობის ფორმასა და მოქალაქეთა უფლებებს. ანუ სახელმწიფო მართავს საკუთარ თავს დემოკრატიული პრინციპებით, სადაც მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ასპექტი	განმარტება
პოლიტიკური თავისუფლება	ხელისუფლება იქმნება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით; მოქმედებს მრავალპარტიული სისტემა და არსებობს პოლიტიკური კონკურენცია.
სამოქალაქო თავისუფლება	მოქალაქეებს აქვთ სიტყვის, გამოხატვის, შეკრების, რელიგიის თავისუფლება; მედია თავისუფალია და სასამართლო დამოუკიდებელი.
კანონის უზენაესობა	ყველა (მოქალაქე, მთავრობა, ხელისუფლება) ექვემდებარება კანონს. დაცულია საკუთრების უფლება.
უფლებების დაცვა	უმცირესობების უფლებები დაცულია და სახელმწიფო არ ახორციელებს რეპრესიებს.

იდეალური სახელმწიფო არის დამოუკიდებელიც და თავისუფალიც. მას შეუძლია საკუთარი გადაწყვეტილებების მიღება გარედან ჩარევის გარეშე (დამოუკიდებელი) და ამ გადაწყვეტილებებს იღებს ხალხის სასარგებლოდ, დემოკრატიული პრინციპებით (თავისუფალი).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი იწყება იმის მტკიცებით, რომ საქართველო საუკუნეების განმავლობაში იყო დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. იმ ისტორიულ მომენტში აღნიშნულ ფრაზას ჰქონდა რამდენიმე ძირითადი დანიშნულება და მნიშვნელობა: ა/ დამოუკიდებლობის აქტი არ აცხადებდა ახალი სახელმწიფოს შექმნას, არამედ აცხადებდა დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენას. ანუ ქართველ ერს ჰქონდა თვითგამორკვევის ისტორიულ-იურიდიული უფლება, რადგანაც საუკუნეების მანძილზე ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფო; ბ/ ემსახურებოდა ეროვნული სულისკვეთების ამაღლებას და საზოგადოების კონსოლიდაციას იმის გარშემო, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება არის ეროვნული ბრძოლის ლოგიკური შედეგი; გ/ ეს იყო გზავნილი საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ საქართველო იყო უძველესი სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ერი.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ნახსენები „დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“ ნიშნავდა საქართველოს ისტორიულ სუვერენიტეტს (დამოუკიდებელი) და პოლიტიკურ თვითმმართველობას (თავისუფალი), რაც უწყვეტად მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა.

I
ისტორიული, ეთნოგრაფიული და სტრატეგიული საზღვრები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში აქტიურად განიხილებოდა საქართველოს საზღვრების საკითხი. არსებობდა რამდენიმე კონცეფცია:

ისტორიული საზღვრების კონცეფცია – ტერიტორიები, რომლებიც ადრე შედიოდა ქართული სამეფოების ან სამთავროების შემადგენლობაში, ან სადაც ძლიერი იყო ქართული კულტურული და პოლიტიკური გავლენა. ეს კონცეფცია აქტიურად გამოიყენებოდა 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ საერთაშორისო ლეგიტიმაციისა და სახელმწიფოებრივი საზღვრების დასასაბუთებლად.

ეთნოგრაფიული საზღვრების კონცეფცია – ეს კონცეფცია გულისხმობდა საზღვრების დადგენას ეთნიკური ქართველებით დასახლებული ტერიტორიების მიხედვით. ეთნოგრაფიული საზღვრების დადგენა რთული იყო კავკასიის მრავალეთნიკურ გარემოში, სადაც ხშირად ტერიტორიები შერეული მოსახლეობით იყო დასახლებული.

სტრატეგიული საზღვრების კონცეფცია – ამ საზღვრებმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს უსაფრთხოება, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და კომუნიკაცია. მასში იგულისხმება ბუნებრივი თავდაცვითი ხაზები, საკვანძო სატრანზიტო გზები, ნავსადგურები და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რეგიონები.

იურიდიულ-საერთაშორისო საზღვრების კონცეფცია – ეფუძნება საერთაშორისო სამართლითა და ორმხრივი შეთანხმებებით დადგენილ დემარკაციას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები ამ ოთხი განზომილების რთული ნაზავი იყო. ისტორიული და ეთნოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ეროვნულ მისწრაფებებს, სტრატეგიული და იურიდიული საზღვრები კი განსაზღვრავს სახელმწიფოს რეალურ და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს.

ისტორიული არგუმენტაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში (1990–1991 წლები)

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი (1991 წლის 9 აპრილი) არ იყო მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება; ის იყო ისტორიული და სამართლებრივი უწყვეტობის აღდგენის დეკლარაცია. არგუმენტაცია ძირითადად ეყრდნობოდა სამ ფუძემდებლურ პრინციპს:

ა/ სამართლებრივი უწყვეტობის არგუმენტი - საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ (უზენაესმა საბჭომ, ზვიად გამსახურდიას თავმჯდომარეობით) მიზანმიმართულად გამოიყენა ტერმინი „აღდგენა“ და არა „შექმნა“ ან „გამოცხადება“. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი პირდაპირ ეფუძნებოდა საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს. ეს ნიშნავდა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არასოდეს შეუწყვეტია იურიდიული არსებობა. მის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და დამფუძნებელი კრების დავალებით ემიგრაციაში აგრძელებდა არსებობას, ხოლო 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი და 1921 წლის კონსტიტუცია ინარჩუნებდა იურიდიულ ძალას.

1990 წლის 9 მარტსა და 20 ივნისს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილებანი, რომელმაც 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის თავდასხმა და საქართველოს გასაბჭოება გამოაცხადა ინტერვენციად, ოკუპაციად და ფაქტობრივ ანექსიად. დაგმო 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევა. ამ არგუმენტაციით საქართველო თავს აცხადებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სამართალმემკვიდრედ და უარყოფდა საბჭოთა კავშირის ფარგლებში საქართველოს ყოფნის 70-წლიან პერიოდს.

ბ/ ისტორიული სამართლიანობის არგუმენტი - დამოუკიდებლობის აქტის პრეამბულა ხაზს უსვამს ქართველო ერის მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრიობასა და თავისუფლებისათვის ბრძოლას. ხაზგასმულია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა „საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს“ და რომ ქართველმა ერმა თავისუფლება დაკარგა მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის ანექსიის შედეგად. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებითი ყოფნის პერიოდი აღინიშნებოდა „სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით“. აქტში აღნიშნულია, რომ საბჭოთა რეჟიმის სისხლიანი ტერორისა და რეპრესიების „უკანასკნელი გამოვლინება“ იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. სწორედ ამ ტრაგიკული თარიღის სიმბოლურ პატივისცემად მიიღეს აქტი იმავე დღეს, ორი წლის შემდეგ.

გ/ დემოკრატიული ლეგიტიმაციის არგუმენტი (ხალხის ნება) - დამოუკიდებლობის აღდგენა ლეგიტიმური გახადა ორმა გადამწყვეტმა დემოკრატიულმა პროცესმა: 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულმა არჩევნებმა, რომლის შედეგად შექმნილი ხელისუფლება ქართველი ხალხის ნებას გამოხატავდა და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა (შეკითხვა: „თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“)

1991 წლის 9 აპრილის აქტი გამოხატავდა საქართველოს უწყვეტ სახელმწიფოებრიობას, გმობდა საბჭოთა ოკუპაციას და ქართველი ხალხის დემოკრატიულ ნებას. ამ აქტით საქართველომ მიიღო საერთაშორისო ცნობისათვის აუცილებელი სამართლებრივი და მორალური არგუმენტაცია.

ისტორიული არგუმენტაცია აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდ-ებლობის აღდგენის პერიოდში (1991 წელი)

აზერბაიჯანი

1991 წლის 18 ოქტომბერს, როდესაც აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „აზერ-ბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ კონსტიტუციური აქტი“, რომლის ისტორიული არგუმენტაცია ძირითადად ეფუძნებოდა 1918-1920 წლებში არსებული პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრეობის იდეას და საბჭოთა ოკუპაციის შე-დეგების უარყოფას. ეს არგუმენტაცია რამდენიმე ძირითად პუნქტს მოიცავდა:

ა/ 1918-1920 წლების რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობა - 1991 წლის აქტი პირ-დაპირ ეყრდნობოდა 1918 წლის 28 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციას. დამოუკიდებ-ლობის გამოცხადება „აღდგენის“ ტერმინით მოხდა. ეს ნიშნავდა, რომ აზერბაიჯანი არ ქმნი-და ახალ სახელმწიფოს, არამედ აგრძელებდა 1920 წელს ბოლშევიკების მიერ იძულებით შეწყვეტილ სახელმწიფოებრიობას. ამით უგულვებელყოფილი იყო საბჭოთა პერიოდი (აზ-ერბაიჯანის სსრ) როგორც იძულებითი რეჟიმი. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1920) მემკვიდრეობის ხაზგასმა (ის იყო პირველი საერო და დემოკრატიული რესპუბ-ლიკა მთელ მუსლიმურ აღმოსავლეთში) აზერბაიჯანის ევროპულ და თანამედროვე იდენტო-ბას უსვამდა ხაზს.

ბ/ ოკუპაციის დაგმობა - 1991 წლის 18 ოქტომბრის აქტი გულისხმობდა, რომ აზერბა-იჯანის სსრ არ იყო აზერბაიჯანის თავისუფალი არჩევანი, ეს იყო საბჭოთა ოკუპაციის (1920 წლის 28 აპრილი) შედეგი, რამაც დაარღვია 1918 წელს გამოცხადებული სუვერენიტეტი. 1990 წლის 20 იანვარი („შავი იანვრის“ ტრაგედია), - ბაქოში საბჭოთა არმიის მიერ მშვიდობიანი მოქალაქეების დარბევა და სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა საბჭოთა რეჟიმის კრიმინალური ბუნე-ბის დამადასტურებელ უმთავრეს ფაქტორად დასახელდა. ამ მოვლენამ აზერბაიჯანში საბო-ლოოდ შეარყია საბჭოთა რეჟიმი და დააჩქარა დამოუკიდებლობის მოძრაობა.

გ/ ეროვნული თვითგამორკვევის უფლება - საბჭოთა კავშირის დაშლის ფონზე არის მითითება ერების თვითგამორკვევის პრინციპზე, რომელიც გათვალისწინებულია გაეროს წესდებაში და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში.

1991 წლის 29 დეკემბრის რეფერენდუმზე აზერბაიჯანის მოსახლეობის 99,5%-მა მხარი დაუჭირა ქვეყნის საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას, რაც ხალხის აბსოლუტურ ნებას ადასტუ-რებდა.

ამრიგად, აზერბაიჯანის 1991 წლის 18 ოქტომბრის დამოუკიდებლობის აქტი იყო 1918-1920 წლების დემოკრატიული სახელმწიფოს იურიდიული და ისტორიული მემკვიდრის დაბრუნება, 71-წლიანი საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ.

სომხეთი

სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული არგუმენტაცია ძირითადად ემ-ყარებოდა აზერბაიჯანის და საქართველოს მსგავს არგუმენტაციას, მაგრამ უფრო მძაფრად იყო გამოხატული ეროვნულ-ისტორიული მოტივები და სუვერენიტეტის იდეა. არგუმენტაცია მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

ა/ 1918 წლის რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობა - საქართველოსა და აზერბა-იჯანის მსგავსად, სომხეთის უმაღლესმა საბჭომ სოციალისტური რესპუბლიკის გაუქმება და სომხეთის რესპუბლიკის გამოცხადება დააფუძნა სომხეთის პირველი რესპუბლიკის (1918 წლის 28 მაისი - 1920 წლის დეკემბერი) მემკვიდრეობაზე. საბჭოთა პერიოდი სომხეთის ის-ტორიაში განიხილებოდა 1920 წლის ბოლოს წითელი არმიის შემოჭრისა და იძულებითი ოკ-უპაციის შედეგად, რამაც უკანონოდ შეწყვიტა ეროვნული სახელმწიფოებრიობა

ბ/ ეროვნული უსაფრთხოების ფაქტორი და გენოციდის მეხსიერება - 1915 წელი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტორია სომეხთა თვითშეგნებაში. დამოუკიდებლობა განიხილებოდა ხანგრძლივი ეროვნული კატასტროფის დასასრულად და უსაფრთხოების ერთადერთ საიმედო გარანტად. ასევე, არაოფიციალურად, ეროვნულ ცნობიერებაში, სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენა განიხილებოდა ისტორიული სამშობლოს გაერთიანებისკენ გადადგმულ საწყის ნაბიჯად.

გ/ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი - 1988 წელს დაწყებული ყარაბაღის მოძრაობა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის მთავარი კატალიზატორი გახდა. სომხეთის მოსახლეობა დამოუკიდებლობას განიხილავდა მთიანი ყარაბაღის სომხეთთან გაერთიანების საშუალებად. საბჭოთა ცენტრის პოლიტიკა, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას უჭერდა მხარს, ამყარებდა არგუმენტს, რომ სომხეთის ეროვნული ინტერესების დაცვა მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოში იყო შესაძლებელი.

დ/ ეროვნული თვითგამორკვევა და სახალხო ნება - 1990 წლის 23 აგვისტოს მიღებული იქნა სომხეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაცია, რომელმაც დააფუძნა სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. 1991 წლის 21 სექტემბერს ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც ამომრჩეველთა 99,5%-მა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირიდან გასვლას.

დამოუკიდებლობის აღდგენისას სომხეთმაც გამოიყენა 1918 წლის რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობის იდეა, მაგრამ სომხეთის არგუმენტაციაში გაცილებით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ისტორიულ ტრაგედიას (გენოციდს) და უსაფრთხოების მოტივებს, ასევე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს.

ისტორიული არგუმენტაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში (1990–1991 წლები): შედარებითი ანალიზი

დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში საქართველოსა და აზერბაიჯანში გაიხსენეს გასაბჭოებამდე არსებული დემოკრატიული რესპუბლიკები. ყველაზე მკაფიოდ ეს საქართველოში მოხდა, - დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმზე კითხვა შემდეგნაირად დაისვა: უნდოდათ თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

საქართველოსა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, სომხეთს არ „აღუდგენია“ თავისი სახელმწიფოებრიობა, არამედ მოახდინა თვითგამორკვევა საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე. 1990 წლის 23 აგვისტოს სომხეთის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე მიღებული იქნა დეკლარაცია სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ. მასში დამოუკიდებლობის გამოცხადების მოტივებს შორის დასახელებული იყო „1918 წლის 28 მაისს შექმნილი დამოუკიდებელი სომხეთის დემოკრატიული ტრადიციების განვითარებაზე“, მაგრამ შემდგომში სომხეთის პოლიტიკურმა ელიტამ უარი თქვა სომხეთის პირველი რესპუბლიკის (1918-1920) სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე.

ეს რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. საბჭოთა პერიოდის წინა დამოუკიდებელი სახელმწიფოების გახსენება საქართველოს და აზერბაიჯანს, ისევე როგორც ბალტიის სახელწიფოებს სჭირდებოდათ იმპერიული ცენტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი სამართლებრივი არგუმენტი საბჭოთა კავშირიდან თავის დასაღწევად, სომხეთის საზოგადოებისათვის (ეროვნული მოძრაობისთვის) კი საბჭოთა კავშირის კრიზისის პერიოდში უმთავრესი იყო არა მოსკოვთან დაპირისპირება, არამედ აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღისათვის ბრძოლა. გარდა ამისა, პირველი რესპუბლიკის პერიოდი სომხეთში არ ყოფილა რომანტიზაციის საგანი. პირიქით, ის უკავშირდებოდა დამარცხებას, ის-

ტორიული ტერიტორიების დაკარგვას და გასაბჭოებას. ეს უკანასკნელი კი ნაკლები ბოროტება იყო თურქულ საფრთხესთან შედარებით.

პირველ რესპუბლიკასთან სამართალმემკვიდრეობაზე უარის თქმასთან ერთად, სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სომხეთის რესპუბლიკა ესწრაფვის „1915 წელს ოსმალურ თურქეთსა და დასავლეთ სომხეთში სომხების გენოციდის საერთაშორისო აღიარებას“.

სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტებში გამოყენებული ისტორიული არგუმენტაცია თითქმის იდენტურია. აღნიშნულია, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველო და აზერბაიჯანი. ხაზგასმულია, რომ აზერბაიჯანი და საქართველო არიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის (1918-1920) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სამართალმემკვიდრეები, რომ მოხდა მათი ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ და საბჭოთა კავშირში ძალით შეყვანა.

განსხვავებული ისტორიული არგუმენტაცია, ერთი მხრივ, სომხეთის და, მეორე მხრივ, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტებში, შემდეგი მიზეზებით შეიძლება აიხსნას:

- სომხეთის რესპუბლიკის (1918-1920) დაცემის უშუალო მიზეზად თურქეთი განიხილებოდა, საბჭოთა რუსეთი და სომხეთის გასაბჭოება კი სომხეთის გადარჩენის ერთადერთ გზად. გარდა ამისა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც სომხეთისათვის რუსეთი რჩებოდა მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად და მის მიმართ რაიმე ისტორიული ხასიათის პრეტენზიების წაყენება არასწორად მიიჩნეოდა.

- საქართველოსა და აზერბაიჯანის შემთხვევაში საბჭოთა რუსეთი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკისა (1918-1920) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ოკუპაციისა და საბჭოთა კავშირში იძულებით შეყვანის მიზეზი. გარდა ამისა, 1990-იანი წლების დასაწყისშიც რუსეთი წარმოდგებოდა სეპარატიზმის მხარდამჭერი და ამ ორი ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგ მებრძოლი ძალის სახით.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენის (1990-1991) არგუმენტები:

არგუმენტი	საქართველო 1991 წ. 9 აპრილი	აზერბაიჯანი 1991 წ. 18 ოქტომბერი	სომხეთი 1991 წ. 21 სექტემბერი
სამართლებრივი საფუძველი	1918 წ. 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის აღდგენა და 1921 წ. რუსეთის ოკუპაციის დაგმობა.	1918 წ. 28 მაისის აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობა.	1918 წ. 28 მაისის პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობის აღდგენა.
საბჭოთა პერიოდის შეფასება	საოკუპაციო რეჟიმად და ფაქტობრივ ანექსიად გამოცხადება.	ძალადობრივი ოკუპაციისა და საბჭოთა რეჟიმის არალეგიტიმურობის ხაზგასმა.	1920 წ. წითელი არმიის შეჭრის და სუვერენიტეტის იძულებით შეწყვეტის დაგმობა.
დამოუკიდებლობის დამაჩქარებელი მთავარი შიდა მოვლენა	1989 წ. 9 აპრილის ტრაგედია - საბჭოთა ძალების მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევა.	1990 წ. „შავი იანვარი“ - საბჭოთა არმიის შეჭრა ბაქოში.	1988 წ. დაწყებული ყარაბაღის მოძრაობ.ა

ეროვნული არგუმენ-ტები	აქცენტი ქართული ენისა და ეკლესიის ისტორიულ როლზე, კულტურული იდენ-ტობის დაცვაზე.	პირველი საერო მუს-ლიმური დემოკრატი-ული რესპუბლიკის ისტორიული მიღწე-ვა.	სომეხთა გენოციდის (1915) შედეგად წარ-მოქმნილი უსაფრ-თხოების მოთხოვნე-ბი და ეროვნული გა-დარჩენის აუცილებ-ლობა.
კონფლიქტური ფაქ-ტორი	სეპარატისტული ტენდენციები აფხა-ზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რასაც საბ-ჭოთა ცენტრი ახალ-ისებდა.	მთიანი ყარაბაღის ტერიტორიული და-ვა, რაც ეროვნული დამოუკიდებლობის მთავარი მოტივი გახ-და.	მთიანი ყარაბაღის სომხეთთან გაერთი-ანების მოთხოვნა, როგორც ეროვნული პრიორიტეტი.
ხალხის ნება	1991 წ. 31 მარტის რე-ფერენდუმი - 99%-ზე მეტმა მხარი დაუჭი-რა დამოუკიდებლო-ბას.	1991 წ. 29 დეკემბრის რეფერენდუმი - 99,5% მა მხარი დაუჭ-ირა დამოუკიდებ-ლობას.	1991 წლის 21 სექ-ტემბრის რეფერენ-დუმი - 99,5%-მა მხა-რი დაუჭირა დამოუკ-იდებლობას.

სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკისთვის დამოუკიდებლობის აღდგენის მთავარი არგუმენტები იყო: ა/ 1918 წლის ეროვნული სახელმწიფოებრიობის სამართალმემკვიდრეობა; ბ/ საბჭოთა პერიოდის გამოცხადება ოკუპაციად და დაგმობა; საბჭოთა ცენტრის არაადეკვატურობა და ძალადობა; გ/ ტერიტორიული კონფლიქტები.

კ

კავკასიის კონფედერაციული კავშირის შექმნის იდეა

ნოე ჟორდანია 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, საუბრობდა სამომავლოდ კავკასიის კონფედერატიული კავშირის შექმნაზე. ნოე ჟორდანიას სიტყვებით, მოვლენები შემდეგნაირად უნდა განვითარებულიყო: საქართველო თავის ტერიტორიაზე დაიცავდა ეროვნული უმცირესობების უფლებებს. „ეს ერნი (ანუ ქართველები და ეროვნული უმცირესობანი - მ. მ.) შეერთებულნი ერთის დროშის ქვეშ, შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეშე იმყოფებიან, - და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ, ჩვენს წინაშე, დაღუპულს სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერაციული კავშირი (ხანგრძლივი ტაში მთელს დარბაზში).“

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვის წინ ნოე ჟორდანია ამ სამომავლო კონფედერაციული კავშირის შექმნას „ჩვენ იდეალს“ უწოდებს და აღნიშნავს: „ამ რიგად, ჩვენი სავალი გზა, ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი - სახელმწიფოთა კავშირი, - რომელიც საერთო ძალ-ღონე შეკრებილი, წარდგება გარეშე მტრის წინაშე და დაიცავს თავის თავს (ტაში) აი, მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა“.

ამიერკავკასიის ერების სამომავლო კავშირის შექმნას დარბაზში ისევ ხანგრძლივი ტაში და ოვაციები მოჰყვა.

ნოე ჟორდანიას ამ სიტყვებში კარგად ჩანს მისი თვალსაზრისი 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში. ნოე ჟორდანიას მოუწია ყოფილიყო „საქართველოს დამოუკიდებლობის მთავარი არქიტექტორი“, ამავე დროს კი მართლა გლოვობდა და ნანობდა კავკასიის ფედერაციის იდეის კრახს.

ნოე ჟორდანია, ისევე როგორც სოციალ-დემოკრატები იდეოლოგიურად მხარს უჭერდნენ ფედერალიზმსა და ავტონომიას დიდი სახელმწიფოს ფარგლებში. როდესაც დემოკრატიულმა რუსეთმა კრახი განიცადა, ნოე ჟორდანიას აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. მისი აზრით, ერთიანი კავკასიური სახელმწიფო ეკონომიკურად უფრო გამართლებული იქნებოდა და პოლიტიკურად უფრო მდგრადი ძლიერი მეზობლების ზეწოლის წინაშე. მაგრამ ამ ფედერაციამ დაახლოებით ერთი თვე იარსება და შიდა და გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად დაიშალა.

ფედერაციული სახელმწიფოს მომხრე ნოე ჟორდანიამ შექმნილ რეალობაში სწორი გადაწყვეტილება მიიღო და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაუჭირა მხარი, რაც ოსმალეთის შემოტევის პირობებში გერმანიის დახმარების მიღების შესაძლებლობას იძლეოდა. ნოე ჟორდანიას სიტყვები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს აჩვენებს, რომ საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა პრაგმატულმა აუცილებლობამ (გერმანიის მფარველობის მოპოვება და ქვეყნის ფიზიკური გადარჩენა ოსმალეთისგან) აიძულა უარი ეთქვათ მათთვის იდეოლოგიურად სასურველ ფედერაციის იდეაზე და ეროვნული დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ. თუმცა კავკასიის გაერთიანების იდეა მათთვის გრძელვადიან პოლიტიკურ მიზნად რჩებოდა.

კეთილმეზობლობა სხვა სახელმწიფოებთან – საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპი

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ხაზს უსვამდა, რომ „საერთაშორისო ცხოვრებაში საქართველო კეთილგანწყობილია ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით კი მეზობელ სახელმწიფოებთან“.

ამ პრინციპმა შემდგომი განვითარება ჰპოვა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში. საკონსტიტუციო კომისიის აზრით, აუცილებელი იყო, რომ კონსტიტუციის „საზოგადო დებულებებში“ ასახულიყო საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. ამას განსაკუთრებით გ. გვაზავა მოითხოვდა. მისი თქმით, „ახლანდელ დროში... ყოვლად შეუძლებელია გამოყოფა რომელიმე ერის საერთაშორისო ცხოვრებიდან“. ამიტომ საჭიროდ მიაჩნდა კონსტიტუციაში შეეტანათ ერთი მუხლი მაინც, რომელიც გამოხატავდა „ჩვენ შეხედულებას ამ მსოფლიო პროცესზე“ (სცსსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ.859, ფურც.156).

კონსტიტუციის პროექტში გატარებული იყო თავისუფალ ერთა კავშირის იდეა. კერძოდ, მე-13 მუხლი აცხადებდა: „საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს რესპუბლიკას ერთადერთ საშუალებად მიაჩნია თავისუფალ ერთა კავშირი“. ამ მუხლს კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს ენერგიულად შეუტია სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ. როგორც რაჟდენ არსენიძემ აღნიშნა, ეს მუხლი არ შეესაბამებოდა მათ „რწმენასა და მსოფლმხედველობას“. (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 859, ფურც.315). ფრაქციამ ჩათვალა, რომ „თავისუფალ ერთა კავშირში“ იგულისხმებოდა არსებული ერთა ლიგა და მისი გამოცხადება „მშვიდობის დამყარების ერთადერთ საშუალებად“ მიუღებლად მიიჩნია. „პირიქით, სოციალისტებს მიგვაჩნია ერთადერთ საშუალებად საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად ინტერნაციონალი და მისი გამარჯვება“, – მიუთითებდა რაჟდენ არსენიძე.

მე-13 მუხლს გადაჭრით იცავდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გ. გვაზავა. მან აღნიშნა, რომ საკითხისათვის უნდა შეეხედათ არა პარტიული აზროვნების ლოგიკით, არამედ სახელმწიფოებრივად. ამოსავალი უნდა ყოფილიყო არა „სოციალისტური

აზროვნება“, არამედ „იდეა სახელმწიფოსი“. ანგარიში უნდა გასწეოდა იმ გარემოებას, რომ „ჩვენ ვართ ერი, სახელმწიფო, ჩვენ გვაქვს განწყობილება სხვა სახელმწიფოებთან“, მით უმეტეს, რომ სხვა სახელმწიფოები არ იყო სოციალისტური (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 859, ფურც.319).

აღნიშნული მუხლიც დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მასში ჩამოყალიბებული დებულება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. თავისუფალ ერთა კავშირში არ იგულისხმებოდა ერთა ლიგა, რომელიც მაშინ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების გაერთიანებას წარმოადგენდა. ეს უნდა ყოფილიყო მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა დემოკრატიული გაერთიანება, რომელიც მშვიდობას უზრუნველყოფდა და საერთაშორისო ცხოვრების რეგულატორი გახდებოდა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ავტორთა აზრით, მომავლის ერთა კავშირს ეყოლებოდა თავისი შეიარაღებული ძალები საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად. „ეს შეიარაღებული ძალა აიძულებს ამა თუ იმ სახელმწიფოს ერთა ლიგის დადგენილებას დაემორჩილოს“ (სცსსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ.859, ფურც.49).

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შემქმნელთა აზრით, თვით იმ დროს არსებული ერთა ლიგის შიგნით მიმდინარეობდა პროცესები, რომელიც მას მომავალში დემოკრატიულ გაერთიანებად გადააქცევდა. ისიც აღინიშნებოდა, რომ ასეთი ერთა კავშირის ჩამოყალიბებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა და სწრაფად ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ მისი შექმნა აუცილებლად და გარდუვალად ესახებოდათ. ერების შეთანხმება მსოფლიოს გადარჩენის ერთადერთ გზად იყო მიჩნეული. „რამდენად უფრო მალე მოხდება ეს შეთანხმება სახელმწიფოთა შორის, მით უფრო კარგია, მით უფრო მტკიცე და ხანგრძლივი იქნება საერთაშორისო მშვიდობიანობა. აი ამ თავისუფალ ერთა კავშირის სახით აღმოცენებული ერთა ლიგა უნდა იქნეს მომწესრიგებელი და უზრუნველმყოფელი საერთაშორისო მშვიდობიანობისა“. (სცსსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ.859, ფურც.48).

კონსტიტუციის პროექტის მე-13 მუხლი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოთხოვნით ამოიღეს კონსტიტუციიდან, თუმცა სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები მხარს უჭერდნენ მის დატოვებას. ს. დადიანი ამ მუხლის თაობაზე აღნიშნავდა: „ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტებს სიხარულის მეტი არა გვმართებს, ვინაიდან მთელი ჩვენი პოლიტიკური, საერთაშორისო შემეცნება ამ პრინციპზეა აშენებული. დიაღ, საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად ერთადერთ საშუალებად თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი უნდა იქნას აღიარებული“. („სახალხო საქმე“, 23.10.1920).

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ კი წინადადება შეიტანა მე-13 მუხლს მეორე ნაწილიც დამატებოდა შემდეგი შინაარსისა: „საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი საერთაშორისო უფლებისა ჰხდება სავალდებულო ნაწილი საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა“. (სცსსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ.861, ფურც.15). გ. გვაზავა ცდილობდა, რომ დამფუძნებელ კრებას, მე-13 მუხლის უარყოფის მიუხედავად, კონსტიტუციაში შეეტანა აღნიშნული დამატება: „თუ ყველა სახელმწიფო შეთანხმდება იმაში, რომ ეს პრინციპი მისაღები არის, ჩვენ რა გამოვედით ისეთი, რომ გამოვეთიშოთ მსოფლიოს“. გვაზავას აზრით, ამით ყველასათვის ცხადი გახდებოდა, რომ „ჩვენი სურვილი არის დავამყაროთ ჩვენი კანონმდებლობა საერთაშორისოდ მიღებულ უფლებრივ პრინციპებზე“. (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ.859, ფურც.321). აღნიშნული დებულება შედიოდა გერმანიის 1919 წლის კონსტიტუციის მე-4 მუხლშიც, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატთა მცდელობა ამაო გამოდგა.

კონსტიტუციის საბოლოო ტექსტიდან პროექტის მე-12 და მე-13 მუხლების ამოღების მიუხედავად, ნეიტრალიტეტი და ერთა ლიგაში შესვლისკენ სწრაფვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ამოსავალ პრინციპებს წარმოადგენდა.

კეთილმეზობლობა სხვა სახელმწიფოებთან – საქართველოს საგა-რეო-პოლიტიკური ნაბიჯები

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ხაზს უსვამდა, რომ „საერთაშორისო ცხოვრებაში საქართველო კეთილგანწყობილია ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით კი მეზობელ სახელმწიფოებთან“. თუმცა, ამ მიზნის მიღწევა იმ პერიოდის კავკასიაში, სადაც ახალშექმნილ სახელმწიფოებს შორის საზღვრები დადგენილი არ იყო და დიდ სახელმწიფოებს თავისი ინტერესები გააჩნდათ, რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი იყო. თუმცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ცდილობდა კეთილმეზობლობის მიღწევას მეზობელ სახელმწიფოებთან.

საქართველო-სომხეთი

საქართველო-სომხეთს შორის ურთიერთობაში მთავარი პრობლემა იყო ლორეს ზონა, სადაც ორ ქვეყანას შორის საომარი მოქმედებებიც მიმდინარეობდა 1918 წლის ბოლოს. ომი დასრულდა ბრიტანეთის შუამავლობით. დადებული ზავით ლორეს ნაწილი „ნეიტრალურ ზონად“ გამოცხადდა. მოგვიანებით, 1920 წელს, საქართველოსა და სომხეთს შორის სატრანზიტო ხელშეკრულებები დაიდო, რაც კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების მცდელობა იყო. საქართველო სომხეთისთვის ერთადერთი გზა იყო საგარეო კავშირების დასამყარებლად.

საქართველო-აზერბაიჯანი

აზერბაიჯანთან ურთიერთობაში მთავარი პრობლემა ზაქათალას ოლქი იყო, რომელიც აზერბაიჯანმა დაიკავა და საქართველოს თავის ნაწილად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის შედარებით მჭიდრო კავშირი არსებობდა. 1919 წელს ორ ქვეყანას შორის დაიდო სამხედრო თავდაცვითი ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იყო გარე საფრთხის (ძირითადად რუსეთის) წინააღმდეგ. ეს იყო კეთილმეზობლობის ყველაზე წარმატებული მაგალითი, რაც საერთო ინტერესებს ეფუძნებოდა.

საერთო კავკასიური პოლიტიკა

საქართველოს მთავრობა ცდილობდა თავის კავკასიელ მეზობლებთან - სომხეთთან და აზერბაიჯანთან თანხმობის მიღწევას, შუამავლობას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარე კონფლიქტში, მაგრამ ერთიანობის მიღწევა ტერიტორიული დავებისა და სხვადასხვა საგარეო ორიენტაციის გამო სრულად ვერ განხორციელდა.

ურთიერთობა ოსმალეთ/თურქეთთან

1918 წელს ოსმალეთის შემოტევის გამო, საქართველომ მიიღო გერმანიის მფარველობა და ხელი მოაწერა ფოთის ხელშეკრულებას. თუმცა იძულებული გახდა ოსმალეთისთვის ტერიტორიები დაეთმო. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად და არა კეთილმეზობლობის დამყარება. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ საქართველომ დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიები, მაგრამ თურქეთის რესპუბლიკასთან სასაზღვრო მოლაპარაკებები უაღრესად მწვავე იყო, თუმცა საქართველოს მთავრობა ცდილობდა კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარებას.

საქართველოს ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ბოლშევიკების მუდმივი მტრული ურთიერთობის პირობებში საქართველოს დიპლომატიის მნიშვნელოვან წარმატებად ორ ქვეყანას შორის გაფორმებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება უნდა მივიჩნიოთ. საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და უარი თქვა მის საშინაო საქმეებში ჩარევაზე, მაგრამ ამ ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთი სერიოზულად არ უყურებდა და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია მოახდინა.

რომ შევაჯამოთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც

კეთილმეზობლობას საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტურ პრინციპად აცხადებდა, ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა საშუალებები გამოიყენა: ა/ სტრატეგიული კავშირი (აზერბაიჯანთან); ბ/ დიპლომატიური მოლაპარაკებები (საზღვრების დასადგენად და ომის თავიდან ასაცილებლად); გ/ საერთაშორისო ხელშეკრულებები, რათა მიეღო დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარება.

საბოლოოდ, კეთილმეზობლობის მიღწევა რეგიონში არსებული მუდმივი დაძაბულობის, ტერიტორიული დავებისა და განსაკუთრებით ბოლშევიკური რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა.

კონსტიტუციის პრეამბულის საკითხი და საქართველოს დამოუკიდ-ებლობის აქტი

კონსტიტუციათა უმრავლესობას აქვს პრეამბულა. ჩვეულებრივ, კონსტიტუციის პრეამბულაში მოცემულია სახელმწიფოს მიერ განვლილი ისტორიული გზის მოკლე აღწერა, დახასიათებულია სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების მიზნები.

საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას პრეამბულის საკითხი არ განუხილავს და თავიდანვე მიიჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი შესავლის სახით უნდა დართვოდა კონსტიტუციას, რომელშიც გაშლილი იყო დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებული სახელმწიფო მოწყობის ძირითადი პრინციპები.

როდესაც დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის განხილვა დასრულდა, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას გაუჩნდა მოსაზრება, რომ კონსტიტუციას, გარდა დამოუკიდებლობის აქტისა, უნდა ჰქონოდა შესავალი, რომელშიც განმარტებული იქნებოდა კონსტიტუციის იდეა და მიზნები.

რატომ დააყენეს სოციალ-დემოკრატებმა კონსტიტუციის პრეამბულის საკითხი კონსტიტუციის პროექტის განხილვის დამთავრების შემდეგ? სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მიაჩნდა, რომ კონსტიტუციის იდეა და მიზნები გამოიკვეთა კონსტიტუციის მთლიანად განხილვისა და მიღების შემდეგ.

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბიურომ გაუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესავალი. მასში მართლაც მკაფიოდ ჩანს კონსტიტუციის შემქმნელთა ფასეულობითი პრიორიტეტები, ძირითადი იდეები და მიზნები.

აი ეს ტექსტიც:

„ შ ე ს ა ვ ა ლ ი

დამფუძნებელი კრება, გამომხატველი საქართველოს მუშათა და მშრომელი გლეხკაცობის პოლიტიკური და სოციალური მისწრაფებების, ქმნის დემოკრატიულ კონსტიტუციას, როგორც საუკეთესო პირობას მუშათა კლასის და მასთან ერთად მთელი ხალხის საბოლოო განთავისუფლების და ყველა ქვეყნის მშრომელთა შორის სოლიდარობის განმტკიცებისა“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.863, ფურც.106).

როგორც ჩანს, დამფუძნებელმა კრებამ თავი შეიკავა და აღნიშნული შესავალი კონსტიტუციას არ დაურთო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბათუმში დაბეჭდილ საქართველოს კონსტიტუციაში იგი არ შედის. 1921 წლის კონსტიტუციის პრეამბულის როლს ასრულებს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი.

აღსანიშნავია, რომ სოციალისტ-რევოლუციონერთა მიერ დამფუძნებელ კრებაში წარდგენილი „მშრომელი ხალხის კონსტიტუცია“, რომელიც არ განუხილიათ და დარჩა პროექტის სახით, იწყებოდა პრეამბულით, რომელიც კიდევ უფრო სოციალისტური ხასიათის იყო, ვიდრე სოციალ-დემოკრატების მიერ წარდგენილი პრეამბულის პროექტი:

„ჩვენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მშრომელნი, ვითვალისწინებთ რა ჩვენი ქვეყნის თავისებრ სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურას და ძლევამოსილი რევოლუციის მიერ შექმნილ უმაგალითო შესაძლებლობათ შრომის განთავისუფლებისა და კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის, ვაცხადებთ საქვეყნოთ:

დაამსხვრია რა მონობის ბორკილები, საქართველოს მშრომელი ხალხი ამყარებს ახალს სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას, რომლის მიზანი არის პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფა და ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის საზოგადოებრივ ფორმებში განსახიერება.

საქართველოს მშრომელთ სურთ შექმნან უტყუარი გარანტია შრომის ნამდვილი ბატონობისა და ერის დამოუკიდებლობისა; სრული რწმენით, რომ უკვე დადგა კაპიტალიზმის აღსასრული, რომ ყოველი ერი სოციალიზმის სამეფოში უნდა შევიდეს თავისი ინდივიდუალობითა და საკუთარი გზით“ (საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921). მასალები და დოკუმენტები. ტომი II. თბილისი, 2018, გვ.178).

სოციალისტური შინაარსის პრეამბულის დართვა 1921 წლის დემოკრატიული კონსტიტუციისთვის სრულიად შეუსაბამო იქნებოდა.

ლ

ლატვიის და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტები: შედარებითი ანალიზი

ლატვიის დამოუკიდებლობის გამოცხადება

1918 წლის 18 ნოემბერს რიგაში ლატვიის სახალხო საბჭომ (Tautas Padome) გამოცხადდა ლატვიის დამოუკიდებლობა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა. ლატვიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, ესტონეთისა და საქართველოს მსგავსად, იყო საგანგებო პოლიტიკური ნაბიჯი გარეშე საფრთხის პირობებში. ლატვიის შემთხვევაში ეს იყო გერმანიის არმიის გასვლა და საბჭოთა რუსეთის შემოჭრის საფრთხე.

ლატვიის დამოუკიდებლობის აქტი

„ლატვიის რესპუბლიკის გამოცხადების აქტი“ აცხადებდა ლატვიის რესპუბლიკის შექმნას, რომელიც იყო სრულუფლებიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო. ლატვიის პოლიტიკური სისტემა იქნებოდა დემოკრატიული რესპუბლიკა. დროებით უმაღლეს ხელისუფლებად გამოცხადდა ლატვიის სახალხო საბჭო. აქტი უზრუნველყოფდა კანონის უზენაესობას, თანასწორობას და ყველა მოქალაქის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების უფლებებს. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე შეიქმნა დროებითი მთავრობა. დამფუძნებელ კრებას უნდა შეემუშავებინა ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია.

საქართველოსა და ლატვიის დამოუკიდებლობის აქტების შედარება

ლატვიისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტებს მრავალი საერთო მახასიათებელი ჰქონდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ორივე აქტი მსგავს ვითარებაში, რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ გამოქვეყნდა. თუმცა მათ შორის იყო განსხვავებებიც.

ლატვიისა (1918 წლის 18 ნოემბერი) და საქართველოს (1918 წლის 26 მაისი) დამოუკიდებლობის აქტების მსგავსება შემდეგში მდგომარეობდა:

მახასიათებელი	**მსგავსება**
გეოპოლიტიკური კონტექსტი	ორივე აქტი გამოცხადდა პირველი მსოფლიო ომის დასასრულს და რუსეთის იმპერიის დაშლის ფონზე.
სახელმწიფო მოწყობის ფორმა	ორივე აქტმა სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა. ეს მიუთითებდა ევროპული ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების გაზიარებას.
დროებითი მმართველობა და დამფუძნებელი კრება	ორივე აქტი ქმნიდა დროებით ხელისუფლებას (ლატვიის სახალხო საბჭო და დროებითი მთავრობა / საქართველოს ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა) და გამოაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ჩატარდებოდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, დამფუძნებელი კრება კი მიიღებდა ქვეყნის კონსტიტუციას.
მოქალაქეთა უფლებები	ორივე აქტი ამკვიდრებდა მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი აცხადებდა მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ეროვნების, სარწმუნოების, სოციალური მდგომარეობის და სქესის განურჩევლად (მათ შორის ქალთა საარჩევნო უფლებებს), ლატვიის დეკლარაციაც ეფუძნებოდა დემოკრატიულ პრინციპებს, რომელიც უზრუნველყოფდა ეთნიკური უმცირესობების უფლებებს.
კეთილმეზობლობის პრინციპი	ორივე სახელმწიფომ გამოხატა სურვილი, რომ სურდა კეთილმეზობლური ურთიერთობები დაემყარებინა საერთაშორისო ურთიერთობების ყველა წევრთან, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

ლატვიისა (1918 წლის 18 ნოემბერი) და საქართველოს (1918 წლის 26 მაისი) დამოუკიდებლობის აქტების განსხვავებები:

მახასიათებელი	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (1918 წლის 26 მაისი)	ლატვიის დამოუკიდებლობის აქტი (1918 წლის 18 ნოემბერი)
გამოცხადების დრო და გარემოებები	გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისთანავე, რადგან შეუძლებელი გახდა ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება.	გამოცხადდა პირველი მსოფლიო ომის დასრულების (11 ნოემბერი) შემდეგ, გერმანიის საოკუპაციო ძალების გასვლისა და ბოლშევიკური ჯარების შემოჭრის დაწყების შუალედში.
ისტორიული პრეამბულა	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი იწყებოდა ისტორიული შესავალით, სადაც საუბარი იყო ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობის ისტორიაზე, რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების პირობებზე და რუსეთის მიერ მის დარღვევაზე, ასევე აქტის გამოცხადების დროს არსე-	ლატვიის დამოუკიდებლობის აქტი უფრო მოკლე და დეკლარაციული ხასიათის იყო, აქცენტი იყო გაკეთებული საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლებაზე.

	ბულ ვითარებაზე.	
ლეგიტიმაციის წყარო	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ლეგიტიმაციის წყარო წარმოადგენდა ერთი მხრივ ისტორიული სახელმწიფოებრიობა და მეორე მხრივ არსებული პოლიტიკური კრიზისი	ლატვია უფრო მეტად ეყრდნობოდა თვითგამორკვევის პრინციპს და იმ ფაქტს, რომ ლატვიის ეროვნული საბჭო იყო ხალხის ნების ერთადერთი წარმომადგენელი.
ნეიტრალიტეტის საკითხი	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი აცხადებდა, რომ „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“	ლატვიის აქტში არ იყო მუხლი მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ, თუმცა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საფუძველი მშვიდობისკენ იყო მიმართული

ლიტვის და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტები: შედარებითი ანალიზი

1918 წლის 16 თებერვალს ლიტვის საბჭომ (Lietuvos Taryba) მიიღო დამოუკიდებლობის აქტი. ეს იყო მოკლე დოკუმენტი, რომელიც ლიტვის სახელმწიფოებრიობის აღდგენას აცხადებდა. ამ დოკუმენტის თანახმად ლიტვის საბჭო, როგორც ლიტველი ერის ერთადერთი წარმომადგენელი, ეროვნული თვითგამორკვევის საფუძველზე, აცხადებდა დამოუკიდებელი ლიტვის სახელმწიფოს აღდგენას. აღდგენილი სახელმწიფო უნდა დაფუძნებულიყო დემოკრატიულ პრინციპებზე. აქტი აუქმებდა ლიტვაზე უცხო ქვეყნების (რუსეთი და გერმანია) მიერ ოდესმე დაკისრებულ ყველა სახელმწიფოებრივ კავშირს. სახელმწიფო მოწყობის საფუძვლები და მისი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან საბოლოოდ უნდა დაედგინა დამფუძნებელ კრებას, რომელიც უახლოეს მომავალში დემოკრატიულად უნდა აერჩიათ. ამ აქტმა საფუძველი ჩაუყარა ლიტვის დამოუკიდებელ არსებობას 1940 წლამდე.

ლიტვისა და საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტები ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს და ასევე სახეზეა რიგი განსხვავებები. მსგავსებასაც და განსხვავებასაც განაპირობებდა ამ ორი ქვეყნის ისტორიული კონტექსტი და გეოპოლიტიკური მდგომარეობა.

ლიტვისა და საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტების მსგავსება

მახასიათებელი	**მსგავსება**
ერის ნება	ორივე დოკუმენტი წარმოადგენს ერის ისტორიულ ნებასა და პოლიტიკურ მიზნებზე დაფუძნებულ საბაზისო სამართლებრივ აქტს.
ძირითადი მიზანი	ორივე აქტი აცხადებდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ადასტურებდა უზენაეს სუვერენიტეტს რუსეთის იმპერიის დაშლისა და პირველი მსოფლიო ომის შემდგომ არსებულ ვითარებაში,
ხელისუფლების წყარო	ორივე აქტი აცხადებდა, რომ ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია და მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრებოდა დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული კონსტიტუციით.
სახელმწიფოებრივი ფორმა	ორივე აქტი მკაფიოდ აცხადებდა, რომ ახალი სახელმწიფოებრივი წყობა იქნებოდა დემოკრატიული რესპუბლიკა.
საერთაშორისო ორიენტაცია	ორივე სახელმწიფო აცხადებდა კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების სურვილს ყველა წევრთან, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

ლიტვისა და საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტების განსხვავება

კრიტერიუმი	ლიტვის დამოუკიდებლობის აქტი (1918 წ. 16 თებერვალი)	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (1918 წ. 26 მაისი)
მიღების კონტექსტი	გერმანული ოკუპაციის პირობებში, ნახევრად ფარულად. გერმანია შემოიფარგლა ნაწილობრივი ცნობით.	გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ ღიად და საზეიმოდ, გერმანიასთან და ოსმალეთთან მიმდინარე მოლაპარაკებების ფონზე
ტექსტის შინაარსი	ლაკონური - მოკლე, ერთპუნქტიანი აქტი, რომელიც მოითხოვდა „დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას“ დედაქალაქით ვილნიუსში.	აქტი იყო გაცილებით ვრცელი, მოიცავდა ისტორიულ ექსკურსს და 7 პუნქტისგან შემდგარ სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს.
იურიდიული აქცენტი	აღდგენა: აქტი აცხადებდა ლიტვის სახელმწიფოს აღდგენას დედაქალაქით ვილნიუსში და სახელმწიფო მოწყობის საბოლოო გადაწყვეტა დამფუძნებელ კრების საქმედ ცხადდებოდა	გამოცხადება: აქტი საქართველოს აცხადებდა სრულუფლებიან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და დეტალურად განსაზღვრავდა მის პოლიტიკურ და სოციალურ პრინციპებს.
ნეიტრალიტეტის საკითხი	ლიტვის დამოუკიდებლობის აქტი არ აცხადებდა ნეიტრალიტეტს (ეს საკითხი დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა)	დამოუკიდებლობის აქტი საქართველოს საერთაშორისო ომიანობაში მუდმივ ნეიტრალურ სახელმწიფოდ აცხადებდა (მუხლი 3)
უმცირესობათა უფლებები	არ იყო დეტალურად გაწერილი და მისი გადაწყვეტა დაეკისრა დამფუძნებელ კრებას, რომელსაც უნდა მიეღო კონსტიტუცია	მოცემული იყო მოქალაქეთა, მათ შორის განურჩევლად ეროვნებისა, მკაფიო და დეტალური გარანტიები (მუხლი 5), ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს განვითარების თავისუფალ ასპარეზს უხსნიდა.

მ

მოქალაქეთა უფლებები

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა“ – აღნიშნულია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში.

მოქალაქეთა უფლებების თანაბრად უზრუნველყოფა დამოუკიდებლობის აქტის მე-5 პრინციპს წარმოადგენს და მის რეალიზებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალნი. დამოუკიდებლობის აქტის აღნიშნული პრინციპის რეალიზება მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

უფლებრივი სახელმწიფო

ერთ-ერთი უმთავრესი იდეალი, რის მიღწევასაც ცდილობდნენ 1921 წლის კონსტიტუ-

ციის ფუძემდებლები, იყო სამართლებრივი სახელმწიფოს, ანუ იმდროინდელი ტერმინოლოგიით, „უფლებრივი სახელმწიფოს“ ჩამოყალიბება. „უფლებრივი სახელმწიფოს გარეშე არავითარი წესიერი წესწყობილება არ შეიძლება“, – განმარტავდა პავლე საყვარელიძე (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 859, ფურც. 27). უფლებრივი სახელმწიფო მოქალაქეთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფდა.

გამოყოფდნენ უფლებრივი სახელმწიფოს ორ უმთავრეს ნიშანს: 1. კანონმდებლობა და კონტროლი კანონის შესრულებაზე ეკუთვნის ხალხს მისი წარმომადგენლების სახით; 2. სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია კანონით. სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია მოქალაქეთა მიმართ და გამიჯნულია სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლებები (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც.41). მიუთითებდნენ, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი გამოხატავს ხალხის ნება-სურვილს, რომელსაც „უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს ყველა, იქნება ეს უბრალო მოქალაქე, თუ მთავრობის წარმომადგენელი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“. (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.1385, ფურც.249)

უფლებრივი სახელმწიფო გაგებული იყო როგორც კანონის უზენაესობა, როგორც მოქალაქეთა უფლებების განუხრელი დაცვა. უფლებრივი წესწყობილების დროს, - აღნიშნავდა პ. საყვარელიძე, - „შეუძლებელია დასჯა კაცისა, თუ არ კანონის დარღვევისათვის. ეს არის მთავარი. ყოველი კანონი, რადგან ის სავალდებულოა ყველასათვის და რადგანაც მხოლოდ მისი დარღვევისათვის უნდა დავსაჯოთ კაცი, უნდა იქნეს განსაზღვრული წესით გამოქვეყნებული, რათა მოქალაქე უზრუნველყოფილი დარჩეს. ჩვენ ვიცით წესი გამოცემისა და თუ ეს წესი არ არის შესრულებული, მაშინ კანონი კარგავს კანონის სავალდებულო ხასიათს მოქალაქისათვის. ეს არის მოქალაქეობრივ-უფლებრივი გარანტია - უფლებრივი სახელმწიფო თუ არსებობს, კანონს არ უნდა ქონდეს უკუქცევითი ძალა“ (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ. 859, ფურც.28).

საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების აუცილებლობის დასაბუთებისას კიდევ ერთი საყურადღებო მოსაზრებაც მოჰყავდათ. კერძოდ, აღინიშნებოდა, რომ „უფლების გაცრეცის და გასრესის ექსპერიმენტების“ ატანა მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს შეუძლიათ. საქართველოსთვის კი ასეთი რამ დამღუპველი იქნებოდა: „ჩვენ როგორც პატარა ერმა უნდა ვიაროთ საისტორიო-საკაცობრიო მიზნისაკენ ძლიერ ფრთხილად და ნაკლები დაბრკოლების ხაზით“. აუცილებელია „შინაგანი უაღრესად მოხერხებული და მიზანშეწონილი კომბინაციებით“ ძალთა მაქსიმალური ეკონომია. ეს იქნება პატარა ძალებით დიდი მიზნების მიღწევის ურაციონალესი საშუალება. ძალთა ასეთი ეკონომია კი შესაძლებელია „მხოლოდ ჭეშმარიტი უფლებრივობის განმტკიცებისას, რაც საშუალებას მისცემს ინდივიდუალურ შემოქმედებას ფრთა გაშალოს“ („შრომა“, 2.01.1921).

მოქალაქეთა პიროვნული და პოლიტიკური უფლებები

1921 წლის კონსტიტუციის მე-3 თავში ჩამოყალიბებულია „მოქალაქის უფლებანი“, რომელთა კონსტიტუციური აღიარება და დაცვა აუცილებელი იყო უფლებრივი სახელმწიფოს პირობებში. აღნიშნული თავის თავდაპირველი მონახაზი შეიმუშავა კ. ჯაფარიძემ, რაც 1919 წ. ოქტომბერში განიხილეს საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე. მანვე წარადგინა მოხსენება დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს. შემონახულია ამ მოხსენების თეზისები (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც. 41-42).

მოქალაქის პირველ და მთავარ უფლებად მიჩნეული იყო პიროვნული თავისუფლება და ხაზი ესმოდა მის ძირითად პრინციპს: „კანონით დადებულ ფარგლებში ყოველი მოქალაქე თავისუფალია და მას რაიმე მოქმედებისათვის არავისგან წინასწარი ნებართვა არა სჭირდება“ (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც.41). ამის გარანტიას წარმოადგენდა ის, რომ მოქალაქის თავისუფალ მოქმედებაში ჩარევა შეიძლებოდა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და სასამართლოს დადგენილებით.

კონსტიტუციაში მოქალაქეთა პიროვნული თავისუფლების დაფიქსირებას წინ უძღოდა ძირითადი დებულებები უფლებრივი თანასწორობის შესახებ, რაც განიხილებოდა როგორც

მოქალაქის უდიდესი უფლება და „მასთან აუცილებელი პირობა პიროვნული თავისუფლებისა“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ.1, საქ.192, ფურც. 41). უქმდებოდა წოდებასთან, ეროვნებასთან, სარწმუნოებასთან და სქესთან დაკავშირებული უფლებრივი უთანასწორობა; უქმდებოდა წოდებრივი ტიტულები.

პიროვნების თავისუფლებიდან უშუალოდ გამომდინარეობდა პიროვნების ხელშეუხებლობა - „ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა ხდება კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში სასამართლოს ორგანოთა დადგენილებით“ (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც.51). გამონაკლისის სახით - დანაშაულის ადგილზე წასწრების, დაზარალებულის მითითებით ან დანაშაულის დამადასტურებელ ნივთმტკიცებათა აღმოჩენის შემთხვევაში დამნაშავის შეპყრობა შეეძლო ადმინისტრაციას (მუხლი 23), ხოლო დანაშაულის ადგილზე მისწრებისას - კერძო პირსაც (მუხლი 24).

კერძო პირთა და ადმინისტრაციის მიერ თვითნებობით შეპყრობისაგან მოქალაქეს იცავდა სასამართლო კონტროლი (მუხლი 27), ასევე კონსტიტუციის 25-ე და 26-ე მუხლებით დაწესებული გარანტიები. კონსტიტუცია იძლეოდა ბინის შეუვალობის (მუხლი 28) და კერძო მიწერ-მოწერის ხელშეუხებლობის (მუხლი 29) გარანტიას. აქ ჩარევა შეიძლებოდა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით. ასევე მკვიდრდებოდა მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევის სრული თავისუფლება (მუხლი 30).

სხვა დემოკრატიული კონსტიტუციების მსგავსად, ცხადდებოდა სარწმუნოების თავისუფლება (მუხლი 31). განასხვავებდნენ მის ორ ძირითად ელემენტს: სინდისის თავისუფლებასა და სარწმუნოებრივი კავშირის თავისუფლებას. აღინიშნებოდა, რომ „სინდისის თავისუფლება განუსაზღვრელია. კულტისა და კავშირის თავისუფლება შეზღუდულია კანონით“ (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც.41).

ფართოდ იყო წარმოდგენილი მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები. პირველ რიგში ეს იყო სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება (მუხლი 32). უქმდებოდა ცენზურა, რადგან „ცენზურაში გატარებული და შეცვლილი აზრი მის ავტორს აღარ ეკუთვნის“ (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც.41). მოქალაქეებს შეეძლოთ თავიანთი აზრების გამოთქმა და გავრცელება „მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად“ (მუხლი 32). „სიტყვა მხოლოდ აზრის გამოთქმაა, ამიტომ ის არ წარმოადგენს ისეთ საშიშროებას, რომ მის წინააღმდეგ საჭირო იყოს სასწრაფო ადმინისტრაციული ზომების მიღება“, - აღნიშნავდა კ. ჯაფარიძე (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც.41). ამ დროს თუ მოქალაქე რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა, იგი პასუხს აგებდა მხოლოდ სასამართლოს წინაშე (მუხლი 32).

სიტყვის თავისუფლება დაკავშირებული იყო და მისგან ლოგიკურად გამომდინარეობდა კრების თავისუფლება. მოქალაქეებს უფლება ეძლეოდათ მთავრობის ნებადაურთველად შეკრებილიყვნენ „საჯაროთ და უიარაღოთ“ (მუხლი 33), ხოლო თუ კრება დანაშაულებრივ ხასიათს მიიღებდა, ადმინისტრაციას მისი დახურვის ნება ეძლეოდა (მუხლი 34).

ცხადდებოდა კავშირების (მუხლი 36) და მუშათა გაფიცვების (მუხლი 38) თავისუფლება. ცალკე იყო გამოყოფილი პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება (მუხლი 37). აღინიშნებოდა პეტიციის მნიშვნელობა: „პრესაც ემსახურებოდა იმ მიზანს, რასაც პეტიცია, მხოლოდ პრესა მოქმედობს პარლამენტზე არაპირდაპირ, პეტიცია კი არის პირდაპირი მიმართვა და გავლენა“ (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც. 42).

კონსტიტუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ქორწინება „თანასწორობასა და ნებაყოფლობას“ ემყარებოდა, ასევე უფლებრივად თანასწორად ცხადდებოდნენ „ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი“ პირები (მუხლი 40).

კონსტიტუციური გარანტიები უცხოელებზეც ვრცელდებოდა. კერძოდ, 41-ე მუხლი აცხადებდა, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული პოლიტიკური დევნილი „სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა“. კ. ჯაფარიძე ხაზს უსვამდა, რომ ეს დებულება მიღებულია საერთაშორისო სამართლის მიერ. იგი აღნიშნავდა, რომ „დამნაშავის გადაცემა წარმოადგენს ურ-

თიერთისადმი დახმარებას საერთო ინტერესების დაცვისათვის. პოლიტიკურ დანაშაულთან ბრძოლა კი არ წარმოადგენს ყველა სახელმწიფოსათვის სოლიდარულ ინტერესს როგორც ეს ხდება სისხლის სასამართლოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. პოლიტიკური დანაშაული ემუქრება მხოლოდ ამა თუ იმ სახელმწიფოს წესწყობილებას და არა ყველა სახელმწიფოს ინტერესებს. ამ სფეროში არ არსებობს საერთო ხასიათის ნორმები, რომელიც საერთო ზომებით დაცვას მოითხოვდეს“ (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც.42).

კონსტიტუციის მე-19 მუხლი აუქმებდა სიკვდილით დასჯას. უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული ამ სასჯელის დამცველთა მთავარი მოტივები: ა/ ეს სასჯელი არის რადიკალური საშუალება ბოროტმოქმედი პირის იზოლაციისათვის, ბ/ ამ სასჯელის შიშით ადამიანი თავს იკავებს დანაშაულის ჩადენისაგან. სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრენი მიუთითებდნენ, რომ ა/ სიკვდილით დასჯა დამნაშავის იზოლაციისათვის სრულიად ზედმეტი და ბარბაროსული ზომაა და ამისათვის საკმარისია მათი დაპატიმრება, გ/ „ბოროტად განწყობილ ადამიანს სიკვდილის შიში ვერ აჩერებს“. (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც.42).

ცალკე იყო გამოყოფილი კონსტიტუციური გარანტიების შეჩერების საკითხიც. საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, ადამიანის უფლებათა გარანტიების რიგი მუხლების შეჩერების უფლება ქონდა პარლამენტს, ხოლო თუ პარლამენტი შეკრებილი არ იყო, ამის უფლება მთავრობას ეძლეოდა. „ამბოხებისა და ომიანობის დროს“ დაშვებული იყო სიკვდილით დასჯაც. „მასაზე... მოქმედობს სიკვდილით დასჯის შიში. ეს ზომა ამ მასის წინააღმდეგ არის მიმართული“, _ აღნიშნავდა კ. ჯაფარიძე (სცსსა, ფ. 1833, ანაწ.1, საქ.192, ფურც.42).

კონსტიტუციის 44-ე მუხლი დიდ ეპიდემიებთან ბრძოლის დროსაც აძლევდა მთავრობას უფლებას დროებით შეეჩერებინა კონსტიტუციის რამდენიმე მუხლით (22, 25, 26 და 30) გათვალისწინებულ გარანტიათა მოქმედება.

აღნიშნული თავის ბოლო, 45-ე მუხლი მიუთითებდა, რომ „კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან“.

მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

გარდა მე-3 თავისა, ცალკე შეიტანეს მე-13 თავად „მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“ (16 მუხლი). ამ თავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კონსტიტუციის ფუძემდებლები. როგორც რაჟდენ არსენიძე აღნიშნავდა, კონსტიტუციის აღნიშნული ნაწილის „მთელი შინაარსი შეიცავს გზას, ხიდს და საშუალებას“ იმ წესწყობილების მისაღწევად, რომელსაც „ეტრფის მუშათა კლასი და მისი მეთაურობით მთელი კაცობრიობა“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 859, ფურც. 74-75). საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია, რომელშიც დაფიქსირებულია „მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“.

კონსტიტუციის მე-13 თავი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებები ეკონომიკის სფეროში და ნაჩვენებია ამ უფლებების ცხოვრებაში განხორციელების გზები და საშუალებები. მეორე ნაწილში გადმოცემულია „სახელმწიფოსა და მმართველობის ეკონომიკური გეზი“. აქვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშათა კლასის უფლებების უზრუნველყოფას, კლასისა, რომელსაც კონსტიტუციის შემქმნელთა აზრით, მომავალი წყობილება უნდა განეხორციელებინა „თავისი ბრძოლით, შეგნებით და თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 859, ფურც. 76).

კონსტიტუციის 115-ე მუხლი რესპუბლიკის მიზნად აცხადებდა „ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნას“, მაგრამ ამავე დროს სოციალ-დემოკრატიები ემიჯნებოდნენ ესერებს, რომლებიც „ერთი ხელის დაკვრით, ერთი დეკრეტით“ სპობდნენ კერძო საკუთრებას და 24 საათში ახორციელებდნენ ეკონომიკურ გადატრიალებას. 1921 წლის კონსტიტუ-

ციის ფუძემდებლებისათვის უდავო იყო, რომ კერძო საკუთრების არსებობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. მათი აზრით, ისახებოდა მხოლოდ გეზი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა კერძო საკუთრებისა და წარმოების განსაზოგადოება (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859, ფურც.77).

იმდროინდელი განწყობისათვის დამახასიათებელია 1920 წლის 15 მაისს საკონსტიტუციო კომისიაში გამართული კამათი. კ. ჯაფარიძემ მოითხოვა „გარკვევითა და კატეგორიულად“ ყოფილიყო ნათქვამი, რომ „არავის არაფერი არ ჩამოერთმევა, ხოლო თუ ჩამოერთმევა, _ უსათუოდ საფასური მიეცემა“. ეს არ მოიწონა არსენიძემ და აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს უნდა ქონდეს უფლება ზოგიერთ შემთხვევაში უფასოდ ჩამორთმევისა“. მაგრამ კომისიისთვის უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდა კ. ჯაფარიძის საპასუხო არგუმენტი: „დიდი მესაკუთრე აღარ არის, პატარა მესაკუთრე უნდა დამშვიდებულ იქნეს, რომ არავინ წაართმევს რასმე“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ.181, ფურც.227). საბოლოოდ, კონსტიტუციის 114-ე მუხლმა შემდეგი სახე მიიღო: „საკუთრების იძულებით ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური, თუ კანონში სხვა გვარად არ არის განსაზღვრული“.

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 17 მაისის სხდომაზე პ. საყვარელიძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკა უაღრესად დაინტერესებულია ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებით და ამიტომ აუცილებელია კონსტიტუციაში შესაბამისი მუხლის შეტანა: „მოქალაქენი მტკიცედ უნდა იყვნენ დარწმუნებული, რომ მათ საშუალება აქვთ თავისუფლად აწარმოონ ვაჭრობა-მრეწველობა“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.229). კომისია დაეთანხმა ამ წინადადებას და მიიღო დამატება შემდეგი სახით: „გონებრივი, სულიერი, სავაჭრო და სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონების მიხედვით“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.229).

ცხარე კამათი გამოიწვია აგრეთვე 113-ე მუხლმა: „რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის“. საკონსტიტუციო კომისიაში გ.გვაზავა წინადადებას აყენებდა ეს მუხლი შემდეგნაირად ჩამოეყალიბებინათ: „რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ადამიანის ღირსების შესაფერ არსებობის უზრუნველსაყოფად“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.227). აღნიშნული მუხლის ამოშლა მოითხოვა ს. დადიანმა. მისი აზრით, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ „რესპუბლიკა ხალხის კეთილდღეობისათვის უნდა ზრუნავდეს“. („სახალხო საქმე“, 5.11.1920). ამ მუხლის წინააღმდეგ გამოვიდნენ ესერებიც, რომელთა განცხადებითაც „ღირსეული არსებობა“ ძალზედ ზოგადი და ბუნდოვანი ფორმულირება იყო და ამდენად „ეს მუხლი არავითარ კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს მოქალაქეებისადმი არ აკისრებს“ („შრომა“, 1920 წლის 12 დეკემბერი).

რ. არსენიძე მე-13 თავისათვის დაწერილ კომენტარში განმარტავდა, თუ როგორ ესმოდა საკონსტიტუციო კომისიას „ღირსეული არსებობა“. მისი სიტყვით, ეს არ იყო „არც ფუფუნებითი ცხოვრება, არც განცხრომაში ყოფნა, არამედ ეს ის არის, რომ მას არსებობის უფლება აქვს და ამ არსებობის უფლების განხორციელებას მოითხოვს“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859, ფურც.82).

სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განსაზღვრისას საკონსტიტუციო კომისია ცდუნების წინაშე აღმოჩნდა: კეთილი სურვილებიდან და მაღალი მიზნებიდან გამომდინარე, კონსტიტუციაში შეეტანათ ისეთი გარანტიები, რომელთა პრაქტიკული რეალიზებაც შეუძლებელი იქნებოდა. ასე მაგალითად, 1919 წლის 24 დეკემბერს, როდესაც საკონსტიტუციო კომისიაში განიხილებოდა „სოციალური უფლებანი“, კამათი გამოიწვია ფრაზამ: „უმუშევრად დარჩენილს მიეცემა დაზღვევის სახით არანაკლებ საცხოვრებელი მინიმუმისა“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.60). მ. ხოჭოლავამ მოითხოვა ამოეშალათ სიტყვები „არანაკლებ საცხოვრებელი მინიმუმისა“. მისი თქმით, დაუშვებელი იყო უტოპიური ხასიათი მისცემოდა კონ-

სტიტუციას (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859, ფურც.227). მ. რუსიამ კი მიუთითა, რომ „უზრუნველყოფა საცხოვრებელი მინიმუმისა არის პირველი პერიოდი სოციალიზმის გამოცხადებისა“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.59).

პ. საყვარელიძემ მოითხოვა აღნიშნული მუხლის საერთოდ ამოშლა: „რატომ უნდა იყოს კონსტიტუციაში ისეთი მუხლი, რომელიც არ განხორციელდება. ჩვენთვის - როგორც სოციალისტებისათვის - ეს პროგრამა ნაკლებია, ხოლო ჩვენთვისვე, როგორც დემოკრატებისათვის - ზედმეტია. რადგან დღესდღეობით ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, კონსტიტუციაც უნდა დემოკრატიული გვქონდეს. ამიტომ ეს მუხლი სულმთლად ამოიშალოს“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.58). ესერმა ი.გობეჩიამ კი, პირიქით, მხურვალედ დაუჭირა მხარი აღნიშნულ მუხლს. საბოლოოდ, გავიდა მ. ხოჭოლავას კომპრომისული წინადადება: „უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით“, რაც შევიდა კიდეც კონსტიტუციის საბოლოო ტექსტში 119-ე მუხლად.

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 4 თებერვლის სხდომაზე კამათი გამოიწვია კონსტიტუციის პროექტში შეტანილმა მუხლმა, რომელიც აცხადებდა: „რესპუბლიკის კანონები უზრუნველყოფს დაქირავებულ მუშისათვის ხელფასის მინიმუმს, რომელიც საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს მარტივი შრომისათვის“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.60).

ი. გობეჩია მხარს უჭერდა ამ მუხლს, ლ. ნათაძე მის ამოღებას მოითხოვდა, მ. ხოჭოლავას აზრით კი საჭირო იყო მუხლის იმ ნაწილის შეცვლა, რომელიც მინიმუმს შეეხებოდა და ერთგვარი კატეგორიული ხასიათი ჰქონდა. მას „უფრო ზოგადი“ ხასიათი უნდა მისცემოდა. საბოლოოდ გავიდა მ. ხოჭოლავას ფორმულირება: „სახელმწიფოს აუცილებელ საზრუნავს შეადგენს დაეხმაროს მუშათა კლასს მინიმუმის რეგლამენტაციით“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.66).

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო კომისია ცდილობდა კონსტიტუცია დაეზღვია ისეთი სოციალური გარანტიების დაფიქსირებისაგან, რომელთა რეალური უზრუნველყოფაც იმ დროისათვის შეუძლებელი ჩანდა.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებები

გარდა დასახელებული ორი თავისა, ცალკე მე-14 თავად შეიტანეს „ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი“

კონსტიტუციის პროექტის თავს ეროვნული უმცირესობების უფლებების შესახებ საფუძვლად დაედო პ. საყვარელიძის პროექტი. მისი არსი კარგადაა გამოხატული ძირითად დებულებებში, რომლებიც თვითონ პ.საყვარელიძემ ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 მარტის სხდომაზე:

ეროვნული უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენაზე სწავლა აღზრდა და ნაციონალურ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა; პ. საყვარელიძის აზრით, ეს მუხლი დეკლარაციული ხასიათის იყო, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა;

- ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება უნდა ძალდაუტანებლად განისაზღვროს, მოქალაქეთა სურვილისა და ნებაყოფლობითი განცხადების თანახმად;

- ყოველ უმცირესობას უნდა ჰქონდეს უფლება შეადგინოს ეროვნულიკავშირი რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც კანონის ფარგლებში გაუძღვება კულტურის საქმეებს; ასეთი ცენტრის შექმნა, პ.საყვარელიძის აზრით, აუცილებელი იყო;

- მოქალაქე გარანტირებული უნდა იყოს, რომ მის პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებას არავითარი საფრთხე არ მოელის ამა თუ იმ კავშირში მონაწილეობისათვის;

- ეროვნულ კავშირს უნდა შეეძლოს სასამართლოს წინაშე აღძრას და დაიცვას საქმე, თუკი ირღვევა კონსტიტუციით ან კანონით აღიარებული ეროვნული უმცირესობათა უფლებანი.

პ.საყვარელიძის სიტყვებით, „ეს არ შეიცავს საჯარო უფლებას და ამავე დროს უმცირესობისათვის დიდი გარანტიაა“;

- ყოველ მოქალაქეს, მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა, თანასწორი უფლება აქვს მიიღოს ყოველგვარი თანამდებობა ყოველგვარ სამსახურში;

- ეროვნულად შერეული თვითმმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის მიღებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობის პროპორციის მიხედვით;

- ეროვნულ უმცირესობათა მიერ დაარსებული სკოლები უნდა იყოს სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. მიუღებელია ისინი სცილდებოდნენ ზოგადი სასწავლო პროგრამის ფარგლებს, ამავე დროს, ასეთ სკოლებში სავალდებულო უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენის სწავლება;

- თუ რომელიმე ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში მცხოვრებთა უმრავლესობა (50%-ზე მეტი) არაქართველი ეროვნებისაა, საქმის წარმოება სხვადასხვა დაწესებულებებში სახელმწიფო ენასთან ერთად უნდა წარმოებდეს იმ უმცირესობის ენაზე, ხოლო უმცირესობის ენის გამოყენება იმ მმართველობებში, სადაც ეროვნული უმცირესობა შეადგენს არანაკლებ 20%-ს, უნდა განსაზღვრულიყო კანონით;

- შერეული მოსახლეობის რაიონებში ადგილობრივმა მმართველმა და მოსამართლემ, სახელმწიფო ენის ცოდნასთან ერთად, უნდა იცოდეს ეროვნული უმცირესობის ენა;

- კანონი უნდა ითარგმნებოდეს ეროვნული უმცირესობების ენებზეც, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი სწორი გაგება და შესრულება;

- პარლამენტის წევრს, რომელმაც ქართული არ იცის, უფლება უნდა ჰქონოდა სიტყვა მშობლიურ ენაზე წარმოეთქვა.

პ. საყვარელიძის აზრით, უკანასკნელი ორი მუხლი დროებითი იყო და უნდა გაუქმებულიყო „ამ კონსტიტუციის ძალით მოწვეულ პირველი პარლამენტის ვადის გასვლისას“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.128).

ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული კონსტიტუცია

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში სამი თავი, მთლიანობაში 55 მუხლი ეხება ადამიანის უფლებებს. ეს მთელი კონსტიტუციის (149 მუხლი) მესამედს შეადგენს.

ნ

ნაგულისხმევი დამოუკიდებლობიდან სრულ დამოუკიდებლობამდე

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისთვის დაწერილ ვრცელ ისტორიულ შესავლის მე-4 ნაწილში აღნიშნულია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე ნაგულისხმევი იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს: „ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტის ფორმალური გამოცხადების დროს (22 აპრილს 1918 წელს) ნაგულისხმევი იყო არსებობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, რომელიც ამიერ-კავკასიის დანარჩენ ხალხებთან კონფედერაციულ კავშირში შედიოდა“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ე. გურგენიძე. თბილისი, 1990, გვ. 9). ამავე დოკუმენტის თანახმად 1918 წლის 26 მაისს „საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა“ .

ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ისე სწრაფად გამოცხადდა, რომ ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული ფედერაციაში შემავალი სუბიექტები. მათი შექმნა, როგორც დოკუმენტში იყო ნათქვამი, მხოლოდ „ნაგულისხმევი“ იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყო მუშაობა ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის პროექტზე, მაგრამ ამან გარდუვალი გახადა საქართველოს სახელმწიფოებრივი ჩამოყალი-

ბების დაწყებაც, საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. დაიწყო დისკუსია იმის თაობაზე, თუ რის გამგებლობა უნდა გადასცემოდა ფედერალურ ცენტრს, ან საერთოდ ხომ არ სჯობდა კონფედერაციის შექმნა. გამოირკვა, რომ ამიერკავკასიის ხალხებს უფრო მეტი რამ აცალკევებდა ერთმანეთისგან, ვიდრე აერთიანებდა.

ნეიტრალობა საგარეო პოლიტიკაში

„საქართველო საერთაშორისო ომიანობის დროს მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა", – აღნიშნულია 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში. საქართველოს ახალშექმნილი სახელმწიფო ამ პრინციპს აცხადებდა უმძიმეს საერთაშორისო მდგომარეობაში მყოფი, პირველი, რაც მიიღო ახალშექმნილმა სახელმწიფომ ოსმალეთის ულტიმატუმი იყო, რომელიც ახალ ტერიტორიებს მოითხოვდა, აგრძელებდა საომარ მოქმედებას და არ აპირებდა ანგარიში გაეწია საქართველოს ნეიტრალიტეტისთვის. საქართველოს ოსმალთა შემოტევის შესაჩერებლად გერმანიის მხარდაჭერა დასჭირდა. ასეთ პირობებში საქართველოს მიერ დეკლარირებული ნეიტრალიტეტი არაღიარებული, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი ფაქტორი იყო.

„შეზღუდული ნეიტრალიტეტის" კონცეფცია

შექმნილ ვითარებაში ჩამოყალიბდა „შეზღუდული ნეიტრალიტეტის" კონცეფცია. 1918 წლის 15 ოქტომბერს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გერმანიის მისიის ხელმძღვანელს წერდა საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ. ნოე ჟორდანია აღნიშნავს, რომ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას არასოდეს არ განიხილავდნენ როგორც სრულად ნეიტრალური სახელმწიფოს მდგომარეობას, ამიტომ ეთანხმება გერმანიის მისიის პოზიციას, რომ საქართველო არის „სახელმწიფო, რომელიც იცავს შეზღუდულ ნეიტრალიტეტს" (Документы и матерялы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифл, 1919, с.387).

ნოე ჟორდანიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნეიტრალიტეტი შეზღუდული იყო, მისი არსებობა მაინც ფაქტი იყო. „თუკი ჩვენ შევუერთდებით იარაღით ხელში ერთ-ერთ მეომარ მხარეს, ცხადია, რომ მაშინ ვერ ვილაპარაკებთ თუნდაც შეზღუდული ნეიტრალიტეტის შესახებ" (Документы и матерялы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифл, 1919, с.387).

საქართველოს სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ნეიტრალიტეტი არ ნიშნავდა, რომ საქართველო უარს იტყოდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვაზე.

ნეიტრალიტეტის საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში

დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ჩამოყალიბებული ნეიტრალიტეტის პრინციპი საკონსტიტუციო კომისიამ შეიტანა კონსტიტუციის პროექტში. პავლე საყვარელიძის მიერ მომზადებულ „საზოგადო დებულებათა" თავდაპირველი ვარიანტის მე-2 მუხლში საქართველო ნეიტრალურ სახელმწიფოდ ცხადდებოდა და იმეორებდა დამოუკიდებლობის აქტის სიტყვებს: „საერთაშორისო ომიანობის საქმეში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა" (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ. 181, ფურც.306.).

საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 2 ივლისის სხდომაზე, როდესაც განიხილავდნენ „საზოგადო დებულებებს" იოსებ ბარათაშვილის წინადადებით ამოიშალა სიტყვები: „ომიანობის საქმეში" და „მუდმივი". შედეგად, კონსტიტუციის პროექტში აღნიშნული მუხლი შემდეგი სახით შევიდა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფოა". (სცსსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ.181, ფურც.305). ამდენად, დამოუკიდებლობის აქტთან შედარებით, კონსტიტუციის პროექტში უფრო კატეგორიული ფორმით ჩამოყალიბდა ნეიტრალობა, როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი.

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლებს კარგად ესმოდათ, რომ „ცალმხრივად გამოცხადებული მუდმივი ნეიტრალიტეტი" დეკლარაციული ხასიათის იყო და საერთაშორისო

აღიარების გარეშე „არ არის საკმარისი რომელიმე სახელმწიფომ თავისი თავი აღიაროს ნეიტრალად“. („სახალხო საქმე“, 1920 წ. 23 ოქტომბერი). მაგრამ საკონსტიტუციო კომისია საჭიროდ თვლიდა, რომ ამ მუხლის კონსტიტუციაში შეტანით ხაზი გაესვათ ქართველი ხალხის ნებისათვის.

მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადება საქართველოს საერთაშორისო აღიარების საფუძველი უნდა გამხდარიყო, რაც მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ერთგვარი გარანტია იქნებოდა.

ნეიტრალობის აღიარება გამომდინარეობდა კიდევ ერთი, იმდროინდელი სოციალისტებისათვის დამახასიათებელი არგუმენტიდან, რომლის მიხედვითაც დემოკრატიას ხელს უშლიდა „საიდუმლო დიპლომატიის წარმოება“, ამიტომ, ნეიტრალობის გარეშე ძალზე რთულ ამოცანად ეჩვენებოდათ „დემოკრატიული წყობილების შექმნა“.(სცსსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ.181, ფურც.232). ასეთი წარმოდგენის თანახმად, ნეიტრალურ ქვეყანას, ფაქტობრივად, არც დასჭირდებოდა საგარეო პოლიტიკის წარმოება.

გარდა ამისა, განაცხადი ნეიტრალობაზე გამოიყენებოდა არგუმენტებად საგარეო პოლიტიკაში. ს. დადიანის თქმით, „ბევრჯერ იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენი ჩათრევა მოინდომეს სხვადასხვა მებრძოლმა ძალებმა საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ ჩვენ ვაცხადებდით - ნეიტრალური ვართო“. („სახალხო საქმე“, 23.10.1920). ისიც აღინიშნებოდა, რომ „ჩვენ პატარა ხალხი, პატარა სახელმწიფო ვართ და დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აყოლა არ გვარგია“. („საქართველოს რესპუბლიკა“, 15.02.1920).

საქართველოს ნეიტრალიტეტის საერთაშორისო აღიარების მიღწევა ერთ-ერთ ძირითად საგარეო პოლიტიკურ ამოცანად სახელდებოდა, მაგრამ ამავე დროს კარგად ესმოდათ, რომ ნეიტრალობის საერთაშორისო აღიარებასაც შეიძლება ვერ დაეცვა საქართველო აგრესიისგან. ამის მაგალითი იყო გერმანიის მიერ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა პირველი მსოფლიო ომის დროს. ამიტომ ხაზი ესმოდა, რომ საქართველო გაატარებდა შეიარაღებული ნეიტრალიტეტის კურსს, ანუ იზრუნებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე, აგრესორისთვის საკადრისი პასუხის გასაცემად. ნეიტრალობის მიუხედავად, აღნიშნავდა ს. დადიანი, „ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ თავდაცვაზე“. („სახალხო საქმე“, 23.10.1920).

დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს ნეიტრალობის საკითხი ცხარე კამათის საგანი გახდა და, საბოლოოდ, ამოიღეს კონსტიტუციის ტექსტიდან. მოწინააღმდეგენი მიუთითებდნენ ამ მუხლის დეკლარაციულ ხასიათზე და აღნიშნავდნენ, რომ ამ სახით იგი უკვე ფიგურირებდა დამოუკიდებლობის აქტში, რომელიც შესავალი ნაწილის სახით ერთვოდა კონსტიტუციას.

საქართველოს ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადების წინააღმდეგ ის მოსაზრებაც მოჰყავდათ, რომ ამით ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ თმობდა თავის ისტორიულ ტერიტორიებს, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა ხელში იყო მოქცეული. ამასთან დაკავშირებით პავლე საყვარელიძე აღნიშნავდა: „ჩვენ გვინდა საქართველო იყოს ნეიტრალური სახელმწიფო თავის ბუნებრივ საზღვრებში, აღდგენილი თავისუფლების, სამართლიანობის და ინტერესების თანახმად. ამ წუთს იგი სულგანაბული ელის. უამისოდ მისი ნეიტრალიტეტის მუდმივობა წარმოსადგენადაც შეუძლებელია“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 17.02.1920 წ).

კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს გიორგი გვაზავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადება დააბრკოლებდა საქართველოს შესვლას ერთა ლიგაში და რომ ნეიტრალიტეტისა და ერთა ლიგის პრინციპები ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. ერთა ლიგაში შესვლა ნიშნავდა მისი წესდებისადმი მორჩილებას და ნეიტრალიტეტზე ხელის აღებას. საპასუხოდ პ. საყვარელიძემ აღნიშნა, რომ ნეიტრალობას ხელი არ შეუშლია შვეიცარიის ერთა ლიგაში შესვლისათვის და „თუ განხორციელდება ჩვენი სურვილი და ჩვენ ერთა ლიგაში მიგვიღეს, მაშინ ნეიტრალიტეტიც საჭირო აღარ იქნება. დღეს კი საჭიროა ნეიტრალი ვიყოთ“. (სცსსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ.859, ფურც.49).

ნეიტრალიტეტი ყველაზე მისაღებ პოლიტიკად მიაჩნდათ პატარა, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსათვის. ამასთან, ეს უნდა ყოფილიყო შეიარაღებული ნეიტრალიტეტი - საქართველო მზად უნდა ყოფილიყო შესაძლო აგრესიის მოსაგერიელებლად. ერთა ლიგაში შესვლა ნეიტრალიტეტის პოლიტიკის დასასრულად განიხილებოდა, რადგანაც უნდა დამორჩილებოდნენ ერთა ლიგის გადაწყვეტილებებს; მაგრამ სამაგიეროდ ერთა ლიგა თავისებურ გარანტიად მიაჩნდათ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად.

საბოლოოდ, მუხლი ნეიტრალიტეტის შესახებ აღარ შეუტანიათ კონსტიტუციის ტექსტში.

ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელების პირობები

ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება რამდენიმე პირობას უკავშირებდა:

პირველ რიგში საქართველო ნეიტრალური უნდა ყოფილიყო თავის ისტორიულ საზღვრებში. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე აღნიშნავდა: „ჩვენ გვინდა საქართველო იყოს ნეიტრალური სახელმწიფო თავის ბუნებრივ ისტორიულ საზღვრებში, აღდგენილი თავის უფლების, სამართლიანობისა და ინტერესების შესაბამისად. ამ წუთს ის სულგანაბული ელის. უამისოდ მისი ნეიტრალიტეტის მუდმივობა წარმოსადგენადაც შეუძლებელია“ (პ. საყვარელიძე. საქართველოს კონსტიტუციისთვის - კრებულში: საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921). მასალები და დოკუმენტები. ტომი II, თბილისი, 2018, გვ. 258.)

ნეიტრალიტეტის გამოცხადების მეორე პირობა ის იყო, რომ საქართველოს უნდა ჰყოლოდა „მფარველი ძალა“, „ნეიტრალიტეტის უზრუნველმყოფელი“, რომელიც დაიცავდა საქართველოს საჭიროების შემთხვევაში, მფარველობას გაუწევდა ნეიტრალურ სახელმწიფოს „თავდასხმის და შეურაცხყოფის დროს“. პავლე საყვარელიძე აღნიშნავდა: „მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადება და სხვა სახელმწიფოთაგან მისი ცნობა არ კმარა, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილი იყოს. დღევანდელ საერთაშორისო ჭიდილის და მეტოქეობის დროს უფლებას, სადაც და როგორადაც უნდა იყოს გამოთქმული, პატივს არ სცემენ, თუ მას თან არ ახლავს მფარველი ძალა“ (პ. საყვარელიძე. საქართველოს კონსტიტუციისთვის - კრებულში: საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921). მასალები და დოკუმენტები. ტომი II, თბილისი, 2018, გვ. 258-259.

მესამე პირობა კი ის იყო, რომ საქართველო აცხადებდა შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს, რომლის მაგალითად შვეიცარია სახელდებოდა. პავლე საყვარელიძის თქმით, საქართველოს რესპუბლიკას „თავის დასაცავად ყოველთვის ეყოლება და უნდა ჰყავდეს შეიარაღებული ძალა ამა თუ იმ სახით“ (პ. საყვარელიძე. საქართველოს კონსტიტუციისთვის - კრებულში: საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921). მასალები და დოკუმენტები. ტომი II, თბილისი, 2018, გვ. 259).

საქართველოს მიერ დეკლარირებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკის შეფასება კარლ კაუცკის მიერ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცდილობდა ნეიტრალიტეტის პრინციპი დაეცვა თავის საგარეო პოლიტიკაში. კარლ კაუცკი აღნიშნავდა, რომ საქართველოს საზღვრებთან მოქმედი მსხვილი სამხედრო ძალები „მუდმივად ცდილობდნენ, რესპუბლიკა მოკავშირეობრივ თანამშრომლობაში ჩაეთრიათ“, თუმცა „საქართველო მტკიცედ მისდევდა დეკლარირებულ პოლიტიკას, რაც უნდა რთულად შესასრულებელი ყოფილიყო იგი“; „გერმანელებმა ვერ მოახერხეს, დაერწმუნებინათ საქართველო ცენტრალურ ძალებთან შეეკრა ალიანსი. თანაბრად უნაყოფო აღმოჩნდა გერმანული დიპლომატიის მცდელობა, საქართველო ჩაება რუსეთის სამოქალაქო ომში“; „საქართველოს პოლიტიკას გერმანიასა და მისი მოკავშირეთა არმიის მარცხის შემდეგაც არ განუცდია ცვლილება, ანტანტამ სამხრეთ კავკასია დაიპყრო. ახლა უკვე ანტანტა წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც რუსულ სამოქალაქო ომში საქართველოს ჩათრევას და ბოლშევი-

კების საწინააღმდეგოდ დენიკინთან ალიანსის გაფორმებას ცდილობდა. ამგვარი წინადადებები საქართველოს მთავრობამ მტკიცედ უარყო და უმკაცრესი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა განაგრძო“ (კარლ კაუცკი. საქართველო გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა. შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. თბ., 2018, გვ.139, 140-141).

ივანე ჯავახიშვილი ნეიტრალიტეტის პოლიტიკის შესახებ

1919 წლის აპრილის ბოლოს ივანე ჯავახიშვილმა თბილისის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია „მიმდინარე მომენტის“ შესახებ. იმდროინდელ ვითარებაში ივანე ჯავახიშვილს მართებულად მიაჩნდა საქართველოს მიერ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გაგრძელება. "ჩვენი სამშობლოსათვის საზრუნავია, რომ მან განამტკიცოს თავის დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს, დარჩეს კვალად ნეიტრალური ამ მსოფლიო ომში და სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს", - ამ სიტყვებით მთავრდება ივანე ჯავახიშვილის საჯარო ლექცია (ივანე ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე. 1919 წლის 27-28 აპრილი. საგაზეთო ანგარიში. თბილისი, 2014, გვ.27)

რას ნიშნავდა "ნეიტრალიტეტი" საქართველოს სინამდვილეში? ეს იყო ლავირება დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის, რომლებიც მოცემულ მომენტში კავკასიის რეგიონში მოქმედებდნენ და ამის მეშვეობით უნდა მომხდარიყო ეროვნული ინტერესების დაცვა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

რადგანაც 1919 წლის გაზაფხულზე საქართველოს აღარ ემუქრებოდა დიდი დამპყრობელი, ივანე ჯავახიშვილის აზრით, "საქართველოსთვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი. ბედი ცვალებადია, სხვისი მფარველობა კი ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს" (იქვე, გვ.26).

მას კარგად ესმოდა ისიც, რომ საქართველოს შეიძლება მოუწიოს სამხედრო თავდასხმის მოგერიება რომელიმე მცირე მეზობლის ან რუსეთის სამოქალაქო ომში მონაწილე რომელიმე ძალის მხრიდან, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, საქართველოს შეუძლია თავისი ძალებით ასეთი თავდასხმების მოგერიება. "საჭიროა მხოლოდ რომ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს და თავისი ძალღონით მას შეუძლია შემუსროს გარედან შემოსეული მტერი", - აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი (იქვე, გვ 26), თუმცა ამისათვის საქართველოს სათანადო ყურადღება უნდა მიექცია სამხედრო საქმის ორგანიზებისათვის.

ნეიტრალიტეტის პრინციპი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადება მიზნად ისახავდა საქართველოს დაცვას იმპერიების პრეტენზიებისგან და საერთაშორისო აღიარების მიღწევას. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ნეიტრალიტეტის დეკლარირების მიუხედავად, საქართველო აღმოჩნდა ოსმალეთის აგრესიის წინაშე, რამაც აიძულა მისი მთავრობა სასწრაფოდ ხელშეკრულება გაეფორმებინა გერმანიის იმპერიასთან (ფოთის ხელშეკრულება, 1918 წლის 28 მაისი), რითაც მიიღო სამხედრო და პოლიტიკური გარანტიები ოსმალეთის აგრესიის შესაჩერებლად. ამ ხელშეკრულებამ განსაზღვრა საქართველოს საგარეო ორიენტაცია პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე (1918 წლის ნოემბერი), რაც გერმანიასთან მჭიდრო კავშირში გამოიხატა.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, საქართველო ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა და ქვეყნის საგარეო ორიენტაციამ კურსი შეიცვალა. ამ პერიოდში საქართველო აქტიურად ცდილობდა საერთაშორისო აღიარების მოპოვებას და დახმარების მიღებას ანტანტის ქვეყნებისაგან (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი), რათა თავი დაეცვა რუსეთის აგრესიისგან (როგორ თეთრი, ისე წითელი რუსეთისაგან).

ამგვარად, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ორიენტაცია ოფიციალურად ნეიტრალიტეტი იყო, მაგრამ პრაქტიკაში, გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სრული ნეიტრალიტეტის პოლიტიკა შეუძლებელი აღმოჩნდა და გადაიზარდა ჯერ ფაქტობრივად პრო-გერმანულ, შემდეგ კი ანტანტაზე ორიენტაციაში.

ნიკო ნიკოლაძის ხელნაწერი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი

არსებობს ნიკო ნიკოლაძის მიერ ხელით გადაწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი. ეს არის 4 ფურცლის შემცველი ფანქრით შესრულებული დაუმთავრებელი ხელნაწერი (ოთარ ჯანელიძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. თბ., 2018, გვ.18-19). ოთარ ჯანელიძე ვარაუდობს, რომ ეს ნიკო ნიკოლაძის მიერ შედგენილი ტექსტია (ოთარ ჯანელიძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. თბ., 2018, გვ.15).

ნიკო ნიკოლაძის ხელნაწერი ტექსტი ფაქტობრივად ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტს, არის მხოლოდ რამდენიმე სტილისტური სხვაობა. თუკი ნიკო ნიკოლაძეს ხელნაწერი ტექსტის ავტორად მივიჩნევთ, გამოდის, რომ ის ფაქტობრივად არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ავტორი. ასეთ რამ არ დასტურდება ჩვენთვის ცნობილი რომელიმე სხვა წყაროთი. ამ გარემოების გათვალისწინებით უფრო სავარაუდოა, რომ ნიკო ნიკოლაძემ გადაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ბოლო ვარიანტი.

შედარებისთვის ქვემოთ ორ სვეტად მოცემულია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის და ნიკო ნიკოლაძის ხელნაწერი დამოუკიდებლობის აქტის ტექსტები. არსებული სტილისტური სხვაობები ხაზგასმულია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი	**ნიკო ნიკოლაძის ხელნაწერი დამოუკიდებლობის აქტი**
„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა. რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია. დარჩნენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავის საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგა-	”მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისგან დაეცვა. რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია. საქართველო და მასთან ერთად მთელი ამიერკავკასია დარჩა რა თვისი ძალ-ღონის ამარად, თვით იდვა თავს საკუთარი თვისი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნა; მაგრამ

ნოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, საყოველთაოდ ა ც ხ ა დ ე ბ ს: 1. ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა. 3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. 4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან. 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს. 7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.	გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. თანახმად ამისა საქართველოს ეროვნული საბჭო, არჩეული 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ აცხადებს: 1.) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2.) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა. 3.) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. 4.) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან. 5.) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეო...”

რ

რუსეთთან საქართველოს „თავის ნებით“ შეერთების შესახებ

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ისტორიულ შესავალში მეორე აბზაცად არის დებულება, რომელიც ისტორიულ სიმართლეს არ შეესაბამება:

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა“.

საქართველოს რუსეთთან „თავის ნებით“ შეერთებას ამტკიცებდა რუსული ისტორიოგრაფია, მაგრამ სიმართლე ცნობილი იყო. მაგალითად, დამოუკიდებლობის აქტის დაწერამდე რამდენიმე თვით ადრე გამოცემულ ბროშურაში გრიგოლ ვეშაპელი აღნიშნავდა, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით „რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოქცეულ საქართველოს... სრულებითაც არ დაუკარგავს თავისი სახელმწიფოებრივობა“ (გრიგოლ ვეშაპელი. საქართველო და რუსეთი. თბილისი, 1918, გვ, 11), საქართველოს რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით კი წერდა: „რუსეთმა საქართველოს მიმართ უკრაინის „შემოერთების“ ისტორია განიმეორა, იმ უკრაინისა, რომელიც აგრედვე ხელშეკრულობით დაენდო რუსეთს. რუსეთის მიერ საქართველოს „შემოერთება“ ნამდვილი ანექსია იყო პატარა სახელმწიფოსი ძლიერი პროტექტორის მიერ. ამ ანექსიის წინააღმდეგ თავის დროზე პროტესტი განაცხადეს ევროპის სახელმწიფოებმა, როგორც საფრანგეთმა, ისე ინგლისმა“ (გრიგოლ ვეშაპელი. საქართველო და რუსეთი. თბილისი, 1918, გვ, 21),

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მეორე დანართის სახით გამოქვეყნებულ დოკუმენტში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა ცოტა უფრო ვრცლად და ისტორიულ სიმართლესთან უფრო შესაბამისად არის წარმოდგენილი:

„საქართველოს ნაწილებმა ბევრი ფიქრისა, ცდისა და ყოყმანის შემდეგ რუსეთთან დასდვეს მთელი რიგი პოლიტიკურ ხელშეკრულობებისა, რომელთა შორის უპირველესი და უმთავრესი 1783 წლის ხელშეკრულება იყო და რომლის ძალითაც აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიის პროტექტორატში შედიოდა. სხვა ხელშეკრულობათა მიზანიც იგივე იყო - ავტონომია საქართველოს ქვეყნებისა შინაგან საქმეებში და რუსეთის პროტექტორატი მათ საგარეო განწყობილებებში; ხოლო ეს რეჟიმი, განმტკიცებული რუსეთის იმპერატორთა საჯარო დაპირებით, მეტათ ხანმოკლე იყო. რუსეთის იმპერიის ცალმხრივმა აქტებმა 1801 წლიდან 1861 წლამდე რუსეთთან საქართველოს შეერთებით საქართველოს ნაწილების ავტონომია, დამყარებული საერთაშორისო ხელშეკრულებაზედ, მოსპეს ისე, რომ პოლიტიკური ხელშეკრულებანი, დადებულნი რუსეთისა და საქართველოს ქვეყნებს შორის, ფორმალურად გაუქმებულნი არ იყვნენ“.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში, რომელიც 1917 წლის ივნისში მიიღეს, იგივე დებულება უფრო სრულყოფილად არის წარმოდგენილი:

„საქართველოს ეროვნული უფლებები

ქართველი ერი მრავალ საუკენეთა განმავლობაში ეწეოდა თავისუფალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

1783 წლის ხელშეკრულებით საქართველომ მიიღო რუსეთის მფარველობა (პროტექტორატი). ქართველ ერს უნდა დარჩენოდა საკუთარი კანონმდებლობა და მთავრობა, საკუთარი ხაზინა, ჯარი, სამართალი, ეკლესია.

1801 წლის ენკენისთვის 15 მანიფესტით რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულობა და სრულიად გააუქმა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი უფლებები.

საქართველოს პოლიტიკური უფლებები უნდა იქმნეს აღდგენილი“ (საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I, თბილისი, 2008, გვ.25)

დამოუკიდებლობის აქტში შეტანილ დებულებას საქართველოს რუსეთთან თავის ნებით შეერთების შესახებ ისტორიული სიმართლის წარმოჩენის დანიშნულება არ ჰქონია. მას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის არგუმენტად გამოიყენებოდა.

რუსეთის დიდი რევოლუცია

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში „რუსეთის დიდი რევოლუციის“ სახელით მოხსენიებულია რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, რომელსაც დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები საქართველოში.

დამფუძნებელი კრების გახსნის თარიღი შემთხვევით არ იყო შერჩეული - 12 მარტი (ახალი სტილით) რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების დღე იყო. სოციალ-დემოკრატებისათვის, რომელთაც არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს, ამ დღეს დამფუძნებელი კრების გახსნას ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა:

ერთი მხრივ, როგორც უკვე ითქვა, ეს იყო რუსეთის თებერვლის რევოლუციის წლისთავი, რომელსაც სოციალისტები დიდ პატივს სცემდნენ. დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი ორგანო სარედაქციო სტატიაში წერდა: „დღეს ორი წლისთავია რევოლუციის. მან ყველას თვალწინ გაიარა. დღესაც მისით ვსცოცხლობთ და ვცხოვრობთ... რა მოგვიტანა, რა მნიშვნელობა აქვს კერძოდ საქართველოსათვის რევოლიუციას - ესეც ყველასთვის ცხადია. ჩვენ დღეს ეროვნულად დამოუკიდებელნი ვართ და სოციალურ რეფორმების ხანას განვიცდით“. გაზეთი იმედს გამოთქვამდა, რომ რევოლუცია ევროპასაც მოედებოდა - „რევოლუციის ცეცხლი გასწმენდს და განაახლებს უკვე დრომოჭმულ წესწყობილებას ევროპისას და ჩვენ ჩქარი ნაბიჯით წავალთ სოციალიზმისაკენ“ („სახალხო საქმე“, 12.03.1919).

რუსეთის თებერვლის რევოლუციასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკა“ აღნიშნავდა: „ისტორიამ ნაკლებათ იცის ასეთი ბრწყინვალე დღე, - იგი ძუნწია და უფრო შავი დღეებით ითვლის თავის გზას. მაგრამ დღევანდელი ბრწყინვალე დღე გამოვგლიჯეთ მას ხელიდან... გასწორდა წელში ხალხი. აღიმართა დიდი რევოლუცია“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 12.03.1919).

დამფუძნებელი კრების გახსნის დღე რომ რუსეთის რევოლუციის მეორე წლისთავს დაამთხვიეს, ამის თაობაზე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1919 წლის 12 მარტს საგანგებოდ იუწყებოდა: „დღეს, რევოლიუციის ორი წლის თავზე გაიხსნება საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა“. რუსულ ენაზე გამომავალი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბორბა“ აღნიშნავდა, რომ „რუსეთის რევოლუციისგან შობილად უნდა ჩაითვალოს ჩვენი დამფუძნებელი კრება“ (ციტ.: „საქართველო“, 13.03.1919).

მეორე მხრივ, 12 მარტს დამფუძნებელი კრების გახსნა რუსეთის რევოლუციის წლისთავს დაამთხვიეს არა მარტო პატივისცემის, არამედ იმის ნიშნადაც, რომ საქართველომ შეძლო რუსეთის რევოლუციის დემოკრატიული მიღწევების შენარჩუნება, ეს დამთხვევა სიმბოლურად იმის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველო აგრძელებდა რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის გზას, ემსახურებოდა ამ რევოლუციის იდეალების ცხოვრებაში დამკვიდრებას,

რაც თავად რუსეთში შეუძლებელი აღმოჩნდა ბოლშევიკური გადატრიალების გამო. „დამფუძნებელი კრება და რევოლიუციის წლის თავი - ეს დედა და შვილის შეხვედრაა, მიზეზის და შედეგის ერთმანეთზე გადახლართვაა“, - აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა“ და იმედსაც გამოთქვამდა, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც „მხოლოდ საღი გამოხატულებაა რევოლიუციის საღი მიმდინარეობის“. შეიძლება „პირველი მერცხალი“ გამხდარიყო „რუსეთის რევოლიუციის გამომრთელების, შეიძლება მისმა მაგალითმა კვლავ დაანახვოს ახლობელ და შორეულ მეზობლებს საჭიროება იმ გზის, რომელიც დღემდე უარყოფილი და მივიწყებული იყო“ (ციტ.: „საქართველო“, 13.03.1919). გაზეთ „ერთობის“ თქმით, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უნდა შეინარჩუნოს და გააგრძელოს რუსეთის რევოლუციის მონაპოვრები და „ის მწყობრ, იურიდიულ ფორმაში ჩამოასხას“ („ერთობა“, 14.03.1919)

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მნიშვნელობაზე ისაუბრა დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე გამოსულმა ორივე ორატორმა, - სილიბისტრო ჯიბლაძემ (ს. დ.) და ალექსანდრე ლომთათიძემ (ს. დ.). სილიბისტრო ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ დამფუძნებელი კრების გახსნის დღე რუსეთის რევოლუციის მეორე წლისთავი იყო. „ჩვენი დემოკრატია, მადლიერი დემოკრატია არ დაივიწყებს დიდ ამაგს რუსეთის დემოკრატიისას. მუხლის მოდრეკით მოვიხსენიებთ ამ დემოკრატიის გმირებს, რომელთაც თავი დასდვეს საკაცობრიო სამსხვერპლოზე“ (ოქმები, ტ. I., გვ.20), - აღნიშნა ს. ჯიბლაძემ და ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის დემოკრატიიდან გადარჩა მხოლოდ საქართველო „ჩვენი პატარა ნავი... დიდი რევოლიუციის, დიდი გემისა“ (ოქმები, ტ. I., გვ.19).

ალექსანდრე ლომთათიძემ თავის სიტყვაში ასევე გამოყო რუსეთის რევოლუციის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ „დღეს, 12 მარტს წლის თავია ამ დიდი გადატრიალებისა“ (ოქმები, ტ. I., გვ.22) და ასევე ხაზი გაუსვა, რომ „26 მაისიდან დაწყობილი დღევანდლამდინ, საქართველოს დემოკრატია ვითა გააფთრებული ლომი იბრძვის, რომ შეინარჩუნოს მონაპოვარი დიდებულ რევოლიუციისა თავის მიწა წყალზე“ (ოქმები, ტ. I., გვ.23).

ზემოთ აღნიშნული ამ ორი, სოციალისტებისთვის მნიშვნელოვანი გარემოების გარდა, რაც 12 მარტს უკავშირდებოდა, ეს თარიღი, ამიერიდან მნიშვნელოვანი ხდებოდა საქართველოსთვისაც. როგორც კი 5 მარტს ცნობილი გახდა დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების თარიღი, რაფიელ ინგილო (ე. დ.) მეორე დღეს აღნიშნავდა: „დამფუძნებელ კრების პირველი სხდომა 12 მარტს შესდგება. დამოუკიდებელი საქართველოს მატიანეში ეს დღე სამართლიანად ჩაითვლება პირველხარისხოვან და ღირსშესანიშნავ მოვლენად“ („საქართველო“, 6.03.1919). იგივე გაზეთი დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს აღნიშნავდა: „დიდი ისტორიული დღეა - 12 მარტის თარიღით ქართველი ერის ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო“ („საქართველო“, 12.03.1919).

სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი ორგანო „სახალხო საქმე“ დამფუძნებელი კრების გახსნის წინ აღნიშნავდა: „ხვალ გაიხსნება პირველი სხდომა დამფუძნებელი კრებისა. ასის წლის მონობის შემდეგ ეს მეორე მომენტია საქართველოს ცხოვრებაში, რომელსაც მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და საშვილიშვილოდ მოსაგონარი და ნეტარი იქნება ეს წუთები. პირველი მომენტი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მაისის 26. ხოლო მარტის 12 ამ აქტის გამართლება და დადასტურებაა („სახალხო საქმე“, 11.03.1919).

სილიბისტრო ჯიბლაძემ, რომელმაც გახსნა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, დასაწყისშივე აღნიშნა თავისი სიხარული, რომ წილად ხვდა გახსნა „ამ დიადი, ამ ორმაგი დღესასწაულისა“ (ოქმები, ტ. I., გვ.17).

როდესაც დამფუძნებელ კრებაში განიხილებოდა უქმე დღეების შემცირების საკითხი, ალექსანდრე ასათიანმა (ერ. დემ.) შესაძლებლად მიიჩნია 12 მარტის, როგორც უქმე დღის გაუქმება, რადგანაც ამ თარიღს საქართველოსთან კავშირი არ ჰქონდა. ასათიანის თქმით,

„შეიძლება შესაძლებელი იყოს, რომ ამა თუ იმ წრემ... თავისთვის დააკანონოს რუსეთის რევოლუციის პირველი დღე, როგორც უქმე“, მაგრამ „ერის უმრავლესობისათვის“ ეს უქმე „არ არის მისაღები და მისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს“ (ოქმები, ტ. II, გვ.89). ალექსანდრე ასათიანმა ეს განცხადება დამფუძნებელი კრების 1919 წლის 6 ივნისს გააკეთა. მაშინ, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ასათიანის განცხადებას სოციალისტური პარტიების მხრიდან რაიმე რეაქცია არ მოჰყოლია. მაგრამ როდესაც 13 ივნისს, უქმე დღეების შემცირების კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის დროს, ალ. ასათიანმა კვლავ აღნიშნა, რომ გასაუქმებელია „სამოქალაქო უქმეები, რომელიც მეტად ნაჩქარევად დავაწესეთ და გავხადეთ სავალდებულოდ მთელი ქვეყნისათვის“ (ოქმები, ტ. II, გვ.121), ამას სოციალისტური პარტიების რისხვა მოჰყვა. პირველ რიგში პროტესტი 1 მაისის, როგორც უქმე დღის გაუქმების იდეას მოჰყვა, მაგრამ არც 12 მარტი დაუტოვებიათ დაუცველი. იესე ბარათაშვილის (ს. ფ.) თქმით, სწორედ რევოლუციამ „მოგვიტანა ჩვენ თავისუფლება, რომელმაც მოგვიტანა ჩვენ დამოუკიდებლობა“ (ოქმები, ტ. II, გვ.129). მანვე თავის გამოსვლისას უპასუხა გ. გვაზავას ადგილიდან წამოძახილს: „თქვენ გავიწყდებათ ბატონო გვაზავა, რომ ეს 26 მაისი და 12 მარტი დაკავშირებული არის. თუ 12 მარტი არ იქნებოდა, თუ 12 მარტი არ ყოფილიყო, 26 მაისიც არ იქნებოდა (ოქმები, ტ. II, გვ.130). ბარათაშვილის ამ სიტყვებს დარბაზში ტაში მოჰყვა, რის შემდეგაც ორატორმა რიტორიკული კითხვა დასვა: „ნუ თუ თქვენ თხოულობთ, რომ ასეთი მარტივი საკითხი აგიხსნათ?“ (ოქმები, ტ. II, გვ.130).

12 მარტს ქართული სოციალისტური პარტიები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ და ამ თარიღს, როგორც უკვე ითქვა, დამფუძნებელი კრების გახსნაც სპეციალურად დაამთხვიეს. ეს იყო სიმბოლურად იმის ხაზგასმა, რომ საქართველო ერთგული რჩებოდა რუსეთის თებერვლის რევოლუციის იდეალებისა, რომელთა რეალიზებაც ბოლშევიკური გადატრიალების გამო ვერ მოხერხდა რუსეთში.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 22 მარტის სხდომაზე, სოციალისტ-ფედერალისტებმა თავიანთ დეკლარაციაში ხაზი გაუსვეს, რომ „1919 წლის მარტის 12 ისევე აღიბეჭდება საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, როგორც შარშანდელი მაისის 26-ი“ (ოქმები, ტ. I, გვ.83) და მოითხოვეს, რომ რუსეთის „რევოლუციის პირველი დღე ისეთსავე დიდმნიშვნელოვან დღედ აღვიაროთ, როგორც მაისის 26 და მარტის 12 (ოქმები, ტ. I, გვ.83). თუმცა რუსეთის თებერვლის რევოლუციის პირველი დღე ახალი სტილით 12 მარტი იყო და ამ თარიღმა „ორმაგი დატვირთვა“ შეიძინა სოციალისტებისათვის.

პერიოდულად დამფუძნებელ კრებაში იმართებოდა დისკუსიები იმის თაობაზე, თუ რამ მოუტანა საქართველოს დამოუკიდებლობა. სოციალისტების აზრით, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა რუსეთის რევოლუციის შედეგად. ამას არ ეთანხმებოდნენ მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები და აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შესაძლებელი გახდა მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის დამარცხების და სახელმწიფოებრიობის ნგრევის შედეგად.

ამ მხრივ დამახასიათებელი იყო დამფუძნებელი კრების 1920 წლის 19 მარტის სხდომაზე გერონტი ქიქოძის გამოსვლა, რომელიც, ასევე, საქართველოს დამოუკიდებლობას რუსეთის რევოლუციის შედეგად მიიჩნევდა. მას შეეკამათა გიორგი გვაზავა:

„გ. ქიქოძე: რუსეთის რევოლიუციამ მოგვცა ეროვნული თავისუფლება და აღიარება.

გ. გვაზავა: ომმა მოგვცა ეს!

გ.ქიქოძე: შეიძლება ომთანაც იყოს დაკავშირებული“ (ოქმები, ტ. VI, გვ.39).

თუმცა, გ. ქიქოძე შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ამ თემას და საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძვლად კვლავ რუსეთის რევოლუცია მიიჩნია.

რუსეთის რევოლუციას და მის მნიშვნელობას სოციალისტ-რევოლუციონერები ხშირად ახსენებდნენ სრულიად სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 11 მაისის სხდომაზე ივ. გობეჩიამ (ს. რ.) განაცხადა, რომ რუსეთთან გაფორმებულ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში „ყველაზე ნაკლები დამსახურება მიუძღვის“ საქართველოს „მთავრობასა და მმართველ პარტიას“ და ეს „რუსეთის დიდი რევოლიუციის გამარჯვებაა“, რომელმაც, გობეჩიას თქმით, წამოაყენა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი (ოქმები, ტ. VI, გვ.340).

დამფუძნებელმა კრებამ თავის არსებობის მანძილზე სამი საზეიმო სხდომა ჩაატარა, აქედან მხოლოდ ერთი მიეძღვნა ისტორიულ თარიღს და 1920 წლის 12 მარტს ჩატარდა. ეს იყო უკვე „ორმაგად საზეიმო“ თარიღი: რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მორიგი წლისთავი, რევოლუციისა, რომელსაც ქართველი სოციალისტები, პირველ რიგში სოციალ-დემოკრატები დიდ პატივს სცემდნენ და საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის თარიღი, რომელიც სპეციალურად დაამთხვიეს რუსეთის თებერვლის რევოლუციის მეორე წლისთავს და ამიერიდან ეს ორი თარიღი მათთვის ერთმანეთს გადაეჯაჭვა. ამასთან, როგორც ჩანს, ბევრი სოციალ-დემოკრატისთვის თავისებური გრადაცია არსებობდა „საკაცობრიო მნიშვნელობის“ და „ადგილობრივ“ საზეიმო თარიღებს შორის. ამ მხრივ დამახასიათებელია ვალიკო ჯუღელის მიერ თავის დღიურში გაკეთებული ჩანაწერი 1919 წლის 12 მარტს: „დღეს ორი დიდი დღესასწაულია, დემოკრატიის ორი დღესასწაული: დიადი რევოლუციის მეორე წლის თავი და საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნა!... რევოლუციის ერთიანობის დღესასწაული ადგილობრივი მნიშვნელობის დღესასწაულს დაემთხვა, და ამ დამთხვევამ ახალი ერთიანობისათვის დიადი ბრძოლის სურვილი უნდა გააღვიძოს ჩვენში!“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.204).

საზეიმო იყო დამფუძნებელი კრების 1920 წლის 12 მარტს გამართული 97-ე სხდომა. ეს რიგით მეორე საზეიმო სხდომა 1920 წლის 14 იანვრის სხდომის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოს „დე ფაქტო“ ცნობას. თუკი მაშინ ფრაქციების წარმომადგენლებიც გამოვიდნენ სიტყვით, 12 მარტის სხდომა სხვანაირად წარიმართა, - სიტყვით გამოვიდა მხოლოდ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე. დარბაზი საზეიმოდ იყო მორთული, „სხდომას აუარებელი გარეშე საზოგადოება“ (ოქმები, ტ. V, გვ.467) ესწრებოდა. სხდომა დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა: გაიხსნა 11 საათსა და 10 წუთზე და დამთავრდა 11 საათსა და 45 წუთზე. თავის სიტყვის ბოლოს ალექსანდრე ლომთათიძემ საზოგადოებას გააცნო თბილისში დაგვიანებით მიღებული, 1920 წლის 21 თებერვალს ინგლისის თემთა პალატის სპიკერის მიერ გამოგზავნილი მისალოცი დეპეშა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო. „ამ დეპეშას დამფუძნებელი კრება და დამსწრე საზოგადოება ტაშით და ოვაციით შეეგება“ (ოქმები, ტ. V, გვ.471).

რაც შეეხება ალექსანდრე ლომთათიძის სიტყვას, მან კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალური თვალსაზრისი უახლოეს წარსულში განვითარებული მოვლენების შესახებ. ალექსანდრე ლომთათიძემ თავიდანვე ხაზი გაუსვა ორი ისტორიული თარიღის დამთხვევას, რაც საზეიმო იყო „ჩვენი დემოკრატიისა და ერისათვის“ (ოქმები, ტ. V, გვ.467). ერთი იყო რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აფრიალებული „რევოლუციის დიადი დროშა“, რომელმაც რუსეთში მხოლოდ რამდენიმე თვე იარსება, შემდეგ კი რუსეთში რევოლუცია „ასცდა ისტორიული აუცილებლობის გზას“ (ოქმები, ტ. V, გვ.468). საქართველოს დემოკრატიამ „ეს გზა არ გაიზიარა“ და „საკუთარ ფეხზე დადგომა ირჩია, საკუთარ ძალების ანაბრად მიტოვებულმა“ (ოქმები, ტ. V, გვ.468). ალექსანდრე ლომთათიძის თქმით, ეს იყო საქართველოს მიერ ერთა თვითგამორ-

კვევის უფლების გამოყენება, რადგანაც „დიდი რევოლიუცია ერთა თვითგამორკვევის მღაღადებელიც იყო“ (ოქმები, ტ. V, გვ.468).

ალექსანდრე ლომთათიძის თქმით, საქართველომ, რომელიც „ანარქიით, რეაქციით და იმპერიალიზმით“ იყო გარშემორტყმული (ოქმები, ტ. V, გვ.468), შესძლო რუსეთის „რევოლიუციის დროშა და მისი დიდი ლოზუნგები“ გადმოეტანა „მშობლიურ ნიადაგზე და აქ განახორციელა ეს დიდი რევოლიუციის მონაპოვარნი... რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკილ იქნა, საქართველოს დამფუძნებელი კრება ჩვენმა ხალხმა ანარქიის ქარცეცხლში დიდის ბრძოლით გამოატარა და თავის დედა ქალაქში შეკრიბა იგი. დემოკრატიის მოთხოვნილებანი, ხალხის უზენაესობის განმტკიცება, რომელიც უარყოფილი იქნა იქ, შესრულებული იქნა აქ“ (ოქმები, ტ. V, გვ.469).

ალექსანდრე ლომთათიძემ ხაზი გაუსვა, რომ „რუსეთის დიდი რევოლუციის... დიდებული იდეალების“ განსახორციელებლად „სხვა გზა, სხვა პოლიტიკა იყო საჭირო“ და ეს გზა საქართველოს დემოკრატიამ აირჩია (ოქმები, ტ. V, გვ.469). ამის შემდეგ ალექსანდრე ლომთათიძემ ილაპარაკა „ქართული დემოკრატიის“ მიღწევებზე, რომელმაც „მკვდრეთით აღადგინა საქართველო“ და „დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის დროშით მიიყვანა ევროპის ხალხთა ოჯახში“ (ოქმები, ტ. V, გვ.469). ამასთან, საქართველომ „დიდი რევოლიუციის მიერ ნაკარნახევი რეფორმები თითქმის ყველა განახორციელა და ამ მხრივაც ბევრ ხალხთათვის მისაბაძი გახდა“ (ოქმები, ტ. V, გვ.470).

ალექსანდრე ლომთათიძემ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ „რევოლიუციის ნაკარნახევია დამოუკიდებელი საქართველო“ და ესაა „ნიადაგი ჩვენი ერის აღორძინებისა და რაკი ეს ასეა, უდიდესი დანაშაული იქნებოდა კაცობრიობის წინაშე, რომ მას ამ მიზნის მიღწევაში ვინმემ ან რამემ ხელი შეუშალოს“ (ოქმები, ტ. V, გვ.470). ალექსანდრე ლომთათიძის განცხადებით, საქართველომ უნდა იარსებოს თავის „ბუნებრივ და ისტორიულ საზღვრებში“ (ოქმები, ტ. V, გვ.470) და ხაზი გაუსვა იმ დროს აქტუალურ საკითხს ბათუმის ოლქის საქართველოსთვის დაბრუნების დაჩქარების აუცილებლობაზე, რასაც დარბაზი ტაშით შეხვდა.

საზეიმო სხდომაზე რომ სხვა ფრაქციების წარმომადგენლებიც გამოსულიყვნენ, ისინი, სავარაუდოდ, მოვლენების სხვაგვარ ხედვას ჩამოაყალიბებდნენ. თუ მემარცხენე ოპოზიცია სოციალ-დემოკრატების მიერ საქართველოში გატარებული პოლიტიკის კრიტიკაზე გააკეთებდა აქცენტს, მემარჯვენე ოპოზიციისთვის კრიტიკის საგანი შეიძლება გამხდარიყო როგორც სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა, ისე რუსეთის რევოლუციის საზეიმო თარიღად გამოცხადება.

ს

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი: ადრეული ვარიანტი

დოკუმენტი არის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც მკვლევარმა ოთარ ჯანელიძემ გამოაქვეყნა და ის მიიჩნია ზურაბ ავალიშვილის მიერ შედგენილ პროექტად (ოთარ ჯანელიძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 2018, გვ.20-21).

აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალური ტექსტისგან. მაგალითად, არ შეიცავს მუხლს „მუდმივი ნეიტრალიტეტის“ შესახებ. დოკუმენტის თანახმად დროებით მთავრობას და ეროვნულ საბჭოს ევალებათ „დაიცვან სამხედრო ძალებით საქართველოს საზღვრები“.

ასევე 6 პუნქტად არის ჩამოთვლილი თუ რის გაკეთება ევალებათ დროებით მთავრობას და ეროვნულ საბჭოს.

დამოუკიდებლობის აქტის აღნიშნული პროექტის შინაარსი შემდეგია:

საქართველო თითქმის ოცი საუკუნის განმავლობაში არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მხოლოდ 1783 წ. შეეკრა იგი ხელშეკრულებით რუსეთს. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთი ვალდებული იყო, დაეცვა საქართველოს საზღვრები და შემოეერთებინა იმისთვის ზოგიერთი დროთა ვითარების გამო დაკარგული მიწა-წყალი.

სხვაფრივ საქართველო უნდა დარჩენილიყო ისევ თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყნად მის შინაურ წესწყობილებასა და მართვა-გამგეობით.

რუსეთმა დაარღვია ეს ხელშეკრულება და უარჰყო საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლებანი.

ეხლა რუსეთი თვითონ დაირღვა და დაიშალა. საქართველოს თავისთავად უბრუნდება მისი სუვერენობა: თვითონ უნდა თავისუფლად დაიჭიროს შესაფერი ადგილი საერთაშორისო განწყობილებაში, დაამყაროს თავისი სახელმწიფოებრივი წესწყობილება და შეჰქმნას შინაურ ცხოვრებაში ის პირობები, რომელიც აუცილებელია ხალხის კეთილდღეობის და მშვიდობიანი განვითარების დასამყარებლად, ამიტომ საქართველოს ეროვნული საბჭო აცხადებს:

I. სუვერენობა საქართველოს ტერიტორიაზე ეკუთვნის საქართველოს ერს.

II. სახელმწიფოებრივი ფორმა საქართველოსი არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

III. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას შეადგენს ქალაქ ტფილისში შეკრებილი დამფუძნებელი კრება, რომლის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, საყოველთაო თანასწორის პირდაპირის და ფარულის კენჭისყრით. პროპორციული წესიც სავალდებულოა.

IV. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის სათავეში დგას ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა, აღჭურვილი ხალხის ნდობით და პასუხისმგებელი საბჭოს წინაშე.

V. დროებით მთავრობას და ეროვნულ საბჭოს ევალებათ:

ა. დაამყარონ მშვიდობიანი და კეთილგანწყობილება სხვადასხვა სახელმწიფოებთან და მომიჯნავე ერებთან.

ბ. დაიცვან მოქალაქეობრივი თავისუფლება და უფლებრივი თანასწორობა განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

გ. დაიცვან სამხედრო ძალებით საქართველოს საზღვრები.

დ. მოაწესრიგონ საქართველოს ფინანსები.

ე. აღიდგინონ თავისუფლება შრომის, მეურნეობის, მრეწველობის და აღებ-მიცემობისა.

ვ. სასტიკად შეებრძოლონ ყოველნაირ ანარქიას და უწესობას.

VI. არც ერთ არაქართველ ერმან არ უნდა იგრძნოს რაიმე შევიწროება მათს კულტურულ და ეროვნულ განვითარებაში. უმცირესობათა უფლება სასტიკად დაცულ უნდა იყოს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პირველი დამატება

1990 წელს გამოცემულ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებულში საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პირველი დამატების სახით გამოქვეყნდა „აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა“. მისი ტექსტი ძალზედ ახლოს დგას საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალურ ტექსტთან. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საბოლოო ტექსტი სწორედ მისი რედაქტირების შედეგად არის მიღებული:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი	**დამატება პირველი. აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა**
„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.	მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.
მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.	მე-XVIII-ე საუკუნის მიწურულში მტერთაგან მიერ ყოველის მხრით გარსშემორტყმული და მეტად შევიწროებული საქართველო რუსეთს შეუერთდა იმ პირობით, რომ რუსეთი მას გარეშე მტერთაგან დაიცავდა.
რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.	რუსეთის დიდი რევოლუციის განვითარების დროს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომლის შედეგიც ბრძოლის მთელი ფრონტის დარღვევა და რუსის ჯარის მიერ ამიერკავკასიის მიტოვება იყო.
დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავის საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.	საკუთარ ძალების ამარა შთენილმა საქართველომ და მასთან ერთად მთელმა ამიერ-კავკასიამ თვით მოჰკიდეს ხელი საკუთარ ბედის მოწყობას და საჭირო ორგანოებიც შეჰქმნეს; ხოლო გარეშე ძალთა გავლენამ კავშირი, რომელიც ამიერკავკასიის ხალხებს აერთებდა, დაარღვია და მისი პოლიტიკური მთლიანობა დაშალა.
ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.	ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოს საკუთარ სახელმწიფოს შექმნის აუცილებელ საჭიროებას გადაჭრით უკარნახებს, რათა მტრულ ძალთა დამონებისაგან თავი გადაირჩინოს და თავისუფალ განვითარებას მძლავრი საძირკველი ჩაუყაროს.
ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, საყოველთაოდ ა ც ხ ა დ ე ბ ს:	ითვალისწინებს რა ზემოდჩამოთვლილს პირობებს საქართველოს ეროვნული საბჭო, ამორჩეული საქართველოს ეროვნულ კრების მიერ 22 გიორგობისთვეს 1917 წ., დღეს საქვეყნოდ აცხადებს:
1. ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.	1 - დღეიდან ქართველი ერი სუვერენულ უფლებებით აღჭურვილი ერია და საქართველო – სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო.
2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა.	2 - დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკურ წყობილების სახე დემოკრატიული რესპუბლიკა არის.
3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.	3 - საერთაშორისო კონფლიქტების დროს საქართველო ნეიტრალურია.
4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის	4 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფვის ყოველ ხალხთან და

ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.	განსაკუთრებით მეზობელ ერებთან მეგობრული განწყობილება იქონიოს.
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა.	5 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის მიწა-წყალზე ყოველი მოქალაქის, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკურსა და მოქალაქურს უფლებებს უზრუნველჰყოფს.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.	6 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მის ტერიტორიაზედ მცხოვრებს ყოველს ერს თავისუფალი განვითარების ფართო ასპარეზს მიანიჭებს.
7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".	7 - დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით შევსებული ეროვნული საბჭო და ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა სრულიად საქართველოს მმართველობის სათავეში სდგანან.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია

1918 წლის 16 მაისს, საღამოს 7 საათზე შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. მას დაესწრნენ: ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, ვლადიმერ გობეჩია, კონსტანტინე მესხი. მოწვეული იყვნენ იასონ ლორთქიფანიძე და შალვა მესხიშვილი. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. განიხილეს შემდეგი სახით ფორმულირებული საკითხი: „წინადადება პ. საყვარელიძისა, რომ მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოამზადოს ყოველნაირი ნიადაგი".

საკითხის განხილვის შემდეგ აღმასკომის პრეზიდიუმის წევრებს: ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილსა და გრიგოლ ვეშაპელს დაევალათ დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისიის სამი წევრის დასახელება. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია შეიქმნა შემდეგი შემადგენლობით: ნოე რამიშვილი, დავით (დათა) ვაჩნაძე და შალვა მესხიშვილი.

აღმასრულებელმა კომიტეტმა აღნიშნულ კომისიას დაავალა: 1. ზომების მიღება საქართველოში ლტოლვილთა, მათ შორის შეიარაღებულ ლტოლვილთა, შემოსვლის შესაჩერებლად; 2. ქართულ ჯარსა და საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო სექციასთან კონტაქტის დამყარება; 3. სომხეთის ეროვნული საბჭოსთვის იმის შეტყობინება თუ რა სირთულეებს ქმნიდა სომეხი ლტოლვილების საქართველოში შემოსვლა და იმის გარკვევა, თუ რა ზომების მიღებას აპირებდა სომხეთის ეროვნული საბჭო გართულებების თავიდან ასაცილებლად.

მეორე დღეს, 1918 წლის 17 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი: „მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სამთა კომისიის მოქმედების შესახებ". სამთა კომისიამ პრეზიდიუმს გან-

სახილველად ორი საკითხი წარუდგინა: ა/ ვის ჩააბარონ თბილისის დაცვა; ბ/ რომელ ორგანოს უნდა ეხელმძღვანელა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის.

თბილისი ოსმალეთის ჯარების იერიშის მოგერიებისთვის ემზადებოდა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა; 1. თბილისში გამოცხადებულიყო სამხედრო (ან საალყო) წესები; 2. თბილისის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დაინიშნა გენერელი ახმეტელი, მის თანაშემწედ პოლკოვნიკი ნაქერელიძე. მათ უნდა ემოქმედათ ქართული კორპუსის მეთაურის, გენერალ ვასილ გაბაშვილის ხელმძღვანელობით; 3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ხელმძღვანელ ორგანო უნდა ყოფილიყო იგივე სამთა კომისია, რომელსაც უნდა ემოქმედა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემმუშავებელი კომისია

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის 1918 წლის 24 მაისის სხდომაზე იმსჯელა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე და ჩამოაყალიბა კომისია რომელსაც დაევალა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება და კომიტეტში წარმოდგენა. კომისიაში შედიოდნენ: გიორგი გვაზავა, იოსებ მაჭავარიანი, გრიგოლ რცხილაძე, პეტრე ქავთარაძე, ბიქტორ თევზაია, რაჟდენ არსენიძე, ირაკლი (სავარაუდოდ სერგი) ჯაფარიძე.

რაჟდენ არსენიძის მოგონების თანახმად, დამოუკიდებლობის აქტის შემმუშავებელი კომისია ეროვნულმა საბჭომ 25 მაისის სხდომაზე შექმნა. რაჟდენ არსენიძის თქმით, „ამ მიზნით მან გამოყო საკანონმდებლო კომისია, რომელსაც დაავალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის დამუშავება. ეს კომისია შეიკრიბა იმავე დღეს. ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაობა. ვჩქარობთ, რადგან ხვალ ეროვნული საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავს იდვა ამ ისტორიული აქტის შესრულება. ვჩქარობთ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის დიად დანიშნულების; უნდა აღინიშნოს ხომ უფლებები ახალ დაბადებული მოქალაქის; უყურადღებოთ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომელნიც ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე ეს უნდა ითქვას მოკლედ, მოჭრით, მკაფიოდ. ამიტომ თვითეული სიტყვა იწვევს დავას, კამათს, აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს ბრძოლა და ჯახი თავდება მორიგებით, ერთსულოვნებით; რაც მიღებულია - მიღებულია ყველასაგან. განხეთქილებას და გულნაკლულობას აქ, ამ დიად გადამწყვეტ მომენტში, არ უნდა დაურჩეს ადგილი. ამას ვგრძნობდით ყველა, თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახევია... ვიბრძვით და ვჩქარობთ, რადგან ოტომანის პორტასაგან 72-ი საათის ულტიმატუმი გვაქვს წამოყენებული, რომელსაც ხვალ საღამოზედ გაუდის ვადა. ამიერკავკასიას წინააღმდეგობისა და პასუხის გაცემის უნარი აღარ აქვს. ოტომანის იმპერია კი იარაღით გვადგია თავზე. სამარცხვინო ბრესტ-ლიტოვსკის ზავით და რუსის ჯარის დაშლით გათამამებული - ყარსის, ბათუმის, არდაგანის ოლქების ჩამოცილებით გვემუქრება.

... შეღამდა... ვერ დაგვისრულებია შრომა... ვიკრიბებით ნავახშმევს და ისევე ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყოველ აზრს ჩავკირკიტებთ; ხოლო ეროვნული საბჭოს ბიურო, მიხი პრეზიდიუმი, გვიცდის, ელის ჩვენგან შემუშავებულ პროექტს, რომ საბოლოო ტექსტი მიიღოს და ხვალ საბჭოს წინაშე წარადგინოს. შუაღამეზე ვათავებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი გიორგი გვაზავა და პავლე სარჯველაძე მიეშურებიან საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომ ამაღამვე დაამთავრონ ეს საშური, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა.

ნაშუაღამევს ბიურო იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოო რედაქციას და კვირას, 26 მაისს, იგი საჯაროთ ცხადდება სახალხოდ თეთრ დარბაზში“.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება: ნოე ჟორდანიას და გიორგი გვაზავას მოგონებები

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებასთან დაკავშირებით ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში აღნიშნავდა: „საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოვყავით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოთ ამ საკითხში. მე ვსთხოვე კომისიის წევრს გ. გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე, გავოცდი. სწორ, ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმების დებულებანი: რვა საათის სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხ. ასეთი მუხლები ჩავთვალე უადგილოთ; საჭირო იყო ერთი, ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასიური ხასიათის მუხლები, დავტოვე შესწორებით მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წაუკითხე კომისიას. გიორგის ხმა არ ამოუღია, მასზე დავინახე განცვიფრების და კმაყოფილების ბეჭედი. ალბათ ფიქრობდა - ეს საციმბირო რევოლიუციონერი ჩემზე უფრო ზომიერი აღმოჩნდაო. არ გაემტყუნება, რას გვიცნობდა. ამნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ხარტიათ“ (ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. მოგონებანი. თბილისი, გამომცემლობა „სარანგი“, 1990, გვ.89-90).

გიორგი გვაზავა ასევე მოკლედ იგონებს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავების ისტორიას და მისი მონათხრობი ავსებს ნოე ჟორდანიას ნათქვამს. გ. გვაზავა ასახელებს კონკრეტულ თარიღს და აღნიშნავს, რომ ნოე ჟორდანიას წარუდგინეს დამოუკიდებლობის აქტის ორი პროექტი და ჟორდანიამ არ მოიწონა სოციალ-დემოკრატი რ. არსენიძის წარდგენილი პროექტი და მოიწონა ეროვნულ-დემოკრატ გ. გვაზავას პროექტი: „24 მაისს 1918 წელს, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში, მოხდა ინტერპარტიული სხდომა ბ. ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. საკითხი იდგა ამ დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე. წარმოდგენილი იყო ორი პროექტი დეკლარაციისა: ერთი - სოციალ-დემოკრატიული, ბ. არსენიძის მიერ, მეორე - წარვადგინე მე, ჩვენი პარტიის სახელით. ბ. ჟორდანიას არ მოეწონა პირველი, მაგრამ მიიღო მეორე. რასაკვირველია, აქ უმთავრესი დამსახურება მიუძღვის ბ. ჟორდანიას, ურომლისოდ ჩვენი დეკლარაცია ვერ გამოვიდოდა იმ სახით, რომელიც იმასა აქვს“ (გიორგი გვაზავა. საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე). პარიზი, 1928, გვ.7).

დამოუკიდებლობის აქტის პროექტზე მუშაობისას ნოე ჟორდანიას პოზიციას ეხება პ. სარჯველაძე. მისი თქმით, „საყურადღებოა და საინტერესო სიფრთხილე და წინდახედულება ნ. ჟორდანიასი“ (პ. სარჯველაძე. ნოე ჟორდანიას ხსოვნისათვის. დაბადების 100 წლისთავის გამო. პარიზი, 1968, გვ.26). პ. სარჯველაძე თავის ნაშრომში იმეორებს ნოე ჟორდანიას სიტყვებს პროექტიდან „კლასიური ხასიათის მუხლების“ ამოღების და „ნაციონალური და პოლიტიკური ხასიათის“ მუხლების დატოვების შესახებ და აღნიშნავს: „ნ. ჟორდანიას ზომიერება ნაკარნახევი იყო ერის მთლიანობის დაცვით, - რის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა ერის ყველა ნაწილების სახელმწიფო-სააღმშენებლო მუშაობაში ჩაბმა“ (პ. სარჯველაძე. ნოე ჟორდანიას ხსოვნისათვის. დაბადების 100 წლისთავის გამო. პარიზი, 1968, გვ.27)

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი შედგენილი ზურაბ ავალიშვილის მიერ

ზურაბ ავალიშვილი თავის მოგონებებში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, რომელიც პირველად პარიზში დაიბეჭდა 1924 წელს, აღნიშნავს, რომ ბათუმში ოსმალეთთან მიმდინარე უშედეგო მოლაპარაკებების დროს, რო-

დესაც ამიერკავკასიის მთლიანობა ფაქტობრივად დაიშალა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გადაწყდა, 1918 წლის 22 მაისს დაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი.

ზურაბ ავალიშვილის მონათხრობი დამოუკიდებლობის აქტის პროექტთან დაკავშირებით მოკლეა:

„დავწერე სანიმუშო პროექტი საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებისა - დადგა დრო საქმის ჩამოყალიბების და მოქმედებისა.

ჩხენკელმა, ჟორდანიამ, ნიკოლაძემ და სურგულაძემ მოიწონეს. ჟორდანიამ ეს პროექტი წაიღო ტფილისში, გამოთხოვების დროს ჩვენ განსაკუთრებულის გრძნობით ვართმევდით ერთმანეთს ხელს...“ (ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი, ნარკვევები. თბილისი, „მხედარი“, 2011, გვ.79).

ზურაბ ავალიშვილი მოგონებაზე დაყრდნობით ქართველ მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ავტორი ზურაბ ავალიშვილია. მაგალითად, დოდო ჭუმბურიძე წერს: 22 მაისს ზ. ავალიშვილის ხელმძღვანელობით დასრულდა დამოუკიდებლობის აქტის შედგენა. ბათუმში ჩასულმა ნოე ჟორდანიამ აქტი თბილისში წაიღო. მას გამოცხადებამდე უნდა შეეთანხმებინა ტექსტი სხვადასხვა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (დოდო ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი. სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი. თბ., 2018, გვ. 141).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება: რაჟდენ არსენიძის მოგონება

რაჟდენ არსენიძის მოგონება:

25 მაისს, 1918 წელს, ეროვნულმა საბჭომ, რომელიც საქართველოს ყველა პარტიების, თვითმართველობების, კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან იყო შექმნილი, დაადგინა გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობა, გაიჩინოს საკუთარი მმართველობა, რომ მტერს და მოყვარეს გასცეს პასუხი. ამ მიზნით მან გამოყო საკანონმდებლო კომისია, რომელსაც დაავალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის დამუშავება. ეს კომისია შეიკრიბა იმავე დღეს. ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაობა. ვჩქარობთ, რადგან ხვალ ეროვნული საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავს იდვა ამ ისტორიული აქტის შესრულება. ვჩქარობთ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის დიად დანიშნულების; უნდა აღინიშნოს ხომ უფლებები ახალ დაბადებული მოქალაქის; უყურადღებოთ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომელნიც ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე ეს უნდა ითქვას მოკლედ, მოჭრით, მკაფიოდ. ამიტომ თვითეული სიტყვა იწვევს დავას, კამათს, აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს ბრძოლა და ჯახი თავდება მორიგებით, ერთსულოვნებით; რაც მიღებულია - მიღებულია ყველასაგან. განხეთქილებას და გულნაკლულობას აქ, ამ დიად გადამწყვეტ მომენტში, არ უნდა დაურჩეს ადგილი. ამას ვგრძნობდით ყველა, თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახევია... ვიბრძვით და ვჩქარობთ, რადგან ოტომანის პორტასაგან 72-ი საათის ულტიმატუმი გვაქვს წამოყენებული, რომელსაც ხვალ საღამოზედ გაუდის ვადა. ამიერკავკასიას წინააღმდეგობისა და პასუხის გაცემის უნარი აღარ აქვს. ოტომანის იმპერია კი იარაღით გვადგია თავზე. სამარცხვინო ბრესტ-ლიტოვსკის ზავით და რუსის ჯარის დაშლით გათამამებული - ყარსის, ბათუმის, არდაგანის ოლქების ჩამოცილებით გვემუქრება.

ყველა პარტიაში ერთსულოვანი თანხმობაა დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში. მაგრამ ხალხის ხმის მოსმენა მაინც საჭიროა. და სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც უზომოთ დიდი გავლენა აქვს მთელ ერში, შეკითხვას უგზავნის ყველა ადგილობ-

რივ ორგანიზაციას, რომლებიც ხალხთან ახლოს არიან. მათი აზრის წინასწარი მოსმენა სავალდებულოდ მიაჩნია და ყველა კუთხიდან, ყველა ქალაქიდან, ყველა მაზრიდან მოდის ერთსულოვანი პასუხი: თანახმა ვართ!

თქვენთან ვართ!

დამოუკიდებლობა საქართველოს!

ასეთივე პასუხი მოდის ყველა სხვა პარტიებიდანაც. ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იგებს პირველ რეფერენდუმს.

ეს იყო 25 მაისს,1918 წელს, დღით შაბათს. კომისიაში მოგვდის ეს ცნობები, გვიხარია და მეტის ენერგიით ვაგრძელებთ მუშაობას. შეღამდა... ვერ დაგვისრულებია შრომა... ვიკრიბებით ნავახშმევს და ისევე ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყოველ აზრს ჩავკირკიტებთ; ხოლო ეროვნული საბჭოს ბიურო, მისი პრეზიდიუმი, გვიცდის, ელის ჩვენგან შემუშავებულ პროექტს, რომ საბოლოო ტექსტი მიიღოს და ხვალ საბჭოს წინაშე წარადგინოს. შუაღამეზე ვათავებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი გიორგი გვაზავა და პავლე სარჯველაძე მიეშურებიან საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომ ამაღამვე დაამთავრონ ეს საშური, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა.

ნაშუაღამევს ბიურო იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოო რედაქციას და კვირას, 26 მაისს, იგი საჯაროთ ცხადდება სახალხოდ თეთრ დარბაზში.

ვის სცალოდა იმ ჟამად კომისიის ოქმების შედგენაზე და მათ შემოწმებაზე ფიქრი და ზრუნვა! იწერებოდა კი, მაგრამ არ ვიცი, ინახება იგი სადმე თუ გადაყლაპა დროთა უკუღმართობამ. ამიტომ გაწვდით ამ ცნობებს. იმათგან, ვინც ამ აქტის, აწ ისტორიულ აქტად ქცეულის შედგენაში და გამოცხადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და რომელთა სახელები მეხსიერებამ შემინახა, აღარავინ მეგულება ცოცხალთა შორის. თითქმის ყველა ჩვენს წინაპართა პანთეონს შეუერთდა. ამათგან ორი სახელი მინდა მოვიხსენო; კოტე აფხაზი, დიდი გონიერი პატრიოტი, რომელიც ინიციატორი იყო თავად-აზნაურობის მთელი ქონების ქართველი ერისათვის გადაცემის, რითაც მოუმზადა ნივთიერი და ორგანიზაციული საფუძველი ჩვენი ერის აღორძინებას. მან წამებით დაიდგა უკვდავების გვირგვინი საქართველოს 26-ი მაისისათვის ბრძოლაში.

საქართველოს დიდი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია, დამოუკიდებლობის აქტის გამომცხადებელი, რომელიც 1953 წლის იანვარში მოგვტაცა ულმობელმა სიკვდილმა. ჩავისახოთ გულში მათი ხსოვნა და მათი სახეები: ღრმად განცდებით, მაგრამ უდრეკი რწმენით და გაბედულებით ვუდგებოდით ორიათასი წლის დამოუკიდებელი არსებობის განახლების მომენტს ასჩვიდმეტი წლის უსახელმწიფოდ ყოფნის შემდეგ. დიდია ჩვენი განცდა, დღესაც როცა ამ წამებს ვიგონებ მაშინ ერმა თავისი გაიტანა. საფრთხისაგან თავი იხსნა მით, რომ თავისი თავის პატრონი გახდა. გვწამს, იხსნის დღესაც თავის თავს კომუნიზმის უმსგავსი თარეშისაგან.

რაჟდენ (მიშა) არსენიძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. 25 მაისი, 1958 წელი, მიუნხენი.“ (კარლო ინასარიძე. პატარა „ოქროს ხანა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. რადიოდოკუმენტაცია, მიუნხენი, 1984, გვ.76-78).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება: შალვა ამირეჯიბის მოგონება

შალვა ამირეჯიბი (1886-1943) დამოუკიდებლობის აქტის შემმუშავებელი კომისიის წევრი არ ყოფილა, მაგრამ თავის მოგონებებში გადმოსცემს შეხვედრას 1918 წლის 26 მაისს დილით პეტრე ქავთარაძესთან (1883-1941), რომელიც 1918 წლის მაისის დღეებში დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებაში მონაწილეობდა. პეტრე ქავთარაძის სიტყვებიდან კარგად ჩანს, თუ რა დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა დამოუკიდებლობის აქტის ტექსტზე.

შალვა ამირეჯიბი პეტრე ქავთარაძეს შეხვდა რუსთაველზე, სასტუმრო „ორიენტთან“ (ბოლოს იქ იყო მხატვრის სახლი, რომელიც 1991 წლის დეკემბერში დაიწვა ე. წ. თბილისის ომის დროს). შალვა ამირეჯიბი იგონებს: „ის (პეტრე ქავთარაძე) იყო ეროვნულ საბჭოს იურიდიული კომისიის წევრი, რომელსაც დამოუკიდებლობის აქტის შედგენა ჰქონდა მინდობილი და იღლიაში პორტფელ გარჭობილი სადღაც მირბოდა.

- რაო, თქვენი აქტი? ვკითხე ჩემს ძველ მეგობარს.

- აქა მაქვს! მომიგო მან და პორტფელი მანიშნა.

- ისტორიული პორტფელი! ისტორიული კაცი! ისტორიული აქტი-მეთქი! გავიფიქრე მე, მაგრამ გამოირკვა, რომ აქტი ჯერ კიდევ შედგენილი არ იყო.

- ჯერ მზად არ არის. მივრბივარ კომისიის სხდომაზედ, რომ უკანასკნელი რედაქცია ჩამოვწეროთ - დაუმატა მან.

- მაშ, სეიმის სხდომაზედ შევხვდებით?

- არა მგონია, ღმერთმა ქმნას პარლამენტის გახსნას დროზედ მიუსწროთ.

- განა აქტი ასე გრძელია?

- პირიქით, სულ ხუთი-ექვსი მუხლისაგან შესდგება. მაგრამ კომისიაში ბევრს ლაპარაკობენ. გვიბათილებენ ისეთ ძირითად დებულებებს, რომ ნახავ, ვერც აქტი გამოვა რიგიანი და პარლამენტის გახსნაზედაც უსადილო მოვალ. ამ აქტის „ზოგიერთ“ დებულებათა გამბათილებელი იგივე „რევოლუციონური დემოკრატიის“ წარმომადგენლები იყვნენ“ (შალვა ამირეჯიბი. წიგნი მეორე. თბილისი, 1998, გვ.121).

შალვა ამირეჯიბსა და პეტრე ქავთარაძის დიალოგში ნახსენები სეიმის სხდომა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომაა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს დილით გაიმართა, პარლამენტის სხდომაში კი იგულისხმება საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელიც იმავე დღეს საღამოს 17 საათზე შედგა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გამოაცხადეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვა ადგილობრივი ხელისუფლების და პარტიულ ორგანოებში

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ მსჯელობდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ეცნობოდნენ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, სხვადასხვა საბჭოსა თუ პარტიული ორგანიზაციის კრებებზე. ღებულობდნენ მისასალმებელ და მხარდაჭერის რეზოლუციებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის საქალაქო საბჭოში ამიერკავკასიის სეიმის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხის განხილვას 1918 წლის 27 მაისის სხდომაზე. სხდომის თავმჯდომარე, ალექსანდრე ლომთათიძე ,ამიერკავკასიის სეიმის დაშლის მიზეზებზე საუბრის შემდეგ გადავიდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხზე. მანვე წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ალ. ლომთათიძემ ამის შემდეგ აღნიშნა: „აი, მოქალაქენო, ხმოსნებო, ის აქტი, რომელიც გუშინ სეიმის დაშლის შემდეგ მიიღო და გამოაცხადა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ. ამ აქტის ძირითად დებულებებიდან დაინახავთ თუ რა პოლიტიკას ადგია საქართველოს რესპუბლიკა სხვა უმცირესობით წარმოდგენილ ერთა მიმართ, აქედან ნათლად სჩანს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ყოველი მოქალაქე ისარგებლებს თანასწორი უფლებით, მეექვსე მუხლი აქტისა პირდაპირ ამბობს: **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.** აქედან აშკარაა ამ ნორჩი სახელმწიფოს პოლიტიკა სხვა ერთა შესახებ“ („ერთობა, 29 მაისი, 1918 წ., N 108, გვ.2)

1918 წლის 2 ივნისს ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე, სადაც განიხილეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: „ქუთაისის ქალაქის საბჭომ მოისმინა აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა. საბჭო მიესალმება მას და ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამს გარეშე და შინაურ მტერთან ბრძოლაში“ („სახალხო საქმე“, 5 ივნისი 1918 წ., N 249, გვ.1.).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის თარგმანი უცხო ენებზე

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, შედგენილი ქართულ ენაზე, მაშინვე ითარგმნა რუსულ ენაზე. დამოუკიდებლობის აქტს უნდა გასცნობოდნენ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები, რომელთა დიდმა ნაწილმა არ იცოდა ქართული ენა და საქართველოს მეზობელი ხალხები.

1918 წლის 26 მაისს, ნოე ჟორდანიას მიერ ეროვნული საბჭოს სხდომაზე დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვის შემდეგ, მისივე წინადადებით, ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი სასახლის აივანზე გავიდა და იქიდან წაუკითხა თავმოყრილ ხალხს დამოუკიდებლობის აქტი. ამავე დროს კრების დარბაზში, თავმჯდომარის წინადადებით, თავმჯდომარის ამხანაგმა გრიგოლ ვეშაპელმა (1892-1926) წაიკითხა დამოუკიდებლობის აქტის რუსული თარგმანი, რასაც ასევე მოჰყვა ტაში და ოვაციები.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გამოაქვეყნა საქართველოში გამომავალმა რუსულენოვანმა გაზეთებმა. მაგალითად, გაზეთმა „ბორბამ“ (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამოცემა) 28 მაისის ნომერში მე-2 გვერდზე გამოაქვეყნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი («Борьба», 28 мая 1918, № 78, с.2).

რუსულ ენა ოფიციალური სამუშაო ენა იყო რიგი საბჭოებისათვის. მაგალითად, თბილისის საქალაქო საბჭოს 1918 წლის 27 მაისის სხდომაზე, სხდომის თავმჯდომარემ ალ. ლომთათიძემ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი რუსულ ენაზე წაიკითხა და ხაზი გაუსვა დამოუკიდებლობის აქტის მე-6 მუხლს, სადაც ნათქვამი იყო საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნული უმცირესობების თავისუფალი განვითარების სრულად უზრუნველყოფის თაობაზე („ერთობა“, 29 მაისი 1918 წ., N 108, გვ.2).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის რუსულ თარგმანს ეცნობოდნენ სხვა ეროვნებების წარმომადგენლები. მაგალითად, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე მისალმებით გამოსვლის დროს, ლიტვის საოლქო საბჭოს წარმომადგენელმა დალიამიდმა აღნიშნა: „27 მაისის სხდომაზე მოვისმინეთ რა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ლიტვის საოლქო საბჭომ დაადგინა მიესალმოს ქართველ ხალხს მშობელი ქვეყნის სუვერენობის აღდგენას თავისუფალ საქართველოს ახლად დაარსებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას“ („საქართველო“, 1918 წ. 31 მაისი, N 105, გვ.2)

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის გაცნობა საჭირო იყო საერთაშორისო არენაზეც. 1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელი (1874-1959) ბათუმიდან გამოგზავნილ წერილში არა უბრალოდ ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას, არამედ მოითხოვდა დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის გაგზავნასაც: „აუცილებლად საჭიროა, მყისვე შემატყობინოთ დამოუკიდებლობის გამოცხადება არა მარტო ტელეგრამით, არამედ წერილობითაც, კანონიერად შემოწმებული ქართულ ენაზე, აგრეთვე დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი“.

ბათუმში მოლაპარაკებები ოსმალეთთან ფრანგულ ენაზე მიმდინარეობდა. ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი სასწრაფოდ უნდა თარგმნილიყო ფრანგულად. აღსანიშნავია, რომ 1918 წლის 31 მაისს ნოე რამიშვილის ხელმოწერით ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელს ჰალილ-ბეის გაეგზავნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ეხებოდა თუ არა ოსმალეთის 27 მაისის ულტიმატუმი საქარ-

თველოს რესპუბლიკას. ამ შეკითხვას დაურთო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი (Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, Типография Правительства Грузинской Республики, 1919, с. 339).

უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მალევე გერმანულადაც ითარგმნა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დამატებები

1990 წელს გამოცემულ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებულში“ საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი გამოქვეყნებულია ორი დამატებით:

დამატება პირველი „აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ე. გურგენიძე. თბილისი, „ივერთა მხარე“, 1990, გვ.5-6) ფაქტობრივად მხოლოდ სტილისტურად განსხვავდება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალური ტექსტისაგან.
დამატება მეორე უსათაუროა - ესაა დამოუკიდებლობის აქტისთვის დაწერილი ვრცელი ისტორიული შესავალი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ე. გურგენიძე. თბილისი, „ივერთა მხარე“, 1990, გვ.6-11).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მცდელობა 1918 წლის 25 მაისს

1918 წლის 25 მაისს 11 საათზე თბილისში, ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში შედგა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელსაც, მისი წევრების გარდა, ესწრებოდნენ სხვა ცნობილი მოღვაწეებიც. სხდომას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, შალვა მესხიშვილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ჟურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დავით ვაჩნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ გობეჩია.

სხდომის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო 23 მაისს ბათუმიდან ოსმალეთთან მოლაპარაკებებში ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელის აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელშიც კატეგორიულად მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ნოე ჟორდანიას განცხადებით, 25 მაისს, საღამოს 10 საათზე უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი - ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლილად გამოაცხადებდა. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულ საბჭოს დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინა.

ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ სეიმის სხდომის შეკრება ვერ მოხერხდა, რადგანაც მუსავატელთა და დაშნაკთა ფრაქციებმა უარი განაცხადეს სეიმის სხდომაში მონაწილეობაზე და სხდომის მეორე დღისთვის გადადება მოითხოვეს. მუსავატელები (აზერბაიჯანის წარმომადგენლები) მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ მათ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლის საკითხი ჯერ არ ჰქონდათ განხილული, თუმცა წინააღმდეგნი არ იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. დაშნაკები (სომხეთის წარმომადგენლები) კი აცხადებდნენ, რომ მათ შესამუშავებელი ჰქონდათ განცხადება.

ნოე ჟორდანიამ აღმასკომის წევრებს აცნობა, რომ ამიერკავკასიის სეიმის სხდომა მეო-

რე დღეს, 26 მაისის 12 საათზე შედგებოდა, სეიმის სხდომის შემდეგ კი საქართველოს ეროვნული საბჭო გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

საკითხის განხილვის დროს აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი წევრი მიიჩნევდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება უაღრესად სასწრაფო იყო და დაუყოვნებლივ, 25 მაისს უნდა გამოეცხადებინათ; მიეღოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ნოე ჟორდანია ამის წინააღმდეგი იყო. მისი თქმით, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამდე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გაურკვევლობას შექმნიდა, რადგანაც ერთდროულად იარსებებდა ორი მთავრობა - ამიერკავკასიისა და საქართველოსი. ამიტომ ნოე ჟორდანია ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადებას 26 მაისისთვის.

შეთანხმება ვერ მოხერხდა და საკითხი კენჭისყრაზე გაიტანეს. 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა აღმასრულებელი კომიტეტის 6 წევრმა, 26 მაისს გამოცხადებას - 4 წევრმა. გადაწყდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 25 მაისს გამოეცხადებინათ. კენჭისყრის შემდეგ განცხადებით გამოვიდა საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და პასუხისმგებლობა მოიხსნა მოსალოდნელ შედეგებზე; თუმცა, 25 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა. მალევე გაირკვა, რომ დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებული არ იყო. შესაბამისად, დამოუკიდებლობის გამოცხადება 26 მაისისთვის გადაიდო.

ნოე რამიშვილის წინადადებით გადაწყდა, რომ 26 მაისს, დილის 10 საათზე შეიკრიბებოდა ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო 12 საათზე საქართველოს ეროვნული საბჭო და გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ბოლოს წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, რომელიც კომისიამ შეიმუშავა. აქტის ტექსტის მიმართ გამოითქვა შენიშვნები. გამოთქმული შენიშვნების მიხედვით დამოუკიდებლობის აქტის საბოლოო ტექსტის მომზადება დაევალა ნოე ჟორდანიას (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1836, ანაწ 1, საქ. N 49, ფურც.4).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი: სტრუქტურა

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი შედარებით მოკლე და ლაკონური დოკუმენტია, შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან: **პრეამბულა (შესავალი)** და **ძირითადი დებულებები (7 მუხლი)**. დამოუკიდებლობის აქტი იწყება ისტორიული ნაწილით, რომელშიც მოკლედაა გადმოცემული დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული ვითარება და მას მოსდევს ძირითადი ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის ფუძემდებლური პრინციპები და ღირებულებები, რომელთაც ემყარებოდა ახლადშექმნილი სახელმწიფო.

დამოუკიდებლობის აქტის სტრუქტურა:

1. პრეამბულა (ისტორიული ნაწილი)

პრეამბულა ემსახურება აქტის მიღების ისტორიული და პოლიტიკური აუცილებლობის დასაბუთებას. იგი მოიცავს შემდეგ ძირითად თეზისებს:

- ისტორიული უფლება: აღინიშნება, რომ საქართველო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

- რუსეთთან შეერთება: მოკლედ არის აღწერილი გარეშე მტრის შევიწროების გამო რუსეთთან შეერთების ფაქტი და რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა.

- რევოლუცია და ამიერკავკასიის დაშლა: ხაზგასმულია რუსეთის დიდი რევოლუციის შედეგად ფრონტის დაშლა, რუსის ჯარის გასვლა ამიერკავკასიიდან და, საბოლოოდ, გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირის დაშლა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა: დასკვნაში ნათქვამია, რომ ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ შექმნას საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძვლის ასაგებად.

პრეამბულას მოსდევს 7 ძირითადი დებულება, ახალი სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპებით და ღირებულებებით,

1919 წლის 12 მარტს, დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე, როდესაც კრების წევრებმა ხელი მოაწერეს დამოუკიდებლობის აქტს, მას გაუკეთდა შესავალი ნაწილი, სადაც აღნიშნული იყო ეს ფაქტი.

მთლიანობაში დამოუკიდებლობის აქტი შედგება სამი ნაწილისაგან:

- დამფუძნებელი კრების მიერ გაკეთებული შესავალი - 52 სიტყვა
- დამოუკიდებლობის აქტის ისტორიული ნაწილი - 115 სიტყვა
- სახელმწიფოს მოწყობის ძირითადი პრინციპები - 122 სიტყვა

სულ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი შედგება 289 სიტყვისგან.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ხელმოწერილი ეროვნული საბჭოს წევრების მიერ 1918 წლის 26 მაისს

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ხელმოწერილი ეროვნული საბჭოს წევრების მიერ 1918 წლის 26 მაისს წარმოადგენს საბეჭდ მანქანაზე აკრეფილ ტექსტს. დამოუკიდებლობის აქტს 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა ეროვნული საბჭოს 88 წევრმა.

ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამი იყო:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავის საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, საყოველთაოდ ა ც ხ ა დ ე ბ ს:

1. ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

1918 წლის 26 მაისს ხელმოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დედანს 2000 წლის სექტემბერში შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშემ გიორგი შარაძემ მიაკვლია ქალაქ ციურიხში, ქართველოლოგ ლეა ფლურის კერძო კოლექციაში. 2001 წლის მარტში, სხვა დოკუმენტებთან ერთად, გურამ შარაძემ საქართველოში ჩამოიტანა (გ. შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება 1918-1921. თბ., 2001, გვ.35).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ხელმოწერილი და დადასტურებული 1919 წლის 12 მარტს

1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავის პირველ სხდომაზე მიიღო და დაადასტურა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

საქართველოს ეროვნული საბჭო პარტიების მიერ შექმნილი ორგანო იყო, დამფუძნებელი კრება კი ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ეროვნულ საბჭოსთან შედარებით ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი გააჩნდა. ამიტომაც გადაწყდა, რომ დამფუძნებელი კრების წევრებს ხელმოწერით დაედასტურებინათ დამოუკიდებლობის აქტი, ამასთან ხელმოწერის პროცესის დროს არ იყო გათვალისწინებული სიტყვებით გამოსვლა. ეს იყო იმის გამოხატულება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღარანაირ განხილვას არ საჭიროებდა და გამოხატავდა ქართველი ერის ნებას.

გარდა ამისა, დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერით დამფუძნებელი კრების წევრებმა დაადასტურეს ყველა ის სამართლებრივო აქტი, რაც დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყებამდე მიღებული ჰქონდა ეროვნულ საბჭოს / საქართველოს პარლამენტს.

1919 წლის 12 მარტს ხელმოწერილი დამოუკიდებლობის აქტი არის სტამბაში დაბეჭდილი დიდი ზომის ფურცელი საქართველოს სახელმწიფო გერბით და გარშემო შემოყოლებული აქვს ორნამენტი.

„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“ დაემატა შესავალი ნაწილი სათაურით „საქართველოს დამოუკიდებლობა“, სადაც ნათქვამი იყო:

„საქართველოს დამფუძნებელი კრება, - არჩეული პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, - თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს“

1919 წლის 12 მარტს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე მყოფმა დამფუძნებელი კრების 99 წევრმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერები

დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი და მისი ხელმოწერა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ერის ცხოვრებაში. დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები და ფასეულობები, რასაც ემყარება ახლადშექმნილი სახელმწიფო, დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერები კი ზოგჯერ „დამფუძნებელ მამებად“ მოიხსენიებიან. ამ მხრივ საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერებს მძიმე ბედი არგუნა ისტორიამ. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (1918-1921) მცირე ხანს იარსება. ამ პერიოდში არც დამოუკიდებლობის აქტის ცალკე შესწავლისათვის მოუცლია ვინმეს, არც მოგონებების კრებული გამოსულა დამოუკიდებლობის აქტის დაწერა-გამოქვეყნებასთან დაკავშირებით და არც მისი ხელმომწერების ბიოგრაფიები გამოუციათ, განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად.

დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის აქტიური პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ. საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შედეგად. მათმა ნაწილმა ქვეყანა დატოვა და ემიგრაციაში წავიდა, საქართველოში დარჩენილთა უმრავლესობას კი რეპრესიები დაატყდათ თავს. დღეს ზოგიერთი მათგანის შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ბევრი რამ დაიწერა, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერის პროცედურა და ორჯერ ხელმოწერის მიზეზები ჯერ კიდევ საჭიროებს ცალკე განხილვას.

დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერები 1918 წლის 26 მაისს

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებმა. სხდომის ოქმში არ არის დაფიქსირებული, ეროვნული საბჭოს რამდენი წევრი ესწრებოდა სხდომას. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს კი, საბოლოოდ, 88 ადამიანმა მოაწერა ხელი. ნუმერაცია ხელმოწერებზე არ არის. ხელმოწერები ორ სვეტადაა განლაგებული. ზოგმა სრულად დაწერა სახელი და გვარი, ზოგი სახელს ინიციალით აღნიშნავს, ზოგი კი სახელს ორ-სამ ასოზე ამოკლებს. ეროვნული საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც სხდომას არ ესწრებოდნენ, შემდგომში დამოუკიდებლობის აქტისთვის ხელი არ მოუწერიათ. 88 ხელმოწერიდან ერთი ხელმოწერა ვასილ წერეთელსა და რეზო გაბაშვილს შორის, სამწუხაროდ, გაურკვეველია და არ იკითხება. ვახტანგ გურული ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „52-ე ხელისმომწერის ვინაობა ვერ დგინდება, რადგან ხელმოწერა გაურკვევლადაა შესრულებული, იკითხება სულ რამდენიმე ასო, სავარაუდოდ ჯერ უნდა ეწეროს გვარი, შემდეგ - სახელი და მამის სახელი“ (ვახტანგ გურული. საქართველოს ისტორია (1801-1918). წიგნი IV, თბ., 2021, გვ.619).

არსებობს შალვა ამირეჯიბის მოგონება, რომ მან სპეციალურად არ მოაწერა ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რადგანაც ამ აქტით საქართველო რესპუბლიკად ცხადდებოდა, ის კი მონარქიის შექმნის მომხრე იყო. ემიგრაციაში შალვა ამირეჯიბი იგონებდა: „1918 წელს, 26 მაისს, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მე ეროვნულ საბჭოს წევრი ვიყავი. ყველა წევრს უნდა ამ აქტზე ხელი მოეწერა. ყველა წევრი სიხარულით ადიოდა პრეზიდიუმის მაღლობზედ და საზეიმო აქტს ხელს აწერდა. როდესაც საქართველოს ეროვნულ საბჭოს მდივანმა ი. ზურაბიშვილმა უკანასკნელად დაიძახა: ბ. ეროვნულ საბჭოს წევრნო, ვის არ მოგიწერიათ კიდევ აქტისთვის ხელიო, მე იქ ვიდექი, მაგრამ არ

მივედი მასთან და საქართველოს რესპუბლიკათ გამოცხადების აქტს ხელი არ მოვაწერე. მე არა მწამს, რომ რესპუბლიკა საქართველოს მართლა მიანიჭებდა დამოუკიდებლობას“ (შალვა ამირეჯიბი. წიგნი მეორე. თბილისი, 1998, გვ.163).

დამოუკიდებლობის აქტის დადასტურება საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ

1919 წლის 12 მარტს მუშაობას შეუდგა საქართველოს დამფუძნებელი კრება. თავიდანვე გადაწყდა, რომ დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე, ყოველგვარი განხილვის გარეშე, დამფუძნებელი კრების წევრები ხელს მოაწერდნენ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. ამ ნაბიჯით დამფუძნებელი კრება რამდენიმე მიზანს აღწევდა:

1. დამფუძნებელი კრება ხალხის მიერ არჩეული ორგანო იყო და ეროვნულ საბჭოსთან შედარებით ლეგიტიმურობის უფრო მაღალი ხარისხი გააჩნდა. შესაბამისად, მათ მიერ დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერა საერთაშორისო საზოგადოებისათვის ამ დოკუმენტს უფრო ანგარიშგასაწევ დოკუმენტად აქცევდა;

2. ყოველგვარი სიტყვიერი განცხადებების გარეშე დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ყველასთვის უპირობო მოცემულობა იყო და არანაირ განხილვას არ საჭიროებდა;

3. დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერით დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა და მიიღო ეროვნული საბჭოს მემკვიდრეობა.

დამფუძნებელი კრების გახსნის და ხელმძღვანელი პირების არჩევის შემდეგ, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ალექსანდრე ლომთათიძემ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც „დეპუტატები ფეხზე ადგომით ისმენენ“ (ოქმები, ტ. I., გვ.24). დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვის შემდეგ ალ. ლომთათიძემ დეპუტატებს მიმართა, რომ ხელი მოეწერათ „ამ დიდებული აქტისთვის“ და პირველ რიგში, ამის გასაკეთებლად მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია მიიწვია (ოქმები, ტ. I., გვ.25). „11/2 საათზე[1] დაიწყო ამ აქტზე დამფუძნებელ კრების წევრთა მიერ ხელის მოწერა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 14.03.1919). ნოე ჟორდანიას შემდეგ დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერეს მთავრობის წევრებმა.

ხელმოწერის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ლომთათიძემ აღნიშნა, რომ „დამოუკიდებლობის აქტი ერთხმათ არის მიღებული“ (ოქმები, ტ. I., გვ.26). დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა სხდომაზე მყოფმა 100 დეპუტატმა. დამფუძნებელი კრების იმ წევრებს (ასეთი 30 იყო), რომლებიც 12 მარტის სხდომას არ ესწრებოდნენ, დამოუკიდებლობის აქტისთვის ხელი არ მოუწერიათ. მათ შორის იყო, მაგალითად ნიკო ნიკოლაძე, რომელიც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომას რომ დასწრებოდა, როგორც უხუცესი წევრი, დამფუძნებელი კრების მუშაობასაც გახსნიდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს დაემატა შესავალი, რომელშიც აღნიშნული იყო დამფუძნებელი კრების მიერ მისი დადასტურება: „საქართველოს დამფუძნებელი კრება, - არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, - თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის ... აქტს“ (ოქმები, ტ. I., გვ.24).

[1] გაზეთის მიერ დასახელებული დრო არასწორია.

ვინ მოაწერა ხელი დამოუკიდებლობის აქტს

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა ეროვნული საბჭოს 88 წევრმა, 1919 წლის 12 მარტს კი დამფუძნებელი კრების 100 წევრმა. რადგანაც ეროვნული საბჭოს რიგი წევრები დამფუძნებელი კრების წევრები გახდნენ და დამფუძნებელი კრების პირველ სხდომასაც დაესწრნენ, მათ ხელმეორედ მოაწერეს ხელი დამოუკიდებლობის აქტს.

ისეთი ადამიანების რიცხვი, რომელთაც ორჯერ აქვთ ხელი მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე 39-ს შეადგენს: 1. აბაშიძე ჰაიდარ, 2. ალექსი-მესხიშვილი შალვა, 3. ანჯაფარიძე გიორგი, 4. არსენიძე რაჟდენ, 5. ასათიანი ალექსანდრე, 6. ბადრიძე ილია, 7. ბარათაშვილი იესე, 8. გეგეჭკორი ევგენი, 9. გელეიშვილი პეტრე, 10. გვაზავა გიორგი, 11. გობეჩია ივანე, 12. ელიავა ნიკოლოზი, 13. ერაძე გიორგი, 14. თაყაიშვილი ექვთიმე, 15. კიკვაძე თედორე, 16. ლასხიშვილი გიორგი, 17. ლომთათიძე ალექსანდრე, 18. მახარაძე გერასიმე, 19. მაჭავარიანი იოსებ, 20. მგელაძე ვლასა, 21. ნათაძე გრიგოლ, 22. ონიაშვილი დავით, 23. ჟორდანია ნოე, 24. ჟღენტი ლეონტი, 25. რამიშვილი ნოე, 26. რუსია მელიტონ, 27. სალაყაია იოსებ, 28. საყვარელიძე პავლე, 29. ფირცხალავა სამსონ, 30. ფირცხალაიშვილი ილია, 31. ქიქოძე გერონტი, 32. ხომერიკი ნოე, 33. ჩიხლაძე რაფიელ, 34. ჭიაბრიშვილი ანდრია, 35. ცაბაძე ვასილ, 36. ცინცაძე ნოე, 37. წულაძე ვასილ, 38. ჯაფარიძე კონსტანტინე, 39. ჯიბლაძე სილიბისტრო.

დამოუკიდებლობის აქტის ორჯერ ხელმომწერებიდან დიდი უმრავლესობა (28) სოციალ-დემოკრატია, გარდა ამისა 4 სოციალისტ-ფედერალისტია, 5 ეროვნულ-დემოკრატი და 2 სოციალისტ-რევოლუციონერი.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში, დამფუძნებელი კრებისგან განსხვავებით, სადაც სოციალ-დემოკრატები დომინირებდნენ (თავდაპირველად 130 ადგილიდან 109 მათ ეკუთვნოდათ), სხვა პოლიტიკური პარტიები უფრო ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი. შესაბამისად, 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტზე დაფიქსირდა 17 ეროვნულ-დემოკრატის, 10 სოციალისტ-ფედერალისტის და 10 სოციალისტ-რევოლუციონერის ხელმოწერა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე 4 ქალს აქვს ხელი მოწერილი. არცერთ მათგანს ორჯერ არ მოუწერია ხელი. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძემ, 1919 წლის 12 მარტს კი, როგორც დამფუძნებელი კრების წევრებმა, დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერეს ელისაბედ ბოლქვაძემ, ანა სოლოღაშვილმა და ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძისამ.

1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა 48 ისეთმა ადამიანმა, რომლებიც ვერ გახდნენ, ან 1919 წლის 12 მარტს არ ყოფილან დამფუძნებელი კრების წევრები: 1. აბაკელია იოსებ, 2. ასათიანი ლევანი, 3. აფხაზი კონსტანტინე, 4. ახმეტელი ალექსანდრე, 5. ბურჯანაძე ვარლამ, 6. გაბაშვილი რეზო, 7. გვარჯალაძე კონსტანტინე, 8. გობეჩია ვლადიმერ, 9. გობეჩია იოსებ, 10. გოგელია ილია, 11. გოგიჩაიშვილი ფილიპე, 12. დავარაშვილი კონსტანტინე, 13. ვაჩნაძე დავით, 14. ვეშაპელი გრიგოლ, 15. ზანდუკელი მიხეილ, 16. თევზაძე ბიქტორ, 17. ინგოროყვა პავლე, 18. კლიმიაშვილი მიხეილ, 19. ლორთქიფანიძე ივანე, 20. ლორთქიფანიძე იასონ, 21. მამულაშვილი არსენ, 22. მარგველაშვილი ტიტე, 23. მაჩაბელი მიხეილ, 24. მაყაშვილი კონსტანტინე, 25. მაჭავარიანი სვიმონ, 26. მდივანი ალექსანდრე, 27. მესხი კოტე, 28. მიქელაძე შალვა, 29. ნინიძე ბიქტორ, 30. პაპავა აკაკი, 31. ჟურული გიორგი, 32. რამიშვილი იოსებ, 33. რაჭველიშვილი ქრისტეფორე, 34. რცხილაძე გრიგოლ, 35. საბაშვილი პარმენ, 36. ტოროშელიძე მინადორა, 37. უზნაძე დიმიტრი, 38. ქავთარაძე კალე-

ნიკე, 39. ქარუმიძე შალვა, 40. ქილინთაროვი ალექსანდრე, 41. ქურდიანი გრიგოლ, 42. ჩერქეზიშვილი ივანე, 43. ჩიქოვანი დავით, 44. ჩხეიძე ნიკოლოზ, 45. წერეთელი ვასილ, 46. წერეთელი ირაკლი, 47. ჯავახიშვილი დიმიტრი, 48. ჯაჯანაშვილი არჩილ.

მთლიანობაში, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა 147 ადამიანმა (+ ერთი გაურკვეველი ხელმოწერა). როგორც უკვე ითქვა, ამ ადამიანების ერთი ნაწილი ფართო საზოგადოებისათვის ფართოდ არის ცნობილი, ზოგიერთის შესახებ კი დღეისათვის ძალზედ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. კარგი იქნება, თუკი ამ ადამიანების შესახებ მომზადდება ენციკლოპედიური ცნობარი „1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერები“. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის წინაშე ამ ადამიანების ღვაწლის დაფასების ერთ-ერთი ფორმა.

დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერები

გვარი, სახელი	პარტიული კუთვნილება	1918 წ. 26 მაისი	1919 წ. 12 მარტი
1. აბაკელია იოსებ	სოც-რევ.	✓	
2. აბაშიძე ჰაიდარ	სოც-დემ.	✓	✓
3. ალექსი-მესხიშვილი შალვა ვ.	სოც-ფედ.	✓	✓
4.ანდრონიკაშვილი კონსტანტინე	სოც-დემ.		✓
5. ანჯაფარიძე გიორგი	სოც-დემ.	✓	✓
6. არსენიძე რაჟდენ მ.	სოც-დემ.	✓	✓
7. ასათიანი ალექსანდრე	ერ-დემ.	✓	✓
8. ასათიანი ლევანი		✓	
9. აუშტროვი რუბენ	სოც-დემ.		✓
10. აფხაზი კონსტანტინე ნიკ.	ერ-დემ.	✓	
11. ახმეტელი ალექსანდრე	ერ-დემ.	✓	
12. ბადრიძე ილია	სოც-დემ.	✓	✓
13. ბარათაშვილი იესე	სოც-ფედ.	✓	✓
14. ბიული პავლე	სოც-დემ.		✓
15. ბურჯანაძე ვ.		✓	
16. ბოლქვაძე ელისაბედ	სოც-დემ.		✓
17. გაბაშვილი რეზო	ერ-დემ.	✓	
18. გაგლოევი გიორგი	სოც-დემ.		✓
19. გეგეჭკორი ევგენი	სოც-დემ.	✓	✓
20. გელეიშვილი პეტრე	სოც-დემ.	✓	✓
21. გვარჯალაძე კოწია	სოც-დემ.	✓	
22. გვაზავა გიორგი	ერ-დემ.	✓	✓
23. გიორგაძე გრიგოლ	სოც-დემ.		✓
24. გობეჩია ვლადიმერ	სოც-რევ.	✓	
25. გობეჩია ივანე	სოც-რევ.	✓	✓
26. გობეჩია იოსებ	სოც-რევ.	✓	
27. გოგელია ილია	სოც-დემ.	✓	
28. გოგიჩაიშვილი ფილიპე	სოც-დემ.	✓	

29. გომართელი ივანე	სოც-დემ.		✓
30. გურჯუა ვასილ	სოც-დემ.		✓
31. დავარაშვილი კონსტ.		✓	
32. დავარაშვილი მოსე	სოც-დემ.		✓
33. ელიავა ნიკოლოზი	სოც-დემ.	✓	✓
34. ელიგულაშვილი იოსებ	სოც-დემ.		✓
35. ემუხვარი არზაყან	სოც-დემ.		✓
36. ერაძე გიორგი	სოც-დემ.	✓	✓
37. ვარდოიანცი მკრტიჩ	სოც-დემ.		✓
38. ვაჩნაძე დავით	ერ-დემ.	✓	
39. ვეშაპელი გრიგოლ	ერ-დემ.	✓	
40. ზანდუკელი მიხეილ		✓	
41. ზახაროვი დიმიტრი	სოც-დემ.		✓
42. თაყაიშვილი ექვთიმე	ერ-დემ.	✓	✓
43. თევზაძე ბიქტორ (ვიქტორ)	სოც-დემ.	✓	
44. თევზაძე სარდიონ	სოც-დემ.		✓
45. თოფურიძე დიომიდე	სოც-დემ.		✓
46. ინგოროყვა პავლე	სოც-ფედ.	✓	
47. იმნაიშვილი ნიკიფორე	სოც-დემ.		✓
48. კანდელაკი კონსტანტინე	სოც-დემ.		✓
49. კედია სპირიდონ	ერ-დემ.		✓
50. კიკვაძე თედორე	სოც-დემ.	✓	✓
51. კლიმიაშვილი მ.		✓	
52. კოვალიოვი მიხეილ	სოც-დემ.		✓
53. კოპალეიშვილი ილია	სოც-დემ.		✓
54. ლასხიშვილი გიორგი	სოც-ფედ.	✓	✓
55. ლომთათიძე ალექსანდრე	სოც-დემ.	✓	✓
56. ლორთქიფანიძე ივანე	სოც-რევ.	✓	
57. ლორთქიფანიძე იასონ	ერ-დემ.	✓	
58. ლორია ფილიპე	სოც-დემ.		✓
59. ლოსკუტოვი ანდრეი	სოც-დემ.		✓
60. მამედოვი ჰუსეინ	სოც-დემ.		✓
61. მამულაშვილი არსენ		✓	
62. მარგველაშვილი ტიტე	ერ-დემ.	✓	
63. მახარაძე გერასიმე	სოც-დემ.	✓	✓
64. მაჩაბელი მიხეილ	ერ-დემ.	✓	
65. მაყაშვილი კონსტანტინე	უპარტ-კავშ.	✓	
66. მაჭავარიანი სვიმონ		✓	
67. მაჭავარიანი იოსებ	ერ-დემ.	✓	✓
68. მგელაძე ვლასა	სოც-დემ.	✓	✓
69. მდივანი ალექსანდრე ბ.		✓	
70. მდივანი სიმონ	სოც-ფედ.		✓

71. მესხი კოტე		✓	
72. მიქელაძე შალვა	სოც-ფედ.	✓	
73. მურვანიძე გიორგი	სოც-დემ.		✓
74. ნათაძე გრიგოლ	სოც-რევ.	✓	✓
75. ნათაძე ლევან	სოც-დემ.		✓
76. ნინიძე ვიქტორ		✓	
77. ნინიძე კირილე	სოც-დემ.		✓
78. ნუცუბიძე ილია	სოც-რევ.		✓
79. ნუცუბიძე შალვა	სოც-ფედ.		✓
80. ონიაშვილი დავით	სოც-დემ.	✓	✓
81. პაპავა აკაკი	სოც-ფედ.	✓	
82. ჟორდანია ნოე	სოც-დემ.	✓	✓
83. ჟურული გიორგი	ერ-დემ.	✓	
84. ჟღენტი ლეონტი	სოც-დემ.	✓	✓
85. რამიშვილი ისიდორე	სოც-დემ.	✓	
86. რამიშვილი ნოე	სოც-დემ.	✓	✓
87. რაჭველიშვილი ქრისტეფორე	სოც-ფედ.	✓	
88. რუსია მელიტონ	სოც-დემ.	✓	✓
89. რცხილაძე გრიგოლ	სოც-ფედ.	✓	
90. საბაშვილი პარმენ	სოც-რევ.	✓	
91.საბახტარიშვილი კონსტანტინე	სოც-დემ.		✓
92. სალაყაია იოსებ	სოც-დემ.	✓	✓
93. სალუქვაძე ანანია	სოც-დემ.		✓
94. საყვარელიძე პავლე	სოც-დემ.	✓	✓
95. სოლოღაშვილი ანა	სოც-დემ.		✓
96. სურგულაძე პეტრე	ერ-დემ.		✓
97. სურგულაძე სიმონ	სოც-დემ.		✓
98. ტატიშვილი ივანე	სოც-დემ.		✓
99. ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძისა ელეონორა	სოც-დემ.		✓
100. ტოროშელიძე მინადორა	სოც-დემ.	✓	
101. უზნაძე დიმიტრი	სოც-ფედ.	✓	
102. ურატაძე გრიგოლ	სოც-დემ.		✓
103. ფანიანცი კონსტანტინე	სოც-დემ.		✓
104. ფარნიევი ალექსანდრე	სოც-დემ.		✓
105. ფაშალიდისი იოანის	სოც-დემ.		✓
106. ფაღავა გიორგი	სოც-დემ.		✓
107. ფირცხალავა სამსონ	სოც-ფედ.	✓	✓
108. ფირცხალაიშვილი ილია	სოც-დემ.	✓	✓
109. ქავთარაძე კალენიკე	სოც-დემ.	✓	
110. ქარუმიძე შალვა	ერ-დემ.	✓	
111. ქიქოძე გერონტი	ერ-დემ.	✓	✓

112. ქილინთაროვი ალექსანდრე		✓	
113. ქუმსიაშვილი ნიკოლოზ	სოც-დემ.		✓
114. ქურდიანი გრიგოლ	უპარტ.	✓	
115. ყიფიანი რუბენ	სოც-დემ.		✓
116. შარაშიძე დავით	სოც-დემ.		✓
117. შევჩუკი გერასიმე	სოც-დემ.		✓
118. შენგელაია ლეონ	სოც-რევ.		✓
119. შერვაშიძე ვარლამ	სოც-დემ.		✓
120. შერვაშიძე ყადირ	სოც-დემ.		✓
121. ხომერიკი ნოე	სოც-დემ.	✓	✓
122. ხოჭოლავა იონა	სოც-დემ.		✓
123. ჩერქეზიშვილი ივანე ლევ.	სოც-რევ.	✓	
124. ჩიხლაძე რაფიელ	სოც-დემ.	✓	✓
125. ჩიქავა ალექსანდრე	სოც-დემ.		✓
126. ჩიქოვანი დავით	ერ-დემ.	✓	
127. ჩხეიძე ნიკოლოზ	სოც-დემ.	✓	
128. ჩხეიძე დავით	სოც-დემ.		✓
129. ჩხიკვიშვილი ბენიამინ	სოც-დემ.		✓
130. ჭავჭანიძე ივანე	სოც-დემ.		✓
131. ჭელიძე თეიმურაზ	სოც-დემ.		✓
132. ჭიაბრიშვილი ანდრია	სოც-დემ.	✓	✓
133. ცაბაძე ვასილ	სოც-დემ.	✓	✓
134. ცინცაძე გიორგი	სოც-დემ.		✓
135. ცინცაძე ნოე	სოც-დემ.	✓	✓
136. ცინცაბაძე გრიგოლ	სოც-დემ.		✓
137. ცისკარიშვილი გაბრიელ	სოც-დემ.		✓
138. წერეთელი ვასილ	სოც-ფედ.	✓	
139. წერეთელი ირაკლი	სოც-დემ.	✓	
140. წულაია პავლე	სოც-დემ.		✓
141. წულაძე ვასილ	სოც-დემ.	✓	✓
142. ჯავახიშვილი დიმიტრი	ერ-დემ.	✓	
143. ჯაფარიძე კონსტანტინე	სოც-დემ.	✓	✓
144. ჯაფარიძე სერგი	სოც-დემ.		✓
145. ჯაჯანაშვილი არჩილ	სოც-ფედ.	✓	
146. ჯიბლაძე სილიბისტრო	სოც-დემ	✓	✓
147. ჯუღელი ვალერიან	სოც-დემ.		✓

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე გაკეთებული ხელმოწერები საქართველოს იმდროინდელი მმართველი ორგანოების წევრების მიერ არის საქართველოს სახელმწიფო-ებრივი ნების უზენაესი გამოხატულება და იმ საერთო-ეროვნული პოლიტიკური კონსენსუსის სიმბოლო, რომელიც დამოუკიდებლობის იდეის ირგვლივ არსებობდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი: იდეოლოგიური კონტექსტი

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ნოე ჟორდანიამ, ხოლო დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერთა დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატი იყო. თუმცა, დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს იდეოლოგიური კონტექსტის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ის წარმოგვიდგება როგორც ამ ორი პარტიის იდეოლოგიების თავისებური ნაზავი. მთლიანობაში საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, სახელმწიფოებრივი მშენებლობის ფუნდამენტური დოკუმენტი, იდეოლოგიურად ეფუძნება ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებს.

ლიბერალური ნაციონალიზმი

თავისუფლების ხელახალი მოპოვება, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა, როგორც წესი, ნაციონალიზმის საფუძველზე ხდება. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ლიბერალური ნაციონალიზმის კლასიკური მაგალითი, განსაკუთრებით იმ დროის კონტექსტში. ეროვნული თვითგამორკვევა განხორციელდა ინდივიდუალური თავისუფლების, დემოკრატიის და სამოქალაქო თანასწორობის ფართო პლატფორმით.

ლიბერალური ნაციონალიზმი არის იდეოლოგია, რომელიც აერთიანებს ნაციონალიზმის (ერი, როგორც ლეგიტიმური პოლიტიკური ერთეული) და ლიბერალიზმის (ინდივიდუალური უფლებები, თავისუფლება, დემოკრატია) პრინციპებს.

ლიბერალური ნაციონალიზმის ძირითადი პრინციპებია: ა/ სამოქალაქო (და არა ეთნიკური) ერი - ერი განისაზღვრება როგორც მოქალაქეთა ერთობა, რომლებიც იზიარებენ საერთო ინსტიტუტებს, კანონებსა და პოლიტიკურ ფასეულობებს; ბ/ დემოკრატიული პრინციპები - ეროვნული თვითგამორკვევა უნდა განხორციელდეს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში; გ/ ინდივიდუალური და უმცირესობათა უფლებების დაცვა.

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი სრულად ჯდება ლიბერალური ნაციონალიზმის ფარგლებში:

ლიბერალური ნაციონალიზმის პრინციპი	ასახვა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში
სუვერენიტეტი და ეროვნული სახელმწიფო	საქართველო "სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა" (ნაციონალიზმი). დამოუკიდებლობის აქტის მთავარი მიზანი იყო ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა (ნაციონალიზმი), მაგრამ ეს განხორციელდა ლიბერალური, რესპუბლიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით.
დემოკრატიული რესპუბლიკა	"დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა - დემოკრატიული რესპუბლიკა" (ლიბერალიზმი/დემოკრატია).
სამოქალაქო უფლებები და თანასწორობა	"თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა" (ლიბერალიზმის ქვაკუთხედი). სქესთა თანასწორობის პრინციპის დეკლარირებით იმ დროისათვის ევროპულ დემოკრატიებსაც უსწრებდა წინ.
უმცირესობათა უფ-	„განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ

ლებები	მოსახლე ყველა ერს“ (ლიბერალური ნაციონალიზმი). ეს შემდგომში კულტურული ავტონომიის კანონმდებლობის შემუშავებაში აისახა.
ნეიტრალიტეტი	საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა (ლიბერალური საგარეო პოლიტიკა).

იმდროინდელ საქართველოში ლიბერალური ნაციონალიზმის იდეოლოგიის მატარებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო. ეს პარტია თავის იდეოლოგიად ეროვნულ-დემოკრატიას აცხადებდა, ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგია კი შეიძლება მივიჩნიოთ ლიბერალური ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფორმად. ეროვნული დემოკრატია ეროვნულ პრიორიტეტს აერთიანებდა დემოკრატიულ, რესპუბლიკურ და ლიბერალური უფლებების დამცველ წყობასთან.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ სპექტრში წარმოადგენდა იმ მიმდინარეობას, რომელიც ხელისუფლებაში მყოფ ქართველ სოციალ-დემოკრატებს პრინციპულად უპირისპირდებოდა, თუმცა სახელმწიფოებრიობის აღდგენის ძირითად პრინციპებში მათი თანხვედრა მოხდა. ამის მიზეზი ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერის ნოე ჟორდანიას პოზიცია იყო.

ლიბერალური ნაციონალიზმისა და სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის თანაფარდობა

1918 წლის 26 მაისის აქტში, ტექსტუალურ და იდეოლოგიურ დონეზე, დომინირებს ლიბერალური ნაციონალიზმი. ნოე ჟორდანიამ, როგორც სოციალ-დემოკრატმა ამ შემთხვევაში იმოქმედა პრაგმატული სახელმწიფოებრივი ძალის სახით, რომელიც საკუთარ იდეოლოგიურ პრიორიტეტებს „ჩრდილავდა“ მთავარი ამოცანის - დამოუკიდებელი, ლეგიტიმური და ერთიანი სახელმწიფოს შექმნის - სასარგებლოდ. მიუხედავად მმართველი პარტიის სოციალისტური ორიენტაციისა, დამოუკიდებლობის აქტი, ფართო პოლიტიკური კონსენსუსის შედეგად, ამკვიდრებდა კლასიკურ დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებს, რაც თანამედროვე სახელმწიფოს ქვაკუთხედია.

ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში წერდა, რომ გიორგი გვაზავას მიერ წარდგენილ დამოუკიდებლობის აქტში გარდა საერთო-ეროვნული მუხლებისა იყო სოციალისტური დებულებები (8-საათიანი სამუშაო დღე, მიწის რეფორმა). მან დამოუკიდებლობის აქტიდან ამოიღო სოციალური (სოციალისტური) დებულებები და დატოვა მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური საკითხები (ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. მოგონებანი. თბილისი, გამომცემლობა „სარანგი“, 1990, გვ.89-90).

თავად გიორგი გვაზავა ამ ამბავს სხვანაირად იგონებს: ნოე ჟორდანიას წარუდგინეს დამოუკიდებლობის აქტის ორი პროექტი: მისი, საერთო-ეროვნული მუხლებით და რაჟდენ არსენიძის (სოციალ-დემოკრატის), რომელშიც იყო სოციალური დებულებები. ნოე ჟორდანიამ მხარი დაუჭირა მის მიერ წარდგენილ პროექტს (გიორგი გვაზავა. საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე). პარიზი, 1928, გვ.7).

ჟორდანიას პოზიციის მთავარი მიზეზი პრაგმატული გათვლა იყო:

ა/ ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობა - ნ. ჟორდანიას სურდა, რომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად მიეღო ყველა პოლიტიკურ ძალას (სოციალ-დემოკრატებს, ეროვნულ-დემოკრატებს, სოციალისტ-ფედერალისტებს და სხვა). სოციალურ საკითხებს (განსაკუთრებით მიწის რეფორმას), მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებისთვის მთავარი იყო, შეიძლება დაპირისპირება და განხეთქილება გამოეწვია ქვეყნისთვის კრიტიკულ ეტაპზე;

ბ/ აუცილებელი იყო მთავარზე კონცენტრირება - დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში მთავარი იყო სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გამოცხადება და საერთაშორისო აღიარების მიღწევა. საჭირო იყო ისეთი დოკუმენტის შექმნა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოებრივი აღდგენის ფაქტს დააფიქსირებდა, ხოლო სოციალური რეფორმები შემდეგ ცალკე კანონმდებლობით იქნებოდა გატარებული;

გ/ საერთაშორისო აღიარების გაადვილება - ევროპული სახელმწიფოებისთვის პირველ რიგში სახელმწიფოს ფორმა იყო მნიშვნელოვანი და არა მის მიერ გატარებული სოციალური რეფორმების დეტალები.

ამრიგად, ნოე ჟორდანიას გადაწყვეტილება, დაეტოვებინა მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრინციპები, იყო პრაგმატული პოლიტიკური ნაბიჯი კრიტიკულ მომენტში ეროვნული ერთიანობისა და ახალი სახელმწიფოს მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე.

სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ძლიერი გავლენა

სოციალ-დემოკრატები იზიარებდნენ ლიბერალური ნაციონალიზმის რიგ პრინციპებს (დემოკრატია, რესპუბლიკა, უფლებები), მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისგან განსხვავებით, მათთვის ეს პრინციპები სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ეტაპად იყო მიჩნეული. ეროვნულ-დემოკრატებისთვის კი, ეროვნული და ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა იყო საბოლოო მიზანი და არა მხოლოდ ეტაპი სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე. ამ საკითხში სოციალ-დემოკრატების და ეროვნულ-დემოკრატების ხედვა პრინციპულად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

სოციალ-დემოკრატიამ „ჩააცვა“ ლიბერალურ-ნაციონალური სამოსი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რათა ეროვნული ერთობა უზრუნველეყო. სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენა თავად აქტში იგრძნობა არაპირდაპირ და კონტექსტში. დამოუკიდებლობის აქტში სწორედ სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიიდან მომდინარეობდა სამოქალაქო თანასწორობის სიღრმე; ის რომ აქტი მკაფიოდ უსვამდა ხაზს სოციალური მდგომარეობის მიუხედავად მოქალაქეთა თანასწორობას.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის აქტიდან ამოღებული იქნა „სოციალისტური დებულებები“, დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შექმნილი რესპუბლიკის ფარგლებში მალევე განხორციელდა ცალკე კანონმდებლობით რადიკალური რეფორმები: მიწის რეფორმა (ნაციონალიზაცია და გლეხებისთვის განაწილება), შრომის კანონმდებლობა (8-საათიანი სამუშაო დღე) და ა. შ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ისტორიული ნაწილი

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი იწყება იმ ვითარების აღწერით, თუ როგორ აღმოჩნდა საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და რატომ აღიდგინა დამოუკიდებლობა:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმა დასტოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე ძალის ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთი შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.“

როგორც ვხედავთ, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი რუსეთს ბრალს არ სდებს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფაში და აღნიშნულია, რომ საქართველო „თავისი ნებით“ შეუერთდა რუსეთს, „გარეშე მტერთაგან დაცვის“ პირობით. სწორედ ამას ამტკიცებდა მეფის რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფია, მაგრამ წარსულის ამგვარი ხედვა ისტორიულ სიმართლეს არ შეესაბამება.

რუსეთი ვეღარ იცავს საქართველოს გარეშე მტრებისაგან და საქართველო იძულებულია თავის დასაცავად „საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას“, – ასეთია დამოუკიდებლობის აქტში დაფიქსირებული პოზიცია.

დამოუკიდებლობის აქტის ისტორიული პრეამბულა უკმაყოფილებას იწვევდა ეროვნულ-პატრიოტული ძალების გარკვეულ ნაწილში. მაგალითად, რევაზ გაბაშვილი (1882-1969) თავის მოგონებებში აღნიშნავდა, დამოუკიდებლობის გამოცხადებისას ნოე ჟორდანიას მოხსენების გამო: „ჩვეულებრივი რიხით კი არ ლაპარაკობდა, არამედ თითქო სამძიმარს ეუბნებოდა რუსეთს, იძულებული - ...ღალატზედ. ასეთი უზეიმო იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება და ეს აღიბეჭდა კიდეც, საუბედუროდ, **მენშევიკურ** „დამოუკიდებლობის აქტში“, საცა, აღფრთოვანების მაგიერ, ტირილი და ბოდიშებია... **რუსეთის** წინაშე“ (რევაზ გაბაშვილი. მოგონებები. თბილისი, „მერანი“, 1992, გვ.212)

რატომ არაფერია ნათქვამი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობაზე და რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ? ეს შეიძლება სამი ძირითადი მიზეზით აიხსნას:

- რუსეთი წასული იყო სამხრეთ კავკასიიდან და საქართველოს იმ მომენტში რუსეთისაგან საფრთხე არ ემუქრებოდა. პირიქით, რაღაც პერიოდი რუსეთიდანაც მოელოდნენ დახმარებას ოსმალთა შემოტევის შესაჩერებლად;
- ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გარკვეულწილად შექმნილი გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე იძულებითი ნაბიჯი იყო და ამასთან არ უნდოდათ რუსეთის განაწყენება.
- საქართველო უკვე ჩამოცილებული იყო რუსეთს, რადგანაც შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციულ სახელმწიფოში და 1918 წ. 26 მაისს სწორედ ამიერკავკასიის ფედერაციიდან გამოდიოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი

საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ცდილობდა კომუნისტური სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებას. ამ მიზნით 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირში გაიმართა რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა. საქართველოში ამ დროს ზვიად გამსახურდიას „მრგვალი მაგიდის“ ეროვნული ხელისუფლება იყო. მოსკოვის მიერ დანიშნული რეფერენდუმი საქართველოს ტერიტორიაზე არ ჩატარებულა, სამაგიეროდ 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც ქვეყნის მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე – სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. 31 მარტის რეფერენდუმი იყო საქართველოს პასუხი მოსკოვის მცდელობაზე, დაემტკიცებინა, რომ ხალხს სურდა კავშირის შენარჩუნება.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90,3%-მა. კითხვაზე "გინდათ თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე" დადებითი პასუხი გასცა 3.266.265 ადამიანმა, ანუ რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9%-მა, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 89,3%-მა. წინააღმდეგი იყო 17400 მოქალაქე, რაც რეფერენდუმის მონაწილეთა 0,53%, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 0,48% შეადგენდა.

დამოუკიდებლობის აღსადგენად საკმარისი იყო პასუხის გაცემა რეფერენდუმზე გამოტანილი კითხვის მხოლოდ პირველ ნაწილზე, მაგრამ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ხსენება ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

თუმცა, 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს ქვეყნებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი სახელმწიფოსი, ანუ როგორც საბჭოთა საქართველოს სამართალმემკვიდრე, შესაბამის საზღვრებში.

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო ჯერ პარტიების მიერ შექმნილმა ეროვნულმა საბჭომ, 1919 წლის 12 მარტს დაამტკიცა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით არჩეულმა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, 1991 წლის 31 მარტს კი დამოუკიდებლობის აქტს რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი იყო გადამწყვეტი ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობისკენ და წარმოადგენდა იმ დემოკრატიულ ლეგიტიმაციას, რომელიც აუცილებელი იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე,

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და აზერბაიჯანი

საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადებით გარდუვალი გახდა აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი დღის შემდეგ, 1918 წლის 28 მაისს თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში, ცისფერ დარბაზში, რომელიც განკუთვნილი იყო ამიერკავკასიის სეიმის მუსლიმური ჯგუფისთვის, შეიკრიბა აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს 26 წევრი. დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხის განხილვის შემდეგ აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს 24 წევრმა (ორმა თავი შეიკავა) მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას, რის შემდეგაც წაიკითხეს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. დეკლარაციას ფეხზე მდგომი ისმენდა საბჭო. დეკლარაციას ხელი მოაწერა ეროვნული საბჭოს 8 წევრმა.

აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტი მნიშვნელოვანწილად იმეორებს ორი დღით ადრე მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტს. გიორგი გვაზავა (1869-1941) შემდგომ აღნიშნავდა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადებით „გზა უჩვენა სხვა ერებსაც კავკასიაში. აზერბაიჯანის და სომხეთის დეკლარაცია სიტყვა სიტყვით გადმოწერილია ჩვენი დეკლარაციიდან“ (გიორგი გვაზავა. საქართველო და ეროვნულ დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე). პარიზი, 1928, გვ. 8).

თუ შევადარებთ საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტებს, ვნახავთ გარკვეულ განსხვავებასაც. აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტის შესავალ ნაწილში, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესავალი ნაწილისგან განსხვავებით, არაა ნათქვამი, რომ აზერბაიჯანი ”თავისი ნებით” შეუერთდა რუსეთს. ეს გასაგებიცაა, მე-19 საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანი როგორც პოლიტიკური ერთეული არ არსებობდა, ის ირანის ნაწილი იყო და იქ არსებული სახანოები რუსეთმა ძალით დაიპყრო.

ასევე, დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობის დასაბუთებისას ერთ-ერთ არგუმენტად დასახელებულია ის, რომ „ქართველმა ხალხმა სასიკეთოდ ჩათვალა გამოსულიყო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობიდან და შეექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“.

თუ შევადარებთ საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტების შესავალ ნაწილებს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი	აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტი
„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.	
რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება	რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობაში რუსეთში დამყარდა პოლიტიკური

შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.	წყობა, რომელმაც გამოიწვია სახელმწიფო ორგანიზმის ცალკეულ ნაწილებად დაშლა და რუსეთის ჯარების მიერ ამიერკავკასიის დატოვება.
დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავის საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.	დარჩნენ რა თავისი ძალების ამარად, ამიერკავკასიის ხალხებმა თავის ხელში აიღეს თავისი ბედის მოწყობის საქმე და შექმნეს ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. მაგრამ პოლიტიკური მოვლენების შემდგომი განვითარების შედეგად ქართველმა ხალხმა სასიკეთოდ ჩათვალა გამოსულიყო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობიდან და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. აზერბაიჯანის ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, დაკავშირებული რუსეთსა და ოტომანთა იმპერიას შორის წარმოშობილი ომის ლიკვიდაციასთან, ასევე არნახული ანარქია ქვეყნის შიგნით აუცილებლობით კარნახობს აზერბაიჯანს, რომელიც შედგება აღმოსავლეთ და სამხრეთ აზერბაიჯანისგან, შექმნას თავისი სახელმწიფო ორგანიზაცია, რათა გამოიყვანოს აზერბაიჯანის ხალხები იმ მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობიდან, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ.. აღნიშნულის საფუძველზე აზერბაიჯანის მუსულმანთა ეროვნული საბჭო, არჩეული საყოველთაო სახალხო კენჭისყრით ამიერიდან სახალხოდ აცხადებს დამოუკიდებლობას.

რაც შეეხება დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებულ ახლადშექმნილი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტი იმეორებს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ძირითად პრინციპებს, გამოტოვებულია მხოლოდ მუხლი ნეიტრალიტეტის შესახებ:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიერ გამოცხადებული ძირითადი პრინციპები	აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტის მიერ გამოცხადებული ძირითადი პრინციპები
1.ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.	1. ამიერიდან აზერბაიჯანის ხალხები არიან სუვერენული უფლებების მატარებელნი და აზერბაიჯანი, რომელიც შედგება აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიისაგან - სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა

2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა.	2. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის პოლიტიკური მოწყობის ფორმად დგინდება დემოკრატიული რესპუბლიკა.
3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა	
4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.	3. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფვის კეთილმეზობლური ურთიერთობები დაამყაროს საერთაშირისო საზოგადოების ყველა წევრთან, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე ხალხებთან და სახელმწიფოებთან.
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა.	4. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში გარანტირებას ახდენს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნების, აღმსარებლობის, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.	5. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნებას ფართო ასპარეზს შეუქმნის თავისუფალი განვითარებისთვის.
7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.	6. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მთელი აზერბაიჯანის მმართველობის სათავეში დგას სახალხო კენჭისყრით არჩეული ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა, პასუხისმგებელი ეროვნული კრების წინაშე.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტების თანხვედრა მნიშვნელოვანია იმით, რომ აზერბაიჯანისთვისაც მისაღები იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში დეკლარირებული პრინციპები და ფასეულობები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია და საზღვრები

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში გამოყენებულია ტერმინები: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია“, „მთელი საქართველო“. თუმცა, დამოუკიდებლობის აქტში არაფერია ნათქვამი, თუ რა შეადგენდა საქართველოს ტერიტორიას და სად გადიოდა მისი საზღვრები. საქართველოს სახელმწიფო მხოლოდ იქმნებოდა და ამასთან, ცხადი იყო ისიც, რომ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან დავა მოუწევდა საზღვრებთან დაკავშირებით.

ქართველი მეცნიერები საქართველოს საზღვრების შესახებ

საქართველოს საზღვრების შესახებ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია ჰქონდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის თვალსაჩინო მოღვაწეებს. ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში ამტკიცებდა, რომ საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული, მკაფიოდ გამიჯნული საზღვრები აქვს და ამ საზღვრებში საქართველოს სახელმწიფოს უადვილდებოდა თავდაცვა წარსულში და გაუადვილდებოდა სამომავლოდაც. საზღვრებთან დაკავშირებით 1919 წელს დაწერილი ნაშრომის შესავალში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს“ (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები. ტფილისი, 1919, გვ.3).

როდესაც საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული მკაფიო საზღვრების შესახებ წერდა, ივანე ჯავახიშვილი მარტო არ ყოფილა. ამ აზრს იზიარებდნენ და იმავეს ამტკიცებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეებიც. პავლე ინგოროყვა (1893-1983) 1918 წლის ივლისში აღნიშნავდა: „საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს - ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით. საქართველო ამავე დროს ერთი მთლიანი ფიზიკალ-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყანა - შემოფარგლური ბუნებრივის საზღვრებით. საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყია“. (პავლე ინგოროყვა. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. მოკლე სამახსოვრო ცნობა. კონსტანტინეპოლი, 1918, გვ.1; ასევე: პავლე ინგოროყვა. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. თბ., 1990, გვ.3.)

საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით 1919 წლის მაისში მოკლედ იმავეს აღნიშნავდა გენერალი ილია ოდიშელიძე (1865-1925): „თვით ბუნებამ შემოფარგლა საქართველოს საზღვრები და თვით ისტორიამ დაადგინა იგი“. (Одишелидзе. Границы Грузии. Составитель генераль инфантерий. Май 1919 г. Гор. Тифлись - სეა, ფონდი 1969, აღწ.4, საქმე 9, ფურც.1; ქართული თარგმანი: „ჯავახიანნი“, ტ.III, თბილისი, 2020, გვ.125.)

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბუნებრივ საზღვრებთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ სწორედ ასეთი საზღვრების გამო საქართველოს წარსულში უადვილდებოდა თავდაცვა: „სხვათა შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა“. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც კარგად ესმოდათ, ამიტომ „არა-ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ“ (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები. ტფილისი, 1919, გვ.3).

ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოს ხელისუფალნი საუკუნეების მანძილზე ყოველთვის ცდილობდნენ დაეცვათ სახელმწიფოს ბუნებრივი საზღვრები: „საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავისი სახელმწიფოს ამ ბუნებრივ სამზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წა-

დილს მედგარს წინააღმდეგობას უწევდენ“. (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები. ტფილისი, 1919, გვ.3).

ივანე ჯავახიშვილის ასეთი სიტყვების შემდეგ თავისთავად იგულისხმებოდა, რომ საზღვრებთან დაკავშირებით იგივე უნდა გაეკეთებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასაც.

ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ საქართველოს საზღვრების დადგენისას მმართველი წრეები სახელმწიფოებრივი ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდნენ. „საქართველოს სამზღვრების საბოლოვო მოხაზულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს“. (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები. ტფილისი, 1919, გვ.49).

სოციალისტური პარტიები და საქართველოს ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრები

სოციალისტური პარტიები დიდი ხნის განმავლობაში სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და საზღვრების საკითხისადმი. ტერიტორიული გამიჯვნის საკითხების განხილვისას კი ხელმძღვანელობდნენ ე. წ. „რეალური მოსახლეობის“ პრინციპით. მაგალითად, როგორც რეზო გაბაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, 1912 წელს რუსეთის არასახელმწიფოებრივ ერთა კონფერენციაზე საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, - სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა მომავალ ტერიტორიულ-ეროვნულ განსაზღვრაში „საინგილო მორალურად მიაკუთვნეს ადერბაიჯანს..., აფხაზეთი - ჩრდილოეთ-კავკასიას და ახალციხე, - ახალქალაქი, ბორჩალოს მაზრა ნავთლუღამდის - სომხებს“. (რევაზ გაბაშვილი. რაც მახსოვს - წიგნში „დაბრუნება“, ტომი 3, თბილისი, 1992, გვ.118).

სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი არქონა, რევოლუციისა და სოციალიზმის იდეებით გატაცება საზოგადოების გარკვეულ წრეებში საკუთარი ერის ბედის, ეროვნული პრობლემებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იწვევდა. "არა ერთი და ორი პოლიტიკური მოღვაწე... თვითმპყრობელობასთან ბრძოლით თავდავიწყებამდე გატაცებული, გულწრფელად ივიწყებდნენ ერის ისტორიულ უფლებას და მის დაუცხრომელ ლტოლვას ნაციონალური თვითაღდგენისადმი" ("საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ. 28 იანვარი) - პავლე საყვარელიძის ეს სიტყვები, პირველ რიგში, ქართველ სოციალ-დემოკრატებს შეეხებოდა. იმავეს აღნიშნავდა ესერთა ლიდერი ლეო შენგელაიაც: "ამ ასი წლის მონობამ ისე დაამახინჯა ჩვენი გონება და ეროვნული შეგნება, რომ თვით ჩვენ, ვინც ასე თავგამოდებით ვიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას, რამდენიმე წლის წინედ ვერ ვიმეტებდით საქართველოსათვის უბრალო ავტონომიას" ("შრომა", 1920 წ. 19 დეკემბერი)

ლეო შენგელაია ამას ამბობდა 1920 წლის დეკემბერში. ერთი წლით ადრე, დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ, სოციალისტ-რევოლუციონერები თავიანთ საარჩევნო პლატფორმაში, როგორც „ინტერნაციონალისტები“ აცხადებდნენ, რომ „მეზობელ ერებთან ტერიტორიალური გამიჯვნის საკითხში პარტია დაიცავს ეთნოგრაფიულ პრინციპს“ (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის საარჩევნო პლატფორმა - „შრომა“, 1919 წლის 12 თებერვალი.) ამ დროს საქართველო უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მისი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილე ქართული პარტია კი მოქალაქეებს უცხადებს, რომ მზად არის დათმოს საქართველოს სასაზღვრო რეგიონები იმის გამო, რომ იქ ისტორიული უკუღმართობის გამო ქართული მოსახლეობა შემცირდა.

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატები დადგნენ საქართველოს ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების დაცვის პოზიციაზე.

შესაძლო დათმობები მეზობელ ქვეყნებთან საზღვრების საკითხში

ივანე ჯავახიშვილის აზრით, მეზობლებთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საზღვრების საკითხში შეიძლება გარკვეულ დათმობებზე წასვლა, ოღონდ ისე, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესები არ დაზარალდეს. საზღვრების საკითხზე დაწერილი ნაშრომის („საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“) ბოლოსიტყვაობაში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ისტორიული და საერთაშორისო სამართლის ძალით საქართველოს სწორედ ის სამზღვრები უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ზევით იყო აღნუსხული, მაგრამ ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება, საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიაც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს“ (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები. ტფილისი, 1919, გვ.49).

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა ტერიტორიული დათმობის შესაძლებლობის განსაზღვრის უმთავრეს პრინციპსაც, - დათმობას საგრძნობი ზიანი არ უნდა მიეყენებინა საქართველოს თავდაცვის საქმისათვის: „კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს.“ (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები. ტფილისი, 1919, გვ.51)

ამ პრინციპიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, თუ რის დათმობა შეუძლია საქართველოს აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის: „მაგ., აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წყლის მაგიერ კაშკა-ჩაი დასდვას, სამხრეთით-აღმოსავლეთის სამზღვრის ხაზად-კი ისტორიულის მაგიერ დებედას შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად ისტორიულის სამზღვრის ერევნის (= ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ბერდუჯის (= რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსაზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქმნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები“. (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები. ტფილისი, 1919, გვ.51).

ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩამოყალიბებული ეს პრინციპი მისაღები იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისთვისაც. საქართველოს მთავრობის მიერ 1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციისთვის წარდგენილ მემორანდუმში საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებთან დაკავშირებით აღნიშნული იყო:

„განსაზღვრავს რა თავის საზღვრებს, საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხს და, რომლებსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, ამავე დროს, სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხება. საქართველო არ მოითხოვს იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც მას აყვავების ეპოქაში ჰქონდა. უარს ამბობს იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც მას 1801 წელს რუსეთთან შეერთების დროს ეკუთვნოდა, რომლებიც მეზობელი ხალხების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა“ (ა. მენთეშაშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პარიზის 1919 წლის საზავო კონფერენციაზე - გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წ. 24 იანვარი, გვ.9)

1919 წლის აგვისტოში, ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოს საზღვრების შესახებ 3 აგვისტოს წაკითხული ლექციის შემდეგ, სამსონ ფირცხალავა აღნიშნავდა, რომ შექმნილ ვითარებაში საქართველო თავის ისტორიული საზღვრების აღდგენისთვის ვერ იბრძოლებდა

და საჭირო იყო კომპრომისის გამონახვა მეზობელ ქვეყნებთან. მისი თქმით, „სახელმწიფო პოლიტიკის ულოღიკობა იქნებოდა, თუ საზღვრების საკითხს რაღაც კერპად გადავაქცევდით და დაჟინებით მოვითხოვთ ჩვენი ისტორიული საზღვრების აღდგენას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დახლართულ პირობებში გვიხდება სახელმწიფოს შექმნა, დამოუკიდებლობის განმტკიცება, როგორ გარშემორტყმულნი ვართ მტრებით, რომ აგერ მეთხუთმეტე თვეა ხმალ ამოღებული ვდგევართ ხან ერთ ფრონტზე, ხან მეორეზე. ყოველის მხრით გვემუქრებიან და მიუხედავად ამდენი მონდომებისა ვერც ერთს მეზობელთან ვერ დავამყარეთ ნორმალური დამოკიდებულობა. ძლივს მოვახერხეთ სამხედრო ხელშეკრულობა ადერბეიჯანთან, მაგრამ ეს „მოკავშირეც“ ისევ ძველებურად განაგრძობს თავის პანთურქისტულ პოლიტიკას ქართველ მაჰმადიანთა შორის“ (ს. ფირცხალავა. საზღვრები - გაზ. „სახალხო საქმე“, 7 აგვისტო 1919, N 595).

სამსონ ფირცხალავა ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია შეთანხმების მიღწევა საზღვრების თაობაზე, „რაც შეიძლება ნაკლების დათმობის“ პრინციპით: „ამნაირ გარემოებაში შეუძლებელია შეუდრეკლად დავადგეთ ყველასთან შეურიგებლობას საზღვრების შესახებ და არ ვიზრუნოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლების დათმობით, მაგრამ მაინც დათმობითვე, როგორმე ჩამოვაგდოთ შეთანხმება, გავმაგრდეთ, გავიტანოთ როგორმე ჩვენი თავისუფლება...“ (ს. ფირცხალავა. საზღვრები - გაზ. „სახალხო საქმე“, 7 აგვისტო 1919, N 595).

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე 1920 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერილების სერიის სახით გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს კონსტიტუციისათვის“ იმოწმებს ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშრომიდან ზემოთ მოტანილ დებულებას და თავის მხრივ აღნიშნავს: „ამ გონიერ დათმობას საზღვრების საკითხში საქართველოში არავინ არ უარყოფს. ოღონდ თავი და თავი ის არის, რომ დათმობის პოლიტიკას ყოველთვის და ყოველგან უნდა საზღვრავდეს რესპუბლიკის ინტერესები და დემოკრატიული სახელმწიფოებრივობის საჭიროება“ (პ. საყვარელიძე. საქართველოს კონსტიტუციისათვის - საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921). მასალები და დოკუმენტები. ტომი II. თბილისი, 2018, გვ.258).

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია და საკონსტიტუციო კომისია

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის საკითხში გარკვეულობის შეტანა სცადა როგორც ეროვნული საბჭოს, ისე დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ. ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიამ 1918 წლის 13 ივლისის სხდომაზე დაადგინა, რომ კონსტიტუციის ერთ-ერთი თავი უნდა ყოფილიყო „სახელმწიფო ტერიტორია“, რომლის შემუშავება პავლე საყვარელიძეს დაევალა (სცსაა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.147). პ.საყვარელიძემ ერთი კვირის შემდეგ, 20 ივლისის სხდომაზე კომისიას წარუდგინა დებულება „საქართველოს ტერიტორიის“ შესახებ (სცსაა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.151). აღნიშნული დებულება სულ სამი მუხლისგან შედგებოდა. პირველი მუხლი წარმოადგენდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის ჩამოთვლას, რომელიც შედიოდა, ან უნდა შესულიყო საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. დებულების მეორე მუხლი იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მესამე მუხლი კი ეხებოდა საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფის საკითხს.

პ. საყვარელიძის მიერ შემუშავებული დებულების პირველ მუხლში ნათქვამი იყო: „საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიას შეადგენს: ქართლი, კახეთი, ერწო-თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, ყაზახ-ბორჩალო, ზაქათალი, იმერეთი რაჭა-ლუჩხუმითურთ, სამეგრელო ოდიშითურთ, სამურზაყანო, სვანეთი, გურია და ავტონომიური აფხაზეთი და ავ-

ტონომიური სამუსლიმანო საქართველო, რომელშიაც შედის: ყოფილი სამცხე-საათაბაგო _ ახალციხე და ახალქალაქის მაზრები (მესხეთი და ჯავახეთი), არტაანის ოლქი (კოლა-არტაანი), ოლთისის ოლქი (ძველი ტაო), თორთუმი, ისპირი, ჭანეთი, ბათუმის ოლქი (ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა); (სცსსა, ფ.1836, ანაწ.1, საქ.420, ფურც.156).

დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულმა საკონსტიტუციო კომისიამ 1919 წლის 22 მარტის სხდომაზე ასევე საჭიროდ მიიჩნია კონსტიტუციის პროექტში ცალკე თავად შეეტანათ „სახელმწიფო ტერიტორია“, რომლის შემუშავებაც პ. საყვარელიძეს და რ. ჩიხლაძეს დაევალათ (სცსაა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.3-4).

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ 1919 წლის 5 ივლისის სხდომაზე განიხილა „სახელმწიფოებრივი ტერიტორიის” ზემოთმოყვანილი დებულება. სხდომას ესწრებოდნენ რ. არსენიძე, ი. ბარათაშვილი, რუსია, ნათაძე, ჯაფარიძე, ფაღავა (სცსაა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.273).

კომისიის წევრთა შორის კამათი გამოიწვია პირველმა მუხლმა. კერძოდ, საკითხმა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო კონსტიტუციაში საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის ჩამოთვლა, რომლის ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

სოციალისტ-ფედერალისტი ი. ბარათაშვილი იცავდა ამ მუხლის საჭიროებას და აღნიშნავდა: „დამფუძნებელი კრება მოქმედებს, ტერიტორიის ფარგალი აღნუსხული უნდა იყოს, უეჭველად უნდა ჩამოთვლა. მაგრამ შესაძლებელია დღევანდელ პირობებში ჩამოთვლა გადიდოს, აღნუსხვა ტერიტორიისა კიდევ არ ნიშნავს ფაქტიურად ქონებას... პირველი მუხლი აღნიშნული უნდა იყოს” (სცსაა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.273).

პირველი მუხლის ფორმულირებაში, განსხვავებით საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი ვარიანტისაგან, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, მის ბოლო ნაწილში, რომელიც „ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს“ შეეხებოდა: „...და ავტონომიური სამუსლიმანო საქართველო, რომელშიაც შედის: ყოფილი სამცხე საათაბაგო - ახალციხის და ახალქალაქის მაზრები (მესხეთი და ჯავახეთი), ჭანეთი, ბათუმის ოლქი (ქობულეთი, აჭარა, შავშეთ, კლარჯეთი, ლივანა)“ (სცსაა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.220).

პ. საყვარელიძის წინადადებით, კომისიამ ღიად დატოვა ამ მუხლის საკითხი და მას მოგვიანებით ისევ უნდა დაბრუნებოდა. ამ მუხლის გასწვრივ საკონსტიტუციო კომისიის ოქმში არის მინაწერი: ”კომისიამ გადასწყვიტა ჯერ-ჯერობით ღიად დარჩეს ეს მუხლი” (სცსაა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.220).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 13 მარტის სხდომაზე, როდესაც მიმდინარეობდა „კონსტიტუციის გადაკითხვა-გადასინჯვა“ პროექტის გამოქვეყნების წინ, დაადგინეს, რომ ”მეორე თავი - სახელმწიფო ტერიტორია - დარჩეს უცვლელად“ (სცსაა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც.157).

საბოლოოდ, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებულ პროექტში „სახელმწიფოებრივი ტერიტორია“ ცალკე თავის სახით აღარ შეუტანიათ. მისი პირველი მუხლი საერთოდ არ შესულა კონსტიტუციის პროექტში, მეორე და მესამე მუხლები კი გადაიტანეს „ზოგად დებულებებში“.

დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს აღნიშნული მუხლები უცვლელად იქნა მიღებული და შევიდა კონსტიტუციის საბოლოო ტექსტში (მე-6 და მე-7 მუხლები).

საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ამოსავალი პრინციპები

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რასაც უნდა დამყარებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო:

- სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი;
- დემოკრატიული რესპუბლიკა როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა;
- მუდმივი ნეიტრალიტეტი;
- კეთილმეზობლობა ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით მეზობლებთან;
- საქართველოს მოსახლეობისთვის სრული სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება;
- საქართველოს საზღვრებში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალი განვითარება.

1920 წლის 24 ნოემბერს კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაწყების დროს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ პ. საყვარელიძემ თავის მოხსენებაში წარმოადგინა საქართველოს მომავალი კონსტიტუციის კონცეფცია, დაახასიათა დამოუკიდებლობის აქტი, როგორც კონსტიტუციის პროექტის უმნიშვნელოვანესი წყარო და ისაუბრა მასში ჩამოყალიბებულ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპებზე: „სუვერენიტეტი. წყობილების ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკა. ნეიტრალიტეტი. კეთილმეზობლური განწყობილება. სრული მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თავისუფლება. ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალი განვითარება“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.863, ფურც.115).

მუხლი	დებულება	პოლიტიკური მნიშვნელობა
მუხლი 1	სუვერენიტეტი: ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.	სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უპირობო გამოცხადება.
მუხლი 2	პოლიტიკური ფორმა: დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.	მმართველობის დემოკრატიული ფორმის არჩევა.
მუხლი 3	ნეიტრალიტეტი: საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.	საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი იმ დროს მიმდინარე მსოფლიო ომის ფონზე.
მუხლი 4	საერთაშორისო ურთიერთობები: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს.	საგარეო პოლიტიკაში მშვიდობისაკენ მისწრაფება.

მუხლი 5	მოქალაქეთა თანასწორობა: უზრუნველ-ყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალუ-რი მდგომარეობისა და სქესისა.	დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, ქალთა თანასწორუფლები-ანობის დეკლარირება.
მუხლი 6	ეროვნული უმცირესობები: განვითარე-ბის თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.	ეროვნული უმცირესობების უფლებე-ბის აღიარება და დაცვა.
მუხლი 7	დროებითი მმართველობა: დამფუძნე-ბელი კრების შეკრებამდე მთელი საქარ-თველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძ-ღვება ეროვნული საბჭო (შევსებული ერ-ოვნულ უმცირესობათა წარმომადგენლე-ბით) და დროებითი მთავრობა.	გარდამავალი პერიოდის მმართვე-ლობის ორგანოების განსაზღვრა.

საქართველოს მოქალაქეობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი აცხადებდა, რომ „საქართველოს დემოკრატი-ული რესპუბლიკა თავისს საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სა-მოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს...“

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად საქართველოს მოქალაქეობის განსაზღვრა და შესაბამისი კანონის მიღება გახდა. საქართველოს მოქალაქე-ობა ერთ-ერთი პირველი საკითხი იყო, რომლის დამუშავებაც მოუხდა საკონსტიტუციო კომი-სიას. ეროვნული საბჭო ჩქარობდა შესაბამისი კანონის მიღებას. 1918 წლის 26 ივნისს საკონ-სტიტუციო კომისიამ განიხილა ივანე ჩერქეზიშვილის მიერ წარმოდგენილი მოხსენება ამ სა-კითხზე და უკანვე დაუბრუნა ავტორს „საბოლოოდ შესამუშავებლად“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.12). 29 ივნისის სხდომაზე უკვე რ. არსენიძემ წარმოადგინა მოხსენება საქარ-თველოს მოქალაქეობის შესახებ. მის მიერ შეთავაზებული „დებულება საქართველოს დე-მოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა“ მოიწონეს და ავტორს დაუბრუნეს „საბოლო-ოდ შესამუშავებლად“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.143). მომდევნო, 30 ივნისის სხდომაზე კომისიამ მიიღო რ.არსენიძის წარმოდგენილი მოქალაქეობის დებულების პროექ-ტის ექვსივე მუხლი და გადასცა ეროვნულ საბჭოს განსახილველად. კომისიის მხრიდან მოხ-სენების გაკეთება დებულების ავტორს – რ. არსენიძეს დაევალა (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.144). 6 ივლისის სხდომაზე კვლავ გაიმართა მსჯელობა აღნიშნული დებულე-ბის შესახებ. გ. ვეშაპელის წინადადებით, სიტყვა „ბინადარი“ შეიცვალა „მკვიდრით“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.145).

საქართველოს მოქალაქეობის დებულების პროექტი შეიმუშავა იუსტიციის სამინის-ტრომაც. აღნიშნული პროექტიც განიხილა საკონსტიტუციო კომისიამ 1918 წლის 10 ივლისის სხდომაზე და თავისი შენიშვნები გამოთქვა (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.146). საარ-ქივო საქმეში დაცულია რ. არსენიძის მიერ შემუშავებული დებულება და მოხსენება მოქალა-ქეობის შესახებ, რომელშიც განმარტებულია დებულებაში ჩამოყალიბებული მოქალაქეობის კონცეფცია. რ.არსენიძე პირველ რიგში მიუთითებდა საკითხის გადაწყვეტის სირთულეზე –

საქართველოს დამოუკიდებლობა ისეთ პირობებში გამოცხადდა, როდესაც „არა თუ მოქალაქეობა, თვით საზღვრებიც კი რესპუბლიკისა დაახლოვებითაც არ იყო აღნიშნული“. პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდნენ სხვა რეგიონებიდან შემოსული ლტოლვილები. ყველა მათგანის მოქალაქედ გამოცხადება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. საჭირო იყო „ერთი მხრით, არ წაგვერთმია მოქალაქეობა იმათთვის, ვისაც ეს სამართლიანად ეკუთვნის და, მეორე მხრით, არ მოგვეხვია იგი თავზე ვისმესთვის ძალაუნებურად“ (სცსსა, ფ.1836, ანაწ.1, საქ.201, ფურც.15).

კომისიამ უარყო მოსაზრება, რომ საქართველოს მოქალაქედ გამოეცხადებინათ ყველა, ვინც ამის სურვილს გამოთქვამდა, რადგანაც „ასეთ ნებაყოფლობით დგება კერძო კავშირი და არა სახელმწიფო“. იმ დროისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა მცხოვრების ხელაღებით მოქალაქედ გამოცხადება, გარდა იმისა, რომ არასასურველი იყო საქართველოს ინტერესების თვალსაზრისით, უკმაყოფილებას გამოიწვევდა „იმათში, ვინც დღეს სტუმრად თვლის თავის თავს ჩვენში და იმ სახელმწიფოებში, რომელნიც მათ თავის მოქალაქეებად აღიარებენ“ (სცსსა, ფ.1836, ანაწ.1, საქ.201, ფურც.16).

როგორც რ. არსენიძე აღნიშნავდა, საჭირო იყო ერთი მხრივ, ყველა ადგილობრივ მცხოვრებთა კანონიერი მისწრაფების დაკმაყოფილება – მიეღოთ საქართველოს მოქალაქეობა, მეორე მხრივ – რაიმე კრიტერიუმის შერჩევა, რომელიც გააადვილებდა მოქალაქის გარჩევას არამოქალაქისაგან. ასეთ კრიტერიუმად მიიჩნიეს მათი მიწერა საქართველოში შემავალ ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე (დებულების პროექტის მუხლი 1). საქართველოს მოქალაქედ ცხადდებოდა რესპუბლიკის „ყველა ბინადარი მცხოვრები“, ამ უკანასკნელში კი იგულისხმებოდნენ ისინი, „ვინც ითვლებოდა ამ მაზრებისა და გუბერნიების მცხოვრებლად რესპუბლიკის გამოცხადების დროს“. საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნეოდნენ ისინიც, ვინც სხვაგან იმყოფებოდა, მაგრამ „ჩვენი რესპუბლიკის გუბერნიებზე იყვნენ მიწერილი“ (სცსსა, ფ.1836, ანაწ.1, საქ.201, ფურც.17-18).

უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც მოისურვებდა რესპუბლიკის მოქალაქეობის მოპოვებას, საქართველოს ტერიტორიაზე არა ნაკლებ ორი წლის განუწყვეტელი ცხოვრების შემდეგ ნება ეძლეოდა მთავრობის წინაშე აღეძრა შესაბამისი შუამდგომლობა. ამ ვადის შემცირება შეიძლებოდა მათთვის, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ე.ი. 1918 წლის 26 მაისამდე ხუთ წელიწადს მაინც უწყვეტად ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე და ნაყოფიერად მუშაობდა ან რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღოდა საქართველოს წინაშე.

მოქალაქეობის მიღებისათვის დაწესებული ორი წლის ვადა, - აღნიშნავდა რ. არსენიძე, - „არც ისე მცირეა, რომ რესპუბლიკის მთავრობამ მოქალაქეობის მაძიებელი ამ ხნის განმავლობაში ვერ გამოიცნოს, როგორც კეთილი და სასარგებლო წევრი საზოგადოებისა“ (სცსსა, ფ.1836, ანაწ.1, საქ.201, ფურც.19). მოქალაქედ მიღება უნდა მომხდარიყო იმ თვითმმართველობის დასტურით, „სადაც მთხოვნელი ცხოვრობდა და სადაც მას იცნობდნენ“ (მუხლი 6). შემდგომში (1918 წლის ოქტომბერი), როდესაც კომისიამ იმსჯელა ი. ჩერქეზიშვილის მიერ შემუშავებულ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის კანონპროექტზე, უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ხუთი წლის ვადის დაწესებას, თუმცა რ. არსენიძე ისევ ორ წელს იცავდა (სცსსა, ფ.1836, ანაწ.1, საქ.201, ფურც.25).

დებულების პროექტის მე-2 მუხლი უარყოფდა ორმაგ მოქალაქეობას, როგორც უაღრესად არასასურველს „პატარა საქართველოსთვის“, რადგანაც მას შეიძლება მოჰყოლოდა „უსიამოვნება სხვა სახელმწიფოებთან“ (სცსსა, ფ.1836, ანაწ.1, საქ.201, ფურც.20). მე-3 მუხლი მი-

უთითებდა, რომ უცხოელებს საქართველოში არ ექნებოდათ „საარჩევნო და სხვა პოლიტიკური უფლებანი“.

საქართველოს სუვერენიტეტი

„საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“, – ნათქვამია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში. ამ განაცხადს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისის ქალაქის საბჭოს 1918 წ. 27 მაისის სხდომაზე სომეხთა ეროვნული პარტიის წარმომადგენელმა იკითხა, - საქართველო გამოცხადებულია თუ არა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. სხდომის თავმჯდომარის ალექსანდრე ლომთათიძის პასუხი შემდეგი იყო: „ჩემის აზრით, დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვის შემდეგ ეს შეკითხვა უადგილოა, ვინაიდან დამოუკიდებელ რესპუბლიკაში პროტექტორატზე ლაპარაკი შეუძლებელია“ („ერთობა“, 29 მაისი 1918 წ. N 108, გვ.2).

დამოუკიდებლობის აქტის ეს უპირველესი დებულება 1921 წლის კონსტიტუციის პირველივე მუხლში იყო დეკლარირებული: „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“. საკონსტიტუციო კომისია ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მტკიცე ეროვნული სახელმწიფოს შექმნას მიიჩნევდა: „დღეს ჩვენი მოვალეობა არის – შევქმნათ მთლიანი, მტკიცე ეროვნული ორგანიზმი და ავიცდინოთ ის მიზეზები, რომლის გამო სუსტდება და ირღვევა იგი“, – აღნიშნავდა პავლე საყვარელიძე (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 180, ფურც. 177).

კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისას საკონსტიტუციო კომისიისთვის ამოსავალი გახდა ერი-სახელმწიფოს კონცეფცია. პავლე საყვარელიძის თქმით, ნაციონალური სახელმწიფო საუკეთესო საშუალებაა ერის მატერიალური ძალების ასაღორძინებლად, სულიერი ენერგიის გასაშლელად. „სახელმწიფოებრივი ჯავშანი“ ერის არსებობისათვის ბრძოლის „უდიდეს და უძლიერეს იარაღს წარმოადგენს, იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს „ერის კოლექტიური პირადობის“ დაცვის საქმეში. აქედან გამომდინარე, თავდაცვის ინსტინქტის კარნახით „ყოველი ჯანსაღი უსახელმწიფო ერი საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ მიისწრაფის. ეს არის მისი უკვდავი წყურვილი, ხოლო თუ ერს სახელმწიფო უკვე აქვს, ის მის დასაცავად და შესანარჩუნებლად არაფერს არ ზოგავს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 26 მარტი).

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრებას მჭიდროდ უკავშირდებოდა დემოკრატიული წყობილების დამყარების პერსპექტივებიც. ეროვნული სახელმწიფო და დემოკრატია მათთვის ერთმანეთისგან განუყოფელი იყო. დემოკრატიის განვითარება ნიშნავს „ერთა თავისუფლებას და განთავისუფლებას ნაციონალურ სახელმწიფოებრიობის გზით“. მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოს პირობებში შეუძლიათ დემოკრატიულ ძალებს „სრული განვითარება, სამართლიანობის იდეალებისათვის ყოველმხრივ დაუბრკოლებელი წინმსვლელობა. დემოკრატია ნაციონალურ სახელმწიფოში ნახულობს თავის თავსა და თავის ძალღონეს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 3 აპრილი).

საქართველოს ხალხი

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის 1-ლი პუნქტი აცხადებს: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია“. ცნებით „საქართველოს ხალხი“ დამოუკიდებლობის აქტის ავტორები აღნიშნავდნენ საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა.

ტერმინი „საქართველოს ხალხი“ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის გამოხატულება იყო. ამ ტერმინს იყენებდა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. დამახასიათებელია საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 აპრილის სხდომა, როდესაც განიხილებოდა აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები „ქართველ ერს“ მოუწოდებდნენ ეროვნული ენერგიის მობილიზებისკენ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი კი „საქართველოს ხალხს“ მოუწოდებდა სამშობლოს დაცვისკენ (ოქმები. ტ.VI, გვ.273).

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ამოსავალი პრინციპები ჩამოყალიბებული იქნა 1918 წ. 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში. პ. საყვარელიძე აღნიშნავდა, რომ დამოუკიდებლობის აქტი იყო „ახალი საქართველოს პირველი სახელმწიფოებრივი ნების აღიარება, დასაბამი ჩვენი სახელმწიფოებრიობისა”, წყარო, საიდანაც გამომდინარეობდა საქართველოს კონსტიტუცია.

დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები უნდა გაეშალათ და განესახიერებინათ ქვეყნის კონსტიტუციაში. ამ ამოსავალ პრინციპებს სჭირდებოდა ხორცშესხმა, განმარტება და დაკონკრეტება კონსტიტუციის ტექსტში. ეს უკვე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო იმ პოლიტიკური ძალის მსოფლმხედველობასა და პოლიტიკურ პროგრამაზე, რომელიც წამყვან როლს ასრულებდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს პოლიტიკური ძალა საქართველოს სოციალ-დემოკრატია აღმოჩნდა, რომელსაც დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს ჯერ კიდევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნაწილად მიაჩნდა თავი და მხოლოდ 1918 წლის შემოდგომაზე შეიქმნა საქართველოს მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს დიდი ყურადღება დაეთმო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი პრინციპების რეალიზებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოქალაქეთა უფლებების დაცვას განურჩევლად სქესისა, რელიგიური კუთვნილებისა და ეროვნებისა. ეს იყო მთლიანობაში 55 მუხლი, რაც მთელი კონსტიტუციის (149 მუხლი) მესამედზე მეტს შეადგენდა.

დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული პრინციპები ნეიტრალიტეტისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ სხვა სახელმწიფოებთან აღარ შეუტანიათ კონსტიტუციაში, რადგანაც ეს მუხლები დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა და უკვე მოცემული იყო დამოუკიდებლობის აქტში, რომელიც კონსტიტუციას შესავალი ნაწილის სახით ერთვოდა.

დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებული დემოკრატიული რესპუბლიკა კონსტიტუციით მმართველობის მუდმივ და უცვლელ ფორმად გამოცხადდა. შემუშავებული იქნა დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციფიკური მოდელი, რომელიც ორიენტირებული იყო ხალხის სუვერენიტეტის მაქსიმალურ უზრუნველყოფაზე. ეს საკითხები მომდევნო თავებში უფრო დაწვრილებით იქნება განხილული.

კონსტიტუციის შესამუშავებლად საკონსტიტუციო კომისია შექმნა ეროვნულმა საბჭომ / საქართველოს პარლამენტმა, შემდეგ კი კონსტიტუციის შესამუშავებლად მოწვეული იქნა დამფუძნებელი კრება (1919 წლის 12 მარტს), რომელმაც ასევე შექმნა საკონსტიტუციო კომისია. საკონსტიტუციო კომისია მართლაც ემყარებოდა დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს და მათი გაშლა მოხდა საქართველოს კონსტიტუციაში, გარდა ერთისა, – კონსტიტუციაში აღარ იყო ნახსენები მუდმივი ნეიტრალიტეტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობისთვის ცხადი იყო, რომ საქართველოს უსაფრთხოებისათვის სხვა გარანტიების ძიება იყო საჭირო და ასეთად ერთა ლიგაში შესვლა ესახებოდათ.

საკონსტიტუციო კომისიის გადაწყვეტილებით, დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული პრინციპები არა მარტო საფუძვლად დაედო კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს, არამედ თვით დამოუკიდებლობის აქტიც მთლიანად დაერთო შესავალი ნაწილის სახით კონსტიტუციის პროექტს. როგორც აღნიშნავდა გ.გვაზავა, დამოუკიდებლობის აქტი „არის დაბადება ჩვენი სახელმწიფოსი“, იგი „უნდა მივიღოთ, როგორც შესავალი კონსტიტუციისა, რადგან ეს არის ფაქტი, რომლის შემდეგაც მომდინარეობს, მოსჩქეფს ჩვენი უფლებანი, რასაკვირველია ეს უნდა ედგას სათავეში ჩვენს კონსტიტუციას“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859, ფურც.139). საკონსტიტუციო კომისიის მოსაზრება დამფუძნებელმა კრებამაც გაიზიარა და დამოუკიდებლობის აქტი დაურთო კონსტიტუციას, როგორც შესავალი ნაწილი.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ასახავდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის იმ გამოცდილებასაც, რაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკვე არსებობდა.

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით დამფუძნებელმა კრებამ შეასრულა თავისი მისია, მაგრამ საქართველოს ბედი ისე წარიმართა, რომ ვერ მოასწრო მიღებული კონსტიტუციით ცხოვრება. კონსტიტუცია, რომელიც სტამბური წესით 1921 წლის თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში ბათუმში დაიბეჭდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უცხოეთში წასვლის წინ, დარჩა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოდ. მან მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრისა და, მასთან ერთად, ქართული სახელმწიფოს განვითარებაზე.

1921 წლის კონსტიტუცია დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნის უნიკალურ გამოცდილებას წარმოადგენს. მასში აისახა იმდროინდელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკა, აგრეთვე ეპოქის მისწრაფებები და შეხედულებები.

ქვემოთ მოკლედ, ცხრილის სახით, იქნება წარმოდგენილი დამოუკიდებლობის აქტში დეკლარირებული პრინციპების რეალიზება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში.

დამოუკიდებლობის აქტის ძირითადი პრინციპების ასახვა
საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში

დამოუკიდებლობის აქტის მიერ დეკლარირებული პრინციპი	დამოუკიდებლობის აქტის პრინციპების ასახვა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში
ხალხის სუვერენიტეტი	კონსტიტუციის 52-ე მუხლი, წარმომადგენლობითი დემოკრატიის შეზღუდვა „პირდაპირი დემოკრატიის ჩარევით“.
სახელმწიფო სუვერენიტეტი	კონსტიტუციის 1-ლი მუხლი: „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“. კონსტიტუციისთვის ამოსავალი გახდა ერი-სახელმწიფოს კონცეფცია.
დემოკრატიული რესპუბლიკა როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა	კონსტიტუციის 1-ლი მუხლით დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადებული იყო პოლიტიკური წყობილების მუდმივ და უცვლელ ფორმად. შემუშავებული იქნა დემოკრატიული რესპუბლიკის კონცეფცია, რომელსაც „დემოკრატიის ქართული მოდელი“ შეიძლება ვუწოდოთ.
ნეიტრალიტეტი	კონსტიტუციის პროექტის მე-2 მუხლი: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალი სახელმწიფოა“. კონსტიტუციის საბოლოო ტექსტში აღარ შეიტანეს, რადგანაც დეკლარაციულ სახეს ატარებდა, უკვე იყო დაფიქსირებული დამოუკიდებლობის აქტში და კონსტიტუციაში მის შეტანას, შეიძლება, ხელი შეეშალა საქართველოს ერთა ლიგაში მიღებისათვის.
კეთილმეზობლობა ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით მეზობლებთან	კონსტიტუციის პროექტის მე-13 მუხლი აცხადებდა: „საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს რესპუბლიკას ერთად ერთ საშვალებად მიაჩნია თავისუფალ ერთა კავშირი“. დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციამ მოითხოვა ამ მუხლის ამოღება.
საქართველოს მოსახლეობის სრული სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფა	რეალიზებულია 1921 წლის კონსტიტუციის მე-3 თავში „მოქალაქეთა უფლებები“ (30 მუხლი) და მე-13 თავში „მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“ (16 მუხლი).
საქართველოს საზღვრებში მოსახლე ეროვნული უმცირესობების თავისუფალი განვითარება	რეალიზებულია 1921 წლის კონსტიტუციის მე-14 თავში (მუხლი 129 – 137), სულ 9 მუხლი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს შევსება ეროვნული უმცირესობებ-ის წარმომადგენლებით

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-7 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების შეკრებამდე ქვეყნის მართვა ევალებოდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომელიც უნდა შევსებულიყო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც ახალი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს როლს ასრულებდა, 1918 წ. 13 სექტემბერს მიიღო კანონი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში. სომხებს გამოეყოთ 10 ადგილი, თათრებს -4, აფხაზებს - 3, რუსებს - 2, ოსებს - 2, ქართველ ებრაელებს - 2, ებრაელებს - 1, ბერძნებს - 1 და გერმანელებს - 1. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა გაეგზავნათ ამ ერების ეროვნულ საბჭოებს, რომლებიც არჩეულნი იყვნენ საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებდნენ. თუკი ასეთი ეროვნული საბჭო არ არსებობდა, საქართველოს ეროვნულ საბჭოში წევრის გაგზავნა შეეძლოთ ამ ერის წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა დემოკრატიულ დაწესებულებებში იყვნენ არჩეულნი (აქტები, გვ.62-63).

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა (ქართული) არ იცოდა, შეეძლო სიტყვის წარმოთქმა დედა ენაზე (აქტები, გვ.81). შემდეგ ასევე მიღებული იქნა დაწვრილებითი რეგლამენტი, რომლის თანახმადაც უმცირესობის წარმომადგენელს შეეძლო სიტყვა წარმოეთქვა სხვა უმცირესობის ენაზეც, თუკი ეს ენა პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცოდა (აქტები, გვ.83 - ასეთი „უმცირესობის ენა“ რუსული იყო).

საქართველოს დამოუკიდებლობის და დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციები: შედარებითი ანალიზი

XX საუკუნეში საქართველომ ორჯერ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. პირველად 1918 წლის 26 მაისს. მეორედ 1989 წლის 9 აპრილს. ეს ორი აქტი დეკლარირებული ფასეულობების მიხედვით ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

თუ შევადარებთ ერთმანეთს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ და „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ ძირითად ფასეულობით პრიორიტეტებს, შემდეგ სურათს მივიღებთ.

ძირითადი ფასეულობები	**1918 წ. 26 მაისის აქტი**	**1989 წ. 9 აპრილის აქტი**
სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი	საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ ცხადდება	საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი აღდგენილად ცხადდება
სახელმწიფოებრივი წყობა	დემოკრატიული რესპუბლიკა	რესპუბლიკა
ტერიტორიული მთლიანობა	საუბარია რესპუბლიკის საზღვრებზე, მაგრამ ეს საზღვრები ჯერ დადგენილი არაა	ტერიტორიის მთლიანობის დარღვევა ჩაითვლება საშინაო საქმეებში ჩარევად

ნეიტრალიტეტი	საერთაშორისო ომიანობის დროს საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა (ეს დებულება აღარ შეიტანეს საქართველოს 1921 წ. კონსტიტუციაში).	
საერთაშორისო სამართლის პრინციპების აღიარება		აღიარებულია საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ.
სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის პრინციპები	საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან და ერებთან.	მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.
მოქალაქეთა უფლებების დაცვა	თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნების, სარწმუნოების, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.	აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნების, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების უფლებებს.
ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა	განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.	(ეროვნულ უმცირესობებზე საუბარია ზედა მუხლში).

სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

1918 წლის 28 მაისს თბილისში სომხეთის ეროვნულმა საბჭომ მიიღო სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. მასში ნათქვამია, რომ ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობის დარღვევის და საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო შექმნილ ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, სომხეთის ეროვნული საბჭო თავს აცხადებდა სომხურ პროვინციებში უზენაეს და ერთადერთ მთავრობად.

სომხეთის ეროვნულმა საბჭომ მიიღო ძალზედ მოკლე დეკლარაცია (ზოგჯერ მას განცხადებასაც უწოდებენ):

„ამიერკავკასიის სრული პოლიტიკური რღვევის და საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადებით შექმნილი ახალი ვითარების გათვალისწინებით, სომხეთის ეროვნული საბჭო თავს აცხადებს სომხური პროვინციების უზენაეს და ერთადერთ ადმინისტრაციად.

გარკვეული მძიმე ვითარების გამო, რომელიც გვიშლის ხელს სომხეთის ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბებაში, სომხეთის ეროვნული საბჭო დროებით იღებს ყველა სამთავრობო ფუნქციას, რათა მართოს სომხური პროვინციების პოლიტიკური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა.“ [ხელმოწერა] სომხეთის ეროვნული საბჭო თბილისი, 1918 წლის 30 მაისი (მიღებულია 28 მაისს),

ამ მოკლე ტექსტით ოფიციალურად გამოცხადდა სომხეთის სახელმწიფოს შექმნა. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისგან განსხვავებით სომხეთის დამოუკიდებლობის

დეკლარაცია არ შეიცავს რაიმე კონსტიტუციურ პრინციპებს. მიუხედავად ამისა, ის მაინც არის სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფუნდამენტური დოკუმენტი. სომხეთის პირველი რესპუბლიკის მთავრობა თავდაპირველად თბილისში მუშაობდა და მხოლოდ 1918 წლის ივლისში გადავიდა ერევანში.

სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღეს ოსმალეთის არმიასთან გადამწყვეტი ბრძოლების შემდეგ, როდესაც სომხურმა ძალებმა შეძლეს მტრის შეჩერება და საკუთარი სახელმწიფოსთვის მინიმალური ტერიტორიული საფუძველი შექმნეს.

სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს შორის არსებობს როგორც მსგავსებები, ისე განსხვავებები. მსგავსებას ბევრად განაპირობებდა საერთო ისტორიული კონტექსტი. ორივე დოკუმენტი მიიღეს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ, რუსეთის იმპერიის რღვევის, ბოლშევიკური რევოლუციისა და ოსმალეთის შემოტევის ფონზე. ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა თბილისში, რომელიც იმ პერიოდში ამიერკავკასიის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი იყო. ორივე აქტით გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

ამავე დროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციას შორის იყო რიგი განსხვავებები:

მახასიათებელი	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 1918 წ. 26 მაისი	სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია 1918 წ. 28 მაისი
თარიღი	1918 წლის 26 მაისი	1918 წლის 28 მაისი
ნეიტრალიტეტი	აქტში აცხადებს საქართველოს მუდმივ ნეიტრალიტეტს საერთაშორისო ომიანობაში.	დეკლარაცია არ აფიქსირებს სომხეთის ნეიტრალიტეტს.
აქტის ხასიათი და სტრუქტურა	არის უფრო ვრცელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს 7 პუნქტს და აყალიბებს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს: სახელმწიფოებრივ სტატუსს, პოლიტიკურ ფორმას, საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს (ნეიტრალიტეტი, კეთილმეზობლობა), მოქალაქეთა უფლებებს და დროებით ხელისუფლებას (ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა).	არის მოკლე დოკუმენტი, სომხეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ, რომლის მართვაც დროებით სომეხთა ეროვნულმა საბჭომ იკისრა.
ტერიტორიული საკითხები	აქტში საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები ზუსტად არ არის განსაზღვრული.	დეკლარაციით სომხეთის საზღვრები ზუსტად არ იყო განსაზღვრული. სომხეთის ეროვნული საბჭო თავის თავზე იღებდა სომხური პროვინციების მართვას.

უ
უკრაინის მე-4 უნივერსალი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

უკრაინის დამოუკიდებლობის აქტი ცნობილია როგორც უკრაინის ცენტრალური რადას IV უნივერსალი, რომელიც უკრაინის ცენტრალურმა რადამ მიიღო 1918 წლის 9 (22) იანვარს. IV უნივერსალით უკრაინის სახალხო რესპუბლიკა გამოცხადდა დამოუკიდებელ, თავისუფალ და სუვერენულ სახელმწიფოდ.

მთავარი დებულება რუსეთისგან გამოყოფის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „ამიერიდან უკრაინის სახალხო რესპუბლიკა ხდება დამოუკიდებელი, არავისზე დამოკიდებული, თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო უკრაინელი ხალხისა.“ უნივერსალმა მოუწოდა ყველა მოქალაქეს, ებრძოლათ უკრაინის დამოუკიდებლობის დასაცავად და მოითხოვა მშვიდობის დამყარება: „ყველა მოქალაქეს, დამოუკიდებელი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის, მოვუწოდებთ მტკიცედ იდგნენ მოპოვებული თავისუფლებისა და ჩვენი ხალხის უფლებების სადარაჯოზე და მთელი ძალით დაიცვან თავიანთი ბედი გლეხთა-მუშათა დამოუკიდებელი უკრაინის რესპუბლიკის ყველა მტრისგან.“ ეს იყო პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც უკრაინამ თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა XX საუკუნეში.

უკრაინის ცენტრალური რადის IV უნივერსალსა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს შორის არსებობს როგორც მსგავსებები, ასევე განსხვავებები.

ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა პირველი მსოფლიო ომის და რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შექმნილ ვითარებაში. ორივე დოკუმენტის მთავარი მიზანი იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება ყოფილი რუსეთის იმპერიისგან (საქართველოს შემთხვევაში უშუალოდ ამიერკავკასიის ფედერაციისგან) და საკუთარი სუვერენიტეტის დამკვიდრება. ორივე ქვეყანა ქმნიდა დემოკრატიულ რესპუბლიკას. ორივე ხაზს უსვამს დემოკრატიული უფლებების დაცვას და ეროვნული უმცირესობების თანასწორობის გარანტიას.

ამავე დროს უკრაინის IV უნივერსალსა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს შორის არსებობდა განსხვავებები:

მახასიათებელი	უკრაინის IV უნივერსალი (22 იანვარი, 1918)	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (26 მაისი, 1918)
დოკუმენტის ტიპი	უნივერსალი - ცენტრალური რადას მიერ მიღებული ერთ-ერთი დეკლარაცია (მე-4), რომელიც ამთავრებდა დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცესს.	დამოუკიდებლობის აქტი - უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოს აღდგენას ჩაეყარა საფუძველი.
სახელმწიფოებრიობის განვითარება	ეს არის მეოთხე და ბოლო უნივერსალი, რომელიც ლოგიკურად ამთავრებს ავტონომიიდან (1-ლი უნივერსალი) სრულ დამოუკიდებლობამდე გზას.	ეს არის პირველი ფუნდამენტური აქტი, რომელიც აღადგენს საუკუნის წინ დაკარგულ დამოუკიდებლობას და საფუძველს უყრის რესპუბლიკას.

ნეიტრალიტეტი	აქცენტი გაკეთებულია მშვიდობისაკენ სწრაფვაზე და აკრიტიკებს ბოლშევიკური რუსეთის ომის პოლიტიკას.	პირდაპირ აცხადებს, რომ საქართველო არის მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფო საერთაშორისო ომიანობის დროს, რაც განსაზღვრავდა საგარეო პოლიტიკას.
სამხედრო საკითხები	მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ მიმდინარეობს ბრძოლა ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ. დამოუკიდებლობა ომის პირობებში ცხადდება.	აქტში არ არის პირდაპირი მოწოდება კონკრეტული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა ნახსენებია გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავის გადარჩენა.
მიწის საკითხი	უნივერსალში მოცემულია მიწის რეფორმის დებულება, რაც ასახავს სოციალ-დემოკრატიულ პრიორიტეტებს და გლეხობის მხარდაჭერის მოპოვების სურვილს.	აქტი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტია და არ შეიცავს დეტალურ სოციალურ-ეკონომიკურ დებულებებს, მაგალითად მიწის საკითხის გადაწყვეტას.

ფ
ფინეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ფინეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია 1917 წლის 4 დეკემბერს მიიღო სენატმა (მაშინდელმა უმაღლესმა სამთავრობო ორგანომ) და 1917 წლის 6 დეკემბერს დაამტკიცა პარლამენტმა. ეს არის მოკლე და მკაფიო დოკუმენტი.

დეკლარაცია აცხადებდა ფინეთის სუვერენიტეტს: ფინეთი, რომელიც რუსეთის იმპერიაში ავტონომიური მმართველობა ჰქონდა და დიდი სამთავრო იყო, სრულად დამოუკიდებელ და სუვერენულ ეროვნულ სახელმწიფოდ ცხადდებოდა. ხაზი ესმოდა იმ ფაქტს, რომ რუსეთში მომხდარი რევოლუციების შემდეგ (1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები) დაიმსხვრა სამართლებრივი საფუძველი, რომელსაც ეფუძნებოდა ფინეთისა და რუსეთის კავშირი (რუსეთის მეფე ფინეთის დიდი ჰერცოგი იყო, სამეფო ხელისუფლება კი რუსეთში აღარ არსებობდა).

დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ ფინელმა ხალხმა თავისი ბედი საკუთარ ხელში აიღო, რაც გამართლებული იყო არსებული ვითარებით. დეკლარაციის მიზანი იყო ქვეყნისთვის სათანადო სტაბილური მმართველობის შექმნა სუვერენიტეტის განსახორციელებლად. მყარდებოდა რესპუბლიკური მმართველობის ფორმა. დეკლარაციაში აღწერილი იყო რევოლუციური პერიოდის ქაოსი, წესრიგის რღვევა და ამის გამო საკუთარი სახელმწიფოებრივი მექანიზმის შექმნის აუცილებლობა.

ფინეთის მთავრობა (სენატი) მიმართავდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს, რათა ეღიარებინათ ფინეთის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ეს აღიარება საჭირო იყო ფინეთის „ეროვნული და საერთაშორისო მოვალეობების“ შესასრულებლად.

ფინეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია თავისი სრული სახით იყო პრეამბულა წინადადებისა ახალი რესპუბლიკური მმართველობის ფორმის შემოღების შესახებ.

ფინეთისა და საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტების შედარება საინტერესო სურათს იძლევა, რადგან ორივე ქვეყნისთვის ეს იყო რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად მიღწეული სუვერენიტეტი, თუმცა განსხვავებული ისტორიული და გეოპოლიტიკური კონტექსტით.

ფინეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გარკვეულწილად ჰგავს ერთმანეთს:

1. ორივე ქვეყანა თავისუფლდება რუსეთის იმპერიისგან - ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციების შემდეგ. ორივე ქვეყნის ეროვნული მოძრაობა დიდი ხნის განმავლობაში მიისწრაფოდა დამოუკიდებლობისაკენ;

2. დემოკრატიული პრინციპების დეკლარირება - ორივე დოკუმენტი, განსაკუთრებით კი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ხაზს უსვამდა დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას, ხალხის სუვერენიტეტს და მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფას. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ასევე მოიცავდა დებულებებს ეროვნული უმცირესობების უფლებების შესახებ;

3. საერთაშორისო აღიარების საჭიროება - ფინეთსაც და საქართველოსაც დაუყოვნებლივ სჭირდებოდათ საერთაშორისო აღიარების მოპოვება, რათა დაეცვათ თავიანთი სუვერენიტეტი გარე საფრთხეებისგან (საქართველოს შემთხვევაში ეს იყო პირველ რიგში ოსმალეთი, ფინეთის შემთხვევაში კი ბოლშევიკური რუსეთი).

მსგავსებებთან ერთად ფინეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დოკუმენტებს შორის არის განსხვავებები, ან განსხვავებული აქცენტები:

მახასიათებელი	ფინეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი
გამოცხადების თარიღი	1917 წლის 6 დეკემბერი	1918 წლის 26 მაისი
ისტორიული კონტექსტი	მალევე გამოაცხადა დამოუკიდებლობა რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რასაც მოჰყვა სამოქალაქო ომი ფინეთში „წითლებსა“ და „თეთრებს“ შორის და დასჭირდა გერმანიის მხარდაჭერა.	დამოუკიდებლობა გამოაცხადა შედარებით გვიან, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, გამოაცხადა მუდმივი ნეიტრალიტეტი, მაგრამ დასჭირდა გერმანიის მფარველობა ოსმალეთის საფრთხის გამო.
ისტორიული ლეგიტიმაცია	ფინეთს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჰქონდა შედარებითი ავტონომია „დიდი სამთავროს“ სტატუსით (ჰქონდა საკუთარი პარლამენტი, ვალუტა, არმია და სხვა). დეკლარაცია მიმართული იყო რუსეთის რევოლუციების შედეგად წარ-	საქართველო რუსეთის იმპერიაში მოხვდა 1801 წელს დაწყებული სამეფო-სამთავროების ანექსიის შედეგად, რაც სახელმწიფოებრიობის ნგრევას წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის აქტი ხაზს უსვამდა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის აღდგენას და იმ ფაქტს,

	მოქმნილი ვაკუუმის შესავსებად სრული სუვერენიტეტის გამოცხადების გზით.	რომ „თავის ნებით შეუერთდა რუსეთს“, იმ პირობით რომ დაიცავდა გარეშე მტრებისგან და რუსეთმა ეს პირობები დაარღვია და ეს იყო დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპირობა.
სტრუქტურა და შინაარსი	შედარებით მოკლე დოკუმენტი, რომლის ძირითადი მიზანი იყო სუვერენიტეტის დადასტურება და რესპუბლიკის შექმნა.	უფრო დეტალური დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა ისტორიულ შესავალს, განაცხადს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმის დადგენას, ნეიტრალიტეტის გამოცხადებას და სამოქალაქო და ეროვნული უფლებების გარანტიებს.

საქართველოსა და ფინეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების მსგავსების მიუხედავად (იყვნენ ერთი იმპერიის ნაწილები და დამოუკიდებლობა მეტ-ნაკლებად ერთდროულად გამოაცხადეს რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მათ შორის არსებითი განსხვავებაა გეოპოლიტიკურ მდგომარეობასა და შემდგომ ისტორიაში.

ფინეთმა შედარებით მალე მიაღწია დამოუკიდებლობას, რასაც შიდა სამოქალაქო დაპირისპირება და საგარეო დახმარება მოჰყვა, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა შედარებით მალე აღიარა მისი დამოუკიდებლობა და გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლო სუვერენიტეტისა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნეიტრალიტეტის შენარჩუნება.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა უფრო რთული იყო. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობის აქტით შეეცადა დემოკრატიული, ევროპული ტიპის სახელმწიფოს შექმნას და საერთაშორისო ლეგიტიმაციის მოპოვებას, თუმცა მისი დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა.

ქ

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა...“

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას...“

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მსოფლიო ქაოსის და რეგიონული კრიზისის ფონზე მოხდა. 1918 წლის 26 მაისს მსოფლიოში და, განსაკუთრებით, სამხრეთ კავკასიაში უაღრესად კრიტიკული მოვლენები მიმდინარეობდა.

გრძელდებოდა პირველი მსოფლიო ომი. 1918 წლის გაზაფხულზე გერმანია აწარმოებდა ბოლო მასშტაბურ შეტევას დასავლეთის ფრონტზე, რათა საფრანგეთი და ინგლისი დაემარცხებინა ომში შეერთებული შტატების სრულ ჩართვამდე. თუმცა, მაისის თვისთვის გერმანიის ძალები უკვე გამოფიტული იყო და ომის ბედი ანტანტის სასარგებლოდ იცვლებოდა.

1918 წლის მაისისთვის რუსეთი ომიდან იყო გამოსული. 1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკურმა რუსეთმა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს. ომიდან გასვლის სანაცვლოდ რუსეთმა ფორმალურად უარი თქვა დიდ ტერიტორიებზე, მათ შორის ამიერკავკასიაზე. რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სამოქალაქო ომი საქართველოსთვის ახალ საფრთხეს წარმოადგენდა, როგორც „თეთრი“, ისე „წითელი“ რუსეთის მხრიდან.

თუმცა 1918 წლის მაისში საქართველოსთვის მთავარ საფრთხეს ოსმალეთი წარმოადგენდა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მან მიიღო უფლება დაეკავებინა საქართველოს ის მიწები, რომლებიც ადრე ოსმალეთს ჰქონდა დაპყრობილი. ოსმალეთის ჯარები აქტიურად მიიწევდნენ წინ და საფრთხეს უქმნიდნენ თბილისს. პარალელურად მაისში ოსმალების მიერ დაკავებულ ბათუმში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ოსმალეთსა და ამიერკავკასიის დელეგაციას შორის. ოსმალეთი ულტიმატუმით გამოდიოდა და ფაქტობრივად, ამიერკავკასიის მთლიანად დამორჩილებას ცდილობდა.

ბათუმის მოლაპარაკებებმა აჩვენა, რომ ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ლიდერებს არ ჰქონდათ ერთიანი ხედვა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. 1918 წლის 26 მაისს დაშლილად გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელმაც სულ 34 დღე იარსება. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა მიმდინარე ომის პირობებში, იმპერიის ნანგრევებზე და უშუალო სამხედრო საფრთხის ფონზე. ეს იყო გაბედული და ერთადერთი სწორი ნაბიჯი საკუთარი სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად.

„ქვეყნისა წინაშე აცხადებს...“

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში, ისტორიული შესავლის შემდეგ, ახალი სახელმწიფოს მოწყობის ძირითადი პრინციპების ჩამოთვლის წინ, აღნიშნულია, რომ ეროვნული საბჭო: „დღეს საყოველთაოდ აცხადებს“, დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთ წინა ვარიანტში ოდნავ განსხვავებულად არის ნათქვამი: „დღეს საქვეყნოდ აცხადებს“.

ეს ფრაზა არის საზეიმო, იურიდიულ-პოლიტიკური ფორმულის ვარიანტი, რომელიც გამოიყენება მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში და მოქმედებას (დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას) ანიჭებს უმაღლეს მორალურ და ისტორიულ მნიშვნელობას.

„საყოველთაოდ“ ან „საქვეყნოდ“ აცხადებს გულისხმობს, რომ მიღებული გადაწყვეტილება არის ლეგიტიმური და მას მხარს უჭერს ხალხის ნება. აქტის ხელმომწერები იღებენ უპირობო პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე, მის უსაფრთხოებასა და დემოკრატიულ განვითარებაზე. დამოუკიდებლობის აქტი არ არის დროებითი პოლიტიკური გადაწყვეტილება, ეს არის შეუქცევადი და ისტორიულად გამართლებული ნაბიჯი.

ჩ
ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება

1918 წლის 11 მაისს ქალაქ ბათუმში, სადაც იმ დროს ტარდებოდა სამშვიდობო კონფერენცია ოსმალეთის იმპერიასთან, გამოქვეყნდა **„ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის გაერთიანებულ მთიელთა კავშირის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“**. მას ხელს აწერდნენ აბდულ მეჯიდ ჩერმოევი და ჰაიდარ ბამმატი. ამ დოკუმენტით, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელმა ხალხებმა ოფიციალურად გამოაცხადეს რუსეთისგან გამოყოფა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის – შექმნა.

დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ნათქვამი იყო:

„ჩვენ, კავკასიის მთიელთა კავშირის მთავრობის ქვემორე ხელმომწერ დელეგატებს, პატივი გვაქვს ყველა მთავრობას მივაწოდოთ შემდეგი ცნობები:

კავკასიის ხალხებმა კანონიერად აირჩიეს ეროვნული კრება, რომელიც შეიკრიბა 1917 წლის მაისსა და სექტემბერში, განაცხადა კავკასიის მთიელთა კავშირის შექმნის შესახებ და აღმასრულებელი ხელისუფლება გადასცა ამჟამინდელ მთავრობას, რომლის შემადგენლობაშიც არიან ქვემორე ხელმომწერები.

რუსეთში გამეფებული ვითარების გათვალისწინებით და იმ უფლებით სარგებლობით, რომელიც თავად პეტროგრადის მთავრობამაც კი სცნო ყოფილი სამეფო იმპერიის ყველა ხალხისთვის – თავისუფლად განკარგონ თავიანთი პოლიტიკური მომავალი, მთიელთა კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა მიეღო შემდეგი რეზოლუცია:

1. კავკასიის მთიელთა კავშირი ადგენს გამოეყოს რუსეთს და შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო.
2. ახალი სახელმწიფოს ტერიტორიას ექნება შემდეგი საზღვრები: ჩრდილოეთით – ისეთივე გეოგრაფიული საზღვრები, როგორიც ჰქონდათ ყოფილი რუსეთის იმპერიის დაღესტნის, თერგის, სტავროპოლის, ყუბანისა და შავი ზღვის ოლქებსა და გუბერნიებს; დასავლეთით – შავი ზღვა; აღმოსავლეთით – კასპიის ზღვა; სამხრეთით – საზღვარი, რომლის დეტალებიც განისაზღვრება ამიერკავკასიის მთავრობასთან შეთანხმებით.
3. ქვემორე ხელმომწერ უფლებამოსილ დელეგატებს ევალებათ ეს გადაწყვეტილება აცნობონ ყველა მთავრობას და ამ განცხადებით მოახდინონ დამოუკიდებელი სახელმწიფოს – კავკასიის მთიელთა კავშირის შექმნის რეკლამირება, რის გამოც ქვემორე ხელმომწერები აცხადებენ, რომ ამ დღიდან კავკასიის კავშირის დამოუკიდებელი სახელმწიფო ითვლება კანონიერად დაფუძნებულად.

ხელმოწერები: აბდულ მეჯიდ ჩერმოევი, ჰაიდარ ბამმატოვი.

ქ. ბათუმი, 1918 წლის 11 მაისი.”

ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის გაერთიანებულ მთიელთა კავშირის რესპუბლიკას (ცნობილია როგორც მთიელთა რესპუბლიკა) პრეტენზია ჰქონდა აფხაზეთის ტერიტორიაზე და მიიჩნევდა მას თავის შემადგენელ ნაწილად. მთიელ ხალხთა ცენტრალური კომიტეტი (მოგვიანებით მთიელთა მთავრობა) 1917 წლიდან ცდილობდა აფხაზეთის ჩართვას თავიანთ გაერთიანებაში. აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის ნაწილი, რომელიც ჩრდილო კავკასიელებთან ერთობას უჭერდა მხარს, აქტიურად მოქმედებდა ამ მიმართულებით. 1918 წლის 11 მაისს, ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაზე, როდესაც გამოცხადდა მთიელთა

რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, მის ტერიტორიულ ფარგლებში აფხაზეთიც მოიხსენიებოდა.

აფხაზთა ეროვნული საბჭოს ნაწილმა (მაგალითად, ბასარიას ჯგუფმა) მხარი დაუჭირა ჩრდილოეთ კავკასიასთან გაერთიანების იდეას. თუმცა, აფხაზეთის სახალხო საბჭოს დოკუმენტებში და გლეხთა ყრილობის გადაწყვეტილებებში, საბოლოოდ, ამიერკავკასიასთან (და შემდეგ საქართველოსთან) ერთობა იქნა არჩეული ავტონომიის პირობით.

როდესაც საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, აფხაზეთი ოფიციალურად მიიჩნია თავის ავტონომიურ ნაწილად. 1918 წლის ივნისში საქართველოს ჯარებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე კონტროლი დაამყარეს, რასაც მთიელთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პროტესტი მოჰყვა გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინაშე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სცნო ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ხ
ხალხის სუვერენიტეტი

„საქართველოს ხალხი სუვერენულია“, – აცხადებს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი. 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლებისთვის უდავო იყო, რომ ჭეშმარიტი პოლიტიკური დემოკრატიის საფუძველს ხალხის სუვერენიტეტი წარმოადგენს, როდესაც „ყოველი უფლობის ანუ ხელმწიფების წყარო ხალხშია“, როცა „ყოველი ძალაუფლება ხალხიდან მომდინარეობს“ და „ყველა დიდ სახელმწიფოებრივ საკითხში უკანასკნელი გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის ხალხს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 1 თებერვალი). ძირითადი პრინციპი, რომლის განხორციელებასაც ცდილობდნენ 1921 წლის კონსტიტუციაში, ხალხის მმართველობის დამყარება იყო. როგორც აღნიშნავდა საკონსტიტუციო კომისიის წევრი იოსებ ბარათაშვილი, „ყოველი ორგანო სახელმწიფოსი უნდა მოქმედებდეს თანახმად ხალხის ნებისყოფისა“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 859, ფურც.289). ეს იყო მიჩნეული დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს თვისებად.

კონსტიტუციის 52-ე მუხლი მიუთითებდა, რომ „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს“, სუვერენია ხალხი. ამის შესახებ კონსტიტუციის მე-4 თავისთვის დაწერილ კომენტარში აღნიშნული იყო: „დემოკრატიაში ხალხს უჭირავს უპირველესი ადგილი. ადგილობრივად ხალხი დემოკრატიაში არის უპირველესი წყარო ყოველგვარ ხელისუფლებისა. ხალხის ნება არის აბსოლუტი. არ არსებობს სახელმწიფო ნება, რომელიც იდგეს ხალხის ნებაზე მაღლა... ხალხი სუვერენია, როგორც მონარქი მონარქიულ სახელმწიფოში. მისი ხელისუფლება არ ისაზღვრება გარედან. თავის ნებას ის თვით ზღუდავს. თვით ხალხი იძლევა იმ საზღვრებს, რომელშიდაც უნდა გაიშალოს და იბატონოს მისმა ნებამ. ხალხი ცდილობს ისე როგორც ნაცია, მიიღოს სახელმწიფოებრივი კოსმოსის ფორმა. ყველაფერში და ყველგან მისი ნება სჭარბობს. იგი ყველაფერს იმონავებს. მის წინაშე ყველაფერი ქედს იხრის. ეს არის უდიდესი რეზერვუარი, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველა, სახელმწიფოში მომქმედი ძალები. ხალხი არის უმთავრესი ენერგია, რომელსაც მოყავს მოძრაობაში მთელი სახელმწიფოს მექანიზმი“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 182, ფურც. 58).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა იმას, რომ ხალხის სუვერენობის აღიარება მხოლოდ დეკლარაციული არ ყოფილიყო და რიგით მოქალაქეებს ნამდვილად მიეღოთ მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში.

სოციალისტური პარტიებისათვის იდეალი იყო „უმეშვეო დემოკრატია“, ანუ ხალხის ნამდვილი პირდაპირი მმართველობის განხორციელება. მაგრამ იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ასეთი რამ „მთელ დედამიწის ზურგზე“ მხოლოდ „რამოდენიმე პაწაწკინტელა დემოკრატიულ ნახევრადსუვერენულ სახელმწიფოში“ არსებობდა („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 1 თებერვალი). კერძოდ, შვეიცარიის ზოგიერთ კანტონში. მიუხედავად ასეთი მმართველობისადმი სიმპათიისა, არც სოციალ-დემოკრატები და არც სოციალისტ-ფედერალისტები არ მოითხოვდნენ რუსოს „უმეშვეო მართვა-გამგეობის“ პრაქტიკულ განხორციელებას საქართველოში, რადგანაც, როგორც იოსებ ბარათაშვილი აღნიშნავდა, „საქართველოს ტერიტორიას ვერ დავანაწილებთ და ამისთანა მართვა-გამგეობის შემოღება შეუძლებელი ხდება“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 859, ფურც. 291).

მაშასადამე, 1921 წლის კონსტიტუციის შემქმნელებისთვის ცხადი იყო თანამედროვე სახელმწიფოს პირობებში „უმეშვეო დემოკრატიის“ განხორციელების შეუძლებლობა. „იდეალური და ნამდვილი დემოკრატიული იქნებოდა, – აღნიშნულია იმავე კომენტარში, – რომ მთელი ხალხი პირდაპირი კენჭისყრით იღებდეს ან უარყოფდეს ყოველ კანონს. მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოებში ტერიტორიალურ სიფართოვისა და მცხოვრებთა სიმრავლის გამო ამ ფორმით ხალხის მონაწილეობა კანონმდებლობაში არ ხდება“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 182, ფურც. 58). ხალხის სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად რჩებოდა ერთადერთი გზა – მიეღოთ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს პრაქტიკა, როდესაც „საკანონმდებლო ფუნქციების შესრულებას ხალხი ანდობს საერთოდ თავის არჩეულ წარმომადგენლებს, ხოლო თვითონ კმაყოფილდება ზოგიერთ კანონების მიღებაში მონაწილეობით“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 182, ფურც. 58). ამ შემთხვევაში ხალხი თავის სუვერენობას განახორციელებდა: ა/ წარმომადგენლების არჩევით; ბ/ საკანონმდებლო ინიციატივით; გ/ რეფერენდუმის მეშვეობით. სწორედ რეფერენდუმისა და ინიციატივის გამოყენების შედეგად „წარმომადგენლობითი დემოკრატია ძალიან შეზღუდულია პირდაპირი დემოკრატიის ჩარევით“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 182, ფურც. 58).

1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს – ხალხის სუვერენობა ეკუთვნოდა მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში, რომლის გარეშეც მას არ შეეძლო მოქმედება: „რაც კონსტიტუციით პარლამენტს არა აქვს გადაცემული, ის ხალხს აქვს დარჩენილი; კონსტიტუცია და თვით ხალხი პარლამენტზე ზევით დგას (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 182, ფურც. 54). ამავე დროს პარლამენტის სუვერენობა ნიშნავდა იმას, რომ სუვერენობა არ ეკუთვნოდა აღმასრულებელ ორგანოს ან სასამართლოს. გარდა კონსტიტუციისა, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მოქმედებას საზღვრავდა პარლამენტი. ამრიგად, 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, „სუვერენის სახელი ეკუთვნის ერს და შემდეგ შეზღუდული სახით – პარლამენტს. მეტს არავის“ (სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ. 182, ფურც. 54).

დამკაბადონებელი

ნანა დუმბაძე

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com